იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეკატერინე ყაველაშვილი

გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული მინიატურული პროზა

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლუიზა ხვიჩია – ფილოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორი, საპატიო პროფესორი

თელავი

2016 წ.

სარჩევი

შესავალი...3

თავი I. ფრაგმენტები, ფაქტები გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიიდან...................11

თავი II. გრიგოლ რობაქიძის მინიატურული პროზის პრობლემატიკა 31

თავი III. ესე ქართულ – ევროპულ მწერლობაში და გრიგოლ რობაქიძე.............67

თავი IV. ქართული პუბლიცისტიკის როლი გრიგოლ რობაქიძის ესეისტიკის განვითარებაში...74

§ 1. ევროპეიზმის პრინციპები და ეროვნული იდეალები გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტურ დისკურსში...83

§ 2. დიონისოს კულტი და საქართველოს მითოსური ფენები გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში 89

თავი V. გრიგოლ რობაქიძის პოლიტიკური მრწამსი...93

§ 1. ,,ჰიტლერი" და ,,მუსოლინი"..96

დასკვნა 133

შესავალი

საკვალიფიკაციო ნაშრომი „გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული მინიატურული პროზა“ მოიცავს მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის ძალიან საინტერესო პერიოდს, როცა იგი ნაყოფიერად მუშაობდა და ქმნიდა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ტექსტებს. ლიტერატურულ პერიოდიკაში ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს მწერლის მიერ ემიგრაციის პერიოდში შექმნილი მხატვრული ლიტერატურა, კერძოდ მინიატურული პროზა. ჩვენ გვაინტერესებს ასევე გრიგოლ რობაქიძის სტატიები, ანალიტიკური ხასიათის წერილები და ესეები, რომლებიც ინტენსიურად გამოდიოდა მკითხველი საზოგადოების სამსჯავროზე და რომლებიც დღესაც მნიშვნელოვანია ჩვენი ერის ყოფისა და ინტელექტუალური ცხოვრებისათვის.

საკვალიფიკაციო ნაშრომის დასაწყისშივე გვსურს ავღნიშნოთ, რომ გრიგოლ რობაქიძის მინიატურული პროზის კვლევის, მისი უკეთ გაანალიზების მიზნით მწერლის მიერ გამოქვეყნებული სტატიები, ესეები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა გამოვიყენეთ. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება დღემდე თითქმის შეუსწავლელია, ხშირად მკვლევართა აზრი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ურთიერთ-გამომრიცხავი, ლიტერატურული კრიტიკა მწერლის შემოქმედების ირგვლივ მეტად მწირია. შესაბამისად გრიგოლ რობაქიძის ესეისიტიკის, პუბლიცისტიკისა და ეპისტო-ლარული მემკვიდრეობის კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმთ ჩვენს საკვა-ლიფიკაციო ნაშრომში.

სადისერტაციო ნაშრომში „გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული მინიატურული პროზა” გვსურს დავასაბუთოთ კვლევის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე და პრაქ-ტიკული ღირებულება.

„მინიატურული პროზა“ ფართე ცნებაა და მოიცავს ისეთ პროზაულ ნაწარმო-ებს, როგორებიცაა: ნოველა, ანეგდოტი, იგავ-არაკი, ესკიზი, ამბავი, სურათი და ლექსი პროზად. სწორედ ამიტომ გამოვიყენეთ ეს პირობითი ტერმინი ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის სათაურში.

გრიგოლ რობაქიძემ შექმნა სრულიად განსხვავებული ენობრივ-მენტალური ნაშრომების მთელი სერია, რომელთა თემატიკა მრავალფეროვანი და განსხვავებულია. მიუხედავად საკითხთა მრავალგვარობისა, გრიგოლ რობაქიძის იდეა არ იცვლებოდა, იგი მხოლოდ ქართული გენის მსოფლიოსთან დაახლოებას ისახავდა მიზნად, გამომ-

დინარეობდა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მისწრაფებებიდან, როცა ინტერდისციპლინური კვლევების შედეგად ხდება პოსტკოლონიური ტენდენციების შესწავლა და ახალი სააზროვნო სისტემების დანერგვა.

საკვალიფიკაციო ნაშრომი ჯდება ამ უახლესი ტენდენციების კონტექსტში და წარმოადგენს დიდი ხნის მანძილზე სამშობლოში აკრძალული მწერლის დასავლური ღირებულებების შემცველი ტექსტების განსხვავებული კუთხით შესწავლის ცდას. შესაბამისად, აქტუალურია თანამედოვე ლიტერატურათმცოდნეობის სივრცეში ამ თემაზე შექმნილი სამეცნიერო პროდუქციაც, რომლის ერთ-ერთი ნიმუში ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომია.

ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გახლდათ, მიგვეგნო მწერლის შემოქმედების მთავარი მოტივებისათვის, შესაბამისად გავავლეთ პარალელები მის გერმანულენოვან და ქართულენოვან შემოქმედებას შორის, შევისწავლეთ შემოქმედის უნიკალური სამწერლობო ენა და შეძლებისდაგვარად ამოვავსეთ ის თეთრი ლაქები, რაც დღემდე არსებობდა მწერლის ბიორაფიულ ცნობებთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი უფრო ღრმა და მასშტაბურ დამუშავებას მოითხოვს. განსაკუთრებით საინტერესო კი, ჩვენი აზრით, იმ მასალების მოპოვება, თარგმნა და ქართული საზოგა-დოებისათვის გაცნობაა, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებობს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ამოცანა, გრიგოლ რობაქიძის მიერ ემიგრაციის პერიოდში შექმნილი მასალების შესწავლის მეშვეობით გაირკვეს ქართული ევროპეიზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლისა და შემოქმედის სააზროვნე სივრცე, მისი მენტალური საფუძვლები და დღემდე საინტერესო ანალი-ტიკური ხასიათის მოსაზრებები. ჩვენი მიზანი იყო მეტ-ნაკლები სისრულით გამოგვემზეურებინა ყველა ის მოსაზრება თუ თეორიული ხასიათის დასკვნა, რამაც გრიგოლ რობაქიძე აქცია ქართული ევროპეიზმის წარმომადგენლად, ახალი მიმდინარეობების თეორეტიკოსად და პოლიტიკური გეზის მიმცემად მეოცე საუკუნის 10-20-30-იანი წლების ურთულეს ქართულ რეალობაში.

შევეცადეთ, შეგვესწავლა, დავკვირვებოდით და ჩვენეული მიდგომით შეგვეფასებინა გრიგოლ რობაქიძის როგორც ქართული, ისე გერმანულენოვანი მინიატურული პროზის ნიმუშები. ამის საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნები. ლიტერატურული მოვლენები განვიხილეთ შედარებით - ისტორიული მეთოდით.

დისერტაციაში შესწავლილია ფრაგმენტები გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიიდან, მინიატურული პროზის პრობლემატიკა და გრიგოლ რობაქიძის როლი მის განვითარებაში, ესე ქართულ და ევროპულ მწერლობაში და გრიგოლ რობაქიძის მნიშვნელობა ამ კუთხით, ასევე ქართული პუბლიცისტიკა, რობაქიძის პოლიტიკური მრწამსი - ესეები: „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ . ნაშრომში ძირითადად განხილულია ემიგრაციის პერიოდში შექმნილი ტექსტები, მათ შორის დაწვრილებით განვიხილეთ ნოველათა კრებულები „დემონი და მითოსი“ და „კავკასიური ნოველები“, რომლებიც თავდაპირველად გერმანიაში გამოიცა. საკვალიფიკაციო ნაშრომში შეძლებისდაგვარად ვრცლად განხილულია აგრეთვე „ორი სურათი“, „MAIA“, „LOTOS“, „ორი ფოთოლი“ (რომანითგან „დალი“), „ლილე“, „დიდი დედა“ (რომანითაგან „დალი“), „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავასადმი“ და „ჟამსა ხუმრობისა (მოგონილი და ნამდვილი)“.

მწერლის ლიტერატურული ტრანსფორმაციისა და მისი მსოფლმხედველობის გაანალიზების მიზნით საკვალიფიკაციო ნაშრომში გამოვიყენეთ აგრეთვე ზოგიერთი ნოველა, რომელიც მწერალმა ემიგრაციამდე პერიოდში შექმნა, ამით ერთგვარად პარალელი გავავლეთ მწერლის ემიგრაციამდე და ემიგრაციის შემდეგ შექმნილ მცირე პროზას შორის და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ეს პირობითად აღებული ორი პერიოდი ერთანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება. ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში გამოვყავით მოტივები რომლებიც მწერლის მთელს შემოქმედებას გასდევს, თუმცა სოციალიზმისა და ნაციონალიზმის თემები ემიგრაციის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით მწვავეა, რაც არა მხოლოდ იმ დროისათვის განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, არამედ ემიგრაციაში მყოფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის პირად განცდებსაც დავუკავშირეთ.

ნაშრომი შესრულებულია თანამედროვე ლიტერატურამცოდნეობის პრინციპების მიხედვით, სადაც მთავარია ინტერდისციპლინური კვლევები და მომიჯნავე სპეციალობების მონაცემების შედარების ფონზე სათანადო დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის პრაქტიკული გამოყენება შეიძლება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სპეცკურსების სახით; ასევე ჰუმანიტარული კოლეჯების ჟურნალისტიკის სპეციალობებზე.

მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული, შედარებითი ანალიზისა

და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე დავადგინეთ საკვლევი თემის აქტუ-ალობა, ხოლო ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე უკვე შესაძლებელი გახდა დაგეგმილი კვლევის ეფექტურობის განსაზღვრა.

ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და კვლევითი, ანალიტიკური მეთოდების შემუშავება, დაგვეხმარა მეცნიერული კვლევის ცოდნის შეძენაში. ამან სათანადო ასახვა პოვა სადისერტაციო მასალების დამუშავებისას. ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი და შეფასება ახალი მეთოდოლოგიის განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენ შევეცადეთ პრობლემების გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიგვეღო.

კვლევის ერთ-ერთ მიზანად დავისახეთ გამოგვევლინა სტილური ერთო-ბლიობა დედანთან გერმანული თარგმანისა და გერმანულთან ქართული თარგმანის შეპირისპირებისას, ერთგვარი სტილური კონტინუუმი, რომლის მიღწევა ხდება მწერლის შემოქმედებითი გარდასახვის ინდივიდუალობათა სინთეზით. ასეთი შეპირისპირებით უნდა განგვესაზღვრა რა ხასიათისაა და რამდენად ორგანულად ერწყმის დედნისეულ სამყაროს ყოველივე ის, რაც მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალურობიდან მომდინარეობს, ანდა დაკავშირებულია სხვა ენის ენობრივ სამყაროსთან და დედნისაგან განსხვავებული წარმომავლობისაა. შევეცადეთ შეპირისპირებითი ანალიზით ნათელი მოგვეფინა მწერლის ინდივიდუალური სტილის საერთო ხასიათისათვის, მისი ესთეტიკური მიზანდასახულებისათვის.

კვლევის მეთოდად ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური და შეპი-რისპირებითი ანალიზი, რომელიც ფასეულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

დისერტაციის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს მოკრძალებულ, მაგრამ მაინც წინგადადგმულ ნაბიჯს ლიტერატურული უნივერსალიების შესწავლაში.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მასში გრიგოლ რობა-ქიძის შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მისი მცირე პროზის კვლევა. საკვლევი საკითხის ირგვლივ თანამედროვე ლიტერატუ-რათმცოდნეობაში არსებულ ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ შრომებზე

დაყრდნობით, ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით განხილულია მწერლის მრავალმხრივი ესთეტიკური შეხედულებანი.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს დასკვნები, როგორ იქნა გააზრებული გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება, როგორი შეფასება მისცეს და რა დასკვნამდე მივიდნენ. შესწავლილია თითქმის ყველა სამეცნიერო პუბლიკაცია. თითოეულს ახლვს ჩვენეული შეფასება. ვმსჯელობთ ცალკეულ საკითხთა თავისებურებებზე.

სადისერტაციო ნაშრომში გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით წარმოდგენილია მწერლის შემოქმედებაში, ლიტერატურისათვის ახალ ჟანრში, მინიატურულ პროზაში, მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლაკონურობა, ფრაზის სისხარტე, სათქმელის მკვეთრად მოჭრა, სახელდებითი წინადადების გამოყენების ჩვევა და სხვა.

გრიგოლ რობაქიძის თვითმყოფადი სამწერლობო ენის გაგება ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტული ფაქტების ცოდნით არის შესაძლებელი, ხოლო ზოგიერთი მათგანის განმარტებას იგი თვითონვე იძლევა თავის ნაწარმოებებში და განსაკუთრებით კი ესეებში. სწორედ ამიტომ ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას, რომლის მთავარ მიზანს გრიგოლ რობაქიძის მინიატურული პროზის შესწავლა წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ ესეს შესწავლას ეთმობა. გრიგოლ რობაქიძის ნაწერები გამოირჩევა ესესათვის დამახასიათებელი სისხარტით, მცირეში დიდის, ბევრის თქმის უნარით. ამ მწერლის ნატურა, მისი შემოქმედებითი ბუნება უფრო მეტად ესეს ჟანრს შეესატყვისებოდა, ამიტომაც მის შემოქმედებაში ესეისტიკა რაოდენობრივადაც და მხატვრულ – ესთეტიკურადაც წინა პლანზეა.

იგი ჩასწვდა ესეს, როგორც სპეციფიკური ჟანრის საიდუმლოს, მიაგნო გასაღებს, ეფექტურად გახსნა ამ ჟანრის არსი, შექმნა არა მარტო იმ დროისთვის მნიშვნელოვანი, არამედ სადღეისოდაც საყურადღებო ქმნილებანი. ჭეშმარიტი ესეს ერთი სპეციფიკური თვისებაც ხომ ისაა, რაც არ უნდა ძველი იყოს, არ შეიძლება ჰქონდეს მარტოოდენ ისტორიული ღირებულება. მუდამ უნდა ინარჩუნებდეს მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

გრიგოლ რობქიძის სააზროვნე სივრცე და ძალზე საინტერესო ანალიტიკური ხასიათის მოსაზრებები, ევროპული ლიტერატურულ-კრიტიკული თუ ზოგადად ესთეტიკური კონცეფციები, ასევე ქართული კულტურისა და განსაკუთრებით

მწერლობის სფეროებში მიმდინარე ტენდენციების მისეული შეფასებები განსაკუთრებით კარგად ვლინდება პუბლიცისტურ შემოქმედებაში. სწორედ ამ მიზეზით ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ გრიგოლ რობაქიძის პუბლიკაცისტიკის შესწვლას.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მეცნიერული შესწავლისა და გააზრების აქტუალობას განსაზღვრავს მწერლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამავე დროს, აქტუალურია მწერლის პოზიციების შეჯერებაც.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის სიახლესა და თვითმყოფადობას ერთი მხრივ გრიგოლ რობაქიძის მინიატურული პროზის შესწავლა, მეორე მხრივ კი მის პუბლიცისტურ ტექსტებში არსებული ევროპეიზმის ანალიზი და სისტემატიზაცია წარმოადგენს.

კვლევის მიზანია მეცნიერული სიღრმით გამორჩეულ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ყურადღება გავამახვილოთ, ვაჩვენოთ ის როლი, რომელსაც ასრულებს სალიტერატურო აზროვნებში გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება.

საკვლევი საკითხის ირგვლივ თანამედროვე ლიტ. მცოდნეობაში არსებულ ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ შრომებზე დაყრდნობით, თავისებურებათა გათვალისწინებით განხილულია მწერლის მრავალი ესთეტიკური შეხედულება.

ფუძემდებულურია მისი იმდროინდელი ღვაწლი. იგი დგას მ. ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის და სხვა ხელოვანთა ცენტრში.

გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები გულისხმობდა ახალი იდეების შემოტანასა და მათ პოპულარიზაციას ქართულ ტრადიციულ ყოფაში, რაც დასაწყისში საკმაოდ გულცივად იქნა მიღებული, მაგრამ მწერლის პათოსის და შემართების, მუდმივი მცდელობების გამო თანდათან იქნა გაგებული და მოწონებული. მწერლის იდეების შემოტანისა და დამკვიდრების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის პროგრესზე ორიეტირებულ ინტელექტუალთა ჯგუფს, ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და სისტემურად გამართულ დაჯგუფებას, რომელსაც „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენი ეწოდება და რომლის იდეური ბელადი გრიგოლ რობაქიძე გახლდათ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე დიდი მწერლებისა და პოეტების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს იმპერიალისტური უღლიდან გამოხსნა და ევროპასთან დაახლოება. სწორედ ამ ეპოქის დიდი წარმომადგენელია გრიგოლ რობაქიძე, რომლის პუბლიცისტურმა ესეებმა დიდწილად განსაზღვრა ევროპეიზმის დომინანტი ქართულ მწერლობაში, რაც სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის, დადაიზმისა და სხვა ლიტერა-ტურული მიმდინარეობების სიით გამოვლინდა.

რობაქიძის ცხოვრება და შემოქმედება, რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა მას რომ შედარებით ნაკლებად ეკლიანი გზა გაევლო. ემიგრაციამ მწერალს ბევრი სირთულე მოუტანა, სამაგიეროდ მან გაიტანა საქართველოს სახელი მის ფარგლებს გარეთ.

სადისერტაციო კვლევა თავისთავად მოითხოვს მწერლის მოღვაწეობის დროინდელი ეპოქის ისტორიულ მიმოხილვას საქართველოშიც და იმ ქვეყნებშიც, სადაც იგი ემიგრაციაში იმყოფებოდა. ამ წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა არა მხოლოდ გერმანია, მთელი მსოფლიოც შეცვალა.

მთლიანი სადისერტაციო ნაშრომი ემიგრაციის კუთხისაკენაა მიმართული. შესაბამისად, იმდროინდელი ქართულ-გერმანული ურთიერთობებისა და კულტურული მოვლენების ასახვას გვერდს ვერ ავუვლიდით, რადგან ასეთი მოვლენები ლიტერატურაში განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება. გრიგოლ რობაქიძის შემოქ-მედებაზე არსებული წყაროები გაფანტულ ხასიათს ატარებს. მათი შეკრება და შეჯერება მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ობიექტური შეხედულების გასავითარებლად მწერლის შემოქმედების გერმანულ ენაზე გაცნობა აუცილებელი პირობაა. ერთი მხრივ, ეს იყო საინტერესო და ნაყოფიერი სამუშაო, ვინაიდან შეუძლებელია ისეთი გიგანტის შემოქმედების გაცნობამ, როგორიც რობაქიძეა, განსხვავებული და ორიგინა-ლური აზრები არ გაგიჩინოს.

მწერლის მცირე პროზისა და მასთან დაკავშირებული ნაშრომების თავმოყრა და შეჯერება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო.

რობაქიძის შემოქმედბაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი თემები: ქართული ისტორია და აზიური მითები, საქართველოს მსოფლხატი, სოციალიზმი და ნაციონალიზმი, ასევე ისეთი ფიგურების პორტრეტები, როგორებიცაა მუსოლინი, სტალინი და ჰიტლერი – ზოგადად ძლიერი პიროვნებების პორტრეტები.

გერმანიაში მოღვაწე ქართველი ემიგრანტები, მათ შორის გრიგოლ რობაქიძეც გამოირჩეოდა ეროვნულ-პატრიოტული, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ მეცნი-ერული საქმიანობით. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ამდიდრებს არა მხოლოდ ქართულ, არამედ გერმანულ კულტურასაც. კვლევისას საინტერესო აღმოჩნდა, როგორ აღიქვამდნენ უცხოელი მკვლევრები და მკითხველები გრიგოლ რობაქიძის შემო-ქმედებას. მისმა ნაღვაწმა დიდი გამოხმაურება პოვა ევროპაში 30-იან წლებში, განსაკუთრებით – გერმანიაში. ნაწარმოებებმა, რომელთა დიდი ნაწილი შემოქმედმა გერმანულ ენაზე დაწერა, საპატიო ადილი დაიკავა გერმანულ ლიტერატურაში. ამის შედეგია, რომ უამრავი სტატია, რეცენზია, ნარკვევი გამოქვეყნებულია ევროპულ პრესაში, სადაც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ.

გრიგოლ რობაქიძის წერილებმა შემოგვინახა მწერლის საინტერესო შეხედულებები პოლიტიკაზე, ემიგრანტის მოვალეობასა და მრწამსზე, საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიაზე, ჟურნალში გამოსაქვეყნებელ სტატიებზე და ყველა იმ პრობლემაზე, რომლებიც მის წინაშე იდგა სულიერ და შემოქმედებით ჭრილში. ამ მასალის გაცნობამ მწერლის შემოქმედების ახლებურად გააზრების საშუალება მოგვცა.

გრიგოლ რობაქიძის შესახებ ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალები ერთ-ერთი მოცულობითი წყაროა მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის კრიტიკული ანალიზისათვის. სწორედ ამიტომ გამოვიყენეთ მუშაობის პროცესში აქტიურად ეს მასალა. იმისათვის, რომ ეს ბუმბერაზი მწერალი სათანადოდ გამო-კვლეული და შესწავლილი იყოს დღესაც უამრავი მიზეზი არსებობს.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება მწერლის რთული ცხოვრებისეული გზის გამო ქართულ – გერმანულ პერიოდებადაა დაყოფილი. იგი ნაკლებადაა ცნობილი როგორც გერმანელი, ისე ქართველი მკითხველისთვისაც. კვლევის პროცესში სწორედ ამ მიმართულებით მრავალი ახალი სავარაუდო ჰიპოთეზა გამოიკვეთა.

მწერლის სათანადო დონეზე გამოკვლევასა და შესწავლას საქართველოში ხელი შეუშალა იმან, რომ რობაქიძის სახელი წლების განმავლობაში ტაბუდადებული იყო. გრიგოლ რობაქიძე ღრმად ეროვნული, ინდივიდუალური, მისტიკური ხედვის მწერალია, გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული მისი ნაწარმოებებიც კი ქართული სულითაა გაჟღენთილი.

თავი I

ფრაგმენტები, ფაქტები გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიიდან

გრიგოლ ტიტეს ძე რობაქიძე დაიბადა 1881 (1880 წ.) წლის 28 ოქტომბერს, სოფ. სვირში – დედულეთში, მამამისი ცხოვრობდა სოფელ ჩხარი-ეწერში, ზემო იმერეთში (შორაპნის მაზრა) მუხის ძელურ სახლში. იქვე, გუდელისის ეკლესიაში დიაკვნის როლს ასრულებდა. ამავე დროს იყო წიგნების ამკინძველი, ბზის ხისაგან სეფისკვერების ფორმის გამომთლელი და საფლავების ქვებზე ეპიტაფიების მკვეთელი.

გრიგოლის დედა – ქეთევან ბოჭორიშვილი სვირელი შეძლებული გლეხის შვილი გახლდათ. მშობლებს გრიგოლის მამის ზედსიძედ შემოყვანა სდომებიათ, თავად კი ეს გადაწყვეტილება არ მოსწონდა. ეს დავა გაგრძელებულა გრიგოლის სკოლში მიყვანამდე. ორი წელი იქ უსწავლია, სვირში, დედულეთში.

„ჩუმი, ჩაკეტილი, მარტოსული, თითქმის მელანქორიული – ასეთი ვიყავი ბავშვობაში, მოგვითხრობს მწერალი, - შეუცნობელ არსში ჩაძირულს მეჩვენებოდა, თითქოს რაღაცას ვიხსენებდი. სავსე ვიყავი ნისლით მოცული ხილვებით. გვიან, მოწიფულ ასაკში ისინი როგორც ხელშესახები სურათები, გამომეცხადნენ.

ხუთი წლისას მუხის ძირას, ჩახუთულ შუადღეს მეძინა. გაღვიძებულმა უცხო ლაციცი ვიგრძენი, რაღაც დაცოცავდა მკერდზე. პერანგი გავიხსენი და ორი პატარა ხვლიკი დავინახე. ძალიან ლამაზები იყვნენ. დედასთან გავიქეცი ხვლიკებით ხელში. გადაირია კინაღამ დედა. მას შემდეგ ჩემს ცნობიერებაში ხვლიკი, მუხა და მზე მითიურად მესახება. ბუნებასთან და ცხოველებთან შინაგანი მეგობრობა მაკავშირებდა. გული მინდორ-ველზე მიმიწევდა ცხენებისა და ხარებისაკენ“ [ლომინაშვილი, 1988, 98].

„ნათესავებიდან ყველაზე მეტად ბებია, მამის დედა, მიზიდავდა. არც კითხვა შეეძლო და არც წერა, მაგრამ სიბრძნის პატრონი იყო, დედამიწის სიბრძნის. 85 წელს მიაღწია. გაბრაზებული არასოდეს უნახავს ვისმეს... სიკეთესა და სიმშვიდეს ასხივებდა...“ [ლომინაშვილი, 1988, 99]. გრიგოლს სამი და ჰყავდა. სამივემ ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა.

გრიგოლ რობაქიძე ექვსი წლის ასაკში ქუთაისის სკოლაში მიიყვანეს. იქ ტიფით მძიმედ დასნეულებულა. არ ეგონათ, რომ გამორჩებოდა, ბიძამ და მამამ

საავადმყოფოდან მოიტაცეს, მაგრამ შვიდი კილომეტრის შემდეგ ცხენის უნაგირზე გადაწვენილი გონს მოეგო. როგორც თავად იგონებს: „მშობლიური მიწის სუნთქვამ გამაცოცხლა. მას შემდეგ მიწის გოროხი ჩემთვის სიჯანსაღის ნიშანია“ [ლომინაშვილი, 1988, 100].

1890 წელს გრიგოლი სასულიერო სასწავლებელში შეუყვანიათ, სადაც განსაკუთრებული ნიჭის გამო, ორჯერ ექსტერნად ჩააბარა მომდევნო კლასის გამოცდები და ორი წლით ადრე დაასრულა სწავლა. ხუთი წლის შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში გაუგრძელებია სწავლა. „განსაკუთრებული მონდომების გარეშე ვსწავლობდი. სიზმრებისა და წინათგრძნობების სამყაროში ჩაძირული დავრჩი სკოლა-შიც... სწავლაში მხოლოდ ჩემი არაჩვეულებრივი მახსოვრობა მშველოდა. ვისმესთვის მოსმენაც კი არ შემეძლო“ [ლომინაშვილი, 1988, 102].

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მამას მისი მღვდლად კურთხევა სდომებია, რაზედაც სასტიკი უარი მიუღია. ოჯახიდან ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე იურიევის, ახლანდელი ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. 1901 წელს სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს. სწავლის გაგრძელებაში დახმარებას უწევდნენ კიტა აბაშიძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ზდანევიჩი.

ქართველმა მოღვაწეებმა ნიჭიერი ახალგაზრდა საზღვარგარეთ გაამგზავრეს. 1902 წლიდან გრიგოლი ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. ამაყი და თავმოყვარე ახალგაზრდა არ დაბრუნდა იმ სასწავლებელში, საიდანაც გარიცხეს.

1906 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი. სწავლობდა ფილოსოფიასა და ლიტერატურას. „გოეთე ჩემთვის გამოცხადება იყო. გერმანიამდეც ვიცნობდი მის „ერლკიონიგს“, რომელზეც საქართველოში მუდამ ვოცნებობდი. მესახებოდა უმშვენიერეს ზღაპრად ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან. მამასთან ერთად ხშირად დავაჭენებდი ცხენს. ჭენების დროს მამის ქამარს ჩაჭიდებული იმ ჟრჟოლას ვგრძნობდი, რომელიც გოეთემ ასე ოსტატურად გადმოსცა ლექსით“ [ლომინაშვილი, 1988, 103].

გრიგოლი ორი წელი დარჩა საზღვარგარეთ და სხვადასხვა უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს მისთვის საინტერესო საგნებში.

1908 წელს დაბრუნდა საქართველოში, ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში, კითხულობს ლექციებს ქართულ და რუსულ ენებზე.

1910 წელს გრიგოლი უბრუნდება ტარტუს უნივერსიტეტს, ამთავრებს იურიდიულ ფაკულტეტს, მაგრამ დიპლომს ყაზანის უნივერსიტეტში იცავს.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიულ ფაქტებთან ერთად მწერლის ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც გთავაზობთ, გვსურს მოვიყვანოთ საინტერესო ამონარიდი გრიგოლ რობაქიძის მიერ 1922 წლის 9 ოქტომბერს კოტე მაყაშვილის - მწერალთა კავშრის თავკაცისათვის გაგზავნილი წერილიდან, სადაც იგი საკუთარ თავზე მესამე პირის პერსპექტივიდან საუბრობს.

საქმე იმაშია, რომ 1922 წელს „ლომისის" მეექვსე ნომერში კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა სტატია „ჩვენი კულტურ-პოლიტიკა". ავტორი უარყოფითად უყურებდა რუსეთში მოღვაწე ქართველების სამშობლოში დაბრუნებას, მათ გარუსებულად თვლიდა. ამ სტატიაში მან გააკრიტიკა აგრეთვე გრიგოლ რობაქიძე იმის გამო, რომ იგი ზოგჯერ რუსულ ენაზეც წერდა და ლექციებს კითხულობდა. კოტე მაყაშვილისადმი მინაწერ წერილში რობაქიძე საკუთარ მოღვაწეობას ასე აფასებს:

„...რობაქიძე ქართველი პოეტია და მოაზრე. გამოდის ხანდახან პარალელურად რუსულ ენაზე: წერით თუ თქმით. ესეც იმდენათ, რამდენადაც საჭიროა ეს მისი ქართული ხაზისათვის. შესაძლოა საქართველომ არ მიიღოს რობაქიძე, მაგრამ საქართველოს ისტორია უთუოდ აღნიშნავს, რომ იგი უღელტეხილი იყო (ლექსში, პროზაში, პრობლემების წამოყენებაში). ეს ფაქტია. ვსწერ ჩემს თავზე როგორც მესამე პირი. მე მეტყვიან: ქართული ხაზისათვის არ არის საჭირო პარალელურად გამოსვლა (ხანდახანაც). მივუგებ: ვარშავაში განზე გადომა შესაძლოა, საქართველოში - არა: მით უმეტეს ტიფლისში, საცა უცხო ელემენტები მრავალია. საჭიროა ამ უცხო ელემენტებს თავი დაანახვო, რომ არა ხარ „პროვინციალი". ამას მნიშვნელობა აქვს. მე თუ ხანდახან „რუსულად" გამოვდივარ, მხოლოდ ამ აზრით. მე შემიძლია ათჯერ „რუსულად" გამოვიდე, მაგრამ თანვე ასჯერ „ქართულად" გამოვალ. ბოლოს და ბოლოს ეს შეძლების საქმეა და მისი დახარჯვა ჩემს ნებაშია. ანტიპატრიოტიზმზე ლაპარაკი ჩემს შესახებ ისეთი გაუგებრობაა, რომ არ ვიცი რა სახელით მოვნათლო ჩემდამი ასეთი მოქცევა" [ბაქრაძე, 2003, 220].

ამ წერილშივე საკუთარი რუსულის შესახებ რობაქიძე წერს: „მე მაქვს აქცენტი როგორც არა-რუსს. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ როცა მე შთაგონებით ვმეტყველებ, მითხარით რუსი, რომელიც „ამჩნევდეს“ ამ აქცენტს. და თავი და თავი: ჩემს გვერდით გამოვიდეს კარგი რუსი მეტყველი და მაშინ დაინახავთ ჩემს ძალას. მე მრავალ ქართველს ვუსურვებ ქართულად ისე ლაპარაკს, როგრც მე რუსულად ვმეტყველებ“ [ბაქრაძე, 2003, 221].

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ რობაქიძის თვითშეფასება გადაჭარბებულია.

პირველი მსოფლიო ომის დროს გრიგოლ რობაქიძე ირანშია. იქ ჩაეყარა საფუძველი „გველის პერანგს“. ირანში გაიცნო საბედო – ნინო დომენსკაია, დაოჯახდა და ორი შვილი შეეძინა. ბედნიერი არ აღმოჩნდა გრიგოლის ეს პირველი ქორწინება. მეუღლე ბავშვებთან ერთად ბაქოში მშობლებთან გაემგზავრა, სადაც ეპიდემიამ ორივე ბავშვი იმსხვერპლა. ბავშვების გარდაცვალების შემდეგ გრიგოლი გასცილდა ნინო დომენსკაიას.

ამ ფაქტის შესახებ აკაკი ბაქრაძე მოგვითხრობს: „ალლას დედა, გრიგოლ რობაქიძის პირველი ცოლი, ნინო დომენსკაია ძალიან ლამაზი და ერთობ თავნება, ჯიუტი ქალი ყოფილა. თუ რაიმეს ამოიჩემებდა, აღარ გადათქვამდა. ასე ამოუჩემებია: ბაქოში უნდა წავიდე და მშობლები ვნახოო. ბავშვის წაყვანაც გადაუწყვეტია.

ცუდი დრო იყო. ომი მძვინვარებდა. მისვლა-მოსვლა ჭირდა. საზრდელსაკვები აკლდა ქვეყანას. ნაირნაირი სენი მუსრავდა ხალხს. შარაგზაზე შეიარაღებული ბანდები დაძრწოდნენ. უმოწყალოდ ძარცვავდნენ და ხოცავდნენ მგზავრებს. ბაქოშიც, მთელ ქალაქს ეპიდემია მოსდებოდა. არც საავადმყოფები ყოფნიდათ, არც ექიმები. მიცვალებულთა დამარხვასაც კი ძლივს ახერხებდნენ.

-ნუ წახვალ და თუ წახვალ, ბავშვს მაინც ნუ წაიყვანო, -შეხვეწნია გრიგოლი ცოლს. ნინო დომენსკაიას თავისი არ დაუშლია: წასულა და ბავშვიც თან წაუყვანია. საბედისწერო აღმოჩნდა ეს მგზავრობა. ბაქოში ბავშვს უკურნებელი სენი შეეყარა. იმსხვერპლა კიდეც ამ ავადმყოფობამ. ქმარმა ცოლს ეს უკვე ვეღარ აპატია. გრიგოლ რობაქიძე და ნინო დომენსკაია გაიყარნენ“ [ბაქრაძე, 2003, 30].

გრიგოლ რობაქიძემ, გარდაცვლილ შვილს ალლას ორი ლექსი მიუძღვნა, ლექსი „გლოვა“ (ქვესათაურად - „ჩემი ბავშვის ხსოვნას“) და მეორე ლექსი „ალლას“ - რომელიც მწერლის აზრით მის შემოქმედებაში ყველაზე უფრო „ლირიულია“:

ნელი შრიალით შეფოთლილი თუ ვინმე მოჰქრის,
ქღალი ბეღურა თავს ევლება ტანსარო ალვას.
ის ვერ იხილავს ჩემს ეზოში პატარა ალლას
მე ვეღარ ვეტყვი უცხო სტუმარს „ნისკარტი ოქროს".
თეთრი ღიმილი აგონდება გადახრილ ქორედს.
ობლობას იხდის დედოფალა ნაჭრიან ჩითით.
გულდათუთქული ცქერას მესვრის ცქრიალა ჩიტი
და სამუდამოდ გაფრინდება ნაღვლიან შორეთს.
ვაშურებ ოთახს. დასრიალობს სიკვდილის კვალი,
ნინოს ხატის წინ დავიჩოქებ სათუთი მწირი.
მოვიკუტები ჩუმი ლოცვით ნეკივით მცირე
და ვიშრობ ცრემლებს საცოდავი ვით ჭიქის
თვალი.

უცნაურია, რომ გრიგოლ რობაქიძის პოეზიაში მხოლოდ ერთ შვილზეა ლაპარაკი, მაგრამ ალბათ მწერლის შესახებ შეუსწავლელი მასალის ათვისების შემდეგ უფრო მეტი საკითხი გახდება ჩვენთვის ცნობილი.

გრიგოლ რობაქიძემ 1917 წელს დაწერა „ლონდა", რომელიც მიუძღვნა გარდაცვლილ შვილს – ალკას.

რამდენიმე წლის შემდეგ გრიგოლი მეორედ დაქორწინდა ელენე ფიალკინაზე. გრიგოლ რობაქიძე მთელი ცხოვრება პოლიტიკურად აქტიური იყო. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლამ ემიგრაციამდე მიიყვანა. მეორე ქორწინება მწერლისათვის უფრო იღბლიანი გამოდგა. გრიგოლ რობაქიძის მეუღლე ელენე ფიალკინა 35 წლის განმავლობაში მისი ერთგული თანამგზავრი და მეგობარი იყო. მათ შვილი არ გაუჩნდათ, ამიტომ ელენე ფიალკინას ობლი დისშვილი ელენე (ალია) პოგორელოვა იშვილეს და გაზარდეს. გრიგოლ რობაქიძე მეუღლესთან ერთად თბილისში ცხოვრობდა, ვიდრე ემიგრაციაში გერმანიაში გაემგზავრებოდა. 1931 წელს გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში მიდის, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა: მეუღლის ავადმყოფობა და რუსთაველის თეატრის გასტროლი გერმანიაში. გერმანიის სცენაზე წარმოდგენილი იყო გრიგოლ რობაქიძის დრამა „ლამარა" სანდრო ახმეტელის

რეჟისორობით. ამით საბჭოთა მმართველობას სურდა დასავლეთისთვის ეჩვენებინა, როგორი დაფასებული, მოვლილია კულტურა და ხელოვნება საბჭოთა კავშირში.

ლავრენტი ბერია რობაქიძის გერმანიაში გამგზავრების წინააღმდეგი იყო, მაგრამ სერგო ორჯონიკიძის დახმარებით მწერალი გერმანიაში წავიდა. ლომინაშვილი - წიგნში „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“ წერს, რომ ბიძამისს სურდა გერმანიიდან დაბრუნება, მაგრამ როდესაც შეატყობინეს, სამშობლოში დაბრუნებისას რაც მოელოდა, უსაფრთხოების მიზნით, გერმანიაში დარჩენა გადაწყვიტა. 1931 წლის შემდეგ გრიგოლ რობაქიძეს მშობლიურ მიწაზე ფეხი აღარ დაუდგამს, მაგრამ მთელი ცხოვრება გულით საქართველოში იყო და მასთან შინაგანი კავშირი არ გაუწყვეტია.

საბჭოთა ხელისუფლებამ მწერლის წინააღმდეგ სასტიკი და უზნეო კამპანია წამოიწყო, რაც განპირობებული გახლდათ იმდროინდელი იდეოლოგიით. ამას ადასტურებს მწერლის შესახებ თანამედროვე პრესაში გამოქვეყნებული არაერთი დამამცირებელი შინაარსის მქონე პუბლიკაცია. დისკრიმინაცია წარმატებულად განხორციელდა კიდეც. გაზეთ „კომუნისტსა“ და „მნათობში“ გამოქვეყნდა მწერალთა მიმართვა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისადმი: „არავითარი დანდობა კლასობრივ მტრებს“, რომელიც მიმართული იყო გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ. წერილში ნათქვამი იყო, რომ რობაქიძე თვალთმაქცობდა, ატყუებდა ხელისუფლებას, მწერლობას, საზოგადოებას… რომ ის ფაშისტთა ბანაკში გადავიდა, იყო „სოციალისტური სამშობლოს“ მოღალატე და ა. შ. ამის შემდეგ მისი სახელი და შემოქმედება აიკრძალა საბჭოთა საქართველოში.

მისი ემიგრაციაში ყოფნის დროს მწერლის ნათესავები ბევრჯერ დააპატიმრეს, ან ავიწროებდნენ. ნათესავებსა და რობაქიძეს შორის კავშირი არ არსებობდა. პირველი წერილი 1947 წელს თავის დას გაუგზავნა. კონსტანტინე გამსახურდია და გალაკტიონი რობაქიძის ოჯახს მხარში დაუდგნენ და უსაფრთოხოების მიზნით, წერილი იმდროინდელი უშიშროების სამსახურს ჩააბარებინეს [ლომინაშვილი, 1996, 263].

როგორც აღვნიშნეთ „ლამარა“ გრიგოლ რობაქიძეს ემიგრაციაში წასვლაში დაეხმარა. ეს არ იყო ჩვეულებრივი მოგზაურობა ევროპაში. იგი უცხოეთში სამუდამოდ დარჩენას აპირებდა. მოგვიანებით ნიკოს კაზანძაკისს გამოუტყდა: უკვე 1928 წელს „შინაგანად გადაწყვეტილი მქონდა დამეტოვებინა საბჭოთა კავშირი“. გერმანიაში წასასვლელად ნებართვა დიდი ჯახირით მიუღია. „ორ წელიწადზე მეტ ხანს

ვცდილობდი, გამომეგლიჯა თანხმობა გასამგზავრებლად“. ამაში დიდად დახმარებია რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში 1930 წელს და მისი „ლამარას“ გამარჯვება. ბერძენ მწერალს უყვება: „ერთხელ თეატრს ეწვია თვითონ „ის“ - სტალინი. იგი მხოლოდ ბოლო მოქმედების დროს შემოვიდა. შეძრულმა წარმოდგენის ბოლოს გამოთქვა სურვილი, სპექტაკლი თავიდან განმეორებულიყო. დაცარიელებული თეატრის დარბაზში ხელახლა, უფრო დიდი ენთუზიაზმით, განმეორდა წარმოდ-გენა“. მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას მიზანშეწონილად მიუჩნევია რუსთაველის თეატრის ევროპა-ამერიკაში გაგზავნა (მერე ეს საქმე ჩაიშალა). გრიგოლ რობაქიძეს უნდა გამოეყენებინა ეს ვითარება. იმავე ნიკოს კაზანძაკისადმი მიწერილი ბარათით შეგვიძლია შევიტყვოთ:

„მე, რომელიც ამდენ ხანს საზღვარგარეთის პასპორტისათვის ვიბრძოდი, შევეცადე გამომეყენებინა ეს შემთხვევა. ამავე წლის (1930) ნოემბერში მოსკოვს გავემგზავრე, სადაც ჯერ კიდევ არ მიმქრალიყო „ლამარას“ გამოძახილი. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მომიხერხდა კრემლში ენუქიძის ნახვა, რომელიც გავლენიანი პირი იყო კულტურული საქმიანობის დარგში. ის სტალინის ანტიპოდი გახლდათ. ბევრს დახმარებია გაჭირვებისას. 1937 წელს სიკვდილით დასაჯეს, როგორც „მოღალატე“. მე მას ავუხსენი, რომ როგორც „ლამარას“ ავტორს, შემეძლო უცხოეთში თეატრისათვის დახმარება გამეწია. მისი შემწეობით პასპორტი მივიღე“ [ბაქრაძე, 2003, 169].

30-იან წლებში გრიგოლ რობაქიძე უკვე სახელმოხვეჭილი მწერალია. იგი ქართულზე არანაკლებ ბრწყინვალედ წერს გერმანულად. აღაფრთოვანებს თვით გერმანელებს და ამ ენის უბადლო მცოდნეთ. მათ შორისაა გამოჩენილი ავსტრიელი მწერალი - შტეფან ცვაიგიც. მათი შეხვედრა მოხდა 1928 წლის სექტემბერში, მოსკოვში, ლევ ტოლსტოის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებულ დღესასწაულზე. ძნელი წარმოსადგენი არაა, საქართველოს ნახვის როგორი დიდი ინტერესი ექნებოდა ცვაიგს... მას ამ დროისათვის „გველის პერანგის“ შესავალი წერილი უკვე დაწერილი ქონდა.

შტეფან ცვაიგი 1928 წელს ქალაქ იენაში გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ გერმანული გამოცემისათვის წამძღვარებულ შესავალ ნაწილში ამბობს: „... პოეზიაში ნამდვილი ეგზოტიკის მოცემა შეუძლია მხოლოდ ღვიძლ შვილს თავის ხალხისას, მასში სულით ფესვებგამდგარს... მე ვფიქრობ, პირველად ჰორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი

ერი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის ამ რომანით... ცხოვრობს ჩვენი დედამიწის უმშვენიერეს კუთხეში, განთქმული თავისი სიმღერებით და ლეგენდებით, და მაინც, ჩვენდა სამარცხვინოდ, უცნობია ჩვენთვის, ევროპელებისათვის, თუ რა მდიდარია საქართველო მითიური ძალებით, სავსე ჰეროიკული გონით და ამავე დროს თანამედროვეობისაკენ სწრაფვით, _ ეს პირველად ახალგაზრდა მწერლის ამ წიგნიდან გავიგე, რითაც მან თავის სამშობლოს და ამით ჩვენც დიდი სამსახური გაგვიწია... ყოველ ფურცელს გააჩნია ცეცხლოვანი, ბალადური მომენტები, სრულიად უცხო სახის სიმშვენიერისა... და მიუხედავად იმისა, რომ გრძნობას მკაფიოდ არ შეუძლია გაარჩიოს, სინამდვილეში ვის უნდა უმადლოდეს ამ დამაბრუებელ სურნელებას - მწერალ რობაქიძეს თუ თვით საქართველოს - მაინც სიამოვნებით ხდები ტყვე ამ ახლისა" [შარაძე, 2005, 14].

ალბათ, ცვაიგი მართლაც ეწვეოდა საქართველოს, რომ არა ის პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც მალე მსოფლიოში დატრიალდა, რომლის მსხვერპლიც, ბედის ირონიით, ორივე მწერალი შეიქნა. დასანანია, რომ ავსტრიელ მწერალს მანამდე უკვე დაწერილი ქონდა ,,გველის პერანგის" წინასიტყვაობა. სხვა შემთხვევაში, ალბათ, ამ შეხვედრის შემდეგ, აუცილებლად გვექნებოდა გრიგოლ რობაქიძის პიროვნული დახასიათება. საინტერესო იქნებოდა ცვაიგის თვალით დანახული გრიგოლ რობაქიძე - ქართველი მწერალი, უაღრესად განათლებული, უბადლო გარეგნობითა და დახვეწილი მანერებით.

ამის შემდეგ მწერლები ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. სამ წელიწადში გრიგოლ რობაქიძე გაექცა კომუნისტურ რეჟიმს და გერმანიაში დასახლდა. საბჭოთა საქართველოში აკრძალეს მისი სახელის ხსენებაც კი.

იგივე ბედი ერგო შტეფან ცვაიგს ავსტრიაში - ,,დიდი ევროპელი", როგორც მას უწოდებდნენ, ებრაული წარმომავლობის გამო, გაექცა ფაშისტებს, რომლებიც სახალხოდ წვავდნენ მის წიგნებს.

სიცოცხლე არ მოუსწრაფავს გრიგოლ რობაქიძეს შტეფან ცვაიგის მსგავსად. ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი იყო. თუმცა, რომ უსურვია, თან არაერთხელ, ამას თვითონვე ადასტურებს აკაკი პაპავასადმი გაგზავნილ წერილში: ,,გამოგიტყდებით: რამოდენიმეჯერ მალე სიკვდილი ვისურვე ჩემთვის, შევცოდე წინაშე უფლისა... " [შარაძე, 1991, 204].

ემიგრაციის წლებში 1932 – 1942 წწ. გამოჩნდა გრიგოლ რობაქიძის ის ნაწარმოებები, რომელთაც მწერალს გერმანიაში პოპულარულობა მოუტანეს. ამ წლებში რობაქიძე ემიგრანტ ქართველებს შორის აქტიურობით გამოირჩეოდა. ისინი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. სავარაუდოდ, იგი იყო „თეთრი გიორგის ქართული კომიტეტის“ წევრი. 1941 წლიდან კი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ერთ-ერთი წინამძღოლი. 1942 წელს გახდა ემიგრაციული პარტიის – „ქართველ ტრადიციონალისტთა გაერთიანების“ დამფუძნებელი, რომელიც საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებისთვის იბრძოდა. რობაქიძე იყო აგრეთვე ევროპულ მწერალთა კავშირის წევრი და მეცნიერულ – ლიტერატურულ ჟურნალ „ბედი ქართლისას“ თანაგამომცემელი პარიზში.

ელენე ფიალკინას ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ 1943 წელს მწერალი თავის მეუღლესთან ერთად მოსალოდნელი დაბომბვის გამო ბერლინიდან ბოდენზეე იუბერლინგენში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო 1945 წელს მათ შვეიცარიის საზღვარი არალეგალურად გადაკვეთეს, ვინაიდან შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო გემანიაში აღარ დაედგომებოდათ. 1950 წლის თებერვალში ელენე ფიალკინას დამბლა დაეცა და ლოგინად ჩავარდა. მან მეტყველებისა და მოძრაობის უნარი დაკარგა და ცხოვრების უკანასკნელი შვიდი წელი საშინელ ტანჯვაში გაატარა. მწერლისათვის უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა, ვინაიდან ოჯახში ყველაფერი მას უნდა გაეკეთებინა. ამის შესახებ გროგოლ რობაქიძე 1950 წლის 26 ივნისს თავის მეგობრებს თამარ და აკაკი პაპავებს წერს: „თქვენ იცით: ვამბობდი სიამაყით ყოველთვის: ადამის წყევა არ ვიცი მეთქი, ესე იგი : შრომა. ეხლა ეს წყევა თავს დამატყდა მთელი თავისი საშინელებით - სიამაყით ალბად ბედი „გავახელე“. უნდა სანოვაგე ვიყიდო, უნდა გავამზადო: საუზმე, სადილი, სამხარი, ვახშამი. ეს კიდევ არაფერი. ალაგება ბინისა, ხვეტა - გვა, რეცხვაც ნაწილობრივ - ყველაფერი ეს მე მაქვს დაკისრებული.

კიდევ მეტი. მიხდება ფუნქციების ასრულება: სათნოების დისა, მომვლელისა დროდადრო მასაჟისტისაც. და აი ასე: დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე. ნასადილევს თუ მაქვს მოსვენება: ერთი საათით. ჩემო აკაკი, შენ იცი: მე ჰიპერბოლა პოეზიაშიც არ მიყვარს - რასაც აქა ვწერ, ყველა სიტყვა პირწმინდა სინამდვილეა. გამიმწარდა ყოფა. თუ დავუმატებთ თქმულს იმასაც, რომ ეხლა ნივთიერი შეიწროებაც

კარს მადგა ცივი სისასტიკით - მივიღებთ დასრულებულ სურათს ჩემი ყოფის სიმწარისა“ [ბაქრაძე, 2003, 34].

1957 წელს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მწერალი სულ მარტოდ მარტო დარჩა. სიცოცხლის ბოლო წლებში მას სულ უფრო მეტად ენატრებოდა სამშობლო.

„ვზივარ აივანზე და ვერთვი ნელნელ მდინარის ხმაურს, ჩაფიქრებული... „არვეს“ უხმობენ. ხანდახან, მგონია: რიონი თუა იგი ან მტკვარი. ხოლო ვამჩნევ, რომ მას აკლია ძალაყრილი რიხი პირველის და ძლევამჯერი სიმდოვრე მეორესი: მზე უხვად ეფინება ჩემს ბინაში. მაგრამ იგი არაა „ცხრათვალა“, როგორც ჩვენში: მყუდრო თალარში აციალებული. ვიხილავ კვლავ შენს სამფლობელოს, დიდო კარდუ: საქართველოს ან „საკარდუელოს!“ ... გული კბენარა გზნებს და ტკივილი უხვად გადადის ფიქრებში... და ასე დღე-ყოველ: დედულსა და მამულს მოწყვეტილი, შევეჩვიე ბედს, „ბედზე მიგდებული“... „რამ შეგაურვა?“ - მესმის შენი ხმა: სულმალხენარი, დანელებული, ხოლო თანვე მტკიცე და მაგარი. „განრიგებასა ღვთისა არა შეემართების რა...“ [რობაქიძე, 1964, 34].

80 წელს მიახლოებული მწერლის ცხოვრებაში, მასზე 48 წლით უმცროსი გერმანელი მხატვარი ქალი გრაფინია გიტა ფონ შტრახვიტც შემოდის. მწერალი ამ სიყვარულს ღმერთისაგან გამოგზავნილ საჩუქრად მიიჩნევდა. გიტა კარგად ერკვეოდა მითოლოგიაში, ისინი მეტად საინტერესო წერილებს წერდნენ ერთმანეთს და დაქორწინებასაც აპირებდნენ. 1962 წლის 17 ნოემბერს გრიგოლი ბარათით გიტას უთვლის _ მალე სულ ერთად ვიქნებითო, მაგრამ 19 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძე საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა.

ბოლო ტექსტი, რომელიც რობაქიძის ხელიდან გამოვიდა, სასიყვარულო წერილი უნდა იყოს ახალგაზრდა ავსტრალიელი მხატვარ გიტა ფონ შტრახვიტცისადმი. წერილი სიკვდილამდე ორი დღით ადრე, 17 ნოემბერს არის დაწერილი: „გიტა, მზეო, ჩემო, „წყაროვ“ ჩემო! ამ კვირაში შენთვის ცნობილმა შიშმა კვლავ შემიპყრო: შიშმა შენს გამო. ხელშესახებად ვგრძნობდი, არ იყავი კარგად არც ფიზიკურად, არც სულიერად. შენმა 13 ნოემბრის წერილმა ეს სრულიად დამიდასტურა, ხარ დაღლილი, დაძაბული, ძალღონეგამოცლილი. გთხოვ: მოერიდო გადაღლას, თორემ ნერვიულ დეპრესიას „მოიმკი“ - რაც ძალიან საშიშია. სწუხარ იმაზე, რომ იძულებული ხარ, ჩამოსვლა კიდევ ერთხელ გადადო. დამშვიდდი! მაშინ ჩამოხვალ - როცა შეძლებ. ჩამოხვალ: რომ ჩემთან

დარჩე სამუდამოდ. ესაა არსებითი. ჩვენი ბავშვი იქნება ჩვენივე სიყვარული, გამოხატული მარადიულ დაბადებაში. ამ მარადიულობაში შენ გაიფურჩქნები, როგორც ღვთიური ყვავილი - მე შევასრულებ ჩემს მისიას ამ ქვეყნად. ღმერთმა დაგვლოცოს!“ [სიგუა, 1984, 20].

1962 წლის 20 ნოემბერს, ჟენევის პოლიციამ გრიგოლ რობაქიძე გარდაცვლილი აღმოაჩინა. რადგან განსვენებული მარტო ცხოვრობდა, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში მიღებული წესისამებრ ბინა დაბეჭდა. დასაფლავების შემდეგ, ბუნებრივად დაისვა საკითხი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. შვეიცარიის სასამართლომ გრიგოლის ნივთებისა და ნაწერების საჯარო ლიკვიდაცია გადაწყვიტა. გერმანიაში მცხოვრები თანამემამულეების დიდი მცდელობით შვეიცარიის მთავრობამ ლიკვიდაციის გადაწყვეტილება შეცვალა და გრიგოლის არქივი _ ბიბლიოთეკით ციურიხის „გენეტიური ფილოსოფიის საარქივო დაწესებულებას“ გადასცა შესანახად.

მწერლის სიკვდილის შემდეგ მისი პირადი არქივის დასაპატრონებლად დატრიალებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ შვეიცარიას შესანიშნავად სცდონია გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ე. ი. მისი, როგორც მწერლის მნიშვნელობა.

გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას მისი მეგობრების წერილებიდანაც ვიგებთ. ვიცით რომ, აკაკი პაპავამ კიტა ჩხენკელის წერილი მიიღო, 18 დეკემბერს გამოგზავნილი ციურიხიდან. როგორც წერილიდან ირკვევა, აკაკი პაპავას კიტა ჩხენკელისათვის რობაქიძის არქივის ამბავი უკითხავს: „აბა, ასე უეცრად გამოგვეცალა ხელიდან! შედარებით კარგად იყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შესულა საღამოს თავის ბინაში და თუ არ ვცდები, ორი დღის შემდეგ აღმოუჩენიათ. ალბათ გული გაუსკდა.

ჟენევაში ვინც ქართველები იყვნენ, ყველა დაესწრო მის დასაფლავებას. პარიზიდან ჩამოვიდნენ კიდევ სალია მისი ოჯახობით და სანდრო ფანჩულიძე; მეც მივუსწარი მის დასაფლავებას მე ისევ მალე დავბრუნდი ციურიხში და დანამდვილებით არც კი ვიცი რა მოხდა შემდეგ. სალიამ და მისმა მეუღლემ მისი ჭირისუფლობა იკისრეს, თან თურმე, ფანჩულიძე მისი ნათესავი ყოფილა და ვიცი მხოლოდ, რომ ისინი ცდილობდნენ დაპატრონებას იმაზე, რაც დარჩა გრიგოლს. რა მოხდა და რით გათავდა, მე არ ვიცი; შენ ალბათ უნდა მიმართო სალიას და ის მოგცემს დანამდვილებით ცნობებს“ [სიგუა, 1984, 22].

სალიას ჰკითხეო ჩხენკელმა, მაგრამ, კითხვაც არ დასჭირვებია, - კალისტრატე სალია 1962 წლის 27 დეკემბერს თავად სწერს აკაკი პაპავას მიუნხენიდან: „გაიგებდით გრიგოლის გარდაცვალებას. სექტემბერში ვიყავით მასთან. შესანიშნავად იყო. სრულებით არ მოველოდით ასეთ ბოლოს. როგორც მისი უახლოესი ჭირისუფალი, ნინო და მე წავედით ჟენევაში - რაც შეგვეძლო რიგიანი დასაფლავება მოვუწყვეთ. ვაპირობთ „ბედი ქართლისას“ ქართული ნომერი მიუძღვნათ მის ხსოვნას - დაახლოებით 2-3 თვეში. თქვენ დასწერთ ალბათ რამეს, სასურველი იქნება მის გერმანულ ენაზე დაწერილ შრომებს შეეხოთ“ [სიგუა, 1984, 22].

ცნობილია, რომ 1962 წლის ნოემბერში, როდესაც გრიგოლ რობაქიძის ცხედარი შვეიცარიის მიწაში ჩაუშვეს ნინო ქურციკიშვილმა-სალიამ დაატირა: „ასაწერი მაქვს აგრეთვე, შენი პიროვნების დასახასიათებლად, შენ მიერ შვიდი წლის განმავლობაში განვლილი ჯოჯოხეთი, დამბლადაცემულ, უენო მეუღლის გვერდით და მის მოვლაში. ახლაც საშნელების გრძნობა მიპყრობს, როცა მოგიგონებ და თვალწინ წარმომიდგები იმ მძმე ავადმყოფის გვერდით, რომლის წარმოუდგენელ და აუწერელ კაპრიზებს შენ უსიტყვოდ, ბავშვივით ასრულებდი. ხშირად მოწმე ვყოფილვარ ამ შემზარავი სურათისა. მიკვირს, როგორ იტანდი და უძლებდი...“ [ბაქრაძე, 2003, 36].

ნინო სალიას გამოსასალმებელი სიტყვები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გრიგოლ რობაქიძის მიერ განვლილ უმძიმეს ცხოვრებას.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მაქსიმალურად ვეცადეთ გამოგვეყენებინა უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა მწერლის შესახებ. მათ შორის დიდი ყურადღებით მოვეკიდეთ ნუგეშა გაგნიძისა და მარგარეტ შუხარდის ერთობლივ ნამუშევარს „გრიგოლ რობაქიძე (1880 – 1962) ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის“, რომელიც 2011 წელს გერმანიის ქალაქ აახენში, შაკერის გამომცემლობამ გამოსცა. გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი ეს წიგნი მრავალი თვალსაზირისით ნოვაციაა. ეს არის პირველი პუბლიკაცია, ქართულ-გერმანული ერთობლივი ნამუშევარი წიგნის სახით, გერმანულ ენაზე, მწერლის ბიოგრაფიულ და ლიტერატურულ საკითხებს მოიცავს. წიგნს დანართის სახით ახლავს დოკუმენტური წყაროები, რომელთაგან ზოგიერთი პირველად ქვეყნდება. იგი განსაკუთრებით საინტერესოა გერმანისტე-ბისთვის და ამასთანავე, მწერლის შემოქმედების ახლებურად გადაფასების საშუალებას იძლევა. საქმე ეხება ავტორს, რომელსაც ერთდროულად ერგო გადაჭარბებული პატივიც

და სრული უარყოფაც. წიგნში გამოყენებული მრავალფეროვანი მასალა ავტორებმა მოიპოვეს საქართველოსა და გერმანიაში. დანართში მოცემულია ძნელად ხელმი-საწვდომი, მანამდე გამოუქვეყნებელი მასალა მწერლის შემოქმედებიდან. ავტორების შენიშვნით, კერძო არიქვებში საკმაოდ ბევრის მოძიება შეიძლება, მაგრამ პირველ ეტაპზე მათი მეცნიერულად შესწავლა და გასაჯაროებაა საჭირო. ავტორთა აზრით, რობაქიძის შესახებ შეხედულებები განსხვავებულია. ამიტომ გადაწყვიტეს ამოსავალ წერტილად მიეჩნიათ თვით მწერლის შემოქმედება. მათთვის მნიშვნელოვანი საკითხია, როგორ კითხულობს რობაქიძეს ქართველი და გერმანელი მკითხველი, რა განსხვავებაა მათ შორის. წიგნის მოცულობითი ნაწილი ნუგეშა გაგნიძესა და მარგარეტ შუხარდს შორის ერთგვარ დიალოგს წარმოადგენს, სადაც მწერლის პირადი და პროფესიული გზის განხილვა ქართულ – გერმანული რაკურსითაა გადმოცემული. ნუგეშა გაგნიძის გადმოსახედიდან გრიგოლ რობაქიძის აკრძალვამ საქართველოში მის მიმართ ინტერესი უფრო გაამწვავა. სტალინიზმისა და მარქსისტული სოციალიზმის მიმართ პროტესტის გამო რობაქიძე დროთა განმავლობაში პატრიოტულ საკულტო ფიგურად გადაიქცა. გერმანელი კრიტიკოსის თვალით დანახული გრიგოლ რობაქიძე მისმა პოლიტიკურმა წინააღმდეგობამ და პატრიოტიზმმა იმდენად გააღმერთა, რომ მწერლის შემოქმედებამ ამის გამო, თითქოს, მეორე პლანზე გადაინაცვლა. გერმანელი მკითხველისთვის კი პატიროტიზმის თემა ნაციონალიზმთან საკმაოდ ახლოს დგას და რობაქიძე სწორედ ამ თემებს უღრმავდება. საქართველოსადმი მწერლის გამძაფრებულ სიყვარულს ნუგეშა გაგნიძე გრიგოლ რობაქიძის ემიგრაციაში ცხოვრების ფაქტით ხსნის და არა მისი ნაციონალისტური განწყობით.

მწერალს დაუოკებელი სურვილი ჰქონდა თავისი სამშობლო მსოფლიოსთვის გაეცნო. ვინაიდან საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო დაცული საზღვრები ჯერ კიდევ მიუღწეველია, ბევრი პატრიოტისათვის საქართველოში გრიგოლ რობაქიძის სიტყვები ძალიან კარგად გასაგებია და მათ გულებს ხვდება.

გრიგოლ რობაქიძემ იცოდა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამო, რომელშიც მოვლენათა ტრაგიკული განვითარების შედეგად აღმოჩნდა (ემიგრაცია საქართვე-ლოდან გერმანიაში, ემიგრაცია გერმანიიდან შვეიცარიაში, ყოფნა სრულ ლიტერატუ-რულ იზოლაციაში და სხვა), თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრეს საკითხებზე თვითონვე უნდა გაემახვილებინა ყურადღება.

სიცოცხლის მიწურულს დაწერილ ესეში „ვაჟას ენგადი“ გრიგოლ რობაქიძემ დაიჩივლა: „მე მიმავალი ვარ და დამცველი არავინ მყავს“.

მწერალი წუხდა, რომ ხშირ შემთხვევაში სწორად არ იყო აღქმული და შეფასებული მისი ესა თუ ის ნაწარმოები, სათანადოდ არ იყო დანახული და ასახული მისი დამსახურება როგორც მწერლისა, ფილოსოფოსის, მოღვაწის, ქართული სულიერების საკრალური არსის მკვლევარის. ეს წუხილი ძირითადად მიმართული იყო ქართველისა და ქართველობისკენ. „ეს უნდა იცოდეს ქართველობამ!“ - ამდაგვარი ფრაზა ხშირად გვხვდება მის ნაწერებში: „გულნადები“, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, „ლამარა“, „ისტორია ასე არ იწერება“, „ვაჟას ენგადი“, „ირაკლი აბაშიძეს: პირველ მდივანს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა“ და აგრეთვე სხვადასხვა პირებისადმი გაგზავნილ მის პირად ბარათებში, რომლებშიც მწერალი საკუთართ თავსა და საკუთარ თხზულებებზე საუბრობს, იგი ცდილობდა შეევსო ის სიცარიელე, რაც მისი განსაკუთრებულ პირობებში ყოფნის გამო ამ მხრივ წარმოიშვა.

გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული და ეპისტოლური მასალის უდიდესი ნაწილი, მწერლის ემიგრაციის პერიოდში შეიქმნილი, უცხო ენებზე არსებობს და გაფანტულია მრავალრიცხოვან ჟურნალ-გაზეთებსა და პიროვნებათა არქივებში, რომელთა მისამართებიც მწერალზე უკეთ არავინ იცოდა. ამ და სხვა კონკრეტული მოსაზრებებიდან და დაკვირვებებიდან გამომდინარე, უცხოელ მწერალთა და მოღვაწეთა ლიტერატურული და პირადი წერილების ნაწყვეტებისა და პასაჟების ერთი ნაწილი, რომელიც მწერლის გარდაცვალების შემდეგ პირველად და ყველაზე თვალსაჩინოდ კალისტრატე სალიამ გამოიყენა თავის ნაწერებში, თვითონ გრიგოლ რობაქიძის მიერ უნდა იყოს ნათარგმნი.

გრიგოლ რობაქიძის შესახებ ბიოგრაფიული ფაქტების შეგროვებისას საინტერესოდ მივიჩნიეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნობელის კომიტეტმა პრემიის ისტორიის პირველი 50 წლის ისტორია გაასაიდუმლოვა და ის, რაზეც თავად რობაქიძეს არსად არაფერი უთქვამს და რაც დღემდე ლიტერატურული მითისა და ჭორის დონეზე იყო, დანამდვილებით გახდა ცნობილი:

1932 წელს, იმ წელიწადს, როცა პრემია ჯონ გოლსოურსის ხვდა წილად, გრიგოლ რობაქიძეც იყო წარდგენილი და წარუდგენია იგი მისი რომანების გერმანულ ენაზე

მთარგმნელს, ქართველოლოგსა და სლავისტს, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს რიხარდ მეკელაინს.

მაგალითად გრიგოლ რობაქიძის „დემონი და მითოსის“ (იენა, 1935წ.) შესახებ გერმანელი მწერალი ვილჰემ შეფერი წერდა: „განსაკუთრებით აღმაფრთოვანა რობაქიძის ნიჭმა გერმანულ ენაში. აქ იგრძნობა წყაროები, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია“ [შარაძე,1991,181].

საფრანგეთის აკადემიის წევრმა, ლიტერატურათმცოდნემ მარსელ ბრიონმა გრიგოლ რობაქიძის რომან „მეგის“ ფრანგულ თარგმანს ვრცელი შესავალი მიუძღვნა: „ამ არაჩვეულებრივი ხარისხის რომანისტის დიდ ნიჭს შეუძლია შექმნას მხოლოდ ასეთი დიდი მეტამორფოზები... „მეგი“ დაყოფილია სხვადასხვა თავებად, რომელნიც შეგვიძლია ჩავთვალოთ ნამდვილ პოემად პროზაში. თითოეული თავი იმდენად სრულყოფილია და დამოუკიდებელი, რომ შეგვიძლია მივიღოთ იმდენივე ცალკე დასრულებული პოემა... შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალი სუნთქვა აწესრიგებს აქ რიტმს და განაგებს ტემპს... ეს ფენომენი განსაზღვრულია თვით თხრობით, რომელიც ამოძრავებს მას და წინ მიჰყავს იგი თხრობის გაშლასთან ერთად. და ეს ხდება იმიტომ, რომ დამოუკიდებლად მისი შინაარსისა, თხრობა თვითონ ისხამს სხეულს, იგი ხდება ცოცხალ არსებად, ერთგვარ მეორე რეალობად წიგნისა... განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ეს მთხრობელი გადაშლის ხან წრმტაც ფურცლებს მყუდროებისა და სიმარტოვესი, ხან სპონტანურად, ლიტერატურულ-ხელოვნური დატვირთვის გარეშე, წარმოსახავს ანტიკურ მითოსს, ყოველთვის ცოცხალს თუ მზად გასაცოცხლებლად“ [შარაძე,1991,182].

პარიზში გამომავალ ჟურნალში „ბედი ქართლისა” 1964 წლის N47-ში გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება დადებითად შეუფასებია თომას მანს.

1936 და 1949 წწ-ში („იუბერლიფერუნგ“) გერმანელი ფილოსოფოსი ლეოპოლდ ციგლერი ნაშრომში „გადმოცემა“ ასე ახასიათებდა მწერალს: „რობაქიძე ხომ შვილია და შვილიშვილი ქალდეურ ერთა ნანგრევებისა და დგას შუაგულში მითიურ დროთა დენაში, როგორც მემკვიდრეობით გადმოცემული ცხოვრების არეში. მას არ სჭირდება ჩვენთვის ხელოვნურად შეძენილი მოგონებანი, არამედ მხოლოდ გადახედვა და დაკვირება იმისა, რაც მას, როგორც შეულახველ საშოს დედისას მიმოიცავს“. მოგვია-ნებით იგი წერდა: „ამ ბნელ კვირეებში მე ისევ წავიკითხე თქვენი ორი წიგნი-

„ჩაკლული სული” და „გრაალის მცველნი“ და კითხვის დროს ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მე დამჭირდა ათი წელიწადი, რათა ეს წიგნები შესაფერისად დამეფასებინა... ასე წარმოიშვა აპოთეოზი საქართველოისა. და ვინაიდან ამ ორი წიგნის პრელუდიად „გველის პერანგი“ ჩაითვლება, მომავალში ეს სამი წიგნი უნდა დაიბეჭდოს როგორც „ქართული ტრილოგია“ [შარაძე,1991,182].

ლეოპოლდ ციგლერს 1951 წლის 4 ივნისს „მცხეთის ტაძრის“ შესახებ მიუწერია: „ვერა რომელი ჰანგი უნათლესი მოაღწევდა ჩემდამი ამ ამოძრავებულ კვირეებში, ძვირფასო გრიგოლ რობაქიძე, ვიდრე ჰანგი თქვენი საგალობლისა ძველი ტაძრის მიმართ თქვენი ქართული სამშობლოსი. და დაუვიწყრად შთამებეჭდა ხატი ქვისაგან ნაშენი სალოცავისა, რომელიც ფრთებზე ლოცვისა, მიიზიდვის ზეცისაკენ. მარადის ხატით და ჰანგით თქვენთან გადაბმული ციგლერი“ [შარაძე,1991,183].

1936 წელს გერმანელი გამომცემელი პეშკე ჟურნალ „ეკკარტში” რობაქიძისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში - „გამოვლინება ელემენტებისა“ წერდა: „არსებობენ უთვალავი და სპონტანური საწყისები სამყაროსი, რომელნიც ვულკანური ძალით ამოხეთქილი მიწის დაჯახებისაგან მომდინარეობენ, რომ ერთ წამს, როგორც ამას მოითხოვს გაჩენის თვით აქტი, მიიღონ სხეულებრივი ფორმა. იმპულსებს, რომელიც ასულდგმულებს რობაქიძის გმირებს, მივყევართ იმ შედარებამდე, რომ ისინი თითქოს სამყაროს აწვდიდნენ მისი გაჩენის დროს; ისინი არ არიან პიროვნებანი, არამედ არსნი, მსგავსნი ბუნების ელემენტთა“ [შარაძე,1991,183].

ფრანკ მარაუნი 1944 წლის 16 სექტემბერს სწერდა გრიგოლს: „განცვიფებული ვდგევარ გასაოცარი ათვისების წინაშე, რომლითაც თქვენ გერმანული ენა და მისი პოტური გამოთქმის შესაძლებლობანი სხვა ენათა შორის ჯერ მიუღწეველ, არნახულ დონეზე აიყვანეთ. ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რილკეს შემდეგ ასე სრულყოფილი არაფერი შექმნილა გერმანულ ენაზე!“ [შარაძე, 1991, 187].

ტასილიო ფონ შეფერი, ცნობილი გერმანელი პოეტი, გრიგოლ რობაქიძის ხელნაწერთა გაცნობის შემდეგ ქართველ მწერალს ატყობინებდა: „ძვირფასო მაესტრო! რა შესანიშნავია თქვენი ლექსი „მომაკვდავი არწივი“. როგორ შესძელით თქვენ, უცხოელმა, ამნაირად ჩვენი ძნელი გერმანული ენის გაშლა და ამაღლება, როგორც ამას ვერ შეძლებდა თვით გერმანელი?“ [შარაძე, 1991, 188].

ქართველი მეცნიერის, პროფესორ მიხეილ წერეთლის დახასიათება ასე ჟღერს: „შენ, ძვირფასო გრიგოლ, უდიდესი ღვაწლი მიგიძღვის სამშობლოს წინაშე. შენი წიგნები, გერმანულად დაწერილი „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“, „ქალღმერთის ძახილი“, „გრალის მცველნი“ და სხვ. ძველი წესით დაწერილი რომანები არ არის „ჩვენი ცხოვრებიდან“, არამედ შენი ორიგინალური შემოქმედებაა. გულწრფელად გეტყვი, გადაჭარბებულადაც რომ ვინმემ ჩამითვალოს, მე არ მეგულება არც ერთი სხვა მწერალი, რომელსაც პროზით მოთხრობა სიტყვათა მუსიკად, სიმფონიად გადაექციოს ისეთი საკვირველი ხელოვნებით, როგორც შენ შესძელი... ეს სიმფონია საქართველოს მიწაზე აღესრულების... საქართველო და ქართველიც მარად დაუვიწყარ და პატივით მოხსენებულ იქმნებიან, რათგან შენი ხელოვნება ყოველთვის აღაფრთოვანებს მათ, ვინც რჩეულნი არიან იმ მაღალი ხელოვნების გაგებისა და სიყვარულისათვის, რომლითაც შენი ქვეყანა და ერი ადიდე“... [შარაძე, 1991, 184].

უცხოეთში ყოფნის დროს გრიგოლ რობაქიძე ქართულ, გერმანულ, ფრანგულ ენაზე ქმნიდა ლიტერატურულ-ესეისტურ და მეცნიერულ ნარკვევებს, რომელთა უმრავლესობა დაიბეჭდა ბერლინსა და პარიზში: „ბარათები ბოდენის ტბიდან“, „საქა-რთველოს სათავენი“, „წყაროს თვალი“, „ქართული მითოლოგიიდან - პრომეთე, დალი“, „საქართველო მსოფლიო თვალთახედვით“, „პოეზიის სამყაროდან“, „საქართველო ჯვაროსანთა ეპოქაში“, „ქართული გენია როკვით განფენილი“, „ივანე ზურაბიშვილის წიგნის გამო“, „ვაჟას ენგადი“, „საუბარი კარდუსთან“, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, „ექსპრესიონიზმი“, „ჟამსა ხუმრობისა“, „მიხეილ ჯავახიშვილი - ნიკო ფიროსმანი“, „ფოთლები“.

„ივანე ჯავახიშვილი“ 1944 წელს დაუწერია ბერლინში, მაგრამ გამოქვეყნდა 1967 წელს პარიზში. ივანე ჯავახხიშვილმა მწერალს მსოფლიო ლიტერატურის კათედრაც შესთავაზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან, როგორც მწერალმა არ ისურვა პროფესორი გამხდარიყო.

გერმანელი გამომცემელი პეშკე 1936 წელს გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში „გამოვლინება ელემენტებისა“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ეკკარტში“ წერდა: „არსებობენ უთვალავი და სპონტანური საწყისები სამყაროსი, რომელნიც ვულკანური ძალით ამოხეთქილ მიწის დაჯახებისგან მომდინარეობენ, რომ ერთ წამს, როგორც ამას მოითხოვს გაჩენის თვით აქტი, მიიღონ სხეულებრივი

ფორმა. იმპულსებს, რომელიც ასულდგმულებს რობაქიძის გმირებს, მივყევართ იმ შედარებამდე, რომ ისინი თითქოს სამყაროს ჩასწვდნენ მისი გაჩენის დროს; ისინი არ არიან პიროვნებანი დასავლეთელთა გაგებით, არამედ არსნი, ბუნების ელემენტთა“ [შარაძე, 1991, 182].

1962 წელს პარიზში გამოიცა ბერძენი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატის ნიკოს კაზანძაკისის წერილი (გარდ. 1957წ.) რომანი „ტოდარაბა“, რომელშიც აღწერილია თბილისის სასტუმრო „ორიენტში“ ქართველ მწერალთა სერობა. აქ არიან „ცისფერყანწელების არისტოკრატიულ-ესთეტიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები“ „ტიციან ტაბიძე - ლურჯთვალა პოეტი, გამოწეული ტუჩებითა და ჰამლეტის ნაკვთით“, ლეონიძე და პაოლო იაშვილი, რომელიც მამაკაცური სილამაზის მჭერმეტყველი მგალობელია... ამ დიონისურ გარემოში პირველად ვნახე გრიგოლ რობაქიძე. ახლა რობაქიძე წარმოდგენილი მყავს ვით უძლიერესი სულის პიროვნება საქართველოსი: იგი დაახლოებით ორმოცი წლისაა, ყოველთვის ლამაზად ჩაცმული; ყურადღებას იპყრობს თავის ფიცხელი მოძრაობით და მის თვალთა ცივი მზერით, მხოლოდ ფართო, თავდაჭერილი სიცილი, რომლის დროს მისი მშვენიერი კბილები მოსჩანან, გვიმხელს მის ვნებიანობას. გრძნობ, ხარ იმ ადამიანის წინაშე, რომელიც თავის წმინდა გამტაცებელ ტემპერამენტს აშკარა მტკიცე ნებით იპყრობს... უძრავად ვით სვეტი დგას იგი შუაში. მას აქვს ნაღვლიანი თვალები და დამუწული ბაგენი... მე მიყვარდა ეს მარტოხელა უძრავი კაცი და მესმოდა მისი სიჩუმე და მისი ცქერა. ცოტა ხნის შემდეგ მან განაგრძო:

„ერთხელ ნიცშემ თქვა: ნაპოლეონი არისო სინთეზი პირუტყვისა და ზეკაცისა. დემონურ კაცში ჭეშმარიტად არის ყოველთვის სინთეზი ველური პირუტყვისა და ღმერთისა. კაცში რომ მხოლოდ პირუტყვი იყოს, იგი იქნებოდა უხეში ქმნილება, რომელიც თავის გარშემო მარტო შიშს ავრცელებს. არიან ასეთი კაცები. კაცში რომ მხოლოდ ღვთაებრივი ყოფილიყო, მაშინ იგი იქნებოდა წმინდანი, რომელიც წყალობითა და ლმობით აგვავსებდა. არიან ასეთი კაცები, მაგრამ პირუტყვებს და წმინდანებს არ შეუძლიათ შეგვბოჭონ გზნებით და აღგვაგზნონ. მხოლოდ „დემონური“ არის მომაჯადოებელი....“ [შარაძე, 1991,184].

1952 წელს გრიგოლი პარიზში ემიგრანტ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს წერდა: „მარსელ ბრიონისთვის არ მითხოვია ეთარგმნა ჩემი წიგნი საქართველოზე - აი, რის

გამო. ომის დროს ჩემი კავშირი მასთან, მიწერ-მოწერის გზით, შეწყდა. ომის შემდგომ, ორი წლის წინათ გავუგზავნე აქედან ბარათი. მომივიდა პასუხი. სხვათა შორის მწერდა: ვეცდები თქვენი წიგნის ფრანგულად გამოცემასო. მე მადლობა გადავუხადე ამ სურვილისთვის, აღთქმისთვის. თანვე ვაცნობე: თუ რა სიძნელე გადაეღობებოდა მის ცდას წინ (ჩემი წიგნაკი ჰიტლერზე): ავუხსენი ვრცლად, რომ ამ წიგნაკში ერთი წვეთიც არაა ნაციზმისა, რომ მისი შინაგანი intention სულ სხვა რამეს იგულვებდა, ვიდრე ეს მკითხველთ მოეჩვენათ გაცხარებულ ატმოსფეროში ომისა. ვახსენე აგრეთვე ჩემივე წიგნაკიც მუსოლინზე, რომელსაც იგივე მკითხველნი მაინც და მაინც დიდ ბრალად არ მითვლიან, ვინაითგან იგი წმინდა ლიტერატურულ ფარგლებს არ სცილდება. პასუხი? დუმილი. მე ეს „დუმილი“ არ მიკვირს. თანამედროვე „ინტელექტუალი“ შებოჭვილია „ფსიქოლოგიზმებით“ ჰიტლერ-მუსოლინის ირგვლივ“ [შარაძე, 1991,185].

„გრიგოლ რობაქიძე პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც სიცოცხლეშივე გაიკვალა გზა გერმანელი მკითხველისკენ. ევროპის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენა მისი გაცხადებული მიზანი გახლდათ 1925 წლიდან მაინც, როცა მან თავისი ორი ფრანგულიდან თარგმნილი დრამა რომენ როლანს გაუგზავნა წასაკითხად. ის არ ზრუნავდა მხოლოდ თავის კარიერაზე“ - წერს რობაქიძის თეატრალური მოღვაწეობისადმი მიძღვნილ თავის წიგნში შვეიცარიელი მკვლევარი თომას ჰოიზერმანი [ნაცვლიშვილი, 2010, 20].

საქართველო მეტია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური პარტია, ჯერ ქართველი უნდა იყო და მერე რომელიმე დაჯგუფების მიმდევარი. აი, დევიზი, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ დაგვიტოვა. თვითონ გრიგოლი ქართული ემიგრაციის განსაკუთრებული წევრი იყო, არა პარტიული, არამედ ეროვნული ნიშნით. პოლიტიკოსობაზე თავს არ დებდა და ამას აღნიშნავდა კიდეც საქვეყნოდ. უკვე არაერთხელ ითქვა, რომ ის არ ყოფილა რომელიმე იმჟამად არსებული პარტიის წევრი, არც ქართულის და არც ევროპულის

მისი პარტია, მისი რწმენა და მრწამსი იყო საქართველო. საქართველო მარადი, მთლიანი და განუყოფელი!

ამ პარტიის წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი.... მათ ყველაზე კარგად იცოდნენ რა სჭირდებოდა და რა არა საქართველოს.

გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაციას მოესწრო კოლაუ ნადირაძე, ყველაზე უმცროსი ცისფერყანწელთაგან, რომელიც _ მთელი სამოცდაათი წლის წინათ თვალებში შესციცინებდა დიდ მოძღვარს და მასწავლებელს. აი, რას ამბობდა 92 წლის კოლაუ ნადირაძე: „გრიგოლ რობაქიძემ ააფეთქა ქართული კულტურა, ლიტერატურა, ესთეტიკა. სრულიად ახალი სუნთქვა მოიტანა. თავი დაგვადგა ყანწელებს. მთელი ყანწელების შემოქმედება იყო გრიგოლ რობაქიძის ხაზი, მისი დამსახურება... ამ კაცში იყო რაღაც გიგანტური, ჯადოქრული. მე ვიყავი უმცროსი, უწმინდესი მეგობარი... გრიგოლ რობაქიძე მეტად რთული და დიდი პიროვნება იყო, მუდამ შეყვარებული თავის სამშობლოზე. მას სხვა ფიქრი არ აწვალებდა. ასე ფიქრობდა და ასე წერდა. სამწუხარო ის არის, რომ გრიგოლი თავის სამშობლოში ვერ მოკვდა. სამშობლომაც ვერ შეაფასა ჯეროვნად. ასეთი იყო მისი იღბალი, საშინელი და გაუგებარი. ათასი ჭორი, ათასი ცილისწამება, რაღა არ დააბრალეს... დიდ ნიჭს ყოველთვის შურით და გესლით სავსე უნიჭოების ხროვა მოჰყვება. დღსაც ბევრს ვერ ასვენებს მისი გენია. გრიგოლმა იცოდა, რომ განწირული იყო...“ [ნაცვლიშვილი, 2010,22].

თავი II

გრიგოლ რობაქიძის მინიატურული პროზის პრობლემატიკა

ნოველა, როგორც განსაზღვრული ლიტერატურული ჟანრი, თავისი კონკრეტული კანონებით, „საზღვრებით“, ძველ ქართულ პროზაშიც შეიმჩნევა, მაგრამ კლასიკური სახით გაცილებით გვიან ჩამოყალიბდა. ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიის წიაღშივე ჩნდება ამ ჟანრის ჩანასახები, მძაფრდება სწრაფვა ადამიანის სულის სიღრმეში წვდომისაკენ. მცირე ჟანრის არსებობის მიუხედავად, კონკრეტულად ნოველაზე საუბარი მე-19 საუკუნის ქართულ პროზაშიც ნაძალადევი იქნებოდა, თუმცა ზოგ ნაწარმოებში ჟანრის გარკვეული ნიშნები შესამჩნევია.

ლიტერატურულ-ესთეტიკური მსოფლხედვა სხვადასხვა ისტორიულ-პოლი-ტიკურმა და საზოგადოებრივმა მოვლენებმა ჩამოაყალიბა. ეს ფაქტორი ბუნებრივია, რადგან ეპოქალური პრობლემა – საზოგადოების სულიერი კრიზისი – ლირიკული გმირის ემოციური მოქმედებით ყველაზე უკეთ იკვეთება, ზუსტად წარმოაჩენს საგნის, მოვლენის ავტორისეულ ხედვასა და აღქმას. მისი ეპიკური ხასიათი, თუნდაც მკრთალი, გმირის თითქმის შეუმჩნეველი მოქმედებით, სათქმელს ამძაფრებს, მოვლენას მახლობელს ხდის, აღვიძებს მიძინებულ ესთეტიკურ მხარეს. ყოველივე კარგად ჩანს გრიგოლ რობაქიძის მინიატურული პროზის განხილვისას. იგი უთანაბრდება ისეთ თხზულებებს, რომლებიც ეპოქალურ მოვლენებს ასახავენ და წარმოაჩენენ, რაც გარკვეულწილად ჟანრის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

„მინიატურული პროზა“ ფართო ცნებაა და მოიცავს ყველა იმ პროზაულ ნაწარმოებს, რომელიც მცირე ფორმის ლირიკულ-ეპიკური თუ ეპიკურ-ლირიკული, ან ლირიკული პროზის ჟანრის რიგებში დგას. ესენია: ნოველა, ანეგდოტი, იგავ-არაკი, ესკიზი, ამბავი, სურათი და ლექსი პროზად. ტერმინი „პროზაული მინიატურა“ ან „საკუთრივ მინიატურა“ კი ამ ჟანრს წარმოაჩენს, როგორც განსხვავებულ, დამოუკი-დებელ ფორმას. ჩვენი აზრით, პროზაულ მინიატურას, როგორც ყველა სხვა ჟანრს, გააჩნია ის თავისებურებები, რითაც მწერლობას დამოუკიდებელ ფორმად ევლინება.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა ნეგატიურ გავლენას ახდენს სოციუმის სხვადასხვა ფენაზე, რაც სხვადასხვა მხატვრული გამოგონებითა და კომპოზიციურ-სიუჟეტური პროდუქტით წარმოჩინდებოდა. ამ თვალსაზრისით მწერალი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას ქართულ ლიტარეტურულ

სივრცეში და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მთელ რიგ პასუხგაუცემელ შეკითხვებს ბადებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მწერლის ემიგრანტული მცირე პროზა.

1931 წლის დამდეგიდან იწყება და 1962 წელს მთავრდება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მეორე დიდი პერიოდი უცხოეთში, რომლის დროს ის ახალ ქართულ ნაწარმოებებს ქმნიდა არა მარტო ქართულად, გერმანულადაც. გრიგოლ რობაქიძის მთავარი ნაწარმოებების ნუსხა, რომელიც უცხოეთში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ასე გამოიყურება:

1) „გველის პერანგი“ – რომანი, ავტორის თარგმანი, შტეფან ცვაიგის შესავალი ნაწილით, იენა, 1928 წ.
2) „მეგი-ქართველი ასული“ – რომანი, ტიუბინგენი, 1932 წ.
3) „ჩაკლული სული“ – რომანი, იენა, 1933 წ.
4) „ქალღმერთის ძახილი“ – რომანი, იენა, 1934 წ.
5) „წმინდა გრაალის მცველნი“ – რომანი, იენა, 1937 წ.
6) „დემონი და მითოსი“, ჯადოსნურ სურათთა რიგი, იენა, 1935 წ.
7) „კავკასიური ნოველები“, ლაიფციგი, 1932წ; II გამოცემა, მაინის ფრანკფურტი, 1979წ.

ბოლო დასახელებულ ნაშრომში შედის სამი ნოველა: 1. „ენგადი“ („ჯადოსნური წყაროები“), რომლის სიუჟეტი აღებულია ხევსურთა ცხოვრებიდან. 2. „წმინდა ხარის მოკვლა“, მოქმედება ხდება სვანეთში და 3. „იმამ შამილი“, მოქმედება გაშლილია ჩრდილოეთ კავკასიაში.

„კავკასიური ნოველები“ გრიგოლ რობაქიძეს ჯერ ქართულ ენაზე ჰქონია დაწერილი. მწერალი უცხოეთშიც არ წყვეტდა ლიტერატურულ – ესთეტური და მეცნიერული ნარკვევების წერას ქართულ ენაზე, რომელთა უმრავლესობა სიცოცხლე-შივე დაიბეჭდა ბერლინსა და პარიზში, ხოლო ზოგიერთი მისი სიკვდილის შემდეგაც გამოქვეყნდა.

საქართველოსნაირ პატარა ერს ევლინება ბუმბერაზი მწერალი - გრიგოლ რობაქიძე, რომლის შემოქმედებაში ბევრი რამ იმალება. მისი უცხოეთში ცხოვრების მძიმე პირობებზე, სულიერ სევდასა და სიმარტოვეზე, ოჯახურ ტრაგედიაზე, სამშობ-ლოს მონატრებასა თუ შემოქმედებითი შრომის მომენტებზე საინტერესოდ მოგვითხ-რობენ აკაკი პაპავასადმი მიწერილი გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილები: „მარტო

ვარ. სევდა. ჩემი განკურნება შესაძლებელია მხოლოდ თანამემამულეთა არეში“ [შარაძე, 1991, 203]. სხვაგან ვკითხულობთ: „სამშობლოს მოწყვეტილნი, უცხოეთშიც მოწყვეტილნი ვართ ერთი მორისაგან. ქვეყანა სიგიჟედ იქცა დღეს – რა მოგველის, სად ვიპოვოთ ნუგეში? გულს არ ვიტეხ მაინც – თუმცა მომდგარ ცრემლებს ვეღარ ვუძლებ ხოლმე: ცრემლებს, რომელთაც სხვას არ ვაჩვენებ“. ჟენევა 21. 9. 1950 [შარაძე, 1991, 204].

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი მხატვრული შემოქმედება არსებთად ქართული ლიტერატურის ნაწილია. მწერალი აღტაცებული იყო ქართული ენის პოეტური სიდიადითა და მისი უღრმესი შესაძლებლობებით. ამ მხრივ მას არაერთი გამონათქვამი მოეპოვება.

სამშობლოსთან სულიერი კავშირი გრიგოლ რობაქიძეს არასოდეს გაუწყვეტია, მისგან იღებდა შემოქმედებით საზრდოს: „თუ რამ კარგი ნაყოფი გამოდის ჩემგან, ეს მადლი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მიწისა... საქართველოს არ იცნობენ არც იქ და არც აქ. იგი უნივერსალური მოვლენაა, პატარა ერი, რომელშიაც ცოცხლობს ტომურად, ერთსხეულად, საერთო სული: აღმოსავლური საშო, საცა მიწა „დედაა“ წმინდა, ისტორია უძველესი, რომელიც თავის ათასწლებიან სიგრძეზე აგროვებს ქმედით ცოცხალ ხსოვნას (ანამნაზისს), აქაა საქართველოს არსი, ეს ცხადდება: ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სილაღეში, ქართულ ერქვანში, ქართულ ხმალში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთებისაა)“ – წერდა გრიგოლ რობაქიძე 1933 წელს [შარაძე, 1991, 206].

გრიგოლ რობაქიძის სამწერლობო ენას ახასიათებს თავისებურება, ტკბილ-ხმოვანება. ყოველი წინადადება საინტერესოა, ისევე, როგორც ნაწარმოების ფინალი. მწერლის შემოქმედებაში ორენოვნება საინტერესო თემაა. იმდენად სრულყოფილია წერის მანერა, რომ გებადება კითხვა, რომელ ენაზე დაიწერა თავდაპირველად.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის ევროპაში გაბატონე-ბულია გრძნობა მარტოსულობისა და უსამშობლოდ დარჩენილი გრიგოლ რობაქიძე ეძებდა მეორე სამშობლოს მესამე რაიხში.

რა მოუტანა რობაქიძის მოღვაწეობამ გერმანიაში ქართველ ხალხს სასიკეთო და რა დაკარგა საქართველომ იმით, რომ მწერალს არ შეეძლო საკუთარი მოღვაწეობა სამშობოლოში გაეგრძელებინა?

რობაქიძის მიერ მარქსისტული სოციალიზმისა და საბჭოთა კავშირის ლიტერატურული რეჟიმის მწვავე კრიტიკა სოციალისტური საქართველოსათვის და, განსაკუთრებით, საბჭოთა რეალობისათვის მიუღებელი იყო. „ჩაკლულ სულში" ვხვდებით იმდროინდელი დიდი პოლიტიკოსების პორტრეტებს. მათ შორის სტალინის პორტრეტსაც. სოციალური რეჟიმის რობაქიძისეული შეფასება დღევანდელი გადასახედიდან დროული და თანამედროვეა. მაგრამ საინტერესოა, როგორ ესმოდა თვითონ რობაქიძეს ნაციონალიზმი და ფაშიზმი? რატომ შეხვდა იგი აღფრთოვანებული გერმანიის ტოტალიტარულ მოძრაობას? რატომ ერგებოდა მისი ნაწარმოებები ნაციონალურ – სოციალურ იდეოლოგიას? რატომ ინტერესდებოდნენ გამომცემლები და რატომ აქვეყნებდნენ მის ნაწარმოებებს მრავალჯერ?

ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას, უნდა გავითვალისწინოთ მწერლის ყოფნა გადასახლებაში, უსამშობლობა. იგი მითებშიც ხომ ცდილობდა, თავი სამშობლოში წარმოედგინა.

რობაქიძესთან, ისევე, როგორც ნიცშესთან, ანტიკური პერიოდი იმის ნიმუშია, რომ მარადიული დაბრუნების თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს აზრია გატარებული რომანებში „გველის პერანგი", „ჩაკლული სული" და „მეგი".

ყველაფერი, რაც ხდება, ხდება ისე, თითქოს უკვე მომხდარი იყო. ეს არის მარადი დაბრუნების იდეა. ამ ნიცშესეული იდეის გაგება საკმაოდ რთულია და განსხვავებული ინტერპრეტაცია გააჩნია. დროის მსვლელობა წრიული ფორმითაა წარმოდგენილი. ყველაფერი მეორდება. წინგადადგმული ნაბიჯი ერთდროულად უკან გადადგმული ნაბიჯიცაა.

ასევეა რობაქიძესთანაც. იგი არ ცნობს დროს – არც წარსულს, აწმყოს და არც მომავალს. მითებში მარადისობა და აწმყო ერთი და იგივეა. ეს ნიშნავს, რომ მითოსი არსებობს, აქაც, დღესაც, აქ გადაიკვეთება მითოსი და მარადი. ნიცშეს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა რობაქიძის შემოქმედებაზე. ამიტომ სამომავლოდ მწერლის პროზის კვლევისას, გვერდს ვერ ავუვლით გერმანელი ფილოსოფოსის მოხსენიებას მწერალთან კონტექსტში და პარალელების გავლებას მათ შორის.

მარადიული დაბრუნების იდეა რობაქიძესთან ატარებს არა მარტო ისტორიულ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც. მე-20 საუკუნის დასაწყისი რუსული რევოლუციის შედეგების გამო საქართველოს ისტორიისათვის ერთ-ერთი რთული პერიოდი იყო.

ეს გახდა რობაქიძისათვის ემიგრაციის მიზეზი, საიდანაც იგი ვეღარ დაბრუნდა. მწერალი მომავლის იმედებს ამყარებდა ოქროს ეპოქის დადგომაზე, რომელსაც იგი წარსულში ეძებდა. ამიტომ მარადიული დაბრუნების იდეა მის რომანებში წარმოდგენილია, როგორც იმედის წყარო.

რობაქიძის ნაწარმოებების შექმნიდან საკუნეზე მეტია გასული და მაინც არც ერთი მათგანი არ გვეჩვენება მოძველებულად. პირიქით, ისინი აქტუალობით, აზრის სიღრმითა და მწერლის ჩანაფიქრით თანამედროვეობასაც კარგა ხნით უსწრებენ.

რობაქიძის ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს სამშობლოს უდიდესი სიყვარული. იგი შეყვარებულია ქართულ ენაზე, მიწაზე, ქართულ ხასიათსა და ზოგადად ყველაფერ ქართულზე. ადვილად წარმოსადგენია, რომ პატრიოტულ გრძნობებს მწერლის ემიგრაციაში ყოფნა კიდევ უფრო ამწვავებდა. მიუხედავად ამისა, რობაქიძისათვის ცხადია ის უარყოფითი მხარეებიც, რაც მის სამშობლოსა და თანამემამულეებს ახასიათებთ.

ფაქტია, რომ რობაქიძის შემოქმედებასთან ზიარების დროს გვიჩნდება ადამიანებისადმი თანაგრძნობისა და მიტევების გრძნობა. ამის საპირისპირო პოლუსად კი დგას რობაქიძის რადიკალურად განსხვავებული პორტრეტი, მდგარი ნაცისტური გერმანიის ცენტრში.

რობაქიძის შემოქმედებიდანვე ჩანს მწერლის რთული ხასიათი. ჩანს ერთი მეტად ხელშესაწყობი პიროვნება, სავსე შინაგანი და ცხოვრებისეული ბრძოლებით. რთული ცხოვრებითა და რთულად ჩასაბარებელი ცხოვრებისეული გამოცდებით. სხვა მწერლებისა და მოღვაწეების თვალით დანახული მწერლის პორტრეტი გარკვეულ ადგილს იკავებს ჩვენი კვლევის პროცესში.

ცნობილია, რომ მწერალი იცნობდა ბუმბერაზ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მის ბიოგრაფიაში ბევრი ასეთი სახელი ფიგურირებს. ჯერ მარტო შტეფან ცვაიგი რად ღირს. ერთი „უპატრონო“ ქვეყნის შვილი ახერხებდა მსოფლიო გიგანტებთან სულიერად დანათესავებასა და მათი გულების დაპყრობას.

ისეთი ადამიანები, როგორიც რობაქიძეა, განგების ძალით ჩნდება ჩვენნაირ პატარა ქვეყნებში, სადაც ქვეყნის ტერიტორიულ სიმცირეს, ურთულესი მშობლიური ენაც ემატება. რათა რობაქიძეებმა ორივე ენაზე ერთნაირი წარმატებით და გენიალური ხელწერით დააკავშირონ ენები და ამის შემდეგ ორი ერი ერთმანეთს უკეთესად გააცნოს.

გრიგოლ რობაქიძე სიცოცხლის ბოლომდე დარჩა სამშობლოს – საქართველოს და ქართული დედაენის მაღმერთებელი. ამას გვაუწყებს მისი სიტყვებიც: „ქართველი თავმომწონეა. აქვს კიდეც უფლება თავმომწონებისათვის. ენა ქათველთა უგენიალურესი ქმნილებაა ენათა შორის. მისი ფესვეული დენა აცნაურებს უთვალავ საიდუმლოთ მსოფლიოისა. გასაოცარია და საცნაური ქართველთა ჯვარი ვაზისა. ასეთი ღრმა სიმბოლო რეალური მთელს საქრისტიანოში არ მოიპოვება“ [შარაძე, 1991, 208].

შევისწავლეთ გრიგოლ რობაქიძის ნოველათა ციკლი „კავკასიური ნოველები“, გერმანულ და ქართულ წყაროებში, კერძოდ, 1932 წელს „ინზელის“ მიერ გამოცემული „Kaukasische Novellen“, რომელსაც მწერლის მიერ წამძღვარებული საინტერესო წინასიტყვაობა ახლავს. ასევე 2012 წელს „არტანუჯის“ მიერ გამოცემული წიგნი „კავკასიური ნოველები“.

„კავკასიური ნოველები“ სამი მოთხრობისაგან შედგება, რომელთა შორის „ენგადი“ და „იმამი შამილი“ ავტორის სიცოცხლშივე დაიბეჭდა ემიგრანტულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“. რაც შეეხება მესამე მოთხრობას „წმინდა ხარის მოკვლა“, იგი ბოლო დროს ითარგმნა გერმანულიდან ქართულ ენაზე. გრიგოლ რობაქიძის „კავკასიური ნოველები“ ორჯერ გამოიცა გერმანულ ენაზე 1932 წელს გამომცემლობა „ინზელ“-ის, ხოლო 1974 წელს – „ზურკამპის“ მიერ. კრებულში შემავალი სამი ნოველა პოპულარული იყო. კრებულს დაერთო მწერლის წინასიტყვაობა, სადაც იგი ევროპელ მკითხველს კავკასიას აცნობდა. ნოველების გერმანულ ენაზე რამდენიმეჯერ გამოცემის ფაქტი მიგვითითებს იმაზეც, რომ გერმანულენოვანი საზოგადოებისათვის მწერლის შემოქმედება საინტერესოა და სხვადასხვა გამომცემელიც ინტერესდება. რობაქიძე ხშირად წერდა ფშაურ-ხევსურულ დიალექტზე, ქართული ენის ადრინდელ ფორმაზე, რომელიც არ არის არქაული. იგი ცოცხალი და თანამედროვეა. ეს ენა ლაკონურია, მოკლედ თქმის ზღვარია. აქ სიტყვები თითქოს ფესვებგადგმულია და დასაბამიდან მომდინარე. ასე შეეძლოთ ელაპარაკათ ჩვენს ძველთაძველ წინაპრებს.

ნოველაში „ენგადი“ ანუ „Magische Quellen“ („მაგიური წყაროები“) წამოწეულია ხევსურთა ტრადიციები და ადათები. რობაქიძე დაინტერესებული იყო სწორფეროზის ჩვეულებით. სურდა ამოეცნო, რა იყო ეს უცნაური ჩვეულება, „სასტიკი, საამური, მავნე სწორფერობა – წაწლობა – უზენაესი ძმური სიყვარულის მკაცრი ადათი, ველური თუ ზეკაცური, ღვთიური თუ სატანური: „მე ვეხვეოდი მას და ვკოცნიდი.

იგი ტანს მეტმასნებოდა... მკერდი მკერდს ეხებოდა. აგზნებული ქალი იხევდა ტანით, თუმცა მხურვალე ტუჩებს არ მაცილებდა. სხეული მისი კლდე იყო თითქო, შეუცველი და ასევე შემცველი. კლდიდან წყარო ნაკადობდა: მისი ბაგე, რომლისგან კოცნას ვსვამდი მათრობელს. იგიც თვრებოდა ჩემი კოცნით. ხოლო ორივე თავს ვიკავებდით ამ მწველ სიტკბოში. საკრალურ გავლებული ზღვარი არ გადაგვილახავს“ [რობაქიძე, 2012, 44]. ალბათ, ასე წვრთნიდნენ ქალსაც და ვაჟსაც ნაირ-ნაირი ჭირთა თმენისათვის. მათ გაკაჟებულ ბუნება-ხასიათს ძნელად თუ გატეხდა ჭირ-ვარამი, რარიგ მძიმეც უნდა ყოფილიყო იგი. რობაქიძე პარალელს ავლებს სიყვარულის ხევსურულ და პლატონისეულ გაგებას შორის. აგონდება პლატონის „ნადიმიდან“ სიტყვა მითიური დიოტიმასი: „სიყვარული შობაა მშვენიერებაში, როგორც სულით, ისე სხეულით“ და ასკვნის, რომ „პლატონის აზრით, სხეულსაც ქონია მაშ წილი სიყვარულში!“ მას არც შეეძლო სხვაგვარად ეაზრა: „არახორციელი ეროსი მჭლეა და ბერწი“.

მწერალი ასკვნის, რომ ხევსურთათვის სექსი და სიყვარული სხვადასხვა რამაა: „ღვთიურ არს სიყვარულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“ [რობაქიძე, 2012, 45]. ახალმა დრომ, ისტორიის სიღრმეში შეჭრამ და არაცნობიერი ფსიქიკის ახსნის ილუზიამ, ახალმა თეორიებმა წარმოშვა ინტერესი წარმართობისადმი.

წარმართულ მასალაზეა აგებული გრიგოლ რობაქიძის ნოველა „წმინდა ხარის მოკვლა“ იგი ბოლო დრომდე უცნობი იყო და საგანგებოდ ითარგმნა გერმანულენოვანი გამოცემის წინათქმასთან ერთად, რათა „კავკასიური ნოველები“ სრულყოფილად წარმოჩენილიყო ქართველი მკითხველისათვის. ნოველაში მოქმედება სვანეთში ვითარდება. დიდმარხვის მომდევნო პირველ ორშაბათს, შავ ორშაბათს სვანები „მეშხა დვეშდიშს“ უწოდებენ, მას ბნელი მამრული ძალის დღესასწაული ემთხვევა. რიტუალის მსვლელობის დროს ყმაწვილი არდევანი, აზატ სვანთა ტომიდან, კივილით ამცნობს დანარჩენ სვანებს მათთვის შემზარავ ამბავს: „ფუთა დადეშქელიანმა წმინდა ხარი მოკლა!“

უშგულის წმინდა ხარს ღვთაება ღმერთს სწირავდნენ. იგი მეხუთე წელს თანაფას დღეობაზე იკვლებოდა და მისგან საღვთო კერძი მზადდებოდა, რასაც მთელი თემი ერთობლივად შეექცეოდა. გადმოცემით, ვინც მის ხორცს იგემებს, ღვთაებრივ არსს ეზიარება. გრიგოლ რობაქიძე, ერთი მხრივ, თხზავს წმინდა ნინოს საგალობელს, მეორე მხრივ – დიონისური სიშმაგის „მზის ნარქენს“ ერთში ქრისტიანული სათნოების ზეიმია,

მეორეში – წარმართული, ველური გახელება და სისხლის კულტი, სისხლის სმაში გადასული. აღსანიშნავია, გრიგოლ რობაქიძე არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის. ჩვენში ქრისტიანობა წარმართობის უშუალო გაგრძელება-განვითარებად მიაჩნდა.

ნოველა „იმამ შამილი“ მწერლის თანადროული მოვლენების ანარეკლია. სიტყვის პლასტიურობის ხელოვნება ამ ნოველაში გრიგოლ რობაქიძემ უმაღლეს სრულყოფილებამდე აიყვანა. ნაწარმოებში ტიტანურად იზრდება დაღესტნელთა გათავისუფლებისათვის მებრძოლი ბელადი. აქ ყოველი სიტყვა დატვირთულია ცეცხლითა და გესლით. რობაქიძის ნაწარმოებთა შინაგანი ჯადო ისევე მოქმედებს მსმენელზე, როგორც ჯადოსნის მაგიური შელოცვა, რომელიც გველს აშეშებს. ნოველაში გადმოცემული პრობლემატიკა დღესაც აქტუალურია: „... ჩვიდმეტი წელია ძლევამოსილი შამილი იგერიებს მედგრად შემოსულ ურდოებს რუსთა. მამაცურად იცავენ თვისუფალნი შვილნი კავკასისა მშობელი მიწის ყოველ გოჯს. რუსის რაზმი რაზმს ემატება, ჩვიდმეტი წელია მარჯვედ ხვდება კავკასი მტერს. ხოლო როდემდის?

„ზავი“– ეს ხომ დაღი იქნება სირცხვილისა! არა და არა! ეს ქედმაღალი და მრევი ხალხი რუსეთის მეფეს დაემორჩილოს?! არასოდეს! ფიქრობდა შამილი და ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს გადახდილი ბრძოლები ახსენდებოდა. დიდი ხნის მორჩენილი ჭრილობები თითქოს კვლავ გაეხსნა მორკინალს. „შამილი უძლეველია და მისი მომრევი არავინაა“, – პასუხობენ ბავშვები შეკითხვაზე „შამილი თუ გაგიგონიათო“ [რობაქიძე, 2012, 64].

გამოჩნდა იმამი, იგრიალა ხალხმა. იმამი შედგა მაღალ საფეხურებზე: გაფითრებული, ჩაფერფლილი, იდგა უძრავად, არას იტყოდა. თვალში თვალს არ უყრიდა არავის. ხალხი სმენად იქცა და მოესმათ მოგროვილნი საშინელი სიტყვანი: „ასჯერ სახრე მას ვინც პირველმა გაუწყა ზავის ჩამოგდების განზრახვა. ეს იყო შამილის დედა. ხალხი ატორტმანდა. შამილმა იწყო მხარ-ბეჭის გაშიშვლება, რათა მოხუცი დედის მაგივრად ეკისრა 95 სახრე. ამ დროს წამოიჭრენ ნაიბები წინ, გამეხებულნი. „არ გვინდა ზავი!“ – დაიყვირეს მათ. აშიშვებულნი ხმალნი აელვარდნენ. მოიხსნა დაძაბულობა. ხალხი ეხვეოდა ერთიმეორეს.

„საკრავები“ – გაისმა ხმა... როკავდნენ ყველა, მთელი კრებული როკავს“. გრიგოლ რობაქიძე ქართულ ხასიათში დიონისოს კულტის ელემენტებსაც პოულობს:

მთელი ისტორია ქართველებისა დიონისური მისტერიაა თავისთავად: სიკვდილი და სიცოცხლე, გაქრობა და აღდგენა [რობაქიძე, 2012, 70].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნოველის ფინალი, მინავარდობს იმამი, წინ ხრამია, ყველასთვის ცნობილი. შამილი არ იხევს, იცის მხოლოდ ბედი მისია, ვინც გამბედავია. ეხლა იგი ცხენიცაა კენტავრ. მხედარი ხრამს თავს გადაევლო. მეომარნიც მიენდვნენ ბედს. ყიჟინით ხივილით გდადაეშვნენ ხრამის თავს. მოექცნენ უვნებელ გაღმა. მინავარდობენ ახელებულნი რომელ უფსკრულს შეუშინდებიან? რა ჯებირი შეაკავებთ?

„იიარრაალ არრალუუ ოდილლარ იდალლა!“.

„კავკასიური ნოველების“ სამივე ნოველაში მოქმედების ადგილი სხვადასხვაა. მოქმედების დრო თითქოს მარადიულია, ისევე, როგორც, რობაქიძეს გაგებით, მითოსი. მითოსში ხომ არ არსებობს წარსული და მომავალი. მითოსი არსებობს ყოველთვის და მასში დროს წრიული ფორმა აქვს. ნოველები მოცულობით მცირეა, მაგრამ საშუალებას იძლევა, საინტერესო ჭრილში განვიხილოთ რობაქიძის თვალით დანახული კავკასიური საქართველო.

ემიგრაციაში ცხოვრების გამო გამწვავებული პატრიოტული გრძნობები ნოველების ლაიტმოტივია. რობაქიძე ამაყობს მშობლიური კუთხით. მისი მებრძოლი სული ერთდროულად ტოლერანტიცაა. „კავკასიურ ნოველებში“ მტერი (რომლის ვინაობა ცალსახად გასაგებია) არ არის დაკნინებული, ან შეურაცხყოფილი. რობაქიძი-სათვის მტრის არსებობაც კი თითქოს ბუნებრივია და საჭირო... არ გადმოდის აგრესია მტრის მიმართ. თვალწინ გვიდგება უფრო თავდადებისა და ერთგულების მისაბაძი სურათი, ვიდრე კონკრეტული მტრის ხატი. ნოველაში მოყვანილი გმირები სამშობ-ლოს დასაცავად ნებისმიერ ხრამს შეეჭიდებიან, თუნდაც შედეგები წინასწარ გასაგები იყოს.

გრიგოლ რობაქიძე ყველგან ხაზს უსვამს სამშობლოს სილამაზეს, მის ბუნებას, ლამაზ ხალხსა და ამ ხალხში ფესვებგადგმულ ნიჭს. ჩვეული ულამაზესი ენით მოგვითხორბს კავკასიელებისათვის დამახასიათებელ ერთგულებასა და ძმობაზე. აქაური სტუმარ-მასპინძლობა, უფროს-უმცროსობის წესები, ზეპლატონური დამოკი-დებულება მიჯნურთან, უნიკალური ხედვა მტრის, სისხლის, შობისა და გარდაცვა-ლების ფენომენების. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, საინტერესო უნდა ყოფილიყო

ევროპელი და არა მხოლოდ ევროპელი მკითხველისათვის.

სამივე ნოველა დღემდე ინარჩუნებს ეგზოტიკურობას. მით უფრო, რომ მწერალი მაღალმთიან კავკასიაში გვამოგზაურებს. აქ უკეთ ჩანს მშობლიური ფესვები. აქაურობას ცივილიზაცია მკვეთრად ვერ გარდაქმნის. გაბატონებული ტრადიციები და ადათები ხელს უშლის ადამიანების გადაგვარებას, რაც ჟამთა ცვლის პირობებში მეტ-ნაკლებად გარდაუვალია.

ყურადრებას იქცევს შემდეგი ფაქტი, გაზეთ „კომუნისტის" 1974 წლის მარტში დაიბეჭდა სტატია „მოღალატის გზა – ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე?" ავტორი – ილია თავაძე, რობაქიძის მოქალაქეობრივი შეფასებისათვის საჭირო ფაქტებს „ობიექტურად" აფასებს: „გრიგოლ რობაქიძეს გაუჭირდა პირდაპირ ეთქვა, რომ ის ფაშისტი იყო, მაგრამ ვერც ფაშიზმიდან გათიშვა იკისრა. ამიტომ მიკიბულ – მოკიბულად თქვა: „საბჭოეთში ჰგონიათ თითქოს მე „მეორე" ნაპირას ვიდგე. არაა მართებული. მე ვდგევარ „მესამე" ნაპირზე – მდინარეს ასეთი ნაპირიც აქვს. მესამე ნაპირზე დგომა არ ნიშნავს შინაგან ნეიტრალობას... ამ აღსარებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ გრიგოლ რობაქიძე მდინარის არც სოციალურ ნაპირზე, არც ბურჟუაზიულზე, არამედ მესამე ნაპირზე ე. ი. ფაშიზმის პოზიციებზე დგას" [თავაძე, 1974, 2].

ამავე სტატიაში მოყვანილია ამონარიდი რობაქიძის წერილიდან: „გერმანიის ლაშქარი მიადგა კავკასიონს. ბრიუსელის ერთმა გერმანულენოვანმა გაზეთმა მომმართა წერილები მიმეწოდებინა კავკასიაზე. მივაწოდე სილუეტი: „საქართველო და ჯვაროსნები", „პრომეთეს ნაშიერნი", „იმამ შამილი", „წმინდა მთები" და სხვა. . ცხადია, რობაქიძე განისაზღვრა სტატიების სათაურების დასახელებით, – აგრძელებს სტატიის ავტორი, მაგრამ შინაარსი? თუ იმ გაზეთის არქივს მივმართავთ, შინაარსი კვლავინდებურია, მხოლოდ ფაშისტებისათვის ხელსაყრელი" [თავაძე, 1974, 2].

დაახლოებით ასე ფასდებოდა ათწლეულების განმავლობაში რობაქიძის შემოქმედება, თუმცა დღეს უდავოა, რომ სწორედ გრიგოლ რობაქიძემ გააცნო ევროპას ქართული უძველესი კულტურა. მწერალმა გერმანულ ენაზე აახმიანა ის, რაც აქამდე უცნობი იყო უცხოელი მკითხველისათვის. „რობაქიძემ მოგვიტანა ჩვენ, დასავლეთ ევროპელთ, ქართული მიწა, მისი სახელი, მისი სუნთქვა და მისი ფერები. ყველა მისი რომანი, ნოველა და დრამა ისე ესისხლხორცება კავკასიისა და ირანის ზეგანის ბუნებას, როგორც დედის საშოს", – წერდა რუდოლფ კარმანი რობაქიძის შემოქმედე-

ბის შესახებ [კარმანი, 1988, 5].

სამწუხაროდ, ეს ნოველები სრულყოფილი სახით ბოლო წლებამდე ნათარგმნიც არ იყო ქართულ ენაზე. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ საჭიროა მათი კვლევა მეცნიერული თვალსაზრისით. შესაბამისად მაღალია მათი პრაქტიკული ღირებულებაც. ჩვენი აზრით, იგი დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველსა და მკვლევარს მწერლის შემოქმედების უკეთ აღქმაში.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რობაქიძე სამენოვანი მწერალია. ამ მხრივ იგი უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. იგი წერდა ქართულად, რუსულად და გერმანულად. ჟურნალ „განთიადი“-ს 1989 წლის მარტის ნომერში გამოქვეყნებულ შალვა ნუცუბიძის სტატიაში ვკითხულობთ: „1944 წელს გერმანიაში ყოფნის დროს შევიძინე და გადავიკითხე რობაქიძის რომანები გერმანულ ენაზე. ისინი არავითარ ლიტერატურულ ღირებულებას არ წარმოადგენენ“.

შედარებითი ანალიზით საპირისპირო შეიძლება დავასკვნათ. მწერლის სამწერლობო ენა გერმანულ ენაშიც დახვეწილი და ნათელია. „კავკასიური ნოველების“ გერმანულ ენაზე გაცნობამ კი დაგვარწმუნა, რომ რობაქიძის სიტყვას, არა მხოლოდ ქართულში, არამედ გერმანულშიც შემლოცველის ძალა აქვს. აქაც მწერალი პოეზიის უდიდეს საიდუმლოებას – სიტყვის მაგიას ფლობს.

ერთი მხრივ, ჩვენი შეხედულებები რობაქიძის სამწერლობო ენის შესახებ და, მეორე მხრივ, მისი შეფასება თვით გერმანელი მოღვაწეების მიერ, მოგვყავს იმ მოსაზრებების პასუხად და საპირისპირო არგუმენტად, რომლებიც ახლოს დგანან შალვა ნუცუბიძის შეხედულებასთან და რომლებიც ვრცელდებოდა საბჭოთა პერიოდის დროს.

ნოველაში „ორი სურათი“ პირველი სურათის შინაარსი ასეთია: ვასოს მამა მოხუცი მღვდელი სწერს სტუდენტ შვილს: „აწი ჩემგან არაფერს მოელოდე“ ვასო იძულებულია გადალახოს თავმოყვარეობა, დახმარება სთხოვოს ვ-ს. რომელიც ფულის კრიზისის გამო უარს ეუბნება დახმარებაზე. ვასო ხვდება, რომ იმ წამიდან აღარ არის ვინმეზე დამოკიდებული. ამ თავისუფლების გამო ბედნიერიცაა. ქუჩაში გამოსულს ჰგონია, რომ ყველა მას დასცინის, ყველა მასზე ლაპარაკობს... ამ დროს დაინახა „ის“, რომელსაც დიდი ხანია ეთაყვანება.

მეორე სურათი: ვასო მთის კალთის საცალფეხო ბილიკზე დაღვრემილი მიდის,

ამ დროს ეძახის მხართეძოზე წამოწოლილი მოხუცი მწერალი: - რატომ ხარ აგრე დაღვრემილი?- საინტერესოა დიალოგი ახალგაზრდა კაცსა და მოხუცს შორის.

დამაფიქრებელია მოხუცის სიტყვები: „– უყურე ტბას! უთხრა მოხუცმა. ამგვარია ცხოვრებაც... განა მას ადამიანი სამუდამოდ დაენდობა! ცხოვრებაში ადამიანი ზოგჯერ კიდეც ხარობს და ნეტარობს... მაშინ მისი „მე“ მაღლა-მაღლა აიწევს და არც კი ახსოვს იმ წამში თუ კიდევ ვინმე სხვაც ხარობს!... მაგრამ დრო მას სხვანაირად შეცვლის. და ადამიანს თავისი „მე“ უბრალო მღოღავ ჭიად დაესახება, რომელსაც ცხოვრება ყოველ წამს უქადის გაქრობას, გასრესას, გაჭყლეტას, მიწასთან გასწორებას... მაგრამ ადამიანი ყოველთვის უნდა ებრძოლოს მას არ მოკვდეს ჭიად, ლაჩრად და არ გაუხდეს ფესტემალად ცხოვრების ტრიალს...“ [რობაქიძე, 1996, 78].

მოხუცი სიყვარულით დასცქეროდა ვასოს, რომელიც ფიქრით დასტრიალებდა გაშმაგებულ ზღვას.

მიუხედავად ტექსტის სიმცირისა, ნოველა ინტენსიურადაა გაჯერებული ინფორმაციით. თითოეული წინადადება ღრმა შინაარსის მატარებელია. ნოველაში მოყვანილი სიტუაცია მატერიალური სიდუხჭირისა და მოხუცი მამა, რომელიც სასულიერო პირია, რობაქიძის ბიოგრაფიულ ცნობებთან ახლოს დგას. (ცნობილია, რომ ტიტე რობაქიძე, მწერლის მამა, სოფელ ჩხარში მღვდელი ყოფილა). როგორც როსტომ ლომინაშვილი გვაუწყებს: „1890 წელს გრიგოლ რობაქიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეჰყავთ, 5 წლის შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას. სემინარიის დამთავრების შემდეგ მამას მისი მღვდლად კურთხევა სურდა, მაგრამ თვით გრიგოლი სასტიკ უარზე მდგარა და ოჯახიდან ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე იურიევის, ახლანდელი ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. ეს მოხდა 1901 წელს. გრიგოლ რობაქიძეს ოჯახიდან არც მერე ეხმარებოდნენ. მამამისი თვლიდა, როცა გაუჭირდება, სიჯიუტეს თავს დაანებებს და ოჯახს დაუბრუნდებაო... ნაწილობრივ ასეც მოხდა: 1901 წლის დეკემბერში, სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო, იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს, მაგრამ შინ მაინც არ დაბრუნებულა. როგორც უკვე ვახსენეთ, სწავლის გაგრძელებაში მას დახმარებას უწევდნენ კიტა აბაშიძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ზდანევიჩი“ [ლომინაშვილი, 1988, 98].

ნოველაში წარმოდგენილი მოხუცი სხვა კუთხით გვაჩვენებს ცხოვრებისეულ

სირთულეებს. მისი შეგონება ოპტიმისტურია. რობაქიძე ახერხებს რთული ყოფითი პრობლემების პარალელურად დაგვანახოს ოპტიმისტური გამოსავალი, იგრძნობა ცხოვრების სიხარული. ზემოთ დასახელებულ სტატიაშივე ვკითხულობთ, რომ ოდნავ მოგვიანებით 1910 წელს უკვე ცნობილი ლიტერატორი და მყარი საზოგადოებრივი მდგომარეობის გრიგოლ რობაქიძე უბრუნდება ტარტუს უნივერსიტეტს, ამთავრებს იმავე – „ავადმოსახსენებელ“ იურიდიულ ფაკულტეტს, მაგრამ დიპლომს ყაზანის უნივერსიტეტში იცავს. საგულისხმოა, რომ ტარტუში სწავლის დროს იგი ლექციებს კითხულობდა, ხოლო აღებული თანხით ხელმოკლე სტუდენტებს უწევდა დახმარებას. ამავე დროს იგი ნაწილობრივ ისტუმრებს ძველ ვალებს – ანაზღაურებს მისი სწავლებისათვის გაწეულ ხარჯებს.

ნოველა „MAIA“ 1913 წლის 7 თებერვლით არის დათარიღებული. მას წამძღვერებული აქვს შემდეგი სიტყვები: „ათინაში კერპი იყო, რომელსაც ეწერა: „უცნობ ღმერთს“ და რასაკვირველია, თუ ამ საჩუქარს ჩემს „უცნობს ასულს“ შევთავაზებ“.

დასაწყისშივე ვხვდებით, რომ ნოველას რობაქიძისეულ მითიურ სამყაროში გადავყავართ. მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს მითოსთან და „ამოუცნობთან“ დაკავშრებული თემები. რობაქიძის სიტყვით, „ვისაც სიმბოლო და მითოსი“ არ ესმის, ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს.

„სიმბოლო“, „მითოსი“, „მარადი მყოფადი“ – მარტო სახელოვან ლაბორატორიაში კი არ მუშავდებიან ჩემსაში. ისინი „დედიშობილაა“ ჩემი. „ცეცხლია“, რომლითაც ვცოცხლობ. დააკვირდით აქ შინადენას სიტყვისა: „ცეცხლი“ – „სიცეცხლე“ – „იცოცხლე“ ამ ცეცხლით რომ არ ვიწოდე, მაშინ ჩემი შემოქმედება „უცეცხლო“ იქნებოდა და როგორც ასეთი: „უნაყოფოც“ [რობაქიძე, 1996, 81].

თუ ისევ „მაიას“ დავუბრუნდებით, ნოველაში მოხუცი უყვება მეგზურს ლეგენდას ქვის შესახებ. სალი კლდის შეხედვა ტრფიალის ალ-ნაკადულს ანელებსო. ლეგენდის მიხედვით, რომელიც მეწისქვილემ თავის შვილიშვილს მოუყვა, მშვენიერი ასულის ხილვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მდინარე ერთი წამით წაიძინებს ხოლმე. ყმაწვილი იხილავს ქალს, ქაფისაგან შექმნილს. კოცნის მის ხელებს, დაკარგავს მოსვენებას. როდესაც კიდევ იხილავს ქალი ეტყვის „არ შემომხედო“. ყმაწვილი ვერ უძლებს ცდუნებას მაინც შეხედავს და ამიტომ გაქვავდება. ეს ქვა სწორედ ის ყმაწვილია, რომელზეც ნოველის დასაწყისში იყო საუბარი, არავინ უნდა

შეხედოს მას. „ამბობენ წყლის ქალიც ტალღებით ჰკოცნის მას, სანამ კოცნით სრულიად არ დალევს, არ გააქრობს მასო. ნუღა შეხედავ მას მოგზაურო: თუ ვინმე გიყვარს, ტრფიალს შეგინელებს ცივი ნაკადულით“ [რობაქიძე, 1996, 128].

საინტერესოა პარალელი, „მაიასა“ და „ენგადში“ მოყვანილ ხევსურთა სიყვარული: „ღვთიურ არს სიყვარულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“ მიგვაჩნია, რომ ორივეში მსგავსი მოტივი მეორდება.

LOTOS (ლოტოსი (ბერძ.)) მ. შ-ს დათარიღებული:1913 წლის ივლისის 15, სურამი.

გაგვიჭირდებოდა ამ ნოველის შინაარსის გაგება, რომ არ მოგვეძია ძველი ბერძნული მითოლოგიიდან ცნობები ლოტოსის შესახებ.

ლოტოსის პერსონაჟი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში მშვენიერი ნიმფაა. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით პრიაპი (პრიაპოს) ანტიკურ მითოლოგიაში ნაყოფიერების ღმერთია. დიონისესა და აფროდიტეს ვაჟი მის დაუფლებას ცდილობს. პრიაპს ხელი შეუშალა სილენას ვირმა. სილენა უძველეს მითოლოგიურ წყაროებში დემონია, სატირი, ვაჟი ჰერმესისა და ნიმფისა. აღმზრდელი, მასწავლებელი და თანმგზავრი დიონისესი.

სხვა მითის თანახმად, ლოტოსის მოხიბვლას ცდილობდა პანი, ნიმფა კი წყლის ლოტოსად გადაიქცა. ამ მითის მიხედვით უნდა იყოს ინსპირირებული რობაქიძის ნოველა, პანის სახელი აქაც ნახსენებია.

არსებობს მითის კიდევ ერთი ვერსია ლოტოსის პრიპალის შესახებ. იგი ნიმფას უთვალთვალებდა და თავის გადასარჩენად ლოტოსის ხედ იქცა. მისი ნაყოფიც იჭმევა. ნაყოფის ჭამა კი დავიწყებას იწვევს. ცნობილია, ეს ხე ქალწულობის სიმბოლოდაც ითვლებოდა. მის ტოტებზე ვესტალიები, ტაძრის მსახური ქალები, ტაძარში მარადიულ ცეცხლს ინარჩუნებდნენ, განწმენდის დროს ხეზე თავიანთ თმას კიდებდნენ. ლეგენდის ეს ვერსია აზრობრივად უახლოვდება ნოველაში მოყვანილ პასაჟს. მოხუცი მოგვი ეუბნება ქალწულს: „მხოლოდ მზიურს ძალუძს შენი დატყვევება და იქმნები შენ მარადის ქალწული; ჰრქვა და დაეცა იქვე მკვდარი“ [რობაქიძე, 1996, 130].

მითოლოგიაში ლოტოსის პერსონაჟის ძიებას საკმაოდ შორს მივყავართ. ვხვდებით, ერთის მხრივ, დიონისურ და, მეორეს მხრივ, ქალწულობის თემებს. ეს რობაქიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია და მის ერთ-ერთ თანამდევ ხაზს წარმოადგენს.

რობაქიძის ნოველაში ლოტოსის პერსონაჟი განსხვავებული კუთხით არის დანახული. ჩვენი აზრით, აქ წამოწეულია ქალ-ღმერთის შინაგანი მხარე, ქალიშვილის განცდები: „მზის უხვი ჩქერი ეშვება მის მწყურვალე სხეულში და იგიც მიჰყვება ნებამილეული უჩვეულო ტყვეობას; ... დღეს პირველად უნდა იხილოს ქალწულმა მზის ღმერთის სამლოცველო; მთვარის ასული, მწვანე მოლით მოსხმული, უახლოვ-დება მსახურთა თანხლებით ამონ-რას სამლოცველოს ნელი ნაბიჯით" [რობაქიძე, 1996, 130].

(ცნობილია, რომ ამონ რა ეგვიპტეში მზის ღმერთთან იგივდება). მოხუცი მოგვი კრძალვით აღებს წმინდა კარებს, ლამაზი ასულიც შედის საიდუმლო საკურთხეველში.

მზე და მზის ენერგია რობაქიძესთან ვაჟურ საწყისთან, მამაკაცურ ძლასთან ასოცირდება. რობაქიძისეული რთული სამწერლობო ენა და შინაარსი, მითოლოგიის ღრმა ცოდნას მოითხოვს, აზრის წვდომა და გაშლა რთულდება, მით უფრო მინია-ტურაში, სადაც ენა ლაკონურია, შინაარსი კი უფრო დახურული. შესაბამისად ვეცადეთ, კვლევისათვის ახლებური მეთოდი გამოგვეყენებინა, სხვადასხვა ნოველა ერთმანეთთან აზრობრივად დაგვეკავშირებინა. ზოგ თხზულებაში მწერალი კონკრე-ტულ მითიურ შინაარსზე უფრო მეტ განმარტებას იძლევა.

ვავლებთ პარალელს ნოველასთან „ენგადი". „ყოველი კაცი, თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში, უნდა შეუერთდეს ქალს და ყველა ქალმა, თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში, უნდა გაიზიაროს კაცთან შეერთება – არა იმისთვის, რომ ჰშობონ. მაშ რისთვის? მისთვის, რომ ერთი წუთით მაინც გამოეყონ რკალდენას დაბადებასა და სიკვდილს და ამ გზით იგემონ მარადობა თუ უკვდავება" აქვე ვკითხულობთ: „ნდომა უცხოურის, სხვაურის – ეს ხომ მორჩია ადამიანის ბუნებისა. დიახ, თვით ღმერთის არსებისაც კი. ღმერთი არის თვითმქმნელი, ყოველ წუთში თვითქმნისა. იგი, რასაკვირველია, „იგივეა", ხოლო თანვე „სხვაც" ეს სხვა ვლინდება როგორც „უცხო", ხანდახან როგორც მოშუღარი თითქმის, აქ მარხია პირველსაიდუმლო. ყოველი არსი ისწრაფვის სხვაურისა ანუ უცხოურისაკენ თვითშექცევაში. შეიძლება აქ იმალება საიდუმლოებაც ეგზოგამიისა". აქვე ვკითხულობთ: „უეცრად ჩემს მოფიქრებაში ქართული სიტყვა შემოიჭრა: „უცხო" და მისგან წარმომდგარი ზედშესული: „საუცხოვო" ნიშნავს ხომ „საუცხოვო" სასურველს, სანატრელს, მშვენიერს. როგორ არ გწამდეს მაშ შეყრა „უცხოსთან", თუ ეს უკანასკნელი „საუცხოვოა?" [რობაქიძე, 2012, 42].

აზრობრივად ზემოთმოყვანილი ამონარიდი „ლოტოსის" სიუჟეტს გვაგონებს. აქ

ქალწული ჰგავს „უცნაური ყვავილს, ნილოსის სუნთქვით რომ სცოცხლობს; უცხო სურვილით აყვანილა მისი მოქნილი ტანი და დედოფლის სილაღით გაშლილა მისი თეთრი გული; ... იგი ელის მზის ვაჟის შეხვედრას და ძალზე მოწყურებული ეწაფება მის დაუშრეტელ ჩქერს; ჰკრთის თეთრ-გულა ლოტოსი, – და ნილოსის ნელ ტალღებში ლეგენდა იბადება ტკბილხმოვანი“ [რობაქიძე, 1996, 132].

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე საუბარი ერთდროულად ადვილიც არის და ძნელიც. ადვილი იმდენად, რამდენადაც თხზულებათა უმრავლესობას თავად აანალიზებს. ნოველა „ორი სურათი“ სწორედ ასეთ თხზულებათა რიცხვს მიეკუთვ-ნება. რაც შეეხება ნოველებს MAIA და LOTOS მათი ანალიზი შედარებით რთულია, მათში მწერალი ყოფიერების მეტაისტორიულ აზრს ეძებს. ამის მისაგნებად მკითხველმა მითოსის ჯურღმულებში უნდა იხეტიალოს [ბაქრაძე, 2011, 65].

თხზულებაში „ორი ფოთოლი“ მოთხრობილია დალის დობილის – ივლიტეს შესახებ. უცნაურია მისი დაბადებაც კი. ივლიტე დღენაკლული იბადება, შვიდთვიანი. დაიბადა თუ არა, მყისვე გაფატრული უშობელის ცხელ ფაშვში გაახვიეს სიცოცხლის ძალის მისამატებლად. რობაქიძე მისთვის დამახასიათებელი ქარიზმატული ენით აღგვიწერს უკვე გაზრდილი ივლიტეს სილამაზეს. აღწერისათვის სილამაზის პლატონისეულ გაგებას იშველიებს (ცხვირი წინ ოდნავ აწეული, ზედა ტუჩი სამჩნევად წამოწეული, ფეხის ტერფი და სხვა).

უცნაურია ივლიტეს სიზმარი. ივლიტე მომხიბლავმა და ძალუმმა უცხო ვაჟმა გაიტაცა... გატაცება ტკბილი იყო და შიშნარევიც. უეცრად ეჩვენა, მომტაცებელი ირემი იყო... ირემმა გადმოაგდო მხრებთაგან ქალწული, მოეხვია წინა ფეხებით გაშხვართულ ტანს და უწყო ლოშნა ახივლებით. ქალწული რისხვამ აიყვანა. გაუსხლტა ხვევნას, გავარდა განზე და: უეცრად ცაცხვად აღიმართა. ირემი გავარდა რეტდასხმული და გამგუნებული. ქალმა თვალი გააყოლა. შეჰკრთა: ეს რაა? „ჯვეგი თვაალ?“ ირემი თეთრ ჯიხვად ქცეულიყო, სვანთა წმინდა ნადირად. შეირხა ერთიანად თვალ-მოხიბლული. ეხლა კიდეც დაღონდა რომ ცაცხვად იქცა“ [რობაქიძე, 1996, 135].

ივლიტე მისანია. შეუძლია ამოიცნოს ადგილი, სადაც იმალება წყაროსთვალი. ასე ფესვეულ ზიარ-იქმოდა იგი ბუნების ყოველი მოვლენისა. ზღვარმოუვლელია როგორც ქალი – ქალური, ქალში ზღვაა, ვაჟური ვაჟში კუნძული – იგი უზღვროში გა-დადიოდა... გარნა რომელი ვაჟის მზე იქნებოდა კმაყოფილი ქალურით ეგზომ ავსილ

ქალისათვის? და ივლიტეს ნატვრა ნაღვლად იქცეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ივლიტეს ქმარი – იულონ უყვარს, იგი მაინც მზევაჟს ელის. ივლიტე უნაყოფოა. იგი დედა ვერასოდეს გახდება, ამიტომ გაუშლელ ქალად რჩება. ივლიტეს მესაიდუმლეა მთვარე და მითიური ყვითელი კატა, მთვარის მსახიერებელი, რომელიც მის კალთაში ხშირად ასვენია.

სიუჟეტი აზრობრივად ახლოს დგას ნოველასთან „ლოტოს". იქ მითიური ნიმფა ლოტოსის ხედ გადაიქცევა, რათა თავი დააღწიოს პანს. აქ კი ივლიტე ცაცხვის ხედ გარდაისახება. ორივე მდედრი ელოდება მზეჭაბუკს, იგივე მზევაჟს.

ნოველაში „ლილე" მოქმედება სვანეთში ხდება. სვანებს საერთო ვარამი აქვთ. დადეშქელიანმა „უსხვა" მოკლა, შეწირული ხარი. მესამე ღამემ განვლო. სვანნი ეხლა ლატფარის უღელტეხილზე იყვნენ... უეცრად ამოტივტივდა მატყვევებელი სიუხვით ცხრათვალა მზე... შხარა, თეთნულდი, უშბა, იალბუზი, მყინვარნი და ნაპრალნი, ქვემოთ გაშლილი ენგურის მიდამო იყო სვანთა მიწა, მისი დედული და მამული. ორმოცდაათი სვანი ერთ არსად გადაიქცა და დასჭექა ერთმა ხტილმა კრებულისა: „ოოოი დაა ლილლეეოოო". სვანებს დაავიწყდათ ყველაფერი, აღარც „უსხვა" ახსოვდათ: ღვთაებით იყვნენ აყვანილნი, რომელიც მეტი იყო ვიდრე მისთვის შეწირული ხარი. მღეროდა ორმოცდაათ ტანიანი არსი" [რობაქიძე, 1996, 140].

გრიგოლ რობაქიძე თხზავს დიონისური სიშმაგის „მზის ნარქენს", სადაც წარმართული, ველური გახელება და სისხლის კულტი სისხლის სმაში გადადის.

თხზულებაში „ლილე" სვანები რთული მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავენ. მათი სიმღერა გაისმის როგორც ზანთა მძლეთა მძლევი გუგუნი. აქ შეიძლება პარალელი გავავლოთ ნოველა „იმამ შამილის" ფინალურ ნაწილთან, „საკრავები" – გაისმა ხმა … როკავდნენ ყველანი, მთელი კრებული როკავს."

გრიგოლ რობაქიძე ქართულ ხასიათში დიონისოს კულტის ელემენტებს პოულობს: „მთელი ისტორია ქართველებისა დიონისური მისტერიაა თავისთავად: სიკვდილი და სიცოცხლე, გაქრობა და აღდგენა".

ნოველაში „დიდი დედა" (რომანთაგან დალი) გადმოცემულია მოქმედება, რომ-ლის ადგილი კვლავ სვანეთია და ქალთა რიტუალის აღსრულებას უკავშრდება. უშგულელი გათხოვილი ქალები აღდგომის პირველ კვირას ასწლოვანი მუხებით გარსშემორტყმულ მოზრდილი ბორცვისაკენ მიემართებიან, სადაც „დიდ დედას"

თაყვანი უნდა სცენ. ნამეხარი მუხის ქვეშ აცხობენ საწირველს. სამ დიდ კვერს ქალწულ მარიამის სალოცავს – „ლამარიას“ სწირავენ ლოცვით. სამი ყველაზე ხნიერი ქალიდან ერთ-ერთი თანზის დედაა. ისინი იდუმალი ადგილისაკენ მიემართებიან. თან მიაქვთ სამი მომცრო კვერი, თაფლის სანთლები და ერთი დიდი აღვივებული ნაკვერჩხალი.

დედები იდუმალი სალოცავის ადგილას ნაკვერჩხალს აგდებენ, ზედ სანთლებს ყრიან. სანთლის ანთება ნიშნავს, რომ „დიდმა დედამ“ მსხვერპლი მიიღო. უკან დარჩენილი დედები დაძაბული ელოდებიან მწირვალ დედებს. სანთელი ენთება: გაისმა ირგვლივ გულისხმიერი ძახილი: „მოგვეც, მოგვეც სიმრავლე ვაჟთა!“ თანზის დედა გულში ამასაც მატებდა: „შეჰმატე, დედაო, ჩემს ძეს ძალა ვაჟისა!“ [რობაქიძე, 1996, 147].

რიტუალის დასრულების შემდეგ ქალები ეხვევიან და კოცნიან ერთმანეთს. მოგვიანებით შვებით ეშვებიან სოფლისაკენ.

ამ ნოველაშიც ერთმანეთის პარალელურად ვხვდებით რობაქიძის შემოქმედებისათვის დამახასიეთებელ ხაზს – წარმართობასა და ქრისტიანობას. გრიგოლ რობაქიძე არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის. ჩვენში ქრისტიანობა წარმართობის უშუალო გაგრძელება – განვითარებად მიაჩნდა.

გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის ეროტიკული ნოველა „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავასადმი“. როგორც ჩანს, ეს ნოველა გამოსაქვეყნებლად არ იყო გამიზნული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეროტიულ თემებზე მწერალი საკმაოდ ღიად საუბრობს. ნუგეშა გაგნიძისა და მარგრეტ შუხარდის ერთობლივ ნამუშევარში, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს ეძღვნება („გრიგოლ რობაქიძე (1880 – 1962) ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის“) ვკითხულობთ, რომ ნოველა 1948 წელს იმერულ დიალექტზე აკაკი პაპავასთვის შეიქმნა. ხელნაწერი ეგზემპლიარი ქართველმა ემიგრანტებმა – თამარ და აკაკი პაპავამ შეინახეს, ისინი გერმანიაში ომის დამთავრების შემდეგ, 1950 წელს არგენტინაში გადავიდნენ. მისი აღმოჩენა მხოლოდ 1997 წელს შეძლო პაატა ნაცვლიშვილმა, ბუენოს აირესის ერთ-ერთ პროვინციაში და მანვე გამოაქვეყნა. ნოველის მთავარ გმირებს რეალური პროტოტიპები მოეპოვებათ, აკაკი პაპავა დასახელების გარეშეც ამოიცნობდა მათ. ჩანს, რომ 67 წლის ავტორს ამ 24 გვერდიანი წერილის დაწერა თავადაც დიდ სიამოვნებას ჰგვრის, იგი საინტერესოა

იმითაც, რომ რობაქიძის სრულიად განსხვავებულ სახეს გვიჩვენებს. მანამდე ნაცნობი homo poeticus და homo politicus რობაქიძე, ამ წერილში ერთგვარ homo sexualis პიროვნებად წარმოგვიდგება. წერილი ყურადღებას იქცევს მარტივი და პირდაპირი სამწერლობო ენით, რაც დამახასიათებელია მწერლის სტილისთვის.

ჟანრობრივად არსებითად განსხვავდება ზემოთ მოყვანილი ნოველებისაგან. ნოველა იუმორისტული ხასიათისაა და ქუთაისური დიალექტითაა დაწერილი. ყაფლან ქვემოკლიძე წერილს წერს მეგობარ კვატატი პიტნავას, უყვება თავისი უცნაური თავგადასავლის შესახებ. შინაარსი ასეთია: ტბისპირა პარკში მრავალი ახალგაზრდა ლამაზი ქალია ყაფლან ქვემოკლიძე შემთხვევით ხვდება სახელოვან პოეტს და მათ შორის იმართება პაექრობა-დიალოგი. უხამსი, ქარაგმული სიტყვებით განიხილავენ პარკში დანახული ახალგაზრდა ქალის გარეგნობის დეტალებს, თუმცა ამ უხამსობის იქით ჩანს რობაქიძისეული გაგება სილამაზისა (იგრძნობა პლატონის გავლენა). მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობებს ანიჭებს ქალის სხეულის ფორმებს, მის მიხვრა-მოხვრას. ნოველაში ჩვენი აზრით ერთ-ერთი მთავარი აზრია, რომ სექსუალური ურთიერთობის თემა დღევანდელ მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანია: „ომი და რევოლუცია მაშინ დაატყდებიან თავს კაცობრიობას, როცა მამაკაცის ვაჟური ძალა მილეულაო. არ ვხუმრობო, მითხრა. აბა მიჩვენე ერთი ვინმე, რევოლუციისათვის თუ ომისათვის ატეხილი, რომლის სქესური ძალა „მესკიას პოტენცს“ სცილდებოდესო. სქესური ანუ უკეთ: მზიური ძალა აკლიათო მათ – ყოველ შემთხვევაში უმრავლესობასო. „ძალას“ – მოკლებულნი „ძალადობაზე“ გადადიანო. „ამ“ დარგში რო არაფერი შეუძიათ, „იმ“ დარგში უნდათ მონახონ ვითომ „სამაგიეროო“ ეს ერთგვარი „კომპესაციააო“ [რობაქიძე, 1997, 40].

ამას მოსდევს ყაფლანის ამბავი. მეგობრის დახმარებით ისინი ახალგაზრდა ქალს – დეზის ერთ ერთ ბარში ხვდებიან. ყაფლანი მეგობარმა ქალს დიდ მხატვრად გააცნო. ქალი დათანხმდა შიშველი პორტრეტის დახატვაზე, როგორც მელიის ქურქმოსხმული „დალი“. ექვს დღეს გრძელდება ხატვის სეანსები. წყვილის ურთიერ-თობის კულმინაციისას ტელეფონზე გაბმულად რეკავს მეგობარი გამოუცდელი ყაფლანი იგვიანებს ქალთან მეგობრის გაუთავებელი ზარების გამო. გაბუტული ქალი ცივი მზერით შირმას ეფარება და იცვამს. ამასობაში ყაფლანის მეგობარი შემოივლის და წაიყვანს ქალს. მეორე დღეს მეგობარი უმჟაღავნებს ყაფლანს საიდუმლოს და

ეუბნება: „ქალი იგვიანებს ამ შეხვედრისათვის, ვაჟი კი იჩქარისო... ამ დაგვიანებაშია ქალის ძლიერება: იგი ამის გამო ყოველთვის ძლევს ვაჟსაო“. საბოლოოდ მოტყუებული დარჩა ყაფლანი, რომელიც წერილში შესჩივის მეგობარს: „მახურუშებია, მახურუშებია ი ათქვირებული ქალი ისე, რო ბოლოს თვითონ ეგემა „ნაყოფი“, რა „ნაყოფი“, კვატატი!“[რობაქიძე, 1997, 55].

ასეთივე მარტივი და პირდაპირი ენითაა დაწერილი, 1949 წლის ივნისში „ჟამსა ხუმრობისა (მოგონილი და ნამდვილი)“, რომელიც 1951 წლის მარტში გამოქვეყნდა ჟურნალში „ბედი ქართლისა“.

მინიატურაში „ჟამსა ხუმრობისა“ მოქმედება 1922 წლის აგვისტოში, თბილისში კერძოდ კი გურამიშვილის 10 ნომერში ხდება, სადაც გრიგოლი, რომელშიც თვითონ მწერალი უნდა ვიგულისხმოთ, საკუთარი სახლის აივანზე მამამისის უმცროს მეგობარს ყაფლან ორბელიძეს მასპინძლობს.

სიუჟეტი კომიკურია, მთავარი აზრი ნოველისა „ჩეკას“ დროინდელი სისტემის გაშარჟებაა. ნოველაში მოქმედება ასე ვითარდება: ყაფლანს ანკეტის შევსება უწევს სადაც მისგან დაწვრილებით ინფორმაციას მოითხოვენ: „ვინ იყო ბაბუა შენიო, ბებია შენი, მამიდა შენი, მამიდა შენის მული, ბიძა შენის ქვისლი, ამ ათი წლის წინათ კიკოლა სიკინჭილაძესთან რო შეიარე, რაზე ლაპარაკობდი მასთანო, გუშინწინ იმ ქუჩის კუთხეში რო დააცხიკე, რა იყო ამის სოციალური სარჩული და სხვა და სხვა“ [რობაქიძე, 1996, 170].

ყაფლანის გასაჭირი ის არის, რომ ბებიის გარდაცვალების თარიღი არ ახსოვს, რის გამოც შესაძლოა „ჩეკასთან“ პრობლემა შეექმნას. ამ დროს მოაგონდება, რომ ბებიის საფლავის ქვა სწორედ გრიგოლის მამამ მოხატა და სანამ ჩხარში გაემგზავრება გადაწყვეტს გრიგოლს ესტუმროს. გრიგოლის მამას – ტიტეს ერთი უცნაური ჩვევა ჰქონია, საქმეს ბოლოში უეცრად მიატოვებდა და არას გზით მას აღარ დაუბრუნდებოდა. მამის ეს საქციელი გრიგოლს მიქელ ანჯელოს აგონებს და შემდეგნაირად ხსნის: „წარმოისახე: რაღაცას აკეთებ, გსურს ყოველსრული ჰქმნა საკეთი; უეცრად წარმავლობამ გიელვა ამა სოფლისა: სევდა გიპყრობს მძაფრი; სევდა ფიქრად იშლება მყისვე, რომ წარმავალში „სრულს“ ვერ მიაღწევ: საკეთს ხელს უშვებ, აღარ თუ ვეღარ „ასრულებ“ სხვაგვარად ეს „წამოვლა“ ვერ ამიხსნია“ [რობაქიძე, 1996, 173].

სწორედ ამ უცნაური თვისების გამო დავიწყებია ტიტეს ყაფლანის ბებიის საფ-

ლავის ქვაზე გარდაცვალების თარიღის მიწერა. დიალოგში ყაფლანი და გრიგოლი ახსენებენ ჯიბო იაშვილის ვაჟს „პავლეს“ (პაოლო იაშვილი), რომელსაც ასევე თავი მოაბეზრეს საანკეტო ფურცლებით. შეკითხვაზე „რით ცხოვროფ, რა საშვალებითო პაოლოს დაუწერია: „ჯერ ჯერობით ჯიბოს ჯიბით“ მისი პასუხით წახალისებულ, შეზარხოშებულს ყაფლანს ერთ დღესაც ანკეტაში ბებიის გარდაცვა-ლების თარიღის გასწვრივ ჩაუწერია: „ამას ვინ აღმოაჩენს? მიმართეთ ბებია ჩემს“ [იქვე]. ამ პასუხის გამო ყაფლანს ეშინია, რომ „ჩეკა“, რომელმაც ხუმრობა არ იცის საიქიოს თავად გაამგზავრებს ამის დამწერს. გრიგოლი შეპირდება მამის მეგობარს ამ ხუმრობის გამოსწორებას, რაც შვებას მოჰგვრის.

დიალოგში ყაფლანი იხსენებს თავისი ქალიშვილის მაროს დღეობას, რომელიც თომა ჭირაძემ ჩაუმწარა. იუმორისტული ხასიათის დიალოგის ფონზე მწერალის წამოწეული აქვს ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიცაა ყოფის სიტკბო „გაიხარე და გაახარე“. მწერალი არ იზაირებს აზრს: „რასაც ხედავ საყოფელსა ამა სოფლისა, ეს ყველაფერი წარმავალიაო, ქართულად რომ ვთქვათ, „მიქარვააო“ და ამის საპირისპიროდ ამბობს: „მიქარვა“ კი არა „ქარვაა ეს სოფელი“, გენაცვალე! შეხე აბა ამ მზეს! გულის „მოქარვება“ აქაა, თორემ იღრიჯე რამდენიც გინდა, ქარვას, ტყუილი ამბავია, ვერ იშოვი!“ [რობაქიძე, 1996, 180].

ნოველაში ნახსენებია ის მნიშვნელოვანი მოვლენებიც, რაც მწერალს ამ სოფლის „ქარვად“ ესახება: ლამაზი ქალი, ქართული სიტყვა, სიმღერა, პოეზია, რიტორიკა და სხვა. ნახსენებია ქართული სადღეგრძელოს ფენომენიც, რომელიც მწერლის თვალსაზრისით ქართულ სუფრაზე ნასწავლი რეტორიკლი ხერხებია. დაბადების დღის ჩამშლელ თომა ჭირაძეს ყაფლანი ადარებს გოეთესეულ მეფისტოლეს, რომლის შეხედვაზეც გრეტხენს ატმისფერი ეკარგებოდა. „სიყვარუ-ლიც ყვავილია – ასკვნის მწერალი ბოლოს – ის ეშმაკისეული, მეფისტო რო ქვია, თავის თანაყოფითაც კი შლის, ხრწნის, ჰავას „გახარებისა“: სუნთქვა მისი ქეძაფივით ესხმის „გასახარელს“ იმ განსხვავებით, რომ მისი მეფიშტო ეშმაკი კი არა, ნამდვილი ეშმაა, შენი თომა კი მხოლოდ ის ყოფილა, რომელიც ქართულ ენას სამი ასოთი დაუდაღავს: ღჯუ!“ – „გენაცვალე ქართულო, დადაღვაც რო იცი ასეთი!“ [რობაქიძე, 1996, 185].

მიუხედავად იმისა რომ ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის უმთავრეს მიზანს გრიგოლ რობაქიძის ემიგრაციაში შექმნილი მინიატურული პროზის შესწავლას ისა-

ხავს, ჩვენ რამოდენიმე ისეთი ნოველაც განვიხილეთ დაწვრილებით, რომლებიც მწრალმა ემიგრაციაში გამგზავრბამდე დაწერა.

1935 წელს იენაში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა იმ დროს დასავლეთში უკვე აღიარებული გრიგოლ რობაქიძის ნოველათა წიგნი „დემონი და მითოსი“, სადაც სტალინის, გრეტა გარბოს, ნეფერტიტის ფენომენებია გააზრებული. მწერალი ასევე განიხილავს სიცოცხლის აღქმას დასავლეთსა და აღმოსავლეთში და ადამიანის პირველყოფილი შიშის პრობლემას. „დემონისა და მითოსის“ შესავალში ავტორი მისი თანამედროვე მსოფლიოს ორ მაგისტრალურ მიმართულებაზე მსჯელობს: პირველისათვის დედამიწა გეოლოგიური რეალობაა, მეორისათვის – კოსმიური მოვლენა. რობაქიძის რწმენით, დედამიწას ძალიან უჭირს: მისი ეთერული სხეული დაზიანებულია, ღმერთი და მისტიკურობა კი იკარგება. „დემონისა და მითოსის“ შემადგენელი ნოველები ამ ორი პოლარული მიმართულების გათვალისწინებითაა დაწერილი.

შესავლის ბოლოს მწერალი მიუთითებს, რომ, მართალია, დედოფალი ნეფერტიტი ჩვენგან ათასწლეულებითაა დაშორებული, ის მაინც ჩვენი თანამედროვეა და მისი პორტრეტი კრებულის სხვა პორტრეტების საიდუმლოსაც გვაზიარებს.

„დემონი და მითოსი“ მწერალმა გერმანულ ენაზე დაწერა. ამას ადასტურებს 1937 წლის 2 აპრილს რობაქიძის მიერ ჩეხი ქართველოლოგის ი. იედლიჩკასადმი გაგზავნილი ბარათი, სადაც მწერალი ამბობს, რომ იგი ჯერ ქართულად წერს, შემდეგ კი მას თარგმნის, ამიტომ თარგმანს პირვანდელი ტექსტის ტოლფასოვნად თვლის. ამავე წერილიდან ჩანს, რომ „დემონი და მითი“ მწერალს უშუალოდ გერმანულ ენაზე დაუწერია.

სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის პროცესში კვლავაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი მეთოდის გამოყენება, როგორიცაა მწერლის შემოქმედების ორიგინალ გერმანულ და ქართულ წყაროებში გაცნობა და მათი შეპირისპირებითი ანალიზი. მუშაობის პროცესში ჩვენთვის ამოსავალი ლიტერატურა იყო ქ. თბილისში 2012 წელს გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემული ნოველათა ციკლი „დემონი და მითოსი“ ქართულ ენაზე, ხოლო გერმანულ ენაზე გავეცანით 1935 წელს იენაში, დიდერიხის გამომცემლობაში დაბეჭდილ კრებულს.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ძლიერი და ლამაზი პორტრეტების გადმოცემა, რომელთაც წილად ხვდათ მისია, რომ შეექმნათ

თავიანთი ეპოქა, შეეცვალათ მათ ირგვლივ მყოფი ადამიანები და ამდენად შეეცვალათ სამყარო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ნაწარმოებები: „გრეტა გარბო, ვითარცა ზმანება დღევანდელობისა“, „ნეფერტიტის თავი“, „სიცოცხლის განცდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში“, „თაურმიში და მითოსი“, ესე „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“.

აკაკი ბაქრაძის წერს: „გრიგოლ რობაქიძეს ნაკლებად აინტერესებდა შიშით, ეჭვით, ორჭოფობით შეპყრობილი ადამიანები... იგი ყოველთვის ცდილობდა დაეხატა მთლიანი, ძლიერი, შეუპოვარი და უდრეკი ადამიანები, ვისთვისაც მიზანი ყოველთვის ნათელია, ვინც მიზნისაკენ მიმავალ გზას არ გადაუხვევს“ [ბაქრაძე, 2003, 309].

გრიგოლ რობაქიძემ ესე „გრეტა გარბო, ვითარცა ზმანება დღევანდელობისა“ ჰოლივუდის ლეგენდას, შვედური წარმოავლობის მსახიობ გრეტა გარბოს, მიუძღვნა, რომელიც მაღაზიის გამყიდველიდან მშვენიერ სფინქსად გადაიქცა და მუდამ ასოცირდებოდა მის სახელთან.

აშკარაა, რომ გრიგოლ რობაქიძეს გრეტა გარბო სწორედ ისეთ მტკიცე ადამიანად მიაჩნია, როგორზეც ზემოთ აკაკი ბაქრაძეს სიტყვები მოვიყვანეთ ციტატად. იგივე შეიძლება ვთქვათ ნეფერტიტის პორტრეტზე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ კრებულში შემავალი ერთ-ერთი ესე სტალინს ეძღვნება.

გრიგოლ რობაქიძის ესე გრეტა გარბოს პორტრეტს მეტად ობიექტურად, ზუსტად და ბიოგრაფიულ ფაქტებთან ახლოს გადმოსცემს:

„ის მთლად მზეთუნახავი არაა, მაგრამ აქვს რაღაც, რაც მამაკაცის უღრმეს ფესვებს შეარხევს. მისი თავდაჭრა: თვითდაჯერებული, თუმცა არა ხაზგასმული. მისი მზერა უძრავია. მხოლოდ ერთადერთხელ ის კაცს თვალებში ჩახედავს, გაუცხოებულად და თითქმის გამომწვევად-შემდეგ მკაცრად თვალს მოაშორებს. მამაკაცი მისი სინათლის ძალას შეხვდება“ [რობაქიძე, 2012, 100].

უნდა აღინიშნოს, რომ კრებულში წარმოდგენილი თხზულებები მწერლის მიერ ღრმა ფილოსოფიურ დონეზეა გააზრებული.

რობაქიძის თვალთხედვით, სიცოცხლის სუთქვას ყველა რასა და ხალხი უმეტესწილად მდედრის სახეში ასხეულებდა, რამეთუ ქალი, მზით განაყოფიერებული დედამიწის დედა-წიაღი, მარად გვხვდება ერთდროულად როგორც მიმღები და როგორც შემქმნელი ან საწყისი.

მწერალი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ადამიანი არის ძალით აღვსილი – თუმცა მზით სუსტი. ასეთი ადამიანის სახეს იგი გრეტა გარბოში ხედავს, არა რეალურ ქალში, არამედ მის ფილმისეულ ხატებაში, რომელიც ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე თავად იგი.

რობაქიძე ცდილობს მიაგნოს თუ როგორია ქალი გრეტა გარბო. „საერთოდ არის კი ის ქალი?“ – სვავს მწერალი შეკითხვას – „დროდადრო იფიქრებ ჭაბუკიაო, როცა მას ხედავ: მამაკაცის ტანსაცმლი აცვია, ასე სწორედ ამ ილუზიას გახვევს თავს“ [რობაქიძე, 2012, 100].

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ჭორის დონეზე ცნობილია გრეტა გარბოს რომანტიკული კავშრების შესახებ ქალებთან, მათ შორის მსახიობ ლუის ბრუსთან, მწერალ მერსედეს დე აკოსთან. ასევე მას ჰქონდა პერიოდული ურთიერთობა ბრიტანელ ფოტოგრაფთან ჰომოსექსუალ სესილ ბიტონთან, რაზეც მის მიერ გამოქვეყნებულ დღიურებშიც მოიპოვება ინფორმაცია.

თუმცა, გრიგლ რობაქიძემ ამ ჭორების შესახებ რაიმე იცოდა თუ არა, ეს ჩვენ არ ვიცით. შესაძლოა, მწერალმა გრეტა გარბოს ჰაბიტუსიდან გამომდინარე ამის შესახებ მხოლოდ ინტუიციურად ივარაუდა.

და მაინც, ასკვნის მწერალი: „ის ქალია და ზემოქმედებს როგორც ქალი, არც ბაკხი ქალი, არც ამაზონი, არც მენადა, არც მადონა, არც დედა და არც კურტიზანი. ის ყველა ესენია, ერთად აღებული“ [რობაქიძე, 2012, 100].

მწერალს მიაჩნია, რომ მაშინ, როცა თანამედროვე მამაკაცი მზით უძლურია, თანამედროვე ქალი მიწიერითაა დაღდასმული, თუმცა ორივე, ქალი და მამაკაცი, ფლობენ საშინელ ძალას, რომელიც პლანეტარულად ჯერ კიდევ დეფინირებული არაა“.

რობაქიძის აზრით, ტექნიკური საუკუნე უფრო მეტად მამაკაცში განსხეულდება, ვიდრე ქალში. თანამედროვე მამაკაცს არ შეუძლია თავისი თავი მთლიანად უძღვნას ქალს, ვინაიდან მის მამაკაცურ ფესვებში მზის ძალისმიერი ჩანასახი დათრგუნულია ამის გამო ქალიც ნაწილობრივ დაშლილი და დამსხვრეულია:

„და ვინღა არის ქალი, ვისაც თავის უჯრედთა სისტემაში მთლიანობა დაკარგუ ლი აქვს? საზარელი არსება, ნაჭერი არაბუნებრივისა. თავად დამახინჯებული – ახლა ის მახინჯად, ბრმად და ბნელად მოქმედებს. იგი ერთდროულად ნაზია და უხეში, ნამდვილი და ყალბი. მისი არსების ერთ ნაწილში არის რაღაც ჭეშმარიტი, რომელიც

ამგვარად მეორე ნაწილთან შესაბამისობას მოკლებულია“ [რობაქიძე, 2012, 100].

ჩვენი აზრით, ამით რობაქიძემ დახატა ასევე თავისი თანამედროვე ქალთა უმრავლესობის სურათი, რომელთა სიმახინჯის მიზეზი მწერლის მიხედვით ტექნიკის განვითარებისაგან გამოწვეული ევოლუციაა და ამავდროულად სამყაროს დასასრულის დასაწყისი.

შედეგად მივიღეთ ქალი, რომელიც ერთ მამაკაცს ფიზიკურად ემორჩილება და მეორეს – სულიერად, მაგრამ საბოლოოდ ის ორივე მათგანს ღუპავს.

მეტად ორიგინალურია რობაქიძისეული გამოსავალი ამ რთული მდგომარეობიდან. იგი თვლის, რომ მხოლოდ პოეტ ქალს ძალუძს თანამედროვე ქალის ტანჯული სულის გამომზეურება.

მწერალს აინტერესებს, როგორია გრეტა გარბო მისი კინომატოგრაფიული სახის მიღმა. მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ქალი თითქმის მთლად მარტოსული ცხოვრობს, კარჩაკეტილი და გადამალული...

რთულია უპასუხო კითხვაზე ბედნიერია თუ არა იგი. გრეტა გარბო ამ დროს მსხვერპლია. მან ცალკეულ წამს საკუთარი თავი ნეტარებით აღვსილად უნდა იგრძნოს, მაგრამ რასაც „ბედნიერებას“ უწოდებენ, მისთვის ჩრდილში უნდა დარჩეს. ადვილად საფიქრებელია, რომ ერთ დღეს იგი ბედისწერით აღძრული, თავის საკუთარ ფილმს შეუმჩნევლად ეწვიოს. მაშინ მის საოცარ წამწამებს ორი დიდი ცრემლი დაამძიმებს – მსოფლიოს უმშვენიერესი და ყველაზე მწუხარე მარგალიტები – წერს რობაქიძე [რობაქიძე, 2012, 100].

ამ ესესთან დაკავშირებით შემაჯამებლად გვინდა ვთქვათ, რომ მისი თემატიკა დღესაც ძალიან აქტუალურია. მწერალი იმ დროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ობიექტურად ხედავს, წვდება მათ გამომწვევ მიზეზებს და ეძებს გამოსავალს.

ის ცდილობს გააანალიზოს, როგორია ძლიერი ქალი. ეს პროცესები დღესაც მიმდინარეობს და კიდევ უფრო მწვავედ ვიდრე ადრე იყო. ჩვენ ამ პროცესებს ხშრად ემანციპაციას ვუწოდებთ, ეს თემა კი მსოფლიოს მასშტაბით აქტუალურია და ჯერაც მწვავე დისკუსიის რეჟიმში განიხილება.

ესე „ნეფერტიტის თავი" ფილოსოფიური და ესთეტიკური გააზრებით ერთ-ერთი გამორჩეულია. ნეფერტიტი და მარადისობა, ფარაონის ულამაზესი მეუღლის იდუმალების გამოცანა, სიკვდილ-სიცოცხლის ძველეგვიპტური აღქმა – ამ და მრავალი

სხვა პრობლემის გრიგოლ რობაქიძისეული წვდომა მშვენიერსა და ამაღლებულ სამყაროს გვაახლოებს.

რობაქიძე ნეფერტიტს უწოდებს მზის სისხლიან ქალს, აღწერს მის ნატიფ გარეგნობას. ნეფერტიტი იცნობს უდაბნოს ძლიერებას და მასში ხშრად ჩნდება ფიქრი იმაზე, რომ ერთხელაც ყველაფერი გაუდაბურდება, ყველაფერი უდაბნოდ იქცევა.

ესე გაჯერებულია საინტერესო მითოლოგიური მოტივებით. მათ შორის გამორჩეულია მითი „წვეთის ღამის“ შესახებ.

ყოველ წელს, 19 ივლისს მზის თვალიდან წვეთი ეცემა პატარა ნაკადულში, რომელიც ელეფანტინის მთის უცნობი წყაროებიდან იღებს სათავეს. ეს ის წვეთია, ნაკადულს ნილოსად გაზრდის საშუალებას რომ აძლევს. ადიდებული მდინარე ტანჯულ მიწას კვლავაც აცოცხლებს და კვლავ ჰყვავის ხე, გამხმარი რომ ჩანდა, კვლავაც ჩუხჩუხებენ წყაროები, დამშრალს რომ ჰგავდნენ და ცხოვრება კვლავ ხალისდება. ეს არის ქვეყნის დიდი დღესასწაული „წვეთის ღამე“, რომელსაც ნეფერტიტი უმღერის ჰიმნს.

ნეფერტიტი თავის თავში ამ საოცართესლიან წვეთს გრძნობს. საკუთარი ყოფიერების ბნელ თაურსაწყისს ქალი შინაგანი მზერით ეხება. რობაქიძის ამ მიმართულებას ღვთაებრივი წიაღის ძებნა შეიძლება ვუწოდოთ.

აქვეა ზულეიკის სიტყვები (გოეთე):

„მე ლამაზი ვარ! სარკე მეუბნება.

მას: რომ სიბერეც ჩემი ხვედრია.

მარადისობა ღმერთის სურვილია,

უფალს ჩემში უყვარს ეს წამი ფრიად“ [რობაქიძე, 2012, 9].

ესე „ნეფერტიტის თავი“ ძალიან საინტერესოა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.

რობაქიძე იძლევა ეგვიპტური „კა“-ს განმარტებას: „კა“ არის შინაგანი სუბსტანცია, ის სამყაროს შექმნამდე ცოცხლობს, დედამიწაზე თავის თავს განახორციელებს. სიკვდილის შემდეგ იგი სულის სფეროებში ადის.

ის განუმეორებელი სახეა, ერთჯერადი, როგორც ასეთი. მასში ღვთაებრივი იხსნება. ამის შედეგად მარადიული ხანგრძლივობის ნიშანს იღებს იგი. ის მოუხელთებელია და, ამავე დროს, მაინც ნათლად შეგრძნებადი.

უსახელო მოქანდაკემ, რომელმაც ნეფერტიტს ფერად ქვიშაში უკვდავება მიანიჭა, ფარაონის საოცარი მეუღლის პლასტიკური გამოსახულებით იდუმალებით აღსავსე „კა“ გადმოგვცა.

ეგვიპტელი ცდილობს დაიჭიროს „კა“ და დააყოვნოს. ეს არის საშინელი წყურ-ვილი – წამი მარადიული გახადოს. ეგვიპტელი „კა“-ს გამოსახულებაშიც აყალიბებს. ამიტომ ეგვიპტელს პლასტიკური გამოსახულებანი გამაოგნებლად ზემოქმედებენ, თითქოს ისინი ცოცხალი არსებებია.

ნეფერტიტის ღიმილი ქალწულებრივი შიშის მომხიბვლელობითაა აღსავსე. მისი ღიმილი განსხვავდება ჯოკონდას ღიმილისაგან, რომელიც თავის ქალურ უპირატესობაში დარწმუნებულია. ჯოკონდას წინაშე მამაკაცი რაღაც კოსმიურ სისუსტეს გრძნობს და მასზე დამთრგუნველად ზემოქმედებს.

ეხნატონს უსასრულოდ უყვარს თავისი მშვენიერი, ახალგაზრდა მეუღლე და ყველაფერს მისი ტკბილი სახელის ნიშნის ქვეშ ქმნის.

ნეფერტიტი ეხნატონის მზის ძალას იწვევს: არა უბრალოდ ჩასახვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ის მას ლამაზ გოგონას აჩუქებდა, ასევე არა ჟინისათვის – ეს მის შინაგან არსს დააზიანებდა, – არამედ, რათა ღვთაებრივ „შენში“ წარუვალი საკუთარი სახე შეენარჩუნებინა [რობაქიძე, 2012, 10].

დრო, ალბათ, ნეფერტიტის თავსაც დაშლის, მაგრამ ნეფერტიტი მასთან ერთად არ გაქრება, ისვე, როგორც მე – 9 სიმფონია არ წაიშლება, თუ ყველა ვიოლინო, საყვირი, ჰობოი და ფაგოტი განადგურდება.

წამის მარადიულობის თემა რობაქიძის მთელს შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს, მისთვის დამახასიათებელი მოტივები მზის ძალის, უკვდავებისა და მარადისობის შესახებ ამ ესეში მთელი სისავსით არის გადმოცემული.

ამგვარად, მაგიური მუსიკალური ტალღა ნეფერტიტი, ისევ მარადისობისათვის ცოცხლობს. ჩვენ მონუსხულნი, მის სახეს შევყურებთ და მუდამ იდუმალებით აღსავსე სიტყვები გვესმის:

„მე ლამაზი ვარ“, – სარკე მეუბნება...

კრებულის „დემონი და მითოსი“ მომდევნო შემადგენელი ნაწილია „სიცოცხლის განცდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში“, რომელსაც სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამორჩეული ყურადღება დავუთმეთ.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რას წერდნენ ევროპელი მწერლები ამ კრებულის შესახებ. მათ შორის რუდოლფ კარმანის შეფასება ძალიან საყურადღებოა. იგი თავის სტატიაში „რობაქიძე და მითის აღორძინება“ წერს, რომ კრებულში „დემონი და მითი“ რობაქიძე გვიხატავს ცხოვრების განცდის აზრობრივ მეტაფიზიკურ მნიშვნელობას აღმოსავლეთსა და დასავლეთში და ნათლად წარმოგვიდგენს თავის ეთიკურ ამოცანას. „ის ხოტბას ასხამს გოეთეს, როგორც თანამედროვე ევროპის პირველ ადამიანს, რომელიც მითიურად შეჰყურებდა ქვეყანას. იგი აგრეთვე აკრიტიკებს ევროპულ-ამერიკულ თანადროულ სულისკვეთებას იმის გამო, რომ მან სამყარო ღმერთისაგან განძარცვა. იგი იჭრება მითის წარმომქმნელ ძალებში და ცდილობს საბურველი ჩამოხსნას პირვანდელ საიდუმლოებებს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე არავინ შეხებია, ან თუ შეხებია, ძალზე ზედაპირულად. ყოველი არსება აქ მშვიდად არის ჩაძირული საკუთარ თავში, თითქოს ის კვლავ იმეორებდეს პირველქმნილის სუნთქვას, როგორც ეს თვითონ რობაქიძემ განმარტა თავის ესეში „ცხოვრების განცდა აღმოსავლეთსა და დასავლეთში“ [კარმანი, 1988, 5].

მიწა აღმოსავლეთისათვის კოსმიური არსი გახლავთ, რომლის სუნთქვაშიც ყლორტები ამოაქვს მითოსს. ადამიანი კი დაკარგული ჩანს იმ ბუნებაში, სადაც დრო კი არ მიედინება, არამედ ამაღლებულად გარინდებულა სივრცეებში და სადაც ერთი წამი მარადისობას შეიცავს, ისევე, როგორც ზღვის ნიჟარა დიდი ხნის წინათ გარდასულ ოკეანის ტალღათა ხმაურს. დასავლეთში პირიქით, ყველაფერი შელახულია – აქ ყოველი საგანი მჭიდროდ გარემოცული გვევლინება.

აქ არ არის სიმშვიდე, არ არის სივრცე. აქ მჭვრეტელს მხედველობიდან ეპარება კოსმიური სუნთქვა და მიუწვდომელია მის მთლიანობაში. რობაქიძის ბუნების სურათებში მოშლილია ზღვარი საგნებს შორის, ხოლო ადამიანები კვლავ ბუნების შვილები არიან.

შემოქმედების დასაწყისიდანვე რობაქიძემ თავისი ფანტაზია მითის სამსახურში ჩააყენა: ქართველთა უძველესი სამშობლოს – მესოპოტამიის ველებზე წარმოიშვა მითი იმ დროს, როცა იქმნებოდა ბიბლია, რომელიც საუკუნეთა მანძლზე განსაზღვრავდა ხალხთა სულიერ ჰაბიტუსს, გილგამეშის მითი, ლეგენდა ღვთაებრივ იშთარზე და ძველ ბაბილონელთა და ასირიელთა მაგიური შელოცვები წარმოადგენენ რობაქიძის ნაწარმოებთა თავდაპირველ წყაროს.

„იგი დგას, როგორც შვილი და ბადიში, ქალდეელთა ნატამალი, იმ ძველ მითიურ სამყაროში მემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე და ევროპელთა მსგავსად არ საჭიროებს ხელოვნურად მოიგონოს რამე, რადგან საკუთარი განცდით და მოსიყვარულე დაკვირვებით აღიქვამს იმას, რაც მშობლიურ გარემოცვაში აბადია.

მას წილი უდევს თანამედროვე ცოცხალ ტრადიციაში, რომელიც შუმერულ და იქალტურ, ხეთურ და ებრაულ წარსულს წვდება. სადაც ის უკიდურეს ისტორიულ შორეთში თანდათან იბინდება" [ლომინაშვილი, 1996, 263].

სწორედ ეს განასხვავებს მას, კავკასიელს, ყველა თანამედროვე დასავლეთელი მწერლისა და მოაზროვნისაგან. დასავლურ ცნობიერებაში გაბატონებულია ინდივიდუალური მომენტი, აღმოსავლეთში კი – პირიქით, განცდა, რომ ჩვენ განუყოფლად ვართ დაკავშრებული მთლიანობასთან.

ამპარტავნობისა და სულიერი გაღარიბების გამო დასავლეთი იქცა ინდივიდუალისტურ მონად, მაშინ როცა, აღმოსავლეთი მთელ სამყაროსთან კავშირში ცხოვრობს და მოქმედებს. ეს ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ ხელოვნებას აღმოსავლეთში აქვს რაღაც უსაზღვრო და არასრულქმნილი, ამოუწურავი ნაყოფიერების თვალსაზრისით, მაშინ როცა დასავლეთში ხელოვნება ინდივიდუალურია და მჭიდროდ შემოფარგლული.

აღმოსავლელმა პოეტმა ჯერ თავისი სული კოსმიური ოკეანის სიღრმიდან უნდა ამოატივტივოს, დასავლეთისაკენ კი პირუკუ იხედება – მან თავისი სული ინდივიდუალობის სიღრმიდან უნდა წარმართოს დიდ ზღვაში.

აღმოსავლეთში, საიდანაც რობაქიძე მოვიდა, მამა ბატონობს, დასავლეთში – შვილი. მწერლის მისწრაფება კი ის უნდა იყოს, რომ ყოველ ორგანიზმში, ყოველ მოვლენაში მამა იპოვოს და წარმოგვიდგინოს იგი შეძლებისდაგვარად კონრეტულ ფორმაში: დრამაში, რომანში, ლირიკულ ლექსში.

ძირითადი ხედვა, რომელშიც გრიგოლ რობაქიძის მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არსს შეადგენს არის აღიარება იმისა, რომ ყოველი ადამიანი მომაკვდავი შვილია, რომელიც თავის არსებაში ატარებს უკვდავ მამას. ხელოვნების მიზანი კი ის არის, რომ მამის უხილავი სუნთქვა გამოხატოს ხილული და გრძნობიერი სახით. თუ ადამიანი ვერაფერს მიაღწევს, გარდა იმისა, რომ შვილი ასახოს, მისი ხელოვნება ზერელე რამ არის, მაშასადამე, რობაქიძისათვის ყოველი ადამიანი საწყაულია,

რომელშიც ერთიანდება მოკვდავი და უკვდავი. ღვთაბრივ-ადამიანური, ღვთაებრივ-ცხოველური, აი რას მიჰყავს იგი ამ აზრამდე. მხოლოდ ორივე საწყისის შეგრძნება, მხოლოდ ერთი მათგანის გამოხატვა მეორის საშუალებით, აი ეს არის ხელოვნება რობაქიძისათვის. სიტყვით გამოხატავს იმას, რაც უკვდავია და ჩვენში ცოცხლობს. ეს არის მაგია. სიტყვა მისი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, ქართულში აგრეთვე ნიშნავს: აღებას, განაყოფიერებას, მაშასადამე, სიტყვამ მატერია უნდა მოიცვას, უნდა შეიცნოს იგი. მხოლოდ აღმოსავლეთში შეინარჩუნა სიტყვის მაგია, მხოლოდ მას არ დაუკარგავს სიტყვის შინაგანი ძალა.

თანამედროვე სამოსელში წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე გილგამეში და ძველი სამყაროს მოგვები, რობაქიძე ეუფლება პოეზიის უდიდეს საიდუმლოებას: სიტყვის მაგიას, სიტყვას, მის გამოთქმას რობაქიძისათვის მაგიური შელოცვის ძალა აქვს. ის მოჰგავს გველების შემლოცველს, რომელმაც უცბად თავისი მაგიური ფორმულის ლიტერატურულად ჩამოყალიბება დაიწყო.

დასავლეთში დედამიწა არის მხოლოდ ნიადაგი, რომელსაც ამუშავებენ და უვლიან, აქ ყველაფერი ხელშეხებულია, ხელშეუხებელი არაფერი რჩება, არც ტოტები, არც ტაბუ.

რობაქიძე შეგვახსენებს, რომ, ტერიტორიის რომელიმე ნაწილი დაუმუშავებელი უნდა დარჩეს, რათა დედამიწამ თავისი კოსმიური სუნთქვა არ დატოვოს. ამ გაფრთხი-ლებას დასავლეთში ყურადღებას ნაკლებად აქცევენ. ზოგჯერ გვჩვენება თითქოს აქ ადამიანის ხელი ღმერთის ქმედებას ცვლის.

დასავლეთში აღმოსავლეთისაგან განსხვავებით წარმოქმნის ანუ გენეზისის სუნთქვა თითქმის აღარ იგრძნობა, აქაურ ლანდშაფტებს მხოლოდ ესთეტიკური ხიბლი აქვთ, აქ არის სივრცის ნაკლებობა, არ იგრძნობა სიჩუმე, ხოლო წამი უბრალოდ წელთაღრიცხვის მონაკვეთია, რომელსაც არ გააჩნია ხანგრძლივობა ანუ ის მარადიუ-ლობა, რომელსაც წამი თავის თავში ინახავს.

აღმოსავლეთსა და დასავლეთის ადამიანებს შორის პრინციპულად დიდი განსხვავებაა. კერძოდ ის, რომ აღმოსავლეთში ამოსავალი წერტილი, ადამიანის წარმო-მავლობაა. რობაქიძე პარალელს ავლებს თაურმცენარესთან. წარმომავლობა გაცილე-ბით მნიშვნელოვანია ვიდრე ადამიანი.

აღმოსავლეთში ადამიანი არ კარგავს კავშირს თავის წინაპართან და წარსულ

დროსთან, დასავლეთის ადამიანისათვის კი პიროვნული განვითარებაა მნიშვნელოვანი, დასაწყისი მისთვის ერთჯერადად ახალ საწყისს ნიშნავს.

აღმოსავლეთი თაურსაწყისში სუნთქავს. თაურსაწყისში კი ყველა ნივთი ერთეულია (ერთია). ძველი ინდოელების გაგებით ყველაფერი, რასაც შენ ხედავ, თვით შენა ხარ, საგნებს შორის საზღვრებია წაშლილი. ყოველ ნივთს აქ საკუთარი სინამდვილე აქვს.

განსხვავებული ხედვა აღმოსავლეთელი და დასავლეთელი ადამიანისა ჩანს მათ მიერ შექმნილ არქიტექტურაშიც. აღმოსავლეთმა, უსაზღვროებაში ჩაძირულმა დასრულეული (განცლკევებული) ნაწარმოების შექმნა ვერ შეძლო, რადგან დასრულება ნიშნავს: შემოსაზღვრულს, აქედან გამომდინარე გოთური კათედრალები აღმოსავლეთში შეუძლებელია.

განსხვავებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა ყოფაც. აღმოსავლეთის ცნობიერებაში საგნები ერთმანეთს მიჰყვებიან, ვით ბუნდოვანნი მოჩვენებანი.

სინამდვილე და პოეზია აღმოსავლეთში ერთია. მაგალითად საქართველოში, მთხრობელი ყვება რაღაც ფანტასტიურს, არასოდეს მომხდარ რამეს, იგი იმდენად ჩაძრულია თავის ფანტაზიაში, რომ ძნელია შეეწინააღმდეგო მას.

მწერალს მაგალითად მოყავს აგრეთვე იეზიდში მომხდარი ამბავი, როდესაც ალი ვერ ხვდება თუ რა საჭიროა ხალიჩების ზუსტი რაოდენობის გათვლა, ამ დავალებას თავს ვერ ართმევს ვერც ჰუსაინი, რომელსაც ხალიჩების თავიდან გადათვლა დაევალა. მიზეზი კი ის არის, რომ ალი და ჰუსაინი მენტალურად ერთნაირად, აღმოსავლეთურად აზროვნებენ.

მთელი აღმოსავლეთი შებინდებაა ის შემოსაზღვრულ ფრომას არ სცნობს და ამიტომ ყველაფერში, როგორც ადამიანებში, ისე ლანდშაფტებში სუფევს უძრავი, მარადისობაში გაშლილი, თავის თავში ჩაბრუნებული მზერა, ამაღლებული სიმშვიდე, უძრავი დიდებულების ფარაონობა.

სხვაგვარადაა დასავლეთში, დასავლელ ადამიანთა ყოფიერებაში მცენარე, პერსონა ბატონობს, მასში თაურმცენარისეული წყაროს დინება ზედაპირულია და თაურსაწყისი მას თანდათან აქრობს. ის უფრო გარეთ იმზირება და დასვენება არ იცის. აღმოსავლელი ადამიანი მთლად ნამდვილი მხოლოდ საკუთარ თავში ჩაძირულობაშია, დასავლეთისა - მხოლოდ სწრაფვაში.

აღმოსავლეთში შინაგანად შეკავებულ თრობას განიცდიან და რაც უფრო ძლიერია თრობა, მით უფრო მშვიდია განცხრომა. დასავლეთში დინამიურად ლოთობის თრობა მოსწონთ და განცხრომა მშფოთვარედ ვლინდება.

აღმოსავლელი ადამიანი ღმერთს დახუჭული თვალებით ხედავს, მგრძნობიარე სიღრმეში განრიდებული, სადაც ყველა გრძნობა, ვითარცა ერთი ახალი გრძნობა, ერთდროულად მოქმედებს. დასავლელი ადამიანი ღმერთს გახელილი თვალებით უყურებს და თითქმის ცდილობს, მას ხელით შეეხოს.

აღმოსავლეთში ადამიანი შინაგან ჩაძირულობაში ცხოვრობს, მაგრამ ამის შედეგად ის თვლემას არ წყვეტს – არა მხოლოდ ფიზიკურად. დასავლეთში ადამიანი მუდმივ სწრაფვასა და განუწყვეტლივ ზედამხედველობაშია. მას უძილობა ასუსტებს – ასევე მეტაფიზიკურად. აღმოსავლეთში თრობის საშუალება ოპიუმია, რომელიც ოცნების საშუალებას იძლევა, დასავლეთში ნიკოტინი, რომელიც უფრო ამხნევებს.

სახის ცარიელი გამომეტყველებისა და ჩლუნგი მზერის ქვეშ აღმოსავლელი თავის ცხოველისებურ ეშმაკობას მალავს. ევროპელს, თუნდაც ჭკვიანსა და მოხერხებულს, მაგრამ არა ეშმაკს, თავად დიდად გამოცდილი დიპლომატიც რომ იყოს, მისი მოტყუება არ შეუძლია.

„აღმოსავლეთში კითხულობენ: „საიდან?“ და აუჩქარებლად მოლოდინში რინდდებიან. დასავლეთში კითხულობენ; „საით?“ და მოუთმენლობით მოუსვენრად დრტვინავენ. აღმოსავლეთში თითქმის ყოველთვის აქვთ დრო. დასავლეთში დრო არა აქვთ“ [რობაქიძე, 2012, 39].

პარალელები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უსასრულოდ შეგვიძლია გავავლოთ, მაგრამ მთავარი შეკითხვა არის ის, თუ როგორ უნდა დავძლიოთ თაურშიში ამ განსხვავებულ სამყაროებში.

ღმერთსა და არარაობას შორის ჭიდილში მოხვედრილი ადამიანი მუდამ თავის მეტაფიზიკურ ზღვარს ეხლება, იგი ხვდება, რომ უძლურია და ამიტომ მას თაურშიში შეიპყრობს.

აღმოსავლეთელი ადამიანი თავის მე-ს გაქრობის საშუალებას აძლევს და ამით იგი ყოველგვარ სასიკვდილო ზღვარს გადალახავს, იგი უახლოვდება თაურსაწყისს, თუმცა მას ბოლომდე ვერ აღწევს, რადგან ეს შეუძლებელია და ამიტომ ფიქრით წუხს იგი დაკარგული სამოთხის ზღურბლთან.

ეს არის წუხილი, რომელიც ნაღველში გადადის და რომელიც მზით ავსებულ დაბლობებში იგრძნობა და სიმღერების მონოტონურ ნაღვლიან ჟღერაში ისმინება. ის შეიგრძნობა ქარავნის ნელ სვლაში, ჩანს აქლემების მელანქოლიურ მზერაში – ყველაფერში.

ეს ხდება აღმოსავლეთში, ხოლო დასავლეთში ადამიანი თაურშიშს განსხვავებულად ებრძვის. დასავლეთში ადამიანი თავის მეს კი არ ამდაბლებს, პირიქით, ის მას გარემომცველ სამყაროში აფართოებს. მისი „მე“ სულ უფრო ნაკლებად ტკივილის აღმქმელი ხდება. მას თაურშიში დაძლეული ეჩვენება, მაგრამ საზღვრების გადაწევა მხოლოდ დროებით არის შესაძლებელი და როდესაც ადამიანი ერთ დღესაც ამ საზღვრებს შეეხლება თაურშიში ხდება კიდევ უფრო შემზარავი.

რობაქიძეს ასეთი ადამიანად 77-ე სართულის გალიაში მცხოვრები საშუალო ამერიკელი წარმოუდგენია, რომელსაც გრძნობების მაგივრად რეფლექსები გააჩნია, ხოლო ორგანული საკვების მაგივრად აბებსა და პრეპარატებს ღებულობს.

ეს არის სუფთად გაპარსული ფანტომი გალვანიზირებული მზერით. საკმარისია მოხდეს რაიმე შეფერხება, მცდარი ნაბიჯი ან მოკლე ჩართვა, რომ იგი უსუსური და ძირფესვიანად ამოგლეჯილი ხდება, ვინაიდან ის მაინც ადამიანია.

საკუთარ თავთან განმარტოებული იყურება უზარმაზარ სიცარიელეში, ხვდება, რომ მასში თაურმცენარე კარგა ხანია გამხმარია და რომ ყველაფერი ამაოებაა. მიტოვებული, უმწეო დაბობღავს ის თავის გალიაში, რომელიც ახლა კუბოს დამსგავსებულა.

მას საკუთარი მე საზიზღრად ეჩვენება და ასევე ეზიზღება მთელი გარემომცველი სამყარო. ის აცნობიერებს, რომ მის თვალ წინ გადაშლილი ქალაქი, რომელიც ღამღამობით ჯადოსნურ სინათლეში ფანტასტიურად ზეცისაკენ ლივლივებს გარდაცვლილია.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთი ჯობია დასავლეთს ან პირიქით. ეს ორი სამყარო ერთმანეთს არ გამორიცხავს, ერთმანეთს ავსებენ და საკუთარ თავს განაპირობებენ. დასავლეთი აღმოსავლეთს რომანტიკულად ესწრაფვის და აღმოსავლეთი, მოლოდინით აღსავსე, დასავლეთს უმზერს.

„რა იქნებოდა თაურსაწყისი საწყისის გარეშე? მხოლოდ უძრაობა. რა იქნებოდა თაურსახე სახის გარეშე? მხოლოდ ჩანასახი“ [რობაქიძე, 2012, 39].

თაურმცენარე ცოცხალ სახეს მხოლოდ მცენარეში იღებს. ერთჯერადი, განუმეორებელი სახე ასევე ღვთაებრივია, როგორც მარადიული, დაუსრულებელი. თაურსაწ-

ყისის სუნთქვა აღმოსავლეთიდან მოდის, ამგვარად, დასავლეთი ამ სუნთქვას ფორმას აძლევს. ისინი მოწოდებული არიან ეს ორი სამყარო ერთმანეთით გაანაყოფიერონ. ყოველი მათგანი თავის ცალმხრივობაში საფრთხეს ატარებს, რომელიც მეორის დახმარებით გადაილახება.

ნოველაში წამოჭრილია აგრეთვე ტექნიკის პრობლემა. ტექნიკა, რომელიც დასავლეთს ეკუთვნის, არასწორად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება უბედურებად იქცეს.

მწერალს მოჰყავს აღმოსავლური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ენოსმა ადამის შექმნის მსგავსად გამოძერწილ ფიგურას სული შთაბერა. განსულიერებული გამოსახულებიდან კი წარმოიქმნება საზარელი არსება დემონური ძალით, რომელსაც შეუძლია ადამიანს უბედურება მოუტანოს.

ეს ნიშნავს იმას, რომ უბედურება სწორედ იქიდან იწყება, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს ღმერთის ადგილას აყენებს. ტექნიკა თავის თავში უბედურებას არ ნიშნავს, მაგრამ ადამიანი, რომელიც რაიმეს ქმნის, თუ ივიწყებს, რომ ის თავად შექმნილია, უნებლიედ საფრთხისა და ცდუნების წინაშე დგება.

მწერლის გაგებით ადამიანის უდიდესი საფრთხე მის ქედმაღლობაშია. მხოლოდ ცოტა ადამიანს თუ ძალუძს რომ გაუძლოს ამ თვითთრობას. ნეტარია ის, ვინც შეძლო, ამ ცდუნებას წინ აღდგომოდა, რადგან სამყაროსა და მას შორის წმინდა კონტაქტი შეურყვნნელი დარჩება. ასეთი რამ შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც თავის შიგნით თაურსაწყისს მუდმივად და მოკრძალებით ინახავს.

მწერლის აზრით, დასავლეთის ადამიანებს, რომლებიც ტექნიკის წყალობით ყოველდღიურად ვარდებიან ამ საფრთხეში სწორედ პირველსაწყისის ახლო აღმოსავლური ძალები იცავენ.

ვიცით, რომ რობაქიძის სამწერლობო ენა მეტად თვითმყოფადი და განსხვავებულია. მისი გაგება ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტული მითებისა და ფაქტების ცოდნით არის შესაძლებელი, ხოლო ზოგიერთი მათგანის განმარტებას იგი თვითონ იძლევა.

„სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიც მწერალი ბევრ საკითხს თვითონ განმარტავს და გარდა ამისა ამ ნაწარმოებს, ჩვენის აზრით, ერთგვარი გასაღების ფუნქცია აქვს მწერლის სხვა

ნაწარმოებების უკეთ გაგებისათვის.

„თაურშიში და მითოსი“ კრებულის შემადგენელი ნაწილია და, ჩვენი აზრით, ნოველის „სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში” იდეურ გაგრძელებას წარმოადგენს.

ეს ნაწარმოები ღრმად ფილოსოფიური ხასიათისაა. აქ გრიგოლ რობაქიძე გააჟღერებს აზრს, რომ ყველა ადამიანი მარტოა და მარტოსულია, ხოლო გარე სამყაროსაგან გამოყოფილია იმ ზღვარით, რომელიც საკუთარ „მე“-ს გარს აკრავს.

ყოველი შეხება ადამიანისა ამ ზღვართან მასში შიშს იწვევს. ბევრი ადმიანი ფიქრობს, რომ ადამიანის „მე“ არის სწორედ ის ადამისა და ევასაგან მოყოლებული წყევლა, რომლისგანაც ადამიანს დღემდე სურს რომ თავი გაითავისუფლოს.

მაგრამ მწერლის აზრით, შეუძლებელია „მე“ წყევლა იყოს, ვინაიდან „მე“ არის ადამიანში გამოუთქმელი, უტკბილესი და ყველაზე ნამდვილი. იგი ადამიანისათვის ყოფიერების უმაღლესი საჩუქარია.

ადამიანს განსაკუთრებულ შიშს გვრის სიკვდილისა და სიცოცხლის სიბრტყეების შეჯახება, მისთვის შემზარავია უსიცოცხლოთა მოძრაობა ანდა მოძრაობა სიცოცხლის გარეშე. მწერალს მაგალითად მოყავს ბრძოლის ველზე მოკლული ჯარისკაცი, რომლის ჯიბეში ჯერ კიდევ წიკწიკებს საათი.

მეორე მაგალითია მრავალსართულიანი სახლიდან გამოტანილი კუბო, რომელ-შიც გარდაცვლილის თავი აქეთ-იქით ვარდება.

შემზარავია გარდაცვლილი მეგობრისაგან მიღებული წერილი, რომელიც მის სიკვდილამდეა დაწერილი.

შიში კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც სიცოცხლის წარმომქმნელი ძალა ეხება თვით იდუმალებას – სისხლს. მწერალი იხსენებს დაკლულ ქათამს, რომლის თავმოჭ-რილი სხეული რამდენიმე წამს კიდევ დახტის და სიცოცხლე სიკვდილს ებრძვის ორ ერთმანეთისაგან დაშორებულ ნაწილში.

ადამიანში შიშს იწვევს ავტომობილიც. რობაქიძის აზრით, ავტომობილი არის აპოკალიფსის ნაშიერი, რომელიც მძღოლის გარეშე ბრმად, შლეგად, ეპილეპტურად მიქრის. ეს არის არა დაბადებული, არამედ ადამიანის მიერ აწყობილი ქმნილება. საკუთარ „მე”-ს სხვადასხვა ეროვნების ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ.

გრიგოლ რობაქიძე იზიარებდა გოეთეს მოძღვრებას თაურფენომენსა და თაურმ-

ცენარეზე, რაც მან მოგვიანებით მარადიული დაბრუნების იდეას დაუკავშირა. ნაწარმოებში ვკითხულობთ: „არა ერთეული უბრუნდება მარად საკუთარ თავს, არამედ მარადიული ერთეულში ე. ი. თაურარსში ბრუნდება. ეს თაურმითოსია ყოველივე მომხდარისა“.

„ამრიგად ყოველ საწყისში თაურსაწყისი თვლემს და მარადიული ცალკეულშია წარმოდგენილი, – ვკითხულობთ ნაწარმოებში – და თუ ცალკეული თავის თავზე მარადიულის გამანაყოფიერებელ ზემოქმედებას შეიგრძნობს, ასე ის მარადიულის წილნაყარია“, სწორედ ამ შეგრძნებას შეუძლია დაამარცხებინოს ადამიანს თაურშიში, იგივე სიკვდილის შიში [რობაქიძე, 2012, 23].

ცნობილია, მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში დაიწყო ლიტერატურის განახლების ხანა. ლექსთან ერთად მინიატურაც თავის სათქმელს ამზობდა. ეს ტენდენცია, ალბათ, იმდროინდელი პოლიტიკური მდოგომარეობითაც იყო განპირობებული. გრიგოლ რობაქიძესთან ეპოქალური პრობლემა – საზოგადოების სულიერი კრიზისი – ლირიკული გმირის ემოციური მოქმედებით ყველაზე უკეთ იკვეთება, ზუსტად წარმოაჩენს საგნის, მოვლენის ავტორისეულ ხედვას. მისი ეპიკური ხასიათი, თუნდაც მკრთალი, გმირის თითქმის შეუმჩნეველი მოქმედებით, სათქმელს ამძაფრებს, მოვლენას ახლობელს ხდის, აღვიძებს მიძინებულ ესთეტიკურ მხარეს. ეს მიუთითებს გრიგოლ რობაქიძის მინიატურათა არსებით მნიშვნელობაზე. ამ დეტალებით იგი უთანაბრდება ისეთ თხზულებებს, რომლებიც ეპოქალურ მოვლენებს მეტად ორიგინალურად ასახავენ.

თავი III

ესე ქართულ – ევროპულ მწერლობაში და გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძის მრავალფეროვან შემოქმედებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ესეს ეკუთვნის. მისი ნაწერები გამოირჩევა ესესათვის დამახასიათებელი სისხარტით, მცირეში დიდის, ბევრის თქმის უნარით. ამ მწერლის ნატურა, მისი შემოქმედებითი ბუნება უფრო მეტად ესეს ჟანრს შეესატყვისებოდა, ამიტომაც მის შემოქმედებაში ესეისტიკა რაოდენობრივადაც და მხატვრულ – ესთეტიკურადაც წინა პლანზეა.

ესეებს ახლავს რაციონალურ საწყისებთან შერწყმული ემოციური მანერულობა, რასაც თავისთავად ჟანრი არსობრივადაც მოითხოვს. მის ესეისტიკაში შეხვდებით ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილ სახეებს, XIX-XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ლიტერატურულ პორტრეტებს, სილუეტებს. ესეებს ქართულ ყოფაზე, სიმღერაზე, ცეკვაზე, ქანდაკებაზე, მხატვრობაზე, ეთნოფსიქოლოგიასა და პოლიტიკურ მოღვაწეებზე.

ლიტერატურისათვის ახალ ჟანრში ესეისტიკაში გამოვლინდა გრიგოლ რობაქიძეს მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლაკონურობა, ფრაზის სისხარტე, სათქმელის მკვეთრად მოჭრა, სახელდებითი წინადადების გამოყენების ჩვევა და სხვა. იგი ჩასწვდა ესეს, როგორც სპეციფიკური ჟანრის საიდუმლოს, მიაგნო გასაღებს, ეფექტურად გახსნა ამ ჟანრის არსი, შექმნა არა მარტო იმ დროისთვის მნიშვნელოვანი, არამედ სადღეისოდაც საყურადღებო ქმნილებანი. ჭეშმარიტი ესეს ერთი სპეციფიკური თვისებაც ხომ ისაა, რაც არ უნდა ძველი იყოს, არ შეიძლება ჰქონდეს მარტოოდენ ისტორიული ღირებულება. მუდამ უნდა ინარჩუნებდეს მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

ესე, როგორც ლიტერატურული ჟანრი ახალი საუკუნის მონაპოვარია, მაგრამ მისი შემოქმედებით-ესთეტიკური ღირებულება წარსულიდან იღებს სათავეს. სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ პასუხი გაგვეცა, რას წარმოადგენს ამ ჟანრის რაობა, როგორია მისი სტრუქტურა, აზრობრივ-ემოციური ხასიათი და ამასთან პარალელი გაგვევლო გრიგოლ რობაქიძის ესეებთან. ამ მხრივ საფუძვლიანი დახმარება გაგვიწია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულმა მასალამ და

ენციკლოპედიურმა ცნობებმა. ამ ცნობების მიხედვით ესე, როგორც ლიტერატურული ფორმა, არის საშუალო ზომის თხზულება, ჩვეულებრივად პროზაული, რომელიც მსუბუქად და ზედაპირულად ეხება თემას, სახელდობრ ისე, როგორც ეს მწერალს ესახება.

დოქტორი ჯონსონი, თავად ცნობილი ესეისტი, შემდეგნაირად განმარტავს ესეს: „უჩვეულო, სისტემაში მოუყვანელი ნაწარმოები“, უჩვეულობა შეიძლება მართებული იყოს, მაგრამ მისთვის, როგორც დახვეწილი მაგალითისთვის შეიძლება არ იყოს დამახასიათებელი აზრის სიღრმე ან, როგორც ამბობენ საჭირო გონებრივი გააზრება. პირიქით, ეს შეიძლება იყოს გამოცდილებისა და ღრმა განჭვრეტის მოკლე მსუბუქი შედეგი“ [ენციკლოპედია, 1768, 716-717]. ჰუგო ჰელმანის სახელმძღვანელო ნაშრომი ესეს შემდეგნაირად ახასიათებს: „ესე – განსაზღვრული თემის ზომიერი, მოკლე, პროზაული ტიპის განხილვა“ (დისკუსია) [Holman, 1936, 294].

ლაიფციგში 1986 წლის კლაუს ტრეგერის „ლიტერატურათმცოდნეობის“ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ესე – ლიტერატურული გადმოცემის ფორმა, რომელიც მეცნიერების, ხელოვნებისა და ჟურნალიზმის (ჟურნალისტიკა) დამაკავშირებელია. მეცნიერებასთან ესეს ის აკავშირებს, რომ გამოდგება სხვადასხვა საზოგადოებრივი სფეროს (უპირველეს ყოვლისა, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, პოლიტიკის) საკითხების განსახილველად და ეყრდნობა საქმის ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც განზოგადდება ხაზგასმული სუბიექტური ხედვით. ცოდნის, ინტუიციის და ასოციაციური აზრობრივი კომბინაციის საფუძველზე, ესე მიმართულია პრობლემის, პიროვნებისა და ა. შ. ხელახალი აღმოჩენისკენ, ან ახლებური ხედვისკენ აქამდე უყურადღებოდ დატოვებულ, გაუთვალიწინებელ ურთიერთკავშირში, რის გამოც ხშირად დახვეწილად ხდება გადმოცემა” [Treger, 1986, 100]. „ლიტერატურათ-მცოდნეობის ცნებები“ – ასე განმარტავს ესეს: „ესე (გერმ. ფრნგ. ესსეი, ინგ. ესსე – ცდა, ნარკვევი, ლათ. ექსიგ – ვწონი), ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრი, სხვადსხვა ხასიათისაა: ბელეტრისტული, ფილოსოფიური, ისტორიული, სამეცნიერო და სხვა“ [ჭილაია, 1984, 97]. აკაკი გაწერელია მიუთითებს: „ჩვეულებრვი ეს ფორმა იმპრესიონისტულ ანუ ზერელე მოსაზრებათა გამოფენად მიაჩნიათ. ეს დიდი შეცდომაა. ეს კრიტიკული პროზის შესანიშნავი სახეა“ [გაწერელია, 1988, 186]. ლიტერატურათმცონდე, კრიტიკოსი ზაზა გოგია „ლიტერატურულ

საქართველოში“ წერდა: „ძნელია ზუსტი ფორმულირება, რა არის ესე – ფილოლოგიური ნარკვევი, თუ მხატვრული ჟანრი, მაგრამ ერთი რამ ცხადია – ესეისტური აზროვნების კანონები ნაკლებად ემორჩილება მეცნიერული პედანტიზმისა და გამოწვლილვითი ანალიზის პრინციპებს. ამას ადასტურებს ევროპული ესეისტიკის მამამთავრის, მიშელ მონტენის სიტყვები: „წიგნური ცოდნა სამკაულია და არა საფუძველი“ [გოგია, 1987, 4]. ვირჯინია ვულფის მოსაზრებით – „ლიტერატურულ ფორმათაგან ესეს ნაკლებად ესაჭიროება გრძელი სიტყვები. მისი წარმმართველი პირნციპი მხოლოდ ის არის, რომ სიამოვნება მოგანიჭოს. პირველივე სიტყვიდან უნდა მოვიხიბლოთ და მხოლოდ ბოლო სიტყვაზე უნდა გამოვიღვიძოთ, გამოვფხიზლდეთ. შუაში კი უამრავი რამით უნდა შევიქციოთ თავი – გაოცებით, დაინტერესებით, აღშფოთებით; შეგვიძლია მაღლა, ფანტაზიის სიღრმეები მიმოვიხილოთ ბეკონთან ერთად, მაგრამ არ უნდა გამოვფხიზლ-დეთ! ესე გარს უნდა შემოგვერტყას და თავისი საბურველი მთელს მსოფლიოს გადააწვდინოს. რომანს სიუჟეტი აქვს, ლექსს რითმა, მაგრამ რა ხერხს უნდა მიმართოს ესეისტმა, რათა ჩვენი ყურადღება მთლიანად დაიპყროს და ისეთ ტრანსში ჩაგვაგდოს, რაც ძილი კი არა, უფრო გამოცოცხლება, ნეტარებაა? მან, ესეისტმა, უნდა იცოდეს – რაც ყველაზე არსებითია – თუ როგორ წეროს... შესაძლოა ის ღრმა მცოდნე იყოს, მაგრამ ეს ცოდნა ესეში ისე უნდა ჩადოს მწერლური ჯადოსნობით, რომ არც ერთი ფაქტი არ ამობურცოს, არც დოგმამ დაარღვიოს ზედაპირის ქსოვილი“ [ვულფი, 1988, 143-144].

როგორც ვნახეთ, ჟანრი საკმაოდ მნიშვნელოვანია ლიტერატურათმცოდ-ნეობაში, შედარებით არაზუსტია დეფინიციაც, რაც ჩვენი აზრით, ისევ და ისევ მისი მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარეობს. ჟანრის ფუძემდებლად აღიარებულია XVI საუკუნის ფრანგი მოაზროვნე მიშელ მონტენი. თავის დროზე ფრანსის ბეკონმა აღნიშნა, რომ „ესე ახალი სიტყვაა, მაგრამ ძველი მოვლენა“ და მისი აზრით, ამის დადასტურებას წარმოადგენს პლატონის დიალოგები, რომელშიც ასახული როგორც ესეისტური სტილი, ისე თემატიკა და ეს ხდება ყველა ავტორთან, ვისი პიროვნებაც წინა პლანზეა. ცნობილია ისიც, რომ შუასაუკუნეების ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში არა ცალკე ელემენტების, არამედ ჟანრული მთლიანობის გაგებითაც არსებობდა ესეისტური ლიტერატურა. იაპონური ძუხიცუ, ჩინური სუიბი (სახელწოდება „ძუხიცუ“, ჩინური „სუბიდან“ მომდინარეობს და „კალმის გადევნებას“ ნიშნავს), კორეული პხესოლი – მონტენის ესესავით, შერეული შინაარსის მქონე თხზულებებს წარმოადგენდა, სადაც

მთავარი როლი ავტორისეულ განსჯებს ეკისრებოდა და გადმოგვცემდნენ მწერლის ემოციებს [ხელაია, 1986, 324].

XII საუკუნიდან სხვადასხვა საკითხზე (ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ) მსჯელობა იაპონური კულტურისთვის უცხო არ ყოფილა. ამ პერიოდში შეიქმნა პირველი ესეისტური თხზულება სეი-სიონაგონის – „სასთუმლისპირა ჩანაწერები". ეს ავტორი მიიჩნევა ძუიხიცუს ჟანრის ფუძემდებლად. თავისი ჩანაწერების შესახებ იგი წერდა: „ამ რვეულში ყველაფერი ჩავწერე, რაც მინახავს და გამიფიქრებია; ვიცოდი ამ ჩანაწერებით არავინ დაინტერესდებოდა. ალბათ, ბევრი ფუჭსიტყვაობა გამომივიდა" – მწერლის წინასწარმეტყველების საპირისპიროდ ნაწარმოებმა დააინტერესა და დასაბამი მისცა ლიტერატურის ახალი ჟანრის შექმნას, რომელმაც მრავალი საუკუნის მანძილზე ბევრი საინტერესო ნაწარმოები მისცა იაპონურ ლიტერატურას. „ძუიხიცუს" ჟანრის წარმოქმნიდან ხუთი საუკუნის შემდეგ საფრანგეთში 1580 წელს შეიქმნა მონტენის პირველი ესეისტური თხზულება – „ცდები" წიგნის წინაწისტყვაობაში ავტორი წერს: „ეს წიგნი პირველ ყოვლისა, გულწრფელი წიგნია. შინაარსი ჩემი წიგნის – მე თვით ვარ" [ხელაია, 1988, 328].

მონტენის თხზულებამ ევროპაში დასაბამი მისცა ესეისტური ჟანრის განვითარებას, რომელსაც მონტენმა უწოდა „ესე" ინგლისელი ესეისტი ალ. სმიტი მიუთითებს, ესე გულისხმობს მდიდარ ლიტერატურას, იგი ზედნაშენია და არა ფუნდამენტი. ესე არის კომენტარი. ესე ინტელექტუალური გონის ნაყოფია. იგი გულისხმობს მაღალ ლიტერატურულ ტრადიციებს. ვინც გუშინ შექმნა ლიტერატურა ის ესეს ვერ დაწერს, ესეისტი ქვეყნის განვითარების ადრეულ პერიოდში გამოჩნდება. მისი მოსვლა ხდება პოეტისა და მემატიანის მოვლინების შემდეგ. იგი უკვე არსებული მასალის კომენტირებას ახდენს. ქართული ესე ევროპულ ესესთან შედარებით ახალგაზრდაა. მონტენის თხზულების შექმნიდან რამდენიმე ასწლეულის შემდეგ – XX ს – ის პირველ ნახევარში შეიქმნა ესეისტური ხასიათის ლიტერატურა. ქართული ესეს წინამძღვრების ფორმაზე საუბრისას იოანე ბატონიშვილის „კალმასობა" უნდა დავასახე-ლოთ, სადაც მწერალი ერთსა და იმავე მოვლენის შესახებ ორი განსხვავებული პოზიციით წარსდგება და ეძებს ჭეშმარიტებას. ჟანრის განსავითარებლად ხელსაყრელი პირობები საქართველოში XVI საუკუნიდან იქმნება, ამ პერიოდში იჩინა თავი კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ. ამ ხანებში იწერება პირველი ფილოსოფიური და

პოლიტიკური ტრაქტატები ალ. ამილახვარის, დ. ბატონიშვილის, დ. ციციშვილის და სხვათა ავტორობით. XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა ილიასეული კრიტიციზმის პრინციპი, მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსი იქცა ამ პერიოდის ესეისტური ჟანრის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თვისებად. XX საუკუნის 20 – იანი წლები არაერთი ისტორიული მოვლენით აღსავსე პერიოდად შევიდა საქართველოს ისტორია-ში. 1905 წლის რევოლუცია და შემდგომი წლების რეაქცია, 1917 წლის თებერვლის, შემდეგ ოქტომბრის რევოლუცია, 1921 წელი – საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ამ ისტორიულ ქარტეხილებს დროის მცირე მონაკვეთში მოჰყვა შესაბამისი ძვრები ხელოვ-ნებაში. ამ ეპოქას ლიტერატურა აზრთა ჭიდილით, ძიების პროცესებით ეხმაურებოდა. ჩნდებოდა ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები. ეს მოსაზრებანი ისახებოდა 20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებებში. ესეისტური ჟანრის წინამძღვრებს მიეკუთვნება კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის შემოქმედება, სწორედ მათმა წერილებმა განაპირობა ქართველ ესეისტ ავტორთა თხზულებების შინაარსი და ფორმა.

ცნობილია, რომ ნამდვილი ესეისტური ქმნილებანი, ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით ჩვენთან 1910-20-იან წლებში შეიქმნა კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიქოძის, დემნა შენგელაიას, ლეო ქიაჩელის, შალვა აფხაიძის და სიმბოლისტების: გალაკტიონ ტაბიძის, შალვა აფხაიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სანდრო ცირეკიძის, გრიგოლ რობაქიძის ავტორობით. პროფესორი სოსო სიგუა ქართველ ესეისტთა შესახებ წერს: „ზოგიერთი კრიტიკოსის სტილი და ენა მიუახლოვდა ინტელექტუალურ პროზას, რომელიც თავად ესწრაფვის ესეისტურ მეტყველებას. ყურადღება მიექცა არა მარტოოდენ შეფასებისა და ხარისხის პრობლემას, არამედ გამოხატვის ფენომენსაც – ენას, კომპოზიციას, მსჯელობის სტრუქტურას“ [სიგუა, 1984, 213].

ფაქტია, ლიტერატურის ისტორიისთვის უაღრესად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს ეს გულწრფელი სფერო მწერლობისა, სადაც შეულამაზებლად, იშვიათი სიხალასით იხატება ქვეყნის გულისთქმა, იდეალი, სწრაფვა. ესეისტური მასალის ისტორიული კვლევა საშუალებას იძლევა უფრო გაბედულად ვიმსჯელოთ ქართული ლიტერატურის ხასიათსა და ბუნებაზე, ლიტერატურულ-ესთეტიკური იდეალზე. აწმყოსა და წარსულის კულტურული, ისტორიული, სოციალური, პრობლემის არსში ჩაწვდომის მიზნით თანამედროვე მწერლები სულ უფრო და უფრო აქტიურად მიმარ-

თავდნენ ესეს ჟანრს.

მოდერნიზმის იდეოლოგიას ახალი თაობის მწერლები ამკვიდრებდნენ. ასე ამსხვრევდნენ და ცვლიდნენ ძველ ესთეტიკას, სტილსა და მსოფლგანცდას. ისინი უცხოეთისკენ იყურებოდნენ, ხელს იშვერდნენ ევროპისკენ, მაგრამ ქართულ მიწაზე იდგნენ, რათა უძველესი ტრადიციები ახლებური თვალთახედვით აღედგინათ.

ნიკოლაი ბერდიაევი წერდა, რომ რუსეთში ჭარბობს ქალური საწყისი, ამიტომ იგი მუდამ სხვას ემორჩილება, სხვისგან სესხულობს საარსებო ძალასო.

იგივე ითქმის საქართველოს შესახებ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ რუსეთი, როგორც თვლიდა გრიგოლ რობაქიძე, უპიროვნო კოლექტივის ქვეყანააა, საქართველო მკვეთრად გამოხატული ინდივიდების სამყაროა.

ქართულ მწერლობას განახლების სტიმულს ყოველ დროში უცხო ძალა აძლევდა. ქართულ ნიადაგში უნდა მოხვედრილიყო შემოტანილი თესლი, რომელიც აღმოცენ-დებოდა და ნაყოფს გამოიღებდა.

მოდერნიზმი თეორიულად ესსეს ფორმით მკვიდრდებოდა, რაც უპირისპირ-დებოდა პუბლიცისტიკას, „თერგდალეულთა“ სოციალურ პათოსსა და პრობლემატიკას.

ესეისტური კრიტიკის არსია იმპრესიონისტული აღქმა, ნახევარტონებით საუბარი, მწუხრის ფერებით ხატვა. მას საგნის ობიექტურ ღირსებაზე მეტად აინტერესებს შთაბეჭდილება, თვალსაზრისი საგანზე. ჩვეულებრივ, ესსეისტი უარყოფს ტერმინოლოგიურ სტილს, მეტყველებს პოეზიის ენით, შედარებებით და მეტაფო-რებით, სიმბოლოებითა და პაროლებით. მისი საწყისია ესთეტიზმი, მელანქოლია ან ექსტაზი. ლოგიკური თვალსაზრისით ესსე ხშირად ზედაპირული გვეჩვენება, ნაკლებად არგუმენტირებული, პირადული განცდებით და წარმოდგენებით აღსავსე.

ესეისტი გრძნობების ენით მეტყველებს, ეძებს სიცოცხლის ნიშანს, ემოციებს და სულაც არ ცდილობს ერთადერთი და შეუმცდარი აზრი თქვას, შექმნას ლოგიკური სისტემა, მიაღწიოს წესრიგს. პირიქით, ვნებათა ქარიშხალი ამსხვრევს ცივი გონების მიერ დადგენილ ნორმებს - ახალი ქვეყნის სახელით. ხელოვანის ფანტაზიას წარმართავს განწყობილება, განწყობილების ნისლში გაელვებული წარმოდგენები, სახეები, შეხედულებანი. ამიტომ პოეტთა და მწერალთა თეორიული ნააზრევი თითქმის ყოველთვის ესეისტურია, საინტერესო, პარადოქსული, მძაფრად ემოციური. ისინი ქადაგებენ და ქმნიან, მაგრამ ქადაგება თხზვის გაგრძელება და ნაწილია.

გრიგოლ რობაქიძის ლექციებითა და ესეებით იწყება ქართული მოდერნიზმის იდეოლოგია.

გრიგოლ რობაქიძე ლიტერატურის სპეციფიკურ საკითხებს ეხებოდა, შემოჰყავდა ახალი სახელები, ახლებურად ხსნიდა ძველ და ნაცნობ პრობლემებს. იგი თვლიდა, რომ ქართულ კულტურას განახლება სჭირდებოდა, ევროპული თვალთახედვა, მისტიკური ჭვრეტა, ფილოსოფიის, მითოლოგიის გამოყენება, მიბრუნება ძველი საქართველოსკენ.

გრიგოლ რობაქიძე განახლების პათოსმა მიიყვანა ჯერ სიმბოლიზმთან, 1921 წლიდან - ექსპრესიონიზმთან.

ცდილობდა, ესსეში ყოფილიყო ესეისტზე მეტი, ლექსში - პოეტზე მეტი, პროზაში - პროზაიკოსზე მეტი, როგორც მოაზროვნე და ქადაგი. იგი იყო ახალი დროის ზეკაცი, მოთოსიდან მოვლენილი პიროვნება, რომელმაც შექმნა მწერლის ავტორიტეტი [სიგუა, 2002 , 56-59].

თავი IV

ქართული პუბლიცისტიკის როლი გრიგოლ რობაქიძის ესეისტიკის განვითარებაში

ქართული პუბლიცისტიკის ისტორია მე-19 საუკუნიდან იწყება და დღემდე ითავისებს ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს. მეოცე საუკუნის 10-20-30-იანი წლები ქართული პრესის რენესანსის პერიოდად ითვლება. ეს გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, „ცისფერყანწელების" ზეობის ხანაა. ეს იყო უმდიდრესი ეპოქა, როცა საქართველომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მსოფლიო რევოლუციების განხორციელებაში, მოიპოვა და დაკარგა დამოუკიდებლობა, წარმოშვა დიდი მწერლებისა და პოეტების მთელი პლეადა. ამ დიდ მოღვაწეთა მიზანს წარმოადგენდა საქართველოს იმპერიალისტური უღლიდან გამოხსნა და ევროპასთან დაახლოება. სწორედ ამ ეპოქის დიდი წარმომადგენელია გრიგოლ რობაქიძე, რომლის პუბლიცისტურმა ესეებმა დიდწილად განსაზღვრეს ევროპეიზმის დომინანტი ქართულ მწერლობაში, რაც სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის, დადაიზმისა და სხვა ლიტერატურული მიმდინარეობების სიით გამოვლინდა.

თემატური თვალსაზრისით, რობაქიძის შემოქმედება მრავლაფეროვანია. ფართო განათლებისა და თვალსაწიერის მქონე მწერლის გონება სწვდება ქართული ეთნოლოგიის, მუსიკის, მხატვრობის, ცეკვის, მწერლობის საკითხებს; ყურადღებას ამახვილებს სრულიად სხვადასხვა ჯურის (ზოგჯერ ანტიპოდური მიმართულებისა და მიდრეკილებების) პოლიტიკურ მოღვაწეებზე. განსაკუთრებით ბევრს ფიქრობს მწერალი ჩვენი ერის არსსა და რაობაზე, მის ავ-კარგზე, ჩვენი ხალხისთვის დამახასიათებელ იმ სპეციფიკურ თვისებებზე, რითაც იგი თვითმყოფადობას და ორიგინალობას ავლენს. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით ემიგრანტმა მწერლებმა დააყენეს. ეს, ალბათ, ბუნებრივიც არის, რადგან ემიგრაციაში მყოფ მამულიშვილებს კიდევ უფრო მეტად აწუხებთ მიტოვებული სამშობლოსა და მშობელი ხალხის საერთო-საკაცობრიო ფუნქცია და მნიშვნელობა, მათ მეტი საშაულებაც ჰქონდათ, სხვა ხალხთა ზნე – ხასიათი და ავ-კარგი შეეწონებინათ და შეედარებინათ ჩვენი ეროვნული თვისებებისთვის. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას გამოეხმაურა გრიგოლ რობაქიძე 1927 წელს, ალმანახ „ქართულ მწერლობაში" ესეისტური წერილით „საქართველოს ხერხემალი". შემოქმედს ქართული ეთნოსის საკითხებთან

ახლოს მდგომ ფენომენად მიაჩნდა ქართული მუსიკა, ცეკვა და მხატვრობა. ამ თემებზე წერისას იგი ყოველთვის ითვალისწინებს იმ არსებითს, რაც განსაზღვრავს ამ ზოგადსაკაცობრიო ხელოვნებაში ჩვენეულს, ეროვნულს, სპეციფიკურსა და დამახასია-თებელს. სწორედ ამ მიზნით არის დაწერილი ცნობილი ესე – „ქართული გენია როკვით განფენილი“ და „ნიკო ფიროსმანი“, „მოქანდაკე ნიკოლაძე“ და სხვები. უწინარეს ყოვლისა კი, ქართული სიტყვის ალქიმიაზე დაწერილი ესე „სიტყვის დროა“, სადაც ერის ფსიქოლოგიის პრიზმიდან არის დანახული სიტყვათქმნადობის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ რობაქიძე დიდი ხნის განმავლობაში ევროპაში ცხოვრობდა და ნაწარმოებების უმრავლესობა გერმანულ ენაზეა გამოქვეყნებული, შემოქმედების მთავარ თემას მაინც საქართველო წარმოადგენდა, წარსულით, მომავლით, ისტორიითა და კულტურით. რობაქიძე ეძებდა ქართველთა სულიერ პორტრეტს, ცდილობდა ჩასწვდომოდა თავისი ხალხის არსს. დარწმუნებული იყო, რომ კულტურა, რაც უფრო უნივერსალურია, მით უფრო ინდივიდუალურია.

1931 წელს ესად ბეისთან საუბარში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ძალიან აფასებს „ცისფერყანწელებს“, მაგრამ მათი მეთაური არასდროს ყოფილა. საკუთარ ლიტერა-ტურულ განათლებას კი, გილგამეშის ეპოსს და ბაბილონურ-ირანულ გადმოცემებს უკავშირებს და არა, ფრანგ, ან რუს სიმბოლისტებს. მათ გაცოცხლებას იგი „ევროპის ლიტერატურული ტექნიკის საშუალებებით“ ცდილობდა [გაგნიძე, 2011, 2].

გრიგოლ რობაქიძის ესეების უმთავრს თემას დიდი ადამიანის პრობლემა წარმოადგენს, ყურადღებას იპყრობს ერთი მხრივ ქართველ მწერალთა შესახებ შექმნილი ესეები („შოთა რუსთაველი“, „აკაკის ქნარი“, „ფოთლები“, ტექსტები ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ბესიკის, ვაჟას, ეგნატე ნინოშვილის და სხვათა შესახებ) და, მეორე მხრივ, ესეები, რომელიც პოლიტიკურ მოღვაწეებს მიუძღვნა (ლენინი, ჰიტლერი, ევგენი გეგეჭკორი). ლიტერატურულ ესეს გრიგოლ რობაქიძემ თამამდ ამოუყენა გვერდით პოლიტიკური ესეც. მათში შესანიშნავად ჩანს სიტყვის დიდოსტატის ესთეტიკურ-მხატვრული კრედო, მისი ლიტერატურულ-ესეისტური პრინციპები. 1947 წლის შემოდგომაზე, გერმანელი მწერლებისადმი მიმართვაში „ჩემი განმარტება“ რობაქიძემ თანამემამულეებსაც მიმართა წერილით („გულნადები”). იგი ერთგვარი ახსნა-განმარტებაა ემიგრაციაში შექმნილი ესეებისა, რომელიც ჰიტლერის და მუსოლი-ნის პორტრეტებს ეხება. მწერლის თქმით, „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ არ არის

ფაშისტური წიგნები. ეს არის სტალინის, ჰიტლერისა და მუსოლინის პოლიტიკური პორტრეტები „მესამე ნაპირზე“ მდგომი მწერლის გადმოსახედიდან.

ომის განმავლობაში რობაქიძეს შესთავაზეს რადიოგადაცემის წაყვანა, რაზეც უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ომის პერიოდში ბრიუსელის გერმანულენოვანმა გაზეთმა რობაქიძეს კავკასიის შესახებ ტექსტები მოსთხოვა. მან სიამოვნებით გადასცა შერჩეული სტატიები, სადაც მწერალმა არა პოლიტიკური, არამედ ისტორიული და მითიური თემები შერჩია. რობაქიძე ასახელებს ამ ხუთი წერილის სათაურს „გულისნადებში“ ისინი ქართული ვერსიისგან შინაარსობრივად არ განსხვადებიან: „საქართველო და ჯვაროსნები“ („Georgien und die Kreuzuge“ – საქართველო და ჯვარსონები), ივანე ორბელიანი („Iwane, der gorgische Hagen“), „პრომეთეს ნაშიერნი“ („Das Geschkecht des Prometheus“ – პრომეთეს სქესი), „წმინდა მთები“ („Berge sind die Heime Götter“ – მთები ღმერთების სახლებია), „იმამ შამილი“(„Freiheitskämfer Imam Shamyl“ – თავისუფლებისთვის მებრძოლი იმამ შამილი). რობაქიძეს სთხოვეს ქართველ ტყვეებს შეხვედროდა. მან თემები ამჯერადაც საქართველოს ისტორიიდან და მითოლოგიიდან აარჩია. ასევე თავისი ლექსი „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილი შვილისადმი“ („Brief einer georgischen Mutter an ihren Sohn im Felde“) წაუკითხა. ბრდენბურგში წაიკითხა ვაჟა-ფშაველას ორი ლექსი და საკუთარი – „ვაჟაური“ („Nach der Manier von Washa“) და „მიწის სჯული“ („Erde und Glaube“). მწერალი სიამაყით აღნიშნავს, რომ მისი ნაწარმოებები გერმანიაში 250. 000 ეგზემპლიარად გამოიცა, ცხრა წიგნი გამოაქვეყნა გერმანულ, ორი ჩეხურ, ერთი იტალიურ ენაზე. კიდევ ორი თარგმანი იგეგმება ფრანგულ ენაზე. ერთი ნოველა ესპერანტოზე დაიბეჭდა, ასევე იგეგმება ესპანური თარგმანები. სხვადასხვა ქვეყნიდან მიიღო უამრავი წერილი, მხოლოდ გერმანიიდან – სულ ცოტა 10 000 მაინც. სამი წიგნის ხელნაწერი დაასრულა: 1. ატლანტური ზმანება ანუ ქართული მითოსი („Atlantischer Traum oder der georgische Mytos“), 2. ისრაელი, ვითარცა საიდუმლო ბედისწერა („Israel als Geheimnis und Schicksal“), 3. ისიდას ჭასთან („Am Isis – Brunnen“). ქართულად წიგნის წერას საბეჭდი მანქანის უქონოლბის გამო ვერ ახერხებს. მათი გადატანა ნელ-ნელა ქაღალდზე ხელით უწევს. „გულნადებში“ იგი ქართველ მწერლებს სთხოვს, რომ ნამუშევრები გამოუგზავნონ. წერილს რობაქიძე ანდერძით ასრულებს, რომელშიც მცხეთაში მისთვის ლოცვას შესთხოვს და ყველა ქართველს ლოცავს. თავისი ახალი

ნამუშევრებიდან (არც ერთი მათგანი არ დაბეჭდილა) ასახელებს:

„ფრიდრიხ ნიცშე ეზოთერული“ („Friedrich Nietzsche esoterisch“);

„ვინსენტ ვან გოგი“ (“Vincent van Gogh“);

„დაუბადებელი სიტყვა, როგორც პოეზიის პირველწყარო“ („Das ungeborene Wort als die Urequelle der Poesie“);

„ატომის გახლეჩვა“ („Atomispaltung“);

„ტექნე და მითოსი“ („Techne und Mythos“);

„თომას მანის „დოქტორი ფაუსტი“ („Doktor Faustus“ von Thomas Mann).

ცნობილია, რომ რობაქიძის ნაწარმოებები არსებობას პირად არქივებში განაგრძობენ. 1963 წელს რუდოლფ კარმანის ნაწერებიდან ჩანს, რომ წერილში დასახელებული ნაშრომები („ნესუს პერანგი“, „ატლანტური ზმანება, ანუ ქართული მითოსი“, „იზისის ჭასთან“, „ფრიდრიხ ნიცშე ეზოთერეული“) და კიდევ სხვა გამქრალი ნაწერები მისთვის კარგად ნაცნობია. სავარაუდოდ, თავად წაუკითხავს ეს ტექსტები. ქართულად ნათარგმნია მისი მეუღლის – გიტასადმი 1961 წლის 27 აპრილიდან 1962 წლის ივნისამდე მიწერილი წერილები. ირკვევა, რომ გიტა მისადმი მიძღვნილ ლექსებს სიამოვნებით კითხულობდა, მის რომანებს მწერლის პირადად გაცნობამდე იცნობდა. ერთ-ერთ წერილში რობაქიძე უამბობს სიზმარს, რომელშიც ზეცა და ჯოჯოხეთ იხილა, როგორც ჩანს, მწერალმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო.

ესეიტიკური მრწამსი მთლიანად თავსდება მწერლის საერთო თვალსაწიერში, მის მოსაზრებებში ლიტერატურის შესახებ. ურთულესი პროზაული ქმნილებები არსებითად ესეისტური პრინციპით არის შეთხზული. ამ ნაწარმოებებშიც აშკარად იკვეთება ესესთვის დამახასიათებელი ფრაზის ეფექტური მომარჯვება, უმთარესად სწრაფი ემოციის გამოსაწვევად გამიზნული სიტყვიერ-სტილური და სინტაქსური ეფექტები, ამ მხრივ ქრესტომათიული ნიმუშია ესე ეგნატე ნინოშვილზე.

„საქართველოს ხერხემალში“ ავტორი მიუთითებს, რომ არ არის კამათი აუცილებელი, აქ მხოლოდ ჩვენებაა საჭირო. ვფიქრობთ, ამ კუთხით მისი ესეისტურშემოქმედებითი მრწამსის გასაღები ნაპოვნია. 1918 წლის 23 იანვარს რობაქიძემ ქუთაისის თეატრში წაიკითხა მოხსნება „ბესიკი და ახალი ლიტერატურა“, სადაც ბრძანა: „არის ორი სიტყვა: სიტყვა – ხმა (ბგერა) და სიტყვა – შინაარსი. პირველს აღიარებს ფუტურიზმი, მეორეს მიმართავენ ე. წ. ისტორიული პოეზიის მიმდევარნი. საჭიროა

მათი სინთეზი და ასეთი სინთეზის, შეერთების გზით უნდა გადაწყდეს მხატვრული ნაწარმოების თხზვის პრობლემა“ [რობაქიძე, 1991, 182-185]. ესეებში გრიგოლ რობაქიძე სწორედ ასე უდგება საქმეს, ცდილობს სიტყვის აკუსტიკური მხარე, მისი ბგერწერული სილამაზე და შინაარსობრივი პლანი შეაერთოს. სტატია „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“ გვამცნობს მწერლის ესთეტიკურ დამოკიდებულებას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. მისი აზრით, არა მარტო გონებით, არამედ განცდითაც უნდა შეიმეცნო ეროვნული ყოფა. შემოქმედის ფიქრით, ეროვნული მითოსი, სიმბოლო, სამეტყველო საშუალებანი ინდივიდუალურ მწერლურ ლაბორატორიაში დამუშავებისას ავტორის შინაგან ცეცხლსაც უნდა იტაცებდეს. „სიმბოლო“, „მითოსი“, „მარადი მყოფადი“ – მარტო სახელოსნოში კი არ მუშავდებიან ჩემსაში, ისინი „დედიშობილაა“, ჩემი ცეცხლია, რომლითაც ვცოცხლობ... ამ ცეცხლით რომ არ ვიწვოდე ჩემი შემოქმედება „უცეცხლო“ იქნებოდა და როგორც ასეთი – „უნაყოფოც“ [რობაქიძე, 1996, 88]. სწორედ ამ ცეცხლითაა ნაწრთობი მისი ესეისტიკაც, როგორც შემოქმედების განუყოფელი ნაწილი.

ქართული პუბლიცისტიკა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ცდილობდა გამოეთქვა ყველა საჭირბოროტო აზრი. კულტურული, პოლიტიკური და სოციალური იდეები მიმზიდველად მიეწოდებინა საზოგადოების ყველა ფენისათვის. პუბლიცისტიკა ლიტერატურის განსაკუთრებული სახეა, რომელიც მოიცავს მხატვრული შემოქმედების მრავალ პლასტს და ექსპრესიულობით გამოირჩევა. განვლილი ეპოქების ცნობილი შემოქმედები და მოღვაწეები სწორედ პუბლიცისტური მოღვაწეობით ზემოქმედებდნენ საკუთარი დროის საზოგადოებაზე, ფართო მასებზე, ზოგადად, პუბლიკაზე.

პუბლიცისტიკა იძლევა შესაძლებლობებს შემოქმედებითი ნატურის ადამიანმა სრულყოფილად გამოთქვას ინდივიდუალური მოსაზრებები, მხარი დაუჭიროს მისთვის სასურველ იდეოლოგიას და სცადოს სხვები აიყოლიოს, მიმართოს სხვებს, ჩაერთოს დიალოგში მასასთან და მრავალი აპრობირებული ხერხი გამოიყენოს ამისთვის.

ქართული პუბლიცისტიკა ჩვენი საზოგადოების განვითარების დონის მაჩვენებელია, რადგან მასში საზოგადოების სულიერი განვითარების ტენდენციები და ღირებულებები აისახება. საზოგადოებრივი განვითარების თითოეულ ეტაპზე პუბლიცისტიკა პასუხობდა ამ საზოგადოების მოთხოვნებს, ააშკარავებდა მის იდეალებს,

ასახავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს და იდეურ – მსოფლმხედველობითი დაპირისპირების ფონზე გვიჩვენებდა ინტელექტუალთა იდეური პოლარიზაციის სხვადასხვა დონეს.

ქართული პუბლიცისტიკის ისტორია მე-19 საუკუნიდან იწყება და დღემდე ითავისებს ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს. მეოცე საუკუნის 10-20-30-იანი წლები ქართული პრესის რენესანსის პერიოდად ითვლება, რადგან ეს იყო უმდიდრესი ეპოქა, როცა საქართველომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მსოფლიო რევოლუციების განხორციელებაში, მოიპოვა და დაკარგა დამოუკიდებლობა, წარმოშვა დიდი მწერლებისა და პოეტების მთელი პლეადა. ამ დიდ მოღვაწეთა მიზანს წარმოადგენდა საქართველოს იმპერიალისტური უღლიდან გამოხსნა და ევროპასთან დაახლოება. ლიტერატურულ-პუბლიცისტური ტექსტები და სტილი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. იგი ყოველთვის არის ლიტერატურისა და არალიტერატურის ზღვარზე. ეს მიჯნაზე ყოფნა იძლევა შესაძლებლობებს მრავალმხრივი ინტერესების, პარალელებისა და შედარებების მოსატანად, რათა უფრო გამომსახველობითი გახდეს მკითხველისათვის წარმოდგენილი თემატიკა. მწერლის, როგორც ადამიანის და როგორც ერის შვილის იდეური პოსტულატები სწორედ პუბლიცისტური ტექსტებით ხდება უფრო მკაფიო და გასაგები მთელი საზოგადოებისათვის.

გრიგოლ რობაქიძემ საკუთარი ევროპეისტული და, ზოგადად, დასავლური ტიპის მოღვაწეობა ჟურნალ-გაზეთებში პუბლიცისტური წერილების ბეჭდვით დაიწყო. როგორც ცნობილია, გრიგოლ რობაქიძის ორიგინალური მწერლური სტილი, მისი თავისებური ანალიტიკური აზროვნება და იდეები სათავეს იღებენ ევროპული სინამდვილიდან, კერძოდ, ოსკარ უაილდის დენდიზმისა და ფრიდრიხ ნიცშეს „ზეკაცის“ იდეალებიდან. მასზე დიდი გავლენა მოახდინეს რუსმა სიმბოლისტებმაც (ვიაჩესლავ ივანოვი, დიმიტრი მერეჟკოვსკი, ანდრეი ბელი და სხვ.). ისინი თავის მხრივ გრიგოლ რობაქიძეს „ჭეშმარიტ სიმბოლისტად“ მიიჩნევდნენ.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ხელოვანი და მოაზროვნე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა არაორდინალურ აზროვნებას, ისტორიის გენეზისს, მიმდინარე მოვლენებში მისტიკური და ირაციონალური მუხტის აღმოჩენას. იხიბლებოდა პიროვნებებით, რომლებიც ისტორიულ არენაზე გარდაქმნების დიდი პათოსითა და ტემპერამენტით გამოირჩეოდნენ. სწორედ ამიტომ ვხვდებით მის პუბლიცისტიკაში ერთმანეთის

გვერდით ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს, აღმაშენებელსა და ნოე ჟორდანიას, ფიროსმანს, ლენინსა და კაზანცაკისს, ტროცკის და იოსებ ჯუღაშვილს.

ქართული პუბლიცისტიკა და ქართველი პუბლიცისტები ყოველთვის მოუწოდებდნენ თანამედროვეებს, რომ ზიარებოდნენ პროგრესულ იდეებს, ფეხი აეწყოთ ევროპისათვის, ეცხოვრათ და ეკეთებინათ ის, რაც ერის ცხოვრებას უკეთესობისაკენ შემოაბრუნებდა და წარმართავდა. გრიგოლ რობაქიძის ევროპეიზმი უპირველესად თემატიკაში ჩანს, თუ როგორი ინტენსივობით ახსენებს იგი ფრანცისკ ასიზელს, პირველმოწამეებს, ფიროსმანაშვილს, თბილისსა და მცხეთას, თამუზსა და ისიდას, ტელემაკ გურიელს ან სანდრო ახმეტელს. საინტერესოა მისი მეტაფორული ენა მათთან მიმართებით, მისი ენობრივი ქსოვილის ესთეტიზმი და ინფორმაციულობა.

გრიგოლ რობაქიძე ქმნის ანალიზისა და შეფასების მთელ სისტემას, მრავალფეროვან გამმასა და მრავალხმიანობას. საკვალიფიკაციო ნაშრომი „გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული მინიატურული პროზა“, მიზნად ისახავს გამოაშკარაოს და სრულად წარმოაჩინოს მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწყებული მოძრაობა საქართველოს ევროპასთან უშუალო დაახლოების კუთხით, თუ როგორ მოხდა მთელი ქართული მოაზროვნე საზოგადოების თვალთახედვის მიმართვა ევროპული და ზოგადად დასავლური ფასეულობებისაკენ და მათი კულტურული ფასეულობების დამკვიდრებისთვის ბრძოლა. ეს იყო ქვეყნის ამოთრევის ცდა კოლონიური ყოფიდან და ახალი იდეოლოგიის დამკვიდრება, რომელიც ქართველობას მიზნად უღლიდან გათავისუფლებას და ევროპული იდეალების მსახურებას უსახავდა.

გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკის გაცნობის შემდგომ ცხადი ხდება, რომ პიროვნული თავისუფლება, ზნეობრივი არჩევანის სიწრფელე და ზოგადკაცობრიული იდეალების მსახურება იყო მისი, როგორც შემოქმედება და მამულიშვილის უპირველესი ღირსება. საკვალიფიკაციო ნაშრომი „გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული მინიატურული პროზა“ მოიცავს მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის ძალიან სინტერესო პერიოდს, როცა იგი ნაყოფიერად მუშაობდა და ქმნიდა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ტექსტებს. ჩვენი დაკვირვების ობიექტს გრიგოლ რობაქიძის მცირე პროზასთან ერთად წარმოადგენს მისი სტატიები, ანალიტიკური ხასიათის წერილები და ესეები, რომლებიც ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში ინტენსიურად ქვეყნდებოდა და საზოგადოების სამსჯავროზე გამოდიოდა. ბევრი მათგანი დღესაც

მნიშვნელოვანია ჩვენი ერის ყოფისა და ინტელექტუალური ცხოვრებისათვის. გრიგოლ რობაქიძემ შექმნა სრულიად განსხვავებული ენობრივ-მენტალური პუბლიცისტური წერილების მთელი სერია, რომელთა თემატიკა მრავალფეროვანი და განსხვავებლია. მიუხედავად საკითხთა მრავალგვარობისა, გრიგოლ რობაქიძის იდეა არ იცვლებოდა, იგი მხოლოდ ქართული გენის მსოფლიოსთან დაახლოებას ისახავდა მიზნად. გრიგოლ რობაქიძის, როგორც ევროპეიზმის გამომხატველი მოაზროვნის პუბლიცისტიკის შესწავლა არის სკრუპულოზური ცდა, თავი მოუყაროს და მთლიანობაში წარმოადგინოს გრიგოლ რობაქიძის, უმდიდრესი შემოქმედების, პუბლიცისტური პლასტი და მისი ორიგინალური აზროვნებითი სისტემა.

მეოცე საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებას იპყრობს გრიგოლ რობაქიძე, მასთან ერთად არიან „ცისფერყანწელები", სწორედ მათ მოგვცეს ქართული პრესისა და ლიტერატურული ცხოვრების უნიკალური ნიმუშები და მაგალითები. გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა, ერთი შეხედვით, სრულიად ვიწრო წრისათვის განკუთვნილი გვეჩვენება, რადგან მისი აზროვნება უჩვეულო და ყველასათვის გასაგები როდია; ხოლო მისეული შეფასებები ხშირად არაცნობიერის სიღრმეებიდან არის განცდილი, მაგრამ ზემოთ ხსენებულ სიძნელეთა მიუხედავად, გრიგოლ რობაქიძე უაღრესი დემოკრატიული პათოსის მქონეა თავის მხატვრულ ტექსტებში და პუბლიცისტურ წერილებში, სადაც მთლიანად ქართველი ხალხის გენია, მისი ყველა ფენის სიყვარული, სატკივარია გამოტანილი და საქვეყნოდ გამომზეურებული. გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, მისეული ექსკურსი და შინაგანი ბუნების შეცნობის ცდები პოლიტიკური ფიგურების სახეთა ანალიზისას ძალიან საინტერესო და გასათვალისწინებელია.

გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვის არეალი ძალიან ფართოა. იგი მოიცავს წარმართულ-ორგიასტულ კარნავალებს, ქრისტიანობის თავდაპირველ პროგრესულობას, ქართული პოლიტიკის მესიანისტურ იდეას, მითოლოგიებს, პიროვნების კულტის თემატიკას, მწერლობას, მხატვრობას, მუსიკას, თეატრს... ასახავს ადამიანური ცხოვრების სოციალურ და სულიერ მხარეებს.

ჩვენი აზრით, სწორედ პუბლიცისტური წერილების გაცნობით გახდება შესაძლებელი გრიგოლ რობაქიძის როლისა და ადგილის განსაზღვრა ქართულ სინამდვილეში, მისი დიდი ამაგის გამომზეურება ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის

რელსებზე შედგომაში, რაც ასეთი აქტუალური და დასაფასებელია დღევანდელ ხანაშიც. ქართველ შემოქმედთა დიდი ნაწილი ყოველთვის პროგრესისა და დასავლური მენტალიტეტის მქონე იყო. ბევრი მათგანი საბჭოურ კონიუნქტურას უპირისპირდებოდა და ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელ კლიშეებს, მის დამთრგუნველ იდეოლოგიურ წნეხს არ ეპუებოდა.

მართალია, საშიში იყო დასავლური ღირებულებების მსახურება ბოლშევიკების ზეობის ხანაში, მაგრამ ზოგიერთები ფარულად ეწინააღმდეგებოდნენ ტოტალიტარიზმის იდეოლოგიას. მიუხედავად დიდი პატივისცემისა და მოწიწებისა ევროპული კულტურისადმი, ჩვენი მწერლები და მოაზროვნეები დასავლურისადმი ზომიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ, უსიტყვოდ და უაპელაციოდ არაფერს იღებდნენ. გრიგოლ რობაქიძე ამგვარი დამოკიდებულების ნიმუშად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან მას ბრმად არასოდეს გადმოუღია და ურწმუნია ესა თუ ის ევროპული მიმდინარეობა, პირიქით ყველაფერში კორექტივები შეჰქონდა.

გრიგოლ რობაქიძის კრიტიცისტული პათოსი და ევროპული კულტურისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ინდივიდუალური დამოკიდებულება და ქართულ ნიადაგზე ახალი იდეების დანერგვა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ქართულ კულტურას ძალიან წაადგა და დაეტყო.

ნებისმიერი მოაზროვნის გონებრივ-ინტელექტუალური სამყარო მის ფილოსოფიურ, სოციალურ და კულტურულ ცნობიერებას ემყარება. გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში ეს აზრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან XX საუკუნის დასაწყისში ქართული მწერლობის სფეროში იგი გამორჩეული მოაზროვნეა, აქვს ღრმად თანადროული ევროპული, თანაც ფართო განათლება, ქართული კულტურის ყოველმხრივი ცოდნა. ამის საფუძველზე გრიგოლ რობაქიძეს შემუშავებული ჰქონდა საკუთარი დამოკიდებულება ქართული კულტურისა და განსაკუთრებით მწერლობისადმი. ეს დამოკიდებულება მყარი, სისტემური ხასიათისაა. ამიტომაც იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისი, როგორც ევროპული ლიტერატურულ-კრიტიკული თუ ზოგადად ესთეტიკური კონცეფციების, თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმდინარეობების ღრმა ცოდნის დონეზე ქართული კულტურის და განსაკუთრებით მწერლობის სფეროებში მიმდინარე ტენდენციების მისეული შეფასებები.

§ 1. ევროპეიზმის პრინციპები და ეროვნული იდეალები გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტურ დისკურსში

ევროპეიზმის პრინციპები ემყარებოდა თანასწორობისა და ტოლერანტობის მოპოვებას ყველა კატეგორიის ინდივიდისთვის. იმავდროულად ხელოვნებაში რჩეულობისა და ინდივიდუალურობის პათოსიც მძლავრობდა. განსაკუთრებით ხიბლავდა გრიგოლ რობაქიძეს, რასაც იგი გოეთეს „ურფენომენს", შოპენჰაუერის ესთეტიზმს და ნიცშეს „ზეკაცურობას" უკავშირებდა. ეროვნულ ნიადაგზე ამ უკიდურესად ინდივიდუალურ იდეებს მიეძღვნა მთელი რიგი პუბლიცისტური წერილებისა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა.

გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტური დისკურსის მნიშვნელობა მის ესთეტიზმსა და რეალურ პრაგმატიზმს ემყარება, რაც სრულიად უჩვეულო მოვლენა იყო მეოცე საუკუნის საქართველოში. გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპების რაობას, ბუნებრივია, მისი მსოფლმხედველობა განსაზღვრავს. ამიტომ პირველ რიგში სწორედ ამ მსოფლმხედველობის სპეციფიკის გამოვლენაა აუცილებელი. ამ საკითხზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მნიშვნელოვანია წერილი „კლასური და ეროვნული", რომელიც 1918 წელს გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა (№37). აქ უპირველესად ყურადღებას იქცევს კლასობრივისა და ეროვნულის დაპირისპირება.

გრიგოლ რობაქიძე ეროვნულ სინამდვილეში ამგვარი პრინციპის დამკვიდრებას პოლიტიკურ მოვლენად აფასებს. საზოგადოების სოციალურ კლასებად დაყოფა არღვევს მის მთლიანობას, რაც უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე თავად სახელმწიფოს არსებობას უქმნის საფრთხეს. გრიგოლ რობაქიძე, ცხადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სიმყარის გარანტიას ეროვნულ მთლიანობაში ხედავს. 1920 წელს ქართველი ხალხის ეროვნულ ერთიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ „კლასურისა და ეროვნულის დაპირისპირებას ჩვენში ძველად თეორიული ხასიათი უფრო ჰქონდა ვიდრე სინამდვილის" მისი აზრით, „თანადროული ანარქიის ჟამს ეს დაპირისპირება ცხოვრების ნამდვილ სიმახვილეს ღებულებს" ამიტომ იგი დასაშვებად მიიჩნევს, რომ კლასობრივის, ეროვნულის ზანარულობა ფრთხილ და გონივრულ გადაწყვეტას გულისხმობს და საჭიროებს, უმართებულო გაადაწყვეტამ კი შესაძლოა იგივე გამოიწვიოს, რაც მოხდა რუსეთში, ანუ „დაპირისპირება დაღუპვას უქადის საქართველოს გამთელების იდეას", ამიტომ ამ

პრობლემის გადაწყვეტას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

კლასიკურისა და ეროვნულის დაპირისპირებაში უპირატესობა პირველს ეძლეოდა სოციალისტური სწავლებით, _ განსაკუთრებით სოციალიზმის მარქსისტული მიმდინარეობით. კლასთა ბრძოლა, როგორც ისტორიის ერთგვარი ჩარხი, ჩარკინებულია მარქსიზმის მტკიცე სოციალ – ეკონომიკურ კონცეფციაში. გრიგოლ რობაქიძე თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს სინამდვილიდან აფასებს რუსული რევოლუციის შედეგად დამყარებულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას.

მას დიდი პერსპექტივების შემცველად არ მიაჩნია კლასობრივი სოლიდარობის იდეა. ამიტომაც ამბობს: „რევოლუციის დაწყებისას ბევრს ეგონა საერთაშორისო პროლეტარიატის საქმე გამოსწორდებოდა. მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის რევოლუციამ ევროპის პროლეტარიატში ვერ გამოიწვია სათანადო გამოხმაურება, პირიქით: ევროპაში დღეს იმგვარივე მდგომარეობაა პროლეტარიატის სულის განწყობილების მხრით, როგორიც იყო რუსეთის რევოლუციის დაწყებამდე. თითონ რუსეთშიც პროლეტარიატის მიერ წამოწყებული კლასთა ბრძოლა იმარჯვებს იმდენად, რამდენადაც იგი ეროვნულს ხელმწიფებაში ყალიბდება. ავიღოთ ფინლანდია ან უკრაინა: პირველშიც და მეორეშიც უცილოდ გაღრმავებულია კლასთა ბრძოლა, მაგრამ უკანასკნელი დაქვემდებარებულია ეროვნულ მომენტს. იქ, საცა წინააღმდეგი ხდება, მაგალითად ველოკორუსიაში, – იქ კლასთა ბრძოლა ეროვნულ ხელმწიფებასაც დაღუპავს და თვითონ რევოლუციასაც“ [რობაქიძე, 1918, 2]. სრულიად ცხადია, რომ გრიგოლ რობაქიძე პირველ ადგილზე აყენებს ეროვნულ ინტერესებს და აშკარად წარმოაჩენს სოციალურის პრიმატში არსებულ რისკებს. ამ სინამდვილის მართებული ათვისება საქართველოსათვის განსაკუთრებით საჭიროა დღეს.

მოცემულ მონაკვეთს გრიგოლ რობაქიძე სიღრმისეულად განიხილავს. მისთვის ნათელია ქართველის ბუნება და ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოაჩენს მის რეალურ სახეს. სამწუხაროდ, ქართველი ადამიანის ბუნებაშია სწორედ ის თვისება, რასაც მხოლოდ საკუთარ „მე“-ზე ზრუნვა ჰქვია და მისთვის ზოგადეროვნული კეთილდღეობა კი არა, მხოლოდ პირადი კეთილდღეობაა მნიშვნელოვანი.

გრიგოლ რობაქიძისეული ხედვა კლასიკურსა და ეროვნულთან დაკავშირებით აბსოლუტურად მისაღებია. მან, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, ადამიანი, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ქართველის ბუნებას, ზუსტად შეაფასა თუ რაოდენ დიდი

სხვაობაა კლასიკურსა და ეროვნულს შორის. მისი თვალთახედვით, ნებისმიერი ერის მთავარი ქვაკუთხედი არის ეროვნულობა. თუკი ხალხი ამას დაივიწყებს, შედეგიც ანალოგიური იქნება, რასაც გრიგოლ რობაქიძე ამ ეპიზოდში სიღრმისეულად განიხილავს. ასეთია გრიგოლ რობაქიძის საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც კვებავს მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებსაც.

ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძე იყო ფრიდრიხ ნიცშეს პროპაგანდისტი, რასაც პოლემიკაც მოჰყვა (დავით კასრაძე, სანდრო შანშიაშვილი).

სიმბოლო, მითი და მითის ქმნადობა გახდა გრიგოლ რობაქიძის აზროვნების ფუნდამენტი, რომელიც მზის, სისხლისა და ცეცხლის სხივებად გაიშალა და ქართული რასის ცნებაში მოექცა.

გრიგოლ რობაქიძე თავიანთ მასწავლებლად დასახეს ახალგაზრდა „ცისფერყან-წელებმა“ და მისი ესთეტიკური უნივერსალიზმი სიმბოლიზმის რკალში მოაქციეს. მართალია, სიბერეში უარყოფდა „ცისფერი ორდენის“ წევრობას, მაგრამ ფაქტია, რომ თავიანთ „კარდინალად“, მეტრად და ლიდერად აცხადებდნენ ჭაბუკი სიმბოლისტები. „მეოცნებე ნიამორების“ თითქმის ყველა ნომერი იხსნება გრიგოლ რობაქიძის ლექსით. მას უძღვნიან აღტაცებულ სტრიქონებს, ხოლო არაწევრთაგან „ცისფერყანწელები“ ხელს უწვდიდნენ მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს და ნიკო ლორთქიფანიძეს. სისტემატიურად კი არც მათ ბეჭდავდნენ.

გრიგოლ რობაქიძე არ მონაწილეობდა ახალგაზრდების ბოჰემურ ცხოვრებაში. იგი სიმბოლისტი იყო არა თავისი ტემპერამენტით, არამედ მსოფლმხედველობით და ხელოვნებას აფასებდა აზრის თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის იყო გატაცებული ფრიდრიჰ ნიცშეს შემოქმედებით. ახალგაზრდობაში იგი, უცხოეთიდან დაბრუნებული როცა საჯარო ლექციებს კითხულობდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ნიცშეს შემოქმედებას. მისი ლექციების გამო ცხარე კამათიც კი გამართულა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე ფრიდრიჰ ნიცშეს გავლენა არსებით ხასიათს ატარებს, თავადაც არ მალავდა ამას, თუმცა ამ იდეის არსი მან თავისებურად გაიაზრა.

მარადიული დაბრუნების იდეა ნიცშეს ერთი-ერთი უმთავრესი იდეაა, თუმცა მისი სირთულიდან გამომდინარე იდეის სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს. ერეკლე ტატიშვილის თარგმნილ „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ბოლოსიტყვაობაში თამაზ

ბუაჩიძე ასეთ განმარტებას აძლევს მას: „ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, უკვე მოხდა! მოხდა მარადიულ უსასრულო წარსულში. სწორედ იმიტომ, რომ იგი უსასრულოა, მოხდა ყველაფერი, რაც მოსახდენია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარსული და მომავალი არ არიან დაპირისპირებული, როგორც აქამდე ჩანდა. ყველაფერი უკვე მოხდა. ამიტომ მომავლისაკენ სვლა წარსულისკენ სვლაა. დრო არის წრე. ყველაფერი მეორდება, ყველაფერი, რაც იყო, კვლავ ბრუნდება წინსვლა უკანსვლაა. მომავალი ისაა, რაც იყო. წარსული ისაა, რაც იქნება. ის რაც ახლაა, მარად იყო და მარად განმეორდება“ [ბაქრაძე, 2003, 148] .

აკაკი ბაქრაძის აზრით, გრიგოლ რობაქიძე მარადიული დაბრუნების იდეას სწრედ ბუაჩიძის განმარტების თვალსაზრისით იყენებს. გრიგოლ რობაქიძეს აზრით მითიურმა არ იცის დროის დინება, არ იცნობს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მითიურში მარადიული აწმყოა. მაშასადამე, ის რაც მითიურში არსებობდა, არსებობს დღესაც. მარადიული დაბრუნების კონცეფციით, ყველაფერი მეორდება. ყველაფერი, რაც იყო, კვლავ ბრუნდება. აქ მითიური და მარადიული დაბრუნება ერთმანეთს გადაეჯაჭვა, ერთიან აზრად ჩამოყალიბდა.

მარადიული დაბრუნების იდეა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში კონკრეტულ სახეს იღებს. არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილი ის არის, რაც დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძეა. დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძე ის არის, რაც არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილია („გველის პერანგი“). ივლიტე ის არის, რაც დალია, დალი ის არის, რაც ივლიტეა („დალი“). ბრუნდება არა მხოლოდ სხეული, არამედ ბუნება, ხასიათი, თვისება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები მწერალმა ობიექტურად შეაფასა, რაზეც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართული რენესანსი“ წერდა:

„ქართველმა მოკლა საქრთველოს მძლავრი მხედარი, ხოლო სისხლით შეფერილ ხელს რომ დახედა, მკვლელმა საქართველოს სახე დაინახა… ქართველმა იგრძნო საქართველო და ამ გზნებიდან ისახება ქართული რენესანსი“ [რობაქიძე, 1917, 2].

აქედან გამომდინარე მწერალს სურს ირწმუნოს, რომ ქართველ ერში კვლავაც დაბრუნდება ის რაინდული თვისება რაც მას ადრე გააჩნდა. 1916 წელს წერილში - „რაინდული საქართველო“ გრიგოლ რობაქიძე წერდა:

„ქართული რასსა რაინდული სისხლით არის აცეცხლებული. ეს არ არი უბრალო სიტყვა და არც უბრალო თვისება. საქართველოს ისტორია რაინდობის პათოსით იმართებოდა ყოველთვის, რაინდობა ჩვენი ეროვნული პროფილის შნოიანი ხაზულია.

ჩვენ ვართ მზეთა შვილები და გვიყვარს მეტად მზეოსანი ლალებით მოთენთილობა. ჩვენი საშოს წყაროსთვალი მუქი ზურმუხტია და სიამით ვეფინებით მწვანილოვან მდელოს. მოტრფიალენი ვართ „უსაქმო“ სილამაზისა და გამუდმებით ვიწვით მშვენიერებისათვის. ვაღმერთებთ სიცოცხლეს, როგორც ცეცხლის მოთაყვანე წარმართები და ყველაზე მეტად უდარდელობას ვაფასებთ. გვიყვარს ლაგამახსნილი ქეიფი და გვათრობს ალესილი ხმლის სისხლიანი სიმღერა. ჩვენ სიფიცხეს გვწამებენ და უთმენელობას. დიახ: ჩვენ ფიცხელნი ვართ და უთმენელობა ჩვენი რკინეული ნების შურისძიებაა მხოლოდ“ [ბაქრაძე, 2003, 150].

ალბათ, მთელ ქართულ ლიტერატურაშიც კი ძნელად თუ მოიპოვება ქართველობის ამგვარი შეფასება.

მარადიული დაბრუნების იდეა გრიგოლ რობაქიძესთვის იმედის წყარო იყო, რომ დაბრუნდებოდა რაინდული, ნამდვილი ვაჟური და ნამდვილი ქალური.

მარადიული დაბრუნების იდეა რობაქიძესთან არა მარტო ისტორიულ, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. მე-20 საუკუნის დასაწყისი რუსული რევოლუციის შედეგების გამო საქართველოს ისტორიისათვის ერთ-ერთი რთული პერიოდი იყო. ეს გახდა რობაქიძისათვის ემიგრაციის მიზეზი, საიდანაც იგი ვეღარ დაბრუნდა. მწერალი მომავლის იმედებს ამყარებდა ოქროს ეპოქის დადგომაზე, რომელსაც იგი წარსულში ეძებდა. მარადიული დაბრუნების იდეა მის შემოქმედებაში წარმოდგენილა როგორც იმედის წყარო.

გრიგოლ რობაქიძემ ღრმად გაითავისა ნიცშეს ფილოსოფია, რომელმაც ჩამოაყალიბა და განსაზღვრა ექსპრესიონიზმის ესთეტიკა. მან ქართულ ნიადაგზე გადმოიტანა, დაამკვიდრა და გააქართულა იგი. თუმცა უკრიტიკოდ და გარკვეული კორექტურის გარეშე მას არ მიუღია ნიცშეს ნააზრევი. ლუიჯი მაგაროტოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „რობაქიძე ესწრაფვოდა ისეთი ხელოვნების თეორიისა და პოეტური ტექნიკის მიღწევას, რომელიც ქართული ავანგარდის შიგნით აზროვნების ალტერნატიული მიმართულება უნდა ყოფილიყო“ [ბიბილეიშვილი, 1993, 5]. თავისი მწერლური მიმართულებაც ნიცშეს ფილოსოფიის გავლენით რომ ჩამოყალიბდა, ასე განსაზღვრა

თავად რობაქიძემ: „მითიური რეალიზმი - აი, ფორმულა, მხვედრი ჩემი შემოქმედებისა“ [ბიბილეიშვილი, 1993, 5].

როგორ აისახა ნიცშეს ფილოსოფია ქართველ ხელოვანთა ქმნილებებში? გურამ კანკავა ასე განსაზღვრას ამას:

„ხელოვნების, ე.ი. სამყაროსთან ადამიანის ესთეტიკური მიმართების ორ ურთიერთდაპირისპირებულ საწყისად ნიცშე მიიჩნევს აპოლონურსა და დიონისურ ძალებს. აპოლონი ასახიერებს გამოკვეთილ ფორმას, წესრიგს, ჰარმონიას, არქიტექტურას, მუსიკას, სინათლეს; დიონისე – პირიქით – მარადიულ ნგრევა-შენებას, ზომასა და ფორმას მოკლებულ სწრაფვას, თავაწყვეტილ როკვას, ველურ ლტოლვას, საზღვრებისა და დაუსრულებლობის დამანგრეველ ძალას. ჩვენს მწერლებთან ქართული ეთნოსი, ქართული კულტურა (გრ. რობაქიძისთვის - „კარდუ“- მითიური და ძალზე შორეული დიონისურ სამყაროსთან ასოცირდება, ხოლო ევროპა - აპოლონურის ხატი და სიმბოლოა. ეს არის მშვენიერი ზმანების ოცნების ქვეყანა, რომელშიც სამყარო ხსნას ეძებს. ესაა ნირვანა - უმაღლესი ტკბობისა და ნეტარების საუფლო, სამყაროს ჭვრეტით შემეცნების, ინიციაციის გზა, გაქვავებული სტატიკა [ბიბილეიშვილი, 1993, 5].

სამყაროს ნამდვილი ძირი კი დიონისურია. იგი თავად სიცოცხლეა. დიონისური სამყარო თავის თავში მოიაზრებს ყოფის თეატრალიზებას, რაც დაკავშირებულია სიმბოლოსთან და ნიღბის ფილოსოფიასთან. ეს უკანასკნელი მეტად ახლობელი იყო სწორედ ქართველი სიმბოლისტებისათვის -„ცისფერ ყანწელებისათვის“, ხოლო დიონისოს ცხოვრება, თავგადასავალი (არაერთგზის კვდომა და ახალ-ახალი სახით აღორძინება) - მისი სახეცვლილებები ხარად, გველად თუ მსხმოიარე ვაზად, სიმბოლოთა კასკადს, მათი მრავალსახეობის განუსაზღვრელობას განაპირობებს. [ბიბილეიშვილი, 1993, 5].

დიონისოს სახესთან დაკავშირებულ სახე-სიმბოლოთა უმრავლესობა უძველეს, ჯერ კიდევ წარმართული ხანის ქართულ მითოსთან და ეროვნულ- რელიგიურ კულტებთან ასოცირდება. ეს განაპირობებს დიონისურ სამყაროსთან ქართული კულტურის სიახლოვეს. მწერლის აზრით ქართულმა ქრისტიანობამ წარმართობა კი არ მოსპო არამედ მისი გაგრძელებაა, ამიტომაც ხდება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში დიონისოს ქრისტესთან გაიგივება, რაც თავის მხრივ უკავშრდება ერის „ზე-კაცების“ ფენომენს.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში წარმართობისა და ქრისტიანობის თემასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივად განმარტებას იძლევა აკაკი ბაქრაძე, რის ციტირებასაც პირდაპირ ვახდენთ:

„გრიგოლ რობაქიძეს თანაბრად ხიბლავდა წარმართობის ხორციელება და ქრისტიანობის სულიერება. მისთვის სასურველი ხორციელების და სულიერების ერთიანობა იყო, რომელიც რენესანსის ეპოქამ გამოავლინა. მისი აზრით, ქართული კულტურის მომავალი აღორძნება სწორედ ამ ერთიანობას უნდა დაყრდნობოდა" [ბაქრაძე, 2003, 202].

გრიგოლ რობაქიძის სტილი და იდეები სათავეს იღებს როგორც უაილდისა და ნიცშესგან, ისე რუსული სიმბოლიზმიდან (მაგ., ვიაჩესლავ ივანოვის სულიერი ძიებანი.

ოციან წლებში გაიტაცა ექსპრესიონიზმმა და ოსვალდ შპენგლერმა, დრამამ და მისტერიებმა, წარმართულმა ჰეროიკამ. როგორც ნიცშეანელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნების ფაქტორს. ამიტომ იყო აღფრთოვანებული ჟორდანიას, ლენინის, მუსოლინის თუ ჰიტლერის რევოლუციური ჰეროიკით.

მწერალს მწვავედ არ განუცდია 1921 წლის კატასტროფა და პოსტებიც ეკავა ბოლშევიკურ ხელისუფლებაში, მაგრამ თანდათან ამ მკაცრი ესთეტის ბუნებაში აღდგა ქართველი ნაციონალისტი. მითოსისა და წარმართობისკენ სწრაფვამ, ქვეყნის დაქცევამ, ტერორმა და მსხვერპლმა გაუმახვილა ეროვნული ღირსების გრძნობა.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც მოაზროვნე, მშვიდობიან თანაარსებობას ვერ შეძლებდა პროლეტკულტის იდეოლოგიასთან. ამიტომ გერმანიას შეაფარა თავი, სადაც ძალაუფლებისკენ მიიწევდნენ ჰიტლერის ყავისფერხალათიანები და „XX საუკუნის" მითს ქმნიდნენ სისხლითა და მახვილით [სიგუა , 2002, 60].

§ 2. დიონისოს კულტი და საქართველოს მითოსური ფენები გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

დიონისოს კულტი და საქართველოს მითოსური ფენები გრიგოლ რობაქიძის მინიატურულ პროზაში არის თვალსაჩინო მაგალითი დასავლური კულტურისათვის დამახასიათებელი დიონისური და აპოლონური მითოლოგემების, ფილოსოფიური და ესთეტიკური სიმბოლიზაციის ქართულ გარემოში გადმოტანისა, რასაც პროგრესული

საზოგადოება მიესალმებოდა და რომლის გავლენა ქართულ მოდერნიზმში მკაფიოდ აისახა. მწერალი დიონისური ელემენტების მსოფლიოს ყველა ხალხთა კულტურაში სხვადასხვა სახესხვაობებით არსებობას ემხრობა და არაერთ არგუმენტსაც გვთავაზობს ამისთვის.

დიონისურ – აპოლონური პოეტიკა გრიგოლ რობაქიძემ მთელი თავისი მხტვრული სამყაროს ქვაკუთხედად აქცია. მთელ რიგ ტექსტებში გვხვდება უძველესი ქართველი ერის დაკავშირება წარსული ხანის ცივილიზაციებთან, კაცობრიობის დასაწყისის ხანასთან, რაც არ არის მოკლებული „რასსიულობას“ და რჩეულობის იდეოლოგიას.

გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ-ესთეტიკურ ნააზრევში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვრცელი ნარკვევი „დიონისოს კულტი და საქართველო“, რომელიც გაზეთ საქართველოში გამოქვეყნდა 1917 წელს (№ 241-248). დიონისოს კულტის არსის წარმოსაჩენად, ნარკვევში გრიგოლ რობაქიძე კონცეპტუალურად მიმოიხილავს დიონისოს კულტის გამოვლინებებს თრაკიაში, ჰელლადაში, საქართველოში (ფშავ-ხევსურეთი, კახეთი, რაჭა, ქართლი, აფხაზეთი).

მთელი ისტორია ქართველებისა დიონისური მისტერიაა თავისთავად: „სიკვდილი და სიცოცხლე, გაქრობა და აღდგენა, – მგონი, ჩვენზე უფრო მკვეთრად სხვა ხალხს არ განუცდია და არც არის ქართველ ერში შავი მელანქოლია, ეროვნული პესსიმიზმით გამოწვეული. ქართველ ერმა ყველაზე უფრო მძაფრად მოჰკვეთა ძველ ჰელინთა დიონისური „სიყვარული ბედისადმი“ სამს სიტყვაში „რაც მოხდეს – მოხდეს“ და რაც უნდა მოხდეს, იგი მაინც დიონისურს გუნებაზეა და მღერის მუდამ – „მრავალჟამიერ“. „ყოვლადობა“ დოსტოევსკისათვის ცხადდება ქრისტეში, „დიონისურობა“ ნიცშესათვის დიონისოში, გრიგოლ რობაქიძეს კი აქედან გამოჰყავს შემდეგი ფორმულა: ქრისტე ძეკაცში დაბადებული – ღმერთკაცი. დიონისო კაცში შვებული – ზეკაცი. გრიგოლ რობაქიძე წერს, რომ ნიცშემ არ იცოდა, რომ დიონისო წარმართული ჰიპოსტასია ქრისტესი და მთელი სიცოცხლე ებრძოდა ქრისტეს. დოსტოევსკი არ იცნობდა დიონისოს სახელს, თუმცა მთელი არსებით აცნაურებდა მას. შემდეგ გრიგოლ რობაქიძე ასკვნის, რომ თუ პიროვნება განმტკიცდება კოსმიურად, იქცევა ზეკაცად, ღმერთკაცად, მაშინ თვითონ ღმერთი (დიონისო ანუ ქრისტე) კვდება კაცში. იმმანენტური ქცევა აქ თითქო ზედმეტად ხდის ტრანსცენდენტურ ყოფას და

სწორედ ეს იყო გრიგოლ რობაქიძის რწმენით საშიში იდეა ნიცშესი, მისი უკანასკნელი საიდუმლო და სწორედ ამ იდეით იწვოდა დოსტოევსკი. დიონისო და მისი კულტი, გრიგოლ რობაქიძის ფიქრით, წარმოგვიჩენს ქართული კულტურული ხედვის და ცნობიერების დიად ისტორიულ შინაარსს. ეს კულტი კი „მსოფლიო მნიშვნელობისაა“ და თუ ვერ რწმუნდებით, რომ მისი გათვალისწინების გარეშე ესთეტიკის შექმნა ეხლა შეუძებელია, მით უფრო საინტერესოა იგი გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გამოვლენის თვალსაზრისით.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ გრიგოლ რობაქიძის შემოქმებდებაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების თემა, ვინაიდან მწერლის მთელს შემოქმედებას თან სდევს ქართული კულტურის ადგილის ძიების საკითხი ორი განსხვავებული სამყაროს ფონზე.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების და გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გამოვლენის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წერილი „ლეილა“, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ ი. გრიშაშვილის ჟურნალ „ლეილას“ გამოსვლასთან დაკავშირებით შექმნა რედაქტორის თხოვნით, რათა დაეფიქსირებინა ქართული კულტურის და კერძოდ, მწერლობის მიმართულების განსაზღვრასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია. ქართული ლექსის კლასიკური და თანამედროვე ასპექტები გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში წარმოადგენს მწერლის მრავალწლიანი დაკვირვების შედეგებს. წერილების მთელი წყება ეძღვნება კლასიკური ტრადიციების ჩამოყალიბებას, განვითარებას, კრიზისსა და კვლავ აღორძინების სტადიებს. სწორედ ამ პუბლიკაციებში გვევლინება გრიგოლ რობაქიძე ახალი ლიტერატურული მიმდინარეობების იდეოლოგად რუსთაველის სამშობლოში. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ „ევროპული რადიუსით გამართვა“ ქართულ პოეზიას ახალ ელვარებას შესძენს. გრიგოლ რობაქიძისთვის ეროვნულთან დამაკავშირებელი ფესვები არის ქართული სიტყვა თავისი „ძირა ფენებით“, სადაცაა „გულის ძგერა და მაჯის ცემა საქართველოსი“, მისი „განმეტყველება“ კი ეროვნული ისტორია და ლიტერატურაა. ეს ისტორია დამშვენე-ბულია წმ. ნინოს ვაზის ჯვრით, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ქეთევან დედოფლის სახელებით, ხოლო მწერლობა იაკობ ხუცესით, გიორგი მერჩულეთი, შოთა რუსთაველით, საბა-სულხან ორბელიანით, ილიას, აკაკის და ვაჟას დიდი სახელებით.

ქართული კლასიკური მემკვიდრეობა გრიგოლ რობაქიძის მიერ მკაფიოდ იქნა გადაფასებული და ხელახლა გააზრებული. იგი ევროპული სტანდარტებით აზროვ-ნებდა და არა მხოლოდ სოციალური კუთხით აფასებდა ჩვენი კულტურის წარსულს, ესთეტიზმის დიდი დოზას დებდა მასში. ამით სურდა უფრო გამოეკვეთა ქართული აზროვნების ევროპულ აზროვნებასთან სიახლოვე და ფასეულობათა ერთიანობა. გრიგოლ რობაქიძე მიიჩნევდა, რომ: „საქართველო დაჭრილი მზეა. „დაჭრილი მზე“ – მაგრამ მაინც მზე!

თავი V

გრიგოლ რობაქიძის პოლიტიკური მრწამსი

„პოლიტიკური სამყარო გრიგოლ რობაქიძისთან“ - ეს თემა და პოლიტიკოსები დიდ ადგილს იჭერს მწერლის შემოქმედებაში, რაც იმდროინდელი მსოფლიო კატაკლიზმებით იყო გამოწვეული. შესაბამისდ, ეს არის ერთ-ერთი უმწვავესი და ინოვაციური თვალთახედვით გამორჩეული თემა. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ რობაქიძე პოლიტიკას ცალკე აღებულ რეალობად არ აღიქვამს და მას მსოფლიო მეისტრიმის რანგად თვლის, უფრო მეტ ირაციონალური მუხტის მატარებლად მიიჩნევს, ვიდრე სხვა საზოგადოებრივ მოცემულობებს.

იგი საგანგებოდ ჩერდება ჩვენი გეოპოლიტიკის კარდინალურ ღერძზე და მრავალჯერ უბრუნდება რუსეთის თემას. რუსეთ-საქართველოს ბედისწერა გრიგოლ რობაქიძის ანალიტიკურ პუბლიცისტიკაში უკიდურესი შემოქმედებითი მიდგომებით გამოირჩევა, ყველა საკითხს მწერალი ნიცშეანურ-დიონისურ პრიზმიდან ჭვრეტს და რუსეთის როლსა და ხვედრს მითიური სიმბოლოებით გამოხატავს. საინტერესოა „რუსეთ-საქართველოს ბედისწერა გრიგოლ რობაქიძის ანალიტიკურ პუბლიცისტიკაში“. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ინდივიდუალიზმსა და უნივერსალიზმს შორის უნდა მოიძებნოს მაკავშირებელი, ანუ სოციალიზმი. იგი აქ მიხალოვსკის სოციალურ სისტემას უახლოვდება, როცა ინდივიდუალიზმი არის არა სუბიექტივი, არამედ ყოველკაცობრიული. მოკლედ, როცა ერთი პიროვნების ინდივიდუალური ცდა ერთდება სხვა პიროვნების ინდივიდუალურ 20 ცდასთან. სოციალური მეცნიერების მიმართულება შემდეგი უნდა იყოს: გამოსასვლელი პუნქტი – ინდივიდი, როგორც სოციალური ატომი, ანუ ისტორიული ერთეული, შემდეგ ინდივიდთა მრავალგვარი სახე შეჯგუფებისა, როგორც, მაგალითად, საზოგადოება, რომელიც გამომსახველია სოციალობისა სხვადასხვა ფორმაში: კომმუნა, ფედერაცია, კონფედერაცია. განსაკუთრებული სიღრმით, დაკვირვების უნარითა და გამოთქმის ოსტატობით გამოირჩევა „რუსეთის ტრაგედია“.

ავტორს რუსეთი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც საქართველოს მომავალი. ქართველი პოლიტიკოსები და საქართველოს ევროპული ორიენტირები გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკაში საგანგებო თემაა. აქ გრიგოლ რობაქიძე თავდაჯერებულ ევროპეისტად გვევლინება, მისთვის ევროპული ყოფა და ცხოვრება თუ სახელმწიფოს

მართვის სტილი სრულიად უალტერნატივოა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში მწერალი ქართულ წრეებში დიდი ხნიდან აღიარებულ თვალსაზრისს ემხრობა და სრულიად იზიარებს დასავლურ პოლიტიკურ გეზსს.

გამორჩეულია მსოფლიო პოლიტიკის ბელადთა მითოპოეტური გენეზისი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. იგი მოდერნიზმის კლასიკური ნიშნებით არის დატვირთული, მასში მკაფიოდ ჩანს ნიცშეანური ზეკაცის ლანდი და არისტოკრატულ-ინტელექტუალური რასსიული რჩეულობის უპირატესი როლი. მომხიბვლელია თავად მსჯელობა, უამრავი პარალელი და შედარება, რომელიც გრიგოლ რობაქიძის ინტელექტსა და გემოვნებას გვიჩვენებს, მაგრამ მიუკერძოებლობა და რეალური თვალთახედვა მოდერნისტული და მხატვრული დეტალებით არის დაჩრდილული.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც დიდი მოაზროვნე, ღრმად ჩასწვდა დიქტატორი მმართველების არსს და თავისუფალი ხედვა მათ შესახებ სრულად ჩამოაყალიბა. გრიგოლ რობაქიძემ ისინი განიხილა არა როგორც ავტორიტარი, დიქტატორი ხელისუფალნი, არამედ როგორც ერის ეროვნული ერთიანობის შემოქმედები. ავტორი მათ საქმის ხალხს უწოდებს და ჰიტლერზე დასძენს, რომ: „იგი სამყაროს ძალების აღმდგენელი გახდა“ გრიგოლ რობაქიძე მუსოლინის, ისევე როგორც: სტალინის, ჰიტლერის, ლენინის ფსიქოლოგიურ პორტრეტებს განიხილავს იმ ჭრილში, სადაც მისი პიროვნული თვისებებია წინა პლანზე წამოწეული. მათ უდიდესი ფსიქოლოგიურ-ფიზიკური ძალა გააჩნდათ. მუსოლინს შეეძლო მილიონობით ადამიანის თავისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. მისი ორი სიტყვა: „დედა იტალია“ იტალიელთა გულებს იპყრობდა. გრიგოლ რობაქიძე სწორედ ამ კუთხით არის მუსოლინისადმი სიმპათიით განწყობილი. ძლიერი პიროვნების უშრეტი ძალით, რომელმაც თავისი არსით დიდი როლი ითამაშა ისტორიაში.

ლენინისადმი მიძღვნილ ესეში გრიგოლ რობაქიძე ლენინის „მწერლობას“ იგივე მოქმედებად მიიჩნევს და ამაში ხედავს ლენინის, როგორც ისტორიული მოვლენის საოცრებას. მასში ხედავს პიროვნების სიმრთელეს და ადარებს პეტრე დიდს. ლენინის პიროვნებაში მწერალი ხედავს რუსეთის ველს, რომლის უკიდურობა სივრცის შიშს ბადებს, სადაც ჩანს სლავური შეტევა სამყაროს მიმართ. ლენინის ნებისყოფას კიდევ უფრო ახელებს მისი ქოლერული ჭკუა და ამიტომ არის იგი მარტო ცეცხლი და მარტო წვა, რომლის მსგავსი ახლო წარსულის განმავლობაში არავინაა. მწერლის აზრით

ლენინი რევოლუციონერთა ახალ რასას წარმოადგენს, სადაც ადამიანის ნება და ინტელექტი ერთი და იგივეა. იგი გაბედულია და ასეთი „გაბედვა“ სამყაროს მიმართ ჯერ არავის ჰქონია. ლენინი უტეხი და უკვეთელია, სასტიკია როგორც მოქნეული ხმალი, მასში ყოველივე „პირადული“ წარეცხილია და თვით ისტორიის „უპიროვნო“ სახე მოსჩანს. სწორედ ამიტომაა იგი საოცარი და საშიშარი. სწორედ ამაშია მისი ძლევა.

მწერლის აზრით, ვისაც მონობა-ჩაგვრა-შიმშილი-დაბეჩავება და წამება განუცდია, მას არ შეუძლია არ მიიღოს რევულუცია. რობაქიძის აზრით, ასეთი ადამიანებისათვის ლენინის გარდაცვალება ტრაგედიაა.

ესეში „სტალინი და ტროცკი“ ავტორი ელასტიკური ფრაზეოლოგიის მომარჯვებით გვიხატავს სტალინის დემონურ ბუნებას. აქ ნაჩვენებია დიდი ტალანტის მქონე ბოროტი სულისკვეთების პიროვნების აღზევების ცალკეული დეტალები. მინიშნებულია კობა ჯუღაშვილის ნიჭზე, გამოეყენებინა მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები, მუდამ ხელში სჭეროდა მისი მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები და ა. შ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკაა.

რობაქიძის აზრით, პოლიტიკა საბოლოდ მაინც ბინძური საქმეა. ამ სიბინძურეს იგი ხედავს სტალინის მსხვერპლთა ბანაკშიც. გრიგოლ რობაქიძემ შეძლო და თავის წერილებში იმ ჭრილში განიხილა მსოფლიო დონის პოლიტიკოსები, რომ მისი შეხედულებები პროგრესული და აქტუალურია არა მარტო მის თანამედროვეობაში იყო, არამედ ახლაც და მომავალშიც იქნება.

მსოფლიო დონის საკითხებისადმი დიდი ყურადღების მიუხედავად, გრიგოლ რობაქიძე ძირითად ადგილს ჩვენს საშინაო თემებს უთმობს. მას სურდა „მსოფლიოს ხმა“ სწორედ ქართველებს მისწვდომოდათ და ფეხი აეწყოთ უახლესი ტენდენციებისთვის.

ჩვენი კულტურა გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში გაჯერებულია უახლოეს მომავალში მოსალოდნელი წარმატებების სურვილით, ამის გულწრფელი მოლოდინით. იგი დიდი ექსპრესიულობით წერს, რომ „ქართველმა უნდა იგრძნოს რაინდული შემოქმედებით საქართველო: მხოლოდ ამ შემთხვევაში აყვავდება ქართული რენესანსი. ასეთს გრძნობას, ხანდახან მისტიურობამდე აყვანილს, ვერა სიძნელე ვერ გადაეღობება წინ: იგი ყოველს ზღუდეს გადალახავს. განსაკუთრებით ეს ჰმართებს ქართველ ხელოვანს: იგი თანვე რაინდიც უნდა იყოს სულიერი, რომ მთელი ქართველობა

ამოსწუროს მის ისტორიულობაში და გამოჰკვეთოს მისაგან ნამდვილი ქართული სტილი“ [რობაქიძე, 1917,4].

გრიგოლ რობაქიძეს ქართული სულიერება მხოლოდ დიდბუნებოვნებასთან და ჰეროიზმთან კავშირში წარმოუდგენია. ამ საკითხში იგი აშკარად იზიარებს ტრადიციული ქართული მწერლობისათვის ნიშანდობლივ შეხედულებებს, რომ საქართველომ სწორედ ჰეროიზმით და სხვა საუკეთესო თვისებების წარმოჩენით ღირსეული ადგილი უნდა დაიჭიროს „სხვა ერთა შორის“.

§ 1. „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სოციალიზმის თეორიამ სამი ურჩხული დაბადა – რუსული ბოლშევიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი. მართალია, მათ შორის სეროიზული სხვაობაა, მაგრამ სამივე სოციალიზმის შვილია. ხასიათით და თვისებით განსხვავებულნი, მაგრამ მაინც შვილები. სოციალიზმის სამი ურჩხულიდან ყველაზე სასტიკი, დაუნდობელი და სისხლიანი რუსული ბოლშევიზმი იყო. მას ვერც გერმანული ნაციზმი შეედრება და ვერც იტალიური ფაშიზმი, რომელიც ამ სამიდან ყველაზე სუსტი იყო. არც გერმანულ ნაციზმს, არც იტალიურ ფაშიზმს რელიგია არ გაუუქმებია, ეკლესია-ტაძრები არ დაუნგრევია, სამღვდელოება არ ამოუხოცავს. რუსულმა ბოლშევიზმმა კი პირწმინდად მოსპო რელიგია, დაანგრია ეკლესია-ტაძრები, ამოწყვიტა სამღვდელოება. კლასობრივი ბრძლის სახელით, არც ფაშიზმს იტალიაში, არც ნაციზმს გერმანიაში არ გაუნადგურებია საკუთარი არისტოკ-რატია და ბურჟუაზია. მშრომელი გამრჯე გლეხები არ მოუნათლავს კულაკებად და არ ამოუძირკვავთ ძირფესვიანად. ბოლშევიზმმა კი სსრკ-ში მოსპო არისტოკრატიაც, ბურჟუაზიაც და ე. წ. „კულაკური“ გლეხობაც.

მართალია, ნაციზმის დროს გერმანიაში ანტისემიტიზმი მძვინვარებდა, რასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა, მაგრამ ვინ დათვალა რამდენი ებრაელი გაწყდა ბოლშევიკურ-კომუნისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში? სისტემის დაშლა გონების განთავისუფლებას არ ნიშნავს.

დროთა განმავლობაში ყველაფერი შეფასდება და გადაფასდება. მაგრამ იმას ვერავინ უარყოფს, რომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კაცობრიობის ისტორიას ბოლშევიზმი, ნაციმი და ფაშიზმი წარმართავდა. რაგინდ დიდი უბედურებაც უნდა

ყოფილიყო ეს მსოფლიოსთვის, სამწუხაროდ და სავალალოდ, ასე იყო. ის ადამიანებიც, ვინც ბოლშევიზმს, ფაშიზმს, ნაციზმს სათავეში ედგნენ, კაცობრიობის დაჟინებული ყურადღების საგნები იყვნენ. ისინი სძულდათ კიდეც და უყვარდათ კიდეც. თუ ერთნი (დიდი უმრავლესობა) ბრმა სიყვარულს შეეპყრო, მეორენი (დიდი უმცირესობა) მოვლენის ახსნას ცდილობდნენ. უნდოდათ ნათლად გარკვეულიყვნენ, რა მოხდა და რატომ. ძიების პერიოდში ცდუნებაც იოლია და შეცდომაც. ისეთი გამჭრიახი და ირონიული გონების პატრონმა მწერლებმაც კი, როგორებიც იყვნენ ბერნანდ შოუ და ანატოლ ფრანსი, ვერ დაიხსნეს თავი ბოლშევიზმის საფრთხისგან, რადგან მისგან კაცობრიობის ცხოვრების განახლებას ელოდნენ. აკაკი ბაქრაძე ასახელებს უამრავ მაგალითს, როგორ ცდებოდნენ სახელოვანი მწერლები პოლიტიკური მოვლენების საფრთხეების განჭვრეტის დროს. ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არსებობდა სახოტბო ლიტერატურა. მეხოტბენი თავდაუზოგავად უმღერიან ძლიერთა ამა ქვეყნისათა: ზოგი – გულწრფელი აღტაცებით, ზოგი – ანგარებიანი გამოჩენის მიზნით. მწერალი ემოციური არსებაა, მასზე ღრმად ზემოქმედებენ ძლიერი ადამიანები. როგორც უცნობი ლამაზი ქალი ააფორიაქებს მწერლის სულს და უმშვენნიერეს ლექსს დააწერინებს, ასევე იწვევს ძლიერი პიროვნება შემოქმედის აღგზნებას.

გრიგოლ რობაქიძეც გარკვეულწილად ამ ცდუნებას აჰყვა, როცა „ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ დაწერა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ღირსეული თუ უღირსი ადამიანებით წარსულშიაც ხშირად აღტაცებულა მწერლობა. დღესაც ხდება ეს და მომავალშიც მოხდება. დამაფიქრებელი სხვა რამ არის. გრიგოლ რობაქიძემ იშვიათი შორსმჭვრეტელობით დაინახა ბოლშევიზმის არსი. ამოხსნა მისი მოქმედების მექანიზმი. მაგრამ ვერ მოახერხა ასეთივე ძალით ჩასწვდომოდა ფაშიზმსა და ნაციზმს. არსებობს მოსაზრება, რომ ჰტლერში გრიგოლ რობაქიძე რუსი ბოლშევიკ-კომუნისტე-ბისაგან დამონებული საქართველოს ჰიპოთეტურ განმათავისუფლებელს ხედავდა. ამან გამოიწვიაო ავადსახსენებელი ესეს დაწერა, მაგრამ არის კიდევ სხვა ახსნა – „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ დაწერის საფუძველი, რომლის გასაღებს თავად იძლევა: „არჩიბალდ მეკეში, 1908 წელს, ლენინის საჯარო გამოსვლას უსმენს. მას იპყრობდა თვითონ პიროვნება. გარეშე იმისა: თუ რას ამბობდა ან თუ რას ფიქრობდა. პიროვნება უშუალოდ: მის შუაგლში აღებული“ [რობაქიძე, 1988, 156]. ეს უნდა გავიმეოროთ გრიგოლ რობაქიძეზეც. ლენინშიც, სტალინშიც, ჰიტლერშიც, მუსოლინშიც მას უშუა-

ლოდ პიროვნება იპყრობდა, მის შუაგულში აღზრდილი. ამ კუთხით ისინი მართლაც საინტერესონი არიან. ამიტომ ოთხივეს მიმართ გამოხატა გრიგოლ რობაქიძემ თავისი დამოკიდებულება. ლენინის პიროვნებას რამდენჯერმე შეეხო მეტ-ნაკლებად ვრცლად: 1924 წელს, როცა ლენინი გარდაიცვალა, „გველის პერანგში“ და „ჩაკლულ სულში“. ჰიტლერსა და მუსოლინის საგანგებო ნარკვევები უძღვნა. სტალინზე კი „ჩაკლულ სულში“ ისაუბრა. „ჩაკლული სულის“ ის თავი, რომელსაც „სტალინის ჰოროსკოპი“ ეწოდება, გრიგოლ რობაქიძემ შეიტანა კრებულში „დემონი და მითოსი“ შეცვლილი სათაურით. დაარქვა „სტალინი, როგორც აჰრიმანული ძალმოსილება“ ტექსტი არსებითად უცვლელია. სათაურში კი მკვეთრად არის გამოხატული გრიგოლ რობაქიძის უარყოფითი დამოკიდებულება სტალინისადმი. აჰრიმანი ირანულ მითოლოგიაში ბოროტების ღმერთია. უპირისპირდება აჰურმამაზდას – კეთილ ღვთაებას. მათ შორის მარადიული ბრძოლაა. „ნესუს პერანგშიც“ საუბრობს თურმე მასზე. 1954 წლის 17 ივნისს გიორგი გამყრელიძეს წერს: „გამოგიგზავნი სილუეტს სტალინისა ჩემი ახალი წიგნითგან „Das Nessus-Hemd“ დაინახავ: თუ ვინაა (ვინ იყო) იგი“, მაგრამ ეს თხზულება ჩვენთვის ჯერჯერობით მიუწვდომელია. იგი არ დაბეჭდილა. ხელნაწერის სახით არსებობს და იმ არქივშია, რომელიც საქართველოს განკარგულებაში არ არის.

გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, არც ლენინს, არც ჰიტლერს, არც მუსოლინის არ ჰქონიათ ადამიანის დამანგრეველი ის ძალა, რომელსაც სტალინი ფლობდა. სტალინი ადამიანებს არარაობად აქცევდა. ეს მკაფიოდ აღწერა გრიგოლ რობაქიძემ ბერზინის სახეში („ჩაკლული სული“).

საინტრესოა, რას წერს მწერალი საკუთარი ესეების შესახებ. მოგვყავს ამონარიდი წერილიდან, რომლითაც გრიგოლ რობაქიძემ უკიდურესად შეჭირვებული მდგომარეობის დროს 1944 წლის 20 ოქტომბერს საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და ბინადრობის ნებართვის თხოვნით მიმართა ჰაინრიხ ჰიმლერს:

„ჩაკლული სული“ (გამოიცა 1933 წ.) აქ ლიტერატურულად პირველად გამოაშკარავდა ბოლშევიკური კლიმატი, რომელმაც ადამიანში ღვთიური თითქმის მოლეკულურ დონეზე გახრწნა. შემზარავი საჩვენებელი პროცესები, იმ დაშლის ეს საბოლოო სიმახინჯე, ვფიქრობ ჩემს წიგნში ვიწინასწარმეტყველე და ამოვხსენი. ზოგი რამ ბოლშევიკებისაგან დათრგუნულ მასების ქცევაში, ომის დროს, რაც ევროპელებს მოულოდნელი და გამოუცნობი ეჩვენება, ასე მგონია, იმ შემეცნებით აიხსნება, რომელიც

წიგნს საფუძვლად უდევს. წიგნს დიდი გამოხმაურება ჰქონდა. საბჭოებმა ამ წიგნის გამო ხალხის მტერი დამარქვეს“ [ბაქრაძე, 2003, 246].

„ადოლფ ჰიტლერი, უცხოელი პოეტის მიერ დანახული“ დაწერილია 1938 წელს და გამოიცა 1939 წელს. ეს არის არაჩვეულებრივი ბიოგრაფიული პორტრეტი, უფრო მეტად არსის ხატი, ნორდულ-გერმანულ სივრცეში დანახული. ეს ნარკვევი ნაციონალ-სოციალისტურ ბიბლიოგრაფიაში არის შეტანილი. რაიხს შრიფტტუმკამმერის პრეზიდენტმა ჰანს იოსტმა, თავის დროზე, პატივი მიაგო ჩემს ნარკვევს „ფოლკიშერ-ბეობახტერში” გამოქვეყნებული ჩემდამი მომართული წერილით, რომელსაც თან ვურთავ აქ პროსპექტის სახით. ეს ნარკვევი მოხსენიებულია ვერმახტის ჟურნალ „ზოლდატენბრი-ფეში“, რეკომენდირებულ წიგნთა შორის და თანაც როგორც ერთა-დერთი ნაშრომი ფიურერზე. ბოლო გამოცემამ მიაღწია 79-112 ათასს“ [ბაქრაძე, 2003, 260].

„მუსოლინი“ ეს წიგნი მსგავსი ხასიათისაა, როგორც წიგნი ფიურერზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ წარმოდგენილი პირი ატლანტურ ხმელთაშუაზღვისპირა სივრცეშია განხილული. ეს ნაწერები გვიჩვენებენ, რომ მე, როგორც გონით შემოქმედი, რაიხის გიგანტური ბრძოლის შუაგულში ვდგავარ. ამჟამად, – წერს რობაქიძე, – ვმუშაობ ქართული საკავშირო შტაბის დავალებით ქართული რაზმებისათვის. ესენი ჩემი თანამემამულეები არიან, ათასობით და ათიათასობით სამხედრო ტყვე, რომელნიც მოხალისეებად ჩაეწერნენ რაიხის მხარეზე, საბჭოეთისა და დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად და რომელთაც სიჭრდებათ ჩემი სიტყვა მათ ყოველკვი-რეულ გაზეთში საბრძლო სულის გასამტკიცებლად მათთვის სრულიად უცხო ქვეყნებში“. ამავე წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ ყველა ეს წიგნი გერმანულ ენაზე დაიწერა [ბაქრაძე, 2003, 261].

მუშაობის პროცესში გავეცანით გამომცემლობა არტანუჯის მიერ 2013 წელს გამოცემულ ესეებს. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“ გრიგოლ რობაქიძის განცდებისა და შთაბეჭდილებების კრებულია, სადაც ჰეროიკულადაა აღწერილი ფიურერის ცხოვრება და პოლიტიკური გზა. წიგნში დამოწმებული არაერთი სიმბოლო, ხატი თუ მითიური ამბავი მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ მთავარი პერსონაჟი ახლებურად წარმოჩინდეს. ნანახისა და გაგონილის უჩვეულო შერწყმასთან ერთად, მწერალი გვთავაზობს თავის დაკვირვებებს, ხშირად გადამეტებულსაც, მაგრამ საოცარი რწმენითა და დაბეჯითებით.

პირადი ფოტოები, საჯარო გამოსვლები, ხალხთან შეხვედრა და ჰიტლერით მოცული ყოველდღიურობა თავს იყრის შემოქმედებით პრცესში, გრიგოლ რობაქიძის აზროვნებასა და წარმოსახვაში, სადაც „ფოლადივით სიტყვა უზარმაზარ ძალას ასხივებს" გამოვარკვიეთ, რომ რობაქიძე უკავშირდება გოეთეს და ამბობს, რომ ყოველ მცენარეში ე. წ. თაურმცენარეა ჩადებული. იგივე ითქმის ხალხზეც. ხალხის ყოფიერე-ბაში არსებობს თაურუჯრედი, იგივე დვრიტა, რომელსაც ჰიტლერზე უკეთესად, რობაქიძის აზრით, ჯერ ვერავინ ჩასწვდა (სწორედ ამაში მდგომრეობს ჰიტლერის ფენომენი).

არსებობს ეჭვი, თითქოს რობაქიძეს ფარული ურთიერთობა ჰქონდა ფაშისტებ-თან და შეხვედრია ჰიტლერსაც. მაგრამ ამ ესედან გამომდინარე, ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. როცა დადგა მწერლისათვის იმის საჭიროება, რომ აღეწერა ფიურერი, იგი მის ფოტოებს აგვიღწერს. პირადი კონტაქტის არსებობის შემთხვევაში ის ამ პორტრეტს განსხვავებულად დახატავდა. მწერლის აზრით, ფიურერი განსაკუთრე-ბულად ასხივებს შინაგან ძალას, ამ ძალის აღბეჭდვა ფირზე შეუძლებელია. სხივი, რომელსაც ადამინები შეიგრძნობენ, ფიურერის შინაგანი შუქისაგან მოედინება. ნიშანდობლივია, რომ ფიურერის სიშორეს მისი ახლობლები ყველაზე მწვავედ მასთან ახლოს ყოფნისას გრძნობენ. ჰიტლერს გააჩნია შინაგანი გაორების დაძლევის ნიჭი. დაცემამდე ადამი სხვას აღიქვამდა, როგორც თავის განსაკუთრებულ მეს. ადამის შემდეგ კაცობრიობამ დაკარგა ყოფიერებაში არსებული განუყოფლობა. დღეს ეს განუყოფლობა მხოლოდ ცხოველშია შემორჩენილი. ცხოველს არ გააჩნია მე – წერს რობაქიძე. სამაგიეროდ, ღვთიური ყოფიერების მთლიანობა აქვს შენარჩუნებული. ადამი, ალბათ, ერთდროულად ცხოველიც არის და ადამიანიც, ღვთიურ საშოში განუყოფელი. ამიტომ მისტირის ადამიანი თავის დაკარგულ ნახევარს – ცხოველს. აქედან გამომდინარე, გასაგებია მითიურ ადამიანს რატომ ესახებოდა ცხოველი წმინდანად.

მწერლის აზრით, თუკი ვინმე მთლიანად, უყოყმანოდ გაიაზრებს თავისი ხალხის ბედს, მას მიეცემა ნიჭი და უნარი ფარულად შეამოკლოს სივრცე ყოფიერების ირგვლივ არსებულ ცოდნასა და თვით ყოფიერებას შორის. მაშინ მასში ცხოველის ძალები გაბატონდებიან. ამიერიდან იგი მთლიანად და განუყოფლად იმოქმედებს ხოლმე. იგი თანდათან მოიპოვებს ყოფიერების იმ წყალობას, რომელსაც ძველი ბერძნები „კაიროსს"

ეძახდნენ, ანუ მოიპოვებს ქმედების უნარს, იპოვოს გადამწყვეტი წამი. რაც უფრო ვიწროა შუალედი, მით ფრო ძლიერია კაიროსი. ათათურქის ცხოვრება ამ თვალსაზრისით ფანტასტიკას ესაზღვრება. მუსოლინის არსებაში მოქმედ კაიროსს აქვს რაღაც ცეცხლისებრი მეტეორის ნამსხვრევი. ადოფ ჰიტლერს ეს უნარი განსაკუთრებით უხვად აქვს მომადლებული. იგი შორეული სიღრმეებიდანაა ხესავით ამოზრდილი, დედამიწის ცეცხლით გავარვარებული, ნაყოფიერ სინათლის სხივად გარდაქმნილი.

მწერალი ქრონოლოგიურად მიჰყვება 1920 წლის 20 თებერვალს მიუნხენის ლუდსახარშის დარბაზში დაწყებულ ჰიტლერის პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც მოყვება 1930 წელს მოგებული არჩევნები, ძალაუფლების ხელში აღება და ავსტრიის შემომტკიცება. მწერლის აზრით, ეს მოვლენები კაიროს ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. რობაქიძე მიიჩნევს, რომ ჰიტლერის ცენტრალური მამოძრავებელი ორგანოა, ქურა, სადაც სისხლი აღინთება, სადაც მისი აზრები იჭედება გულია. სხვა პოლიტიკოსებისაგან იგი ამით განსხვავდება. მწერლის აზრით, ადამიანს, რომელიც საბედისწერო გადაწყვეტილების მიღების წინ მოვალეობის სიმკაცრესა და გულის სინაზეს თავდადებული პასუხისმგებლობის ორგანოში ჰარმონიულად აერთანებს სასწაულის მოხდენა შეუძლია. ჰიტლერმა მოახდინა კიდეც ეს სასწაული. რობაქიძის აზრით, სამართლიანობისათვის მისმა ბრძოლამ ინგლისსა და საფრანგეთში გამოაღვიძა კეთილგონიერება, მიუნხენში დადებული მსოფლიო ისტორიული ხელშეკრულება კი კურთხეული ნაყოფის დარია.

მოჰყავს ამონარიდი ჰიტლერის მერ დაწერილი წიგნიდან „ჩემი ბრძოლა“: „სულიერი ტიპის, დიდი, მართლა მსოფლიოს მომცველი რევოლუციების მოფიქრება და განხორციელება მხოლოდ ერთეულების ტიტანური ბრძოლის შედეგია და არა კოალიციების ძალისხმევისა“ [რობაქიძე, 2010, 19]. ეს იმას ნიშნავს, რომ გადამწყვეტი ქმედების ძალა ერთეულების ხელშია, ყოველ კაცს უდგანან გვერდში მრჩევლები, მაგრამ გადაწყვეტილებას ის ერთი კაცი იღებს. გერმანული სიტყვა „Allein” ლექსიკონში ასეა განმარტებული: „მარტო, ერთადერთი, მარტოდმარტო; მხოლოდ, ოღონდ“ გარდა ამისა, სიტყვა „All“ გერმანულად, კოსმოსს, სამყაროს ნიშნავს და ვინ იცის, იქნებ „Allein“კოსმოსთან გაერთიანებულსაც ნიშნავდეს. გადაწყვეტილების მიღების დროს ჰიტლერი მარტოა. მწერლის აზრით, ის ამ დროს კოსმოსთანაა გაერთიანებული. მარტოდმარტო დარჩენილი ამყარებს კონტაქტს პირველმდგენთან. პირველმდგენი, რობაქიძის აზრით, არის სიცოცხლის მქმნელი, ოღონდ არა მოდგმისა და ჯიშის შექმნის

გაგებით. ქართველების პირველმდგენს ჰქვია კარდჰუ, ბერძნულად – ქართლოსი. მცხეთაში, სადაც საკულტო სალოცავებს აგებდნენ და სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს ქალწულმა ნინომ საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობას, გადმოცემის თანახმად, გვეგულებოდა კარდჰუს წმინდა საფლავი. ყოველ წელს იმართებოდა მისი დატირება, ოღონდ ამაში ალბათ არ იგულისხმებოდა პირველმდგენის ჭეშმარიტი სიკვდილი. ამ ხალხის ცნობიერებაში პირველმდგენის ძალებს კარგა ხანია ჭკნობა შეჰპარვოდა. ამრიგად, კარდჰუს იმიტომ დასტიროდნენ, რომ ქვეშეცნეულად გრძნობდნენ: პირველმდგენის გარეშე ხალხს ხალხი აღარ ჰქვია.

ყოველი ცალკეული ადამიანი როგორღაც თავისი ხალხის თაურხატთანაა დაკავშირებული. ყოველი გენიოსი ქვეცნობიერად კიდევ უფრო მეტად ინარჩუნებს თავისი რასის პირველმდგენთან ფარულ კონტაქტს. პირველმდგენსა და ცალკეულ პიროვნებას შორის გამუდმებით მოქმედებს დრამატიზმით აღსავსე დაძაბულობა. პირველმდგენთან შინაგან ბრძოლას, ისე რომ განადგურების საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდნენ, შეიძლება გადაურჩნენ ისინი, ვინც ამ სამყაროს უარმყოფელები არიან – იგულისხმებიან ასკეტები – ან სამყაროს დამაქცევლები.

ამ ადგილზე კი მივადგებით ადოლფ ჰიტლერის ფენომენის ცენტრალურ პუნქტს. ფრანგი მწერალი ალფონს დე შატობრიანი თავის წიგნში ახალ გერმანიაზე ჰიტლერს „Le home nouveau“-ს (ახალი ადამიანი) უწოდებს. რობაქიძის აზრითაც, ჰიტლერი ადამიანის ახალი ხატია. მის სტიქიაში, მარად სასიკეთო ინტერფერენციის სახით, შემოქმედებითად იძვრის ცალკეულ ადამიანსა და პირველმდგენს შორის დაძაბულობის შემქმნელი ცეზურა.

ყოველ შემოქმედს თავისი მსოფლხატი შემოაქვს – სიტყვაში, ნახატში თუ საქმეში გამოვლენილი. ადოლფ ჰიტელრის მსოფლხატი ასეთია: ხალხის ერთობა მისი რასითაა განპირობებული. ადოლფ ჰიტლერმა ხელახლა შთაბერა რასას ძალა, რათა გერმანელების ხალხადქცევა დაეჩქარებინა, ამიტომაც გახდა იგი დედამიწის ძალების გამომაფხიზლებელი.

„ყოველი დროის განდობილებმა უწყოდნენ სისხლის, „ამ სრულიად განსაკუთრებული სითხის“ საიდუმლო, – წერს რობაქიძე. სისხლს გააჩნია კოსმიურში წვდომის უნარი. ეს თვისება მომდევნო თაობებზე მემკვიდრეობით გადადის და გონის გამოცდილებას თავის თავში ნაკვალევის სახით ინახავს. კოსმიურში წვდომის უნარი

რასის საკუთრება ხდება. ამით დასაბუთებულია როგორც უძველესი არისტოკრატიის ფენომენი, ასევე სისხლის გამოყენების არსიც.

აქედან ჩანს, რომ სისხლი და გონი ურთიერთზემოქმედებას განიცდიან. გონი ჩამოყალიბებისათვის სისხლში დაეძებს ყლორტის გამომღებ პლაზმას, სისხლი კი გონს, როგორც შემოქმედებით აღმაფრენას, ისე ნატრულობს.

იმ შემთხვევაში თუ კეთილშობილთა კასტა ამ აღმაფრენას უგულებელყოფს არისტოკრატია თანდათან გადაშენებას დაიწყებს, მეორეს მხრივ, თუკი სისხლის საიდუმლო აღმოჩნდება პატივაყრილი, მაშინ გონიც ზუსტად ისევე იქნება გან-წირული გადაგვარებისათვის.

ეს კანონი ვრცელდება როგორც ცალკეულ ადამიანებზე, ასევე – რასებზე, ხალხზე, კულტურებსა და ენებზე. რობაქიძის აზრით, თანამედროვე მსოფლიო სწორედ იმიტომ იტანჯება, რომ ამ კანონს თავისას ჯეროვნად არ მიუზღავს. მისი აზრით, ქრისტიანობის კრიზისის მიზეზი სწორედ დედამიწის ძალების უგულვებელყოფაა. მწერლის აზრით, ადამიანი დედამიწის ძალებით უნდა იყოს ნასაზრდოები, თორემ რწმენა მხოლოდ ფუტურო სარწმუნეობად გადიქცევა. რობაქიძეს მიაჩნდა, რომ ჩვენ მაშინ ვკარგავთ რწმენას, როცა დედამიწას, მარადიულ დედას წავბილწავთ, რამეთუ ქმნის ძალას მხოლოდ და მხოლოდ ის გვანიჭებს... „ჩვენ საუკუნეების მანძილზე ან პატივს არ მივაგებდით, ან ვებრძოდით მიწას. უკეთეს შემთხვევაში ვიტანდით მას. ჩვენ დაუფიქრებლად მკრეხელურად ვბილწავდით მაგნა მატერს (ლათ. დიდი დედა) და აი, ვიგემეთ კიდეც მწარე ნაყოფი – ღმერთის ძეობისათვის ჩვენ ჩლუნგები აღმოვჩნდით... სიტყვა ხორცად იქცა – ეს საიდუმლო იგავადღა შემოგვრჩენია. დედამიწა არის ლოგოსის საშო. ჩვენ თუ მას უბრალო მატერიად მივიჩნევთ, მაშინ ადამიანში გაქრება ლოგოსის ძალები. გონი დაკარგავს ყლორტის გამომღებ სიმკვრივეს და გადაიქცევა რაციოდ, რომელიც უძლურია წარმოშვას რწმენის აქტი“ [რობაქიძე, 2010, 38].

დედამიწაში აქ მოისაზრება თავის თავში ჩაკეტილი რწმენის ერთეულები: რასა, ხალხი, სისხლი, მიწა. დედამიწა გონის კოსმიური პლაზმაა და თუ ჩვენს თავში მის ზრდას არ შევუწყვეთ ხელი, მაშინ გონი თანდათან რაციონალიზირდება. რაციოს თვალით დანახული ქრისტეს ამბავი უბრალო მონაჩმახი იქნება და სხვა არაფერი.

ადოლფ ჰიტლერის მსოფლხედვის შინაგან მიმართებას ქრისტიანულთან აქ ვერ შევეხებით და ვერც განვიხილავთ, თუმცა, რობაქიძის აზრით, დედამიწის ძალების

გამოღვიძებას შეიძლებოდა ქრისტიანობის განახლებისათვის ოდესმე დიდი სამსახური გაეწია.

რობაქიძის აზრით, ადოლფ ჰიტლერი ქმნადობის სამყაროში – ამ შემთხვევაში გერმანელების ხალხადქცევის პროცესში დგას როგორც დედამიწის ძალების გამღვიძებელი. იგი ქმედების ისტორიული ნიჭიითაა გამორჩეული. მისი აზრით, ეს არის ადამიანი, რომელიც ისტორიას კი არ წერს, არამედ ქმნის.

რობაქიძეს ჰიტლერისადმი მიძღვნილ წიგნში მოყავს მაგალითი მამელუქის ისტორიიდან, რომლის მიხედვითაც ოდესღაც სამეგრელოდან ტყვედ გატაცებული ბიჭუნები 1798 წელს ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობისას პირამიდებთან გაჩაღებულ ბრძოლაში შეხვდებიან „ნენა“ – დედის საალერსო სახელი, არის მშობლიური ენის ერთადერთი სიტყვა, რომელიც მას სულის სიღრმეში აქვს შემორჩენილი და სიკვდილის წინ აღმოხდება. არის კიდევ ერთი კაცი, რომელიც ამ სიტყვებს გაიგონებს: მისი ბავშვობის მეგობარი. მასაც გულში მშობლიური ენის ეს სიტყვა შემორჩენია. ტკივილი უორმაგდება, როცა მიხვდება, რომ მისი ბედის მოზიარე ხელჩართულ ბროლაში მისივე ხმლით განუგმირავს. მაშინ კი სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდება. ვისაც ეს ყვირილი გულს არ შეუტოკებს, ის ფიურერის მიერ წარმოთქმულ სიტყვა „სამშობლოს“ ვერასოდეს გაიგებს. ადოლფ ჰიტლერმა, რობაქიძის აზრით, ამ სიტყვებს დაუბრუნა მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობა. მწერლის აზრით, სწორედ ეს არის ჰიტლერის ცეცხლოვანი სასმელი.

მწერალს მოჰყავს მაგალითები, რომლებითაც მიგვანიშნებს, რომ ადოლფ ჰიტლერი ჩვეულებრივ ადამიანზე აღმატებულია და მასთან ურთიერთობა განსაკუთრებულად ზემოქმედებს ირგვლივ მყოფებზე. შემოთავაზებული მაგალითი ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოჰფენს შუქს: „ერთი უცხოელი ბერლინიდან იენაში მიემგზავრება. მასთან ერთად კუპეში ერთი ქალი და მისი ხუთი – ექვსი წლის გოგონა ზის. გაიბმება უბრალო საუბარი. ქალი შეამჩნევს, რომ თანამგზავრი დამწუხრებულია. ეკითხება მიზეზს. ისიც უყვება ახლახან, თბილისში, როგორ დახვრიტეს მისი მეგობრები, მისი სამშობლოს მზეკაცები. ისინი მისთვის ძმებზე მეტი იყვნენ. შეწუხებული ქალი დუმს. გოგონა კი კაცს უცნაური სახით დიდხანს, სერიოზულად უყურებს, შემდეგ კონვერტიდან სათუთად იღებს რამდენიმე ღია ბარათს და დამწუხრებულ კაცს ათვალიერებინებს: „აი ფიურერის სახლი“, – ჩურჩულებს იგი

სიყვარულით სავსე ხმით, „აი თვითონ ფიურერი“ გულაჩუყებული კაცი გოგონას სამოთხისებურ სიახლოვეს შეისუნთქავს და შეუცდომლად გრძნობს, რომ ბავშვი ამ სურათებით შეუმჩნევლად მის ნუგეშისცემას ლამობს. არასოდეს დაავიწყდება გოგონას გულთბილი სახე, თუმცა მისთვის სახელიც კი არ უკითხვას. ასე ჯობიაო ფიქრობდა შემდეგ: ჭეშმარიტი შეხვედრა, რომელშიც რაღაც ღმერთთან სიახლოვისებური ურევია, ჩვეულებრივი „ნაცნობობით“ ვერ დამთავრდება. ის კაცი, ვისაც ეს ამბავი შეემთხვა, ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ“ [რობაქიძე, 2010, 43].

მიგვაჩნია, რომ მწერალი ერთი შეხედვით შემთხვევით შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მომავალშიც ბევრჯერ უბრუნდებოდა ამ ფიქრებს. იმ მომენტში, როცა მისი ქვეყნის პატრიოტი მზეკაცები დახვრიტეს, მას არ ეგულება ფიურერის გარდა სხვა ალტერნატიული ძალა, რომელიც ამ პროცესებს შეაჩერებს, მის სამშობლოს გადაარჩენს დემონური განადგურებისაგან, რომელიც ჩეკისტებმა განახორციელეს საქართველოში.

წინასაარჩევნო სიტყვა ადოლფ ჰიტლერმა 28 მარტს, კიოლნში წარმოთქვა, როცა გერმანელი ხალხისადმი მიმართვა დაასრულა, ფიურერი კიოლნიდან გაემგზავრა. დოქტორი გებელსი წერს: „ვაგზლებზე, სადაც კი რამდენიმე წამით შევჩერდით, ხალხის ტევა არ იყო. ისინი, ეტყობა გულის კარნახს აჰყვნენ და ერთხელ კიდევ განადიდებდნენ იმ ადამიანს, ვისმა ხმამაც ისინი აქ მოიყვანა. ის კი მდუმარედ იჯდა თავის კუპეში, ფანჯარასთან, თავის ქვეყანაში, თავის ხალხში გამავალ გზას მიუყვებოდა და იმ წუთებში ალბათ არ ტოვებდა თავისი ერის ბედინერების განცდა გულში ღრმად და მყუდროდ რომ იყო ჩაბუდებული“ [რობაქიძე, 2010, 43]. ჰიტლერის ამ გარინდებას რობაქიძე წყაროსთვალს ადარებს. ზოგჯერ ჭის წყალს მთლიანად გამოფიტულ მიწაზე მიუშვებენ ხოლმე, – წერს რობაქიძე. მერე ამომშრალი ჭა ერთხანს ჩაფლულია ნეტარ მყუდროებაში, მაგრამ მისი სიღრმიდან მაინც ჟინიანად მოიკვლევს გზას წყლის ნაკადი და ჭის წიაღი ნელ – ნელა უხმაუროდ ივსება. ეტყობა, მაშინ სიმშვიდეში ჩაძირული, მდუმარე ჰიტლერი გრძნობდა მასში იმ ჭასავით როგორ მოედინებოდა ხალხის ძალები.

ადოლფ ჰიტლერმა შექმნა დიდი გერმანია; იგია მისი სუვერენული დამაარსებელი. მართალია, მისი მოღვაწეობა ჯერ არ გასრულებულა, მაგრამ ისტორიამ მისი სახელი უკვე ამოტვიფრა მითიურ რუნებში. რობაქიძე იხსენებს მითს იფნის ხესთან დაკავშირებით. თვლის, რომ ჰიტლერიც მსოფლიო ხის შთამომავალია ისევე,

როგორც თეოდორიხ დიდი, დითრიხ ბერნელად წოდებული ოტო I და გერმანელი ერს წმინდა იმპერიის შემქმნელი ფრიდრიხ II ფონ ჰოენშტაუფენი. რობაქიძე თვლის, რომ ჰიტლერის მაცოცხლებელი ძალა სწორედ იმ ჭიდან მოედინება, მსოფლიო იფანს რომ ასაზრდოებს.

ვიცით, რომ გრიგოლ რობაქიძე სრულყოფილად ფლობდა გერმანულ ენას. ამას მოწმობს მისი გერმნულენოვანი შემოქმედება. მიუხედავად ამისა, ტექსტებში ჩართულია ქართული მაგალითები. რობაქიძის გერმანულ-ქართული ლექსიკური ნაზავი მის შემოქმედებას გერმანელებისათვის ახალსა და უჩვეულოს ხდის, ჩვენთვის კი ეს სტილი მისი ქართულ ფესვებთან ღრმა კავშირის გამოვლინებაა. რობაქიძის ქართული ესეისტიკა, თავის მხრივ, გერმანული ენის მძლავრ ზეგავლენას განიცდის.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ პოლიტიკურმა პალიმფსესტებმა რობაქიძეს ფსიქოლოგიური ტერორი და მის მიმართ უარყოფითად განწყობილი საზოგადოებრივი აზრი მოუტანა. მისთვის დაიხურა გამომცემლობებისა და რედაქციების კარი. ამის პარალელურად სამუდამოდ დაიხურა კარი სამშობლოსაკენ. გარდაცვალების შემდეგაც კი მისი ნაწარმოებები ტაბუდადებული დარჩა.

რობაქიძე უარყოფდა ამ ნაწარმოებების პოლიტიკურ სარჩულს, რაც ზოგს სჯერა, ზოგი კი თავის მართლებად მიიჩნევს. ჩვენი აზრით, მწერალი თითქმის მთელი შემოქმედების მანძილზე პირველსაწყისს ეძებდა და მითიურ სამყაროში გვამოგზაურებდა. შეუძლებელია, იმ დროისათვის რობაქიძე, მით უმეტეს ემიგრანტი მწერალი, მეორე სოფლიო ომისა და რეჟიმის თვითმხილველი, მსხვერპლი სრულიად აპოლიტიკური დარჩენილიყო. არც ისაა გასაკვირი, რომ მწერლის ინტერესის სფეროს ბუმბერაზი პიროვნებების ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვა წარმოადგენდა. მით უმეტეს ისეთი პიროვნებებისა, რომლებმაც არა თუ ქვეყნის, არამედ კაცობრიობის ისტორია შეცვალეს.

ვიცით, რომ რობაქიძის ინტერესი ძლიერი პიროვნებებისადმი მხოლოდ ამ ორი პოლიტიკური ფიგურის დახასიათებით არ შემოიფარგლება. მან ესეები მიუძღვნა გრეტა გარბოსა და ნეფერტიტის პორტრეტებს. მის შემოქმედებაში ვხედავთ სხვა თავისებურად ძლიერ პერსონაჟებსაც, როგორებიცაა იმამ შამილი, მეგი და სხვა.

ადოლფ ჰიტლერი იმდენად შეუპოვრად მოქმედებდა, რომ ძნელია იმის წარმოდგენა, ვინმე თუ შეძლებდა დამარცხებას. მისი ყოველი გამოსვლა დამაჯერებელია,

შეუძლია ხალხის გაერთიანება, მათთვის რწმენისა და ძალის მინიჭება, შეუძლია უდიდესი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაც და მრჩეველების გარეშე, მარტოს, გადამწყვეტ მომენტებში მოქმედება. ეს ყველაფერი ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, თუმცა რამდენად წაადგებოდა იგი გამარჯვების შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას, რამდენად დაუბრუნებდა მას ეროვნულობასა და თავისუფლებას, ეს კიდევ ცალკე საკითხია.

ემიგრანტებს პატრიოტიზმის გამძაფრებული შეგრძნება აქვთ. მით უმეტეს რობაქიძეს. ამ შემთხვევაში მას სხვა არავინ ეგულებოდა დედამიწაზე ჰიტლერის გარდა, რომელიც მოერეოდა სტალინის არიელ (ბერძ. ძვ. სპარსულ რელიგიაში ბოროტების ღვთაება, შეურიგებელი მტერი თავისი ძმის-კეთილი ღვთაების ორმუზდის) ძალმოსილებას. რობაქიძისათვის მისი მზეჭაბუკი მეგობრების განადგურება, იმ დროისათვის ალბათ ქვეყნის დაქცევას და გამოუვალ მდგომარეობას ნიშნავდა. უფრო მეტი ბოროტება წარმოუდგენელი იყო მისთვის. რაც სიმართლისაგან შორს არ დგას.

უნდა გვახსოვდეს ნიცშესა და კანტის გავლენა რობაქიძის მსოფლმხედველობაზე. ზეკაცის იდეამ მაშინდელი მსოფლიოს დიდი ნაწილი შეცვალა. ბოლშევიკებმა კი ნიცშესა და კანტის სახელებს ტაბუ დაადეს. სამაგიეროდ, პრაქტიკულად გაახორციელეს ის, რომ საბჭოთა კავშირში ღმერთი მოკვდა. ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, ჰიტლერი ყურადღებას არ ამახვილებდა ღმერთის სიკვდილის იდეაზე. რაც შეეხება რობაქიძეს, მიუხედავად ფილოსოფოსების გავლენისა, მის შემოქმედებაში, თვით ჰიტლერისადმი მიძღვნილ ესეშიც კი გაიჟღერა მცხეთამ, სვეტიცხოველმა, თაურმდგენმა და წმინდა ნინოს ჯვარმა, რაც ღმერთის სიკვდილის იდეა რობაქიძის შემოქმედებიდან, ჩვენი აზრით, გამორიცხულია.

სინამდვილეში ვიცით, რომ ჰიტლერი ჩვეულებრივი მოკვდავი იყო. აწუხებდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბევრი პრომლემა (მუცლის ტკივილები, ეგზემა (კანის დაავადება), ღრძილების ანთება, ხმის პრობლემა, ხელის და ფეხის კანკალი, გულის დაავადება, არაოფიციალური ვერსიით სიფილისი და სხვა), განსაკუთრებით სტრესთან დაკავშირებული პრობლემა.

ადამიანური სისუსტეები, ცხადია, კონფიდენციალური და ხალხისაგან დაფარული იყო, ისევე, როგორც მისი გენეტიკური წარმოშობა და პირადი ცხოვრება. ადამიანებისათვის მიწოდებული იყო სწორედ ის სახე, რომელიც მათ გამოიყვანდა

ურთულესი პოლიტიკურ – ეკონომიკური მდგომარეობიდან. ცნობილია, რომ უკიდურესი ნარცისიზმი და ზეკაცის იდეა განსაკუთრებით მწვავედ მოქმედებს ფანატიკოსებზე. ჰიტლერი გრძნობდა, რომ მისი სასიცოცხლო რესურსები დიდხანს არ ეყოფოდა, ამიტომ მოქმედებდა სწრაფი ტემპით. ისიც ცნობილია, რომ სასიცოცხლო ძალების სტიმულირების მიზნით გარკვეული რაოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერებებსაც ღებულობდა, რაც იწვევს ეიფორიას. ამას შესაძლებელია მოჰყვეს არალოგიკური, სარისკო გადაწყვეტილებების მიღება (მაგალითად სტალინგრადის აღება 1943 წლის იანვარში).

ყოველი გადატანილი ღალატისა და ტერაქტის შემდეგ ჰიტლერი კიდევ უფრო რწმუნდებოდა, რომ იყო რჩეული და მისი მისია გერმანიის აღორძინება იყო.

მტრის მოახლოების ჟამს, 1945 წლის იანვარში იგი შტაბის უფროსებთან, ოფიცრებთან, მრჩევლებთან და ექიმებთან ერთად გადავიდა ბერლინის ბუნკერში. თან წაიყვანა ევა ბრაუნიც, ფოტოგრაფი ქალი, რომელსაც 1929 წლიდან ხვდებოდა. გერმანიის ნაწილებად დაშლასთან ერთად უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა. მას უქვეითდებოდა მხედველობა, ხელის კანკალი კი იმდენად მატულობდა, რომ ხელმოწერისათვის იყენებდა ბეჭედს.

სიკვდილის მოახლოებასთან ერთად მან გასცა ბრძანება, რომ გაენად-გურებინათ გერმანიის მთელი ინფრასტრუქტურა. იგი თვლიდა, რომ გერმანიას მის გარეშე არსებობის უფლება არა ჰქონდა, იგი მის სხეულთან ერთად უნდა მომკვდარიყო.

1945 წლის 20 აპრილს ჰიტლერს შეუსრულდა 56 წელი. მას ურჩევდენ გაქცევას, რაზეც უარი განაცხადა. ამ პერიოდში ჰიტლერი მის ირგვლივ ყველას და რაც მთავარია, თვით გერმანიას მიიჩნევდა მოღალატედ.

მაშინ, როდესაც ომი დასასრულს უახლოვდეოდა, ჰიტლერს მოუვიდა ამბავი, რომ მისი მეგობარი და მოკავშირე მუსოლინი თავის საყვარელთან ერთად შეიპყრეს და მოედანზე ფეხებით ჩამოკიდეს. ჰიტლერს ეშინოდა, რომ რუსები მას და მის საყვარელსაც იმავეს დამართებდნენ. ჰიტლერმა ევას კანონიერი ცოლობა სთხოვა. მხოლოდ ევა დარჩა მისი ერთგული. ასე თვლიდა თვითონ ჰიტლერი. მეორე დღეს ჰიტლერმა ციანიდის კაფსულით დაგეგმა საკუთარი თავისა და ევას მოკვლა. ციანიდით თავი მოიკლა ევა ბრაუნმა. ჰიტლერმა კი ციანიდის კაფსულის დალევის პარალელურად საფეთქელში იარაღი დაიხალა. ჰიტლერის სხეული კანცელარიის ეზოში დაწვეს.

ჰიტლერს არ სურდა მუსოლინის ბედი გაეზიარებინა. რაიხის კანცე-ლარიაში შესულმა რუსებმა მიაგნეს მხოლოდ ჰიტლერის დამწვარ თავის ქალას და კბილების პროთეზს.

რუსებს კი სჭრდებოდათ გვამი, რისი მაკეტიც გააკეთეს. დაკემსილი წინდის ამოცნობით დასტურდება, რომ ეს გაყალბებული გვამი იყო. არსებობს ჰიტლერის ბუნკერიდან გაპარვის ვერსიაც. ასეთ შემთხვევაშიც მისი სხეული იმდანად დაუძლურებული იყო, რომ ერთ – ორ წელიწადზე მეტს ვერ გასტანდა.

ჩვენთვის საინტერესოა ჰიტლერის პიროვნება იმდენად, რამდენადაც მისი პირადი კომპლექსებისა და არასრულფასოვნების გამო ამ ისტორიულმა ფიგურამ მსოფლიოს გაუგონარი უბედურება მოუტანა, აუნაზღაურებელი მორალურ – მატერია-ლური ზარალი მიაყენა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის ორგანი-ზებული ბოროტება. რობაქიძის მიერ ჰიტლერისადმი მიძღვნილი ესეს მთავარ დანიშ-ნულებად კი ჰიტლერის პოლიტიკური მნიშვნელობის მიღმა მდგომი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა მიგვაჩნია.

მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც შევუდექით მუსოლინზე მასალის შეკრებას დიდი დახმარება გაგავიწია მანანა კვატაიას ნაშრომმა, როგორც ფსიქოლო-გიურმა პორტრეტებმა, ისე წერილის განწყობამ და მოგვაქცია თავისი გავლენის ქვეშ.

პოლიტიკური კარიერის დასაწყისში მუსოლინი სოციალისტი იყო. უამრავი სიბოროტისა და ტოტალიტარული რეჟიმის მართვის პარალელურად ბევრი კარგი საქმეც გააკეთა. ნიშანდობლივია, რომ 1943 წლამდე არ იყო ნაციზმის ნიშნები – როგორებიცაა მასობრივი განადგურება, საკონცენტრაციო ბანაკები და სხვა. მანამდე მუსოლინი ჰიტლერს მოიხსენიებდა, როგორც განდიდების მანიით შეპყრობილ ცხოველს. მუსოლინმა ანტიკური რომის იმპერიის იდეის ქვეშ გააერთიანა იტალია. არ სწამდა ღმერთი. მას აღმერთებდნენ და ადიდებდნენ. იყო ბრწყინვალე ორატორი, პირველ მსოფლიო ომგამოვლილი მრავალი ნაიარევით. იგი არ სჯიდა ადამიანებს, რომლებიც მის წინაშე დანაშაულს აღიარებდნენ და ინანიებდნენ. მუსოლინი მთელი ცხოვრება მისდევდა სპორტს. იყო დიეტაზე, მიუხედავად იმისა, არ იყო ჯანმრთელი. აწუხებდა მუცლის ტკივილები (წყლული).

მას საკმაოდ რთული პირადი ცხოვრება ჰქონდა. 1941 წლის 22 ივნისს თვით-მფრინავში აფეთქდა მისი ვაჟი. ცნობილია მუსოლინის უხეში დამოკიდებულება ქალე-

ბისადმი. იგი ფლობდა უცხოურ ენებს და შესანიშნავი ჟურნალისტი იყო.

გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინმა“ თავის დროზე დიდი მითქმა – მოთქმა გამოიწვია. მწერალი ჯერ საბჭოთა კავშირში, მოგვიანებით კი ევროპაში დაგმეს, როგორც ჰუმანიზმისა და მორალური ფასეულობების უარმყოფელი. მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ გამომცემლობები, არ იწვევდნენ ლიტერატურულ სალონებზე, კოლეგებიც არიდებნენ თავს. ამავე მიზეზით, ნობელის პრემიის კომიტეტმა უარი განაცხადა გრიგოლ რობაქიძის კანდიდატურის განხილვაზე.

რობაქიძე აგვიღწერს ბელადის პიროვნებას. იგი უშუალო და ნათელ შთაბეჭდილებას ახდენს. ვერც ერთი მხატვარი ვერ შეძლებდა მისი შინაგანი სამყაროს ამომწურავი პორტრეტი შეექმნა, მუქ-ლურჯი და მაინც ნათელი თვალები არსებით ხასიათს მალავენ. მის ყოველ გამოსვლაზე ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ეს პირველად ხდებაო, - წერს რობაქიძე. ათასობით ადამიანი მასთან უშაუალოდ ლამობს შეხვედრას, მილიონები მოუთმენლად ელიან მისი ხმის გაგონებას რადიოში.

მზე ანაყოფიერებს დედამიწას. მზე ლოგოსია. დედამიწა კი – მატერია. დედამიწა შობს ჭაბუკს, რომელშიც მზე ისევ და ისევ განახლებული სახით მოგვევლინება. რობაქიძეს მოჰყავს ფარაონ ეხნატონის სიტყვები, რომლებიც მზის ამოსვლას ეძღვნება:

„შენ ხარ მზრდელი ნაყოფისა ქალის წიაღში.
შენვე აღვიძებ მამაკაცის თესლს,
შენ აწვდი ჰაერს წიწილს ნაჭუჭში,
შენ აძლევ ძალას გამოტეხოს მისი საფარი,
ჯერ არშობილთა ძიძა ხარ
და შენ კვებავ ყველას,
სუნთქვას ჩაუდგამ, რათა სიცოცხლე შთაბერო პირმშოს,
როდესაც იგი სულ დატოვებს ბნელთა წიაღს“ [რობაქიძე, 2010, 6].

მუსოლინის გარეგნობას ადარებს მეტეორის ნამსხვრევს, რომელიც უჩვეულოდ მშვიდად გდია მინდორზე. მასში ცეცხლი მთლიანად ჩამქრალა, მაგრამ თავს ვერ აღწევს აკვიატებულ აზრს, რომ შესაძლოა, შავი ნამსხვრევი უეცრად ცეცხლის ენებად აენთოს. მის მოელვარე, უზარმაზარ მუქ თვალებში იმალება ენით გამოუთქმელი სევდა. სოლისებურად წამახულ პირის კუთხეებში ურყევი მხნეობა იკვეთებოდა, _ წერს რობაქიძე. იგი ერთდროულად მშრალიც იყო და ჩვილი გულიც ჰქონდა. ლაპარაკის

დროს უხერხულობა გეუფლებოდა, მისი გამოჩენა ყველგან უხერხულობის ველს ქმნიდა.

რობაქიძე აქაც, ჰიტლერის მსგავსად აღწერს დუჩეს (ბელადი) სურათებს. მისი სიმშვიდის ქვეშ მშფოთვარება იგრძნობა. პირის კუთხეებში კი ბრძოლის ძლიერი ჟინი იკვეთება. გგონია ძლიერი ყბებით რკინასაც კი გაკვნეტს. იგი საფრთხეს გუმანით გრძნობს და ცდილობს საფრთხეს კისერზე სიკვდილის ქამანდი გამოსდოს. რობაქიძე მას ციდან ჩამოვარდნილ დემონს ამსგავსებს.

დუჩე ტომის ბელადს ჰგავს, რომელმაც ეს – ესაა ბრძოლა მოიგო. იგი მსუბუქად და ლაღად დააბიჯებს, ამქვეყნიურ ყოფას სიცოცხლით ავსებს, სიხარული შემოაქვს. ნაცნობებს გაცისკროვნებული სახით ესალმება, თვალებს ხუჭავს და წამწამებს შორის ისე იყურება; მერე დარდიმანდულად იღიმება და ადამიანების გულს ინადირებს. ხელის ჩამორთმევა საჩუქარს ჰგავს, ოთახში წრეებს უვლის და არამიწიერ მოთეთრო – მოიისფრო შუქს ასხივებს. უყურებ დუჩის და ანაზდად ჰერაკლიტეს სიტყვები გახსენდება: „ელვა მართავს სამყაროსო“ ამ წუთში ადამიანი მბრძანებლის წინაშე დგას.

ამ უბრალო წარმომავლობის კაცმა საკუთარი მითოსი თავადვე შექმნა. ფაშიზმის ამ ერთ-ერთი მამამთავრის ტრიუმფალური აღმასვლა 1922 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო, როცა სამხედრო გადატრიალების შედეგად ქვეყნის პრემიერმინისტრი გახდა. მუსოლინის ზეობა ოც წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. 1923 წელს იგი ევროპაში ცნობილი პიროვნება გახდა, 1926 წლის შემდეგ კი მსოფლიოში გავრცელდა ლეგენდა ყოვლისშემძლე, ბრძენ დუჩეზე, რომლის კულტი იტალიური ფაშიზმის ყველაზე შთამბეჭდავი გამოხატულება იყო.

ზეკაცის ნიცშესეული იდეით შთაგონებული და თავადაც ზეკაცობის მოსურნე მუსოლინის შესახებ ირეალურ, ჰიპერტროფირებულ მითს გულმოდგინედ ქმნიდნენ მისი ახლობლები, პარტიული თანამოაზრენი, ჟურნალისტები. ისინი მას არისტოტე-ლეს, კანტს, თომა აქვინელის გვერდით აყენებდნენ, განუმეორებელ გენიად თვლიდნენ, რომელიც თვით დანტეზე, მიქელანჯელოზე, ვაშინგტონზე, ლინკოლნზე, ნაპოლეონზე მაღლა იდგა. ქარიზმატული ლიდერის ბიოგრაფიას სკოლებში ასწავლიდნენ, ქვეყანა მისი პორტრეტებით იყო მოფენილი. მუსოლინის ეგზალტირებული, ენერგიული საჯარო გამოსვლები მილიონებს აღაფრთოვანებდა. და მაინც, დიქტატორის ეს არნახული ტრიუმფი კატასტროფით დამთავრდა: „ის, რაც მუსოლინის ეგოიზმისათვის

კარგი იყო, იტალიისათვის დამღუპველი აღმოჩნდა“ [სმიტი, 1995, 152].

სწორედ ამგვარ, ერთი შეხედვით ლეგენდარულ, სინამდვილეში კი წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებაზე 1939 წელს წიგნი დაბეჭდა ემიგრაციაში მყოფმა გრიგოლ რობაქიძემ და ამით, ისევე როგორც 1938 წელს გერმანულ ენაზე „ადოლფ ჰიტლერის“ გამოქვეყნებით, მან შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი რისკიც გასწია. მართლაც, ამ გაბედულებამ მის შემდგომ ცხოვრებას საბედისწერო დაღი დაასვა.

ევროპაში უკვე აღიარებული მწერლის შემოქმედებითი ტალანტით, ჩანს, გერმანიის უმაღლესი წრეებიც დაინტერესდნენ. სავარაუდოა, რომ „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ დაწერა გრიგოლ რობაქიძეს სწორედ მათ დაუკვეთეს. ამის საფუძველს გვაძლევს მისი ახლო ნაცნობის, გერმანელი ნიკოლაუს ზომბარტის მოგონებების ერთი ფრაგმენტი: „მწერლის ამ წიგნს (იგულისხმება „ადოლფ ჰიტლერი“) მოულოდნელი, ჩვენთვის კი არასასურველი წარმატება ჰქონდა. გიობელსმა წიგნი შეიტანა პარტიის მიერ რეკომენდებულ წიგნთა სიაში. გაიყიდა წიგნის ასი-ათასობით ეგზემპლარი. გავიგეთ, რომ გიობელსმა „უცხო მწერალი“ პროპაგანდის სამინისტროში მიიწვია. ახლა რობაქიძე დარჩა აღტაცებული იოზეფ გიობელსის დიდი თვალებით. უფრო მეტიც, მან მიიღო დავალება მსგავსი წიგნი მუსოლინიზე დაეწერა, რაც შეასრულა კიდეც. რობაქიძეს რომში აუდიენცია გაუმართეს. ომის დროს კვირობით ცხოვრობდა კაპრიზე, იტალიის მთავრობის ხარჯზე. აქ მან დაწერა მუსოლინზე წიგნი. მუსოლინი ყოფილა „მზის კაცი“ (Sonnenmensch). ეს წიგნიც შევიდა პარტიის ბიბლიოგრაფიაში. რობაქიძე ამით წელში გაიმართა“ [კაკაბაძე, 1992, 227].

ამ სკანდალური წიგნების გამოქვეყნებით გრიგოლ რობაქიძემ ბეწვის ხიდზე გაიარა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ყოფილა ფაშისტთა ბელადების ბრმა მეხოტბე. მწერალმა სხვა გზა აირჩია: მიზნად დაისახა შემოქმედებითად, ინტროსპექციულად, თვითდაკვირვებით გამოეკვლია ამ ქარიზმატული ლიდერების პიროვნული არსი, ჩასწვდომოდა მათ სულიერ სამყაროს, ეჩვენებინა მათი ბიოგრაფიის თუ მოღვაწეობის მთავარი შტრიხები, წარმოეჩინა მათი შინაგანი, მისტიკური ხატი. დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა ხშირ შემთხვევაში თავად მკითხველს დაუტოვა. საკუთარი პოზიცია, ნამდვილი სათქმელი გრიგოლ რობაქიძემ სიმბოლური, მეტაფორული, ფილოსოფიური თუ მითოლოგიური სახეებითა და პარალელებით შენიღბა. მათი წვდომა მხოლოდ მომზადებულ, ერუდირებულ, ელიტარულ მკითხველს თუ

შეეძლო. აქ კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ეს წიგნები მეორე მსოფლიო ომამდე შეიქმნა. ამ დროს წინასწარ არავის შეეძლო განეჭვრიტა ფაშისტებისა და მის მამამთავართა „საქმენი საგმირონი“ [კვატაია, 2008, 50].

იტალიელთა აღიარებულ წინამძღოლზე ყველასათვის მისაღები წიგნის დაწერა როზაქიძისათვის ალბათ არც ისე იოლი იქნებოდა, რადგან თავის ქვეყანაში „მუსოლინი ფაქტობრივად ღმერთთან იყო გათანაბრებული, რომლის ქურუმებად და მორჩილებად სხვა ფაშისტური ლიდერები ითვლებოდნენ“ [სმიტი, 1995, 148]. მის ირგვლივ უამრავი პანეგირიკული ტექსტი იქმნებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ „მუსოლინი“ გრიგოლ როზაქიძის საუკეთესო თხზულებათაგანია. ის სხვა ტექსტებისაგან როგორც კომპოზიციურად, ისე სტილურად გამოირჩევა. მისი დიდი ნაწილი იტალიაში მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილებებს ასახავს, ქვეყნის ბუნებისა და საუცხოო სანახების მხატვრულ აღწერას ეძღვნება. ცხოველ ინტერესს იწვევს თხზულების ის მონაკვეთი, რომელიც მითიურ ატლანტიდას ეხება. გვინდა შევნიშნოთ, რომ ევროპაში ემიგრირების შემდეგ გრიგოლ როზაქიძეს განუმტკიცდა რწმენა ქართველთა ატლანტურ წარმომავლობაზე. მისი ეს ვარაუდი მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს ემყარებოდა. არსებობს ცნობა, რომ 1930-იან წლებში მას ამ მითიურ ქვეყანაზე რომანიც დაუწერია, რომელსაც ბერლინის ლიტერატურულ წრეებში კითხულობდა.

„მუსოლინის“ ტექსტში ჩართულია მითოლოგიური თუ ფილოსოფიური წიაღსვლები, უშუალოდაა დაფიქსირებული თავად ავტორის იმდროინდელი განცდები და განწყობილებანი. რა თქმა უნდა, თხზულების ძირითადი ნაწილი მთავარი გმირის სახის კვლევასა და წარმოჩენას ეძღვნება, რისთვისაც, როგორც ჩანს, გრიგოლ როზაქიძეს დიდძალი მასალა შეუგროვებია და გადაუმუშავებია. მწერალი კომპლექსურად სწავლობს მუსოლინის სახეს, მისი სრულყოფილი წარმოჩენისათვის საგულდაგულოდ იაზრებს ყოველ არსებით დეტალს. მ. ბახტინი წერს: „ნაწარმოების ყოველი მომენტი გვეძლევა, როგორც ავტორის რეაქცია მასზე, რომელიც მოიცავს როგორც საგანს, ისე გმირის რეაქციას მასზე. ამ აზრით ავტორი ხაზს უსვამს თავისი გმირის ყოველ წვრილმანს, მის ყოველ შტრიხს, მისი ცხოვრების ყოველ მომენტს, მის ყოველ ქმედებას, მის აზრებს, გრძნობებს“ [ბახტინი, 1986, 9]. მკვლევარი ამას ავტორის ტოტალურ რეაქციას უწოდებს. გმირისადმი ამგვარი მიდგომა ახასიათებს ამ შემთხვევაში როზაქიძესაც.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში ავტორი მუსოლინის პიროვნებას საკმაოდ თავისუფლად და გაბედულად ეპყრობა. იგი არ ერიდება მისი როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეების წარმოჩენას. რობაქიძე ეხება მომავალი ბელადის დაბადებას, ბავშვობის წლებს, მის გარეგნობასა და თვისებებს. თუმცა, არაფერს ამბობს დუჩეს „ისტორიულ დამსახურებებზე“, „მსოფლიო მისიაზე“ და ა. შ. მწერალი არ ღალატობს თავის შემოქმედებით მრწამსს. მისთვის „ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი უფრო მითოლოგიური პერსონაჟები იყვნენ, ვიდრე მეოცე საუკუნის რეალური ადამიანები“ [ბაქრაძე, 2004, 178].

უფრო მეტიც, ვფიქრობთ, ამ თხზულებაში მუსოლინის შესახებ არსებული მითის დესაკრალიზებაც კი ხდება, როცა მწერალი ძლევამოსილი ბელადის არცთუ საამაყო თვისებებზე ჩერდება. კერძოდ, დახშული სივრცის მიმართ მისეული შიში ერთგვარ ირონიასაც იწვევს. წიგნში ჩართულია ფრაგმენტი მარგარიტა სარფატის მოგონებიდან. აქ გადმოცემულია მუსოლინის აფორიაქება მილანის ბაღის ჩაკეტვის გამო. მეტიც, ამავე მიზეზით ის თურმე სამხედრო ბრძანებას არღვევდა და სანგარში, ან თავშესაფარში არ შედიოდა, არც კაპრიზე ყოფილა ლეგენდარული მღვიმის მოსანახულებლად, გვირაბში მატარებლის შესვლისას მას სახე ელუშებოდა. „ეს არის უჰაეროდ სიკვდილის შიში; თანდაყოლილი შიში მზიურნიშნეული ადამიანისა“, – უთითებს მწერალი და ამ ფობიას მისი თერთმეტგზის პატიმრობით ხსნის.

თხზულების ტექსტში შეტანილია ასევე არც მთლად სასახელო ეპიზოდი ბელადის ცხოვრებიდან: ის ძალზე შეუშინებია ნაჩუქარ ფარაონის მუმიას, რადგან გაზეთებიდან შეუტყვია, რომ ტუტანჰამონის მუმიის აღმომჩენი ლორდი რომელიღაც მწერს სასიკვდილოდ დაუკბენია. ამგვარი დეტალები მუსოლინის რეალურ ადამიანურ სახეს აჩვენებდა. ამავე დროს, „მუსოლინი“ მთავარი გმირის ზეადამიანური ამტანობისა და გამძლეობის მაგალითებსაც წარმოადგენს. ვფიქრობთ, ამგვარი ფრაგმენტებით მწერალი ხაზს უსვამს მის წინააღმდეგობრივ, რადიკალურად პოლარიზებულ ბუნებას, რაშიც ის საფრთხესაც ხედავს. თუმცა ამაზე მინიშნება ტექსტში ხშირად სიმბოლოთა მეშვეობით ხდება.

„ადამიანის პიროვნებას ვერც შექმნი და ვერც წარსულში დააბრუნებ. ბურუსითაა მოცული, როგორ „შეიქმნა“ იგი ღვთიური თაურხატებისაგან. შეიძლებოდა მხოლოდ გვეცადა და გამოგვეკვლია, როგორ „იშვა“ იგი სივრცესა და დროში“, – წერს გრიგოლ

რობაქიძე. მუსოლინის ადამიანური მხარეების კვლევას მისი დაბადებიდან იწყებს. თავად გმირის სიტყვები ახსენდება: ჩემი დაბადებისას „მზე ლომის ნიშანში უკვე რვა დღის შესული იყოო“ თავის მხრივ, მზისა და ლომის პლანეტარულ-რუნული ნიშანი გმირის სიძლიერისა და პიროვნული შტრიხების განმსაზღვრელიც გამხდარა. მზის სიმბოლიკა ჰეროიკულ საწყისს განასახიერებს, ლომის სახეში კი პერსონიფიცირებულია მზის ცხოველმყოფელი ძალა, სიმამაცე, შეუპოვრობა, ტრიუმფი. ამავე დროს, მას სისასტიკე და მძვინვარებაც ახასიათებს. მასში გაერთიანებულია შექმნისა და ნგრევის მისტერია [ენციკლოპედია, 2006, 125].

მომავალი ბელადი მდინარე პოს ვრცელ დაბლობში, ალპებს, ადრიატიკასა და აპენინებს შორის მდებარე რომანიაში მოვლენია ამ ქვეყანას, იქ, სადაც ვულკანური ნიადაგი ადამიანს ამოუცნობი მშფოთვარებით ამაგნიტებს. „ნიადაგი ნოყიერია, მაგრამ აქ დაუოკებელი ადამიანები ცხოვრობენ“, – უთქვამს კარდინალის ერთ-ერთ ლეგატს. ეს თვისებებიც ჭარბად ახასიათებდა მჭედლის ოჯახში დაბადებულ „ელვითშეპყრობილ“ დუჩეს. რობაქიძე მის მკაცრ, გაუხარელ ბავშვობასაც იხსენებს: პატარა ბიჭი მამას სამ-ჭედლოში უნდა დახმარებოდა, თანაც ისე, რომ უფლება არ ჰქონდა, თვალები ცეცხლის ნაპერწკლებისაგან დაეცვა. ამ დროს პატარა ბენიტო მჭედლის სახელოსნოში ფოლადი-ვით იწრთობოდა, ნელ-ნელა თავადაც რკინის თვისებებს იძენდა, – დასძენს მწერალი.

საკუთარი მოგონებების მიხედვით, მუსოლინი მოუსვენარი და ონავარი ბავშვი ყოფილა, სახლში თავგაჩეხილიც ხშირად დაბრუნებულა. „მაგრამ შურისძიებაც მშვენივრად შემეძლო. მომთაბარის ინსტინქტი მქონდა, დილიდან საღამომდე მდინა-რის ნაპირზე დავრბოდი, ხილს ვიპარავდი და ჩიტის ბუდეებს ვანადგურებდი“, – წერდა მოგვიანებით დუჩე. გრიგოლ რობაქიძეს ეს ფრაგმენტიც შეუტანია თავის თხზულებაში, რითაც მუსოლინის გამძლეობას, მოხეტიალე, დაუნდობელ, შურისმაძიებელ ბუნებასაც უსვამს ხაზს.

მამასთან ბენიტოს დამოკიდებულების საჩვენებლად წიგნში ჩართულია მასთან ერთად სურნელოვანი ღვინის მომზადების ლირიკული სურათი. აქედან ჩანს, რომ წინაპართა ტრადიციებს მას მამა აზიარებდა. ძმა, არნალდო, ბენიტოსათვის სიკეთის განსახიერება ყოფილა. ის 1931 წელს გარდაცვლილა, რაც დუჩეს ძალზე განუცდია (ძმის ხსოვნისადმი მას წიგნიც მიუძღვნია). გრიგოლ რობაქიძე მკითხველს აცნობს იდუმა-ლებით მოცულ ჯოვანას, ახალგაზრდა ბენიტოს მეგობარ მოხუც, გრძნეულ ქალს, წარ-

სულის აწმყოში გამოხმობის საიდუმლოს რომ ფლობდა.

ლაკონურად, მაგრამ ექსპრესიულად გადმოსცემს გრიგოლ რობაქიძე მუსოლინის გარეგნულ შტრიხებს. ქარიზმატული ბელადი მწერალს „გრაალის მცველნის“ გმირს ახსენებს. ორივე მათგანი მინდორზე უჩვეულოდ, მშვიდად დაგდებულ მეტეორის ნამსხვრევს აგონებს, რომელშიც ცეცხლი მთლიანად უკვალოდ ჩამქრალა. თუმცა, ყოველ წამს შესაძლოა, ქვის შავი ნამსხვრევი უეცრად კვლავ ცეცხლის ენებად აინთოს. დუჩეს სხვა გარეგნული დეტალებიც მისი გმირისას ემთხვევა: უზარმაზარი მუქი თვალები რვალივით ელავს, ბინდ-ბუნდში მათ მუქცისფერიც ერევა. თვალებში სევდაა, მაშინ, როდესაც ტუჩის კუთხეები მხნეობას გამოხატავს. გარეგნულად თითქოს მშრალია, მაგრამ, სახეზე ღიმილი თუ ეფინება, მისი გულის სირბილესაც გრძნობ (ვფიქრობთ, მუსოლინის პიროვნული დუალიზმი აქაც იკვეთება). „მიუხედავად ამისა, ისეთი გრძნობა გქონდა, ეს-ესაა ცეცხლს ამოაფრქვევსო; სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ყველგან სახიფათო დაძაბულობის ველს ქმნიდა. ეს ველი თავად მისთვისაც და გარშემომყოფთათვისაც საშიში ხდებოდა“ ამგვარი იყო „გრაალის მცველნის“ გმირი. ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენდა მწერალზე მუსოლინი. არ შეიძლება არ გაგვაოცოს რობაქიძის გაბედულებამ: ამ კუშტი კაციდან მომდინარე საფრთხეზე ის პირდაპირ მიანიშნებს.

მუსოლინის ფოტოსურათების თვალიერებისას მწერალს კვლავ თავისივე რომანის ზემოხსენებული გმირი ახსენდება. „იგივე მშფოთვარება სიმშვიდის ქვეშ, ცეცხლოვან მგზნებარებასთან გაჯერებული იგივე პირქუშობა, საწვავ მასალად გამოყენებული იგივე ცხელი და მშრალი ნივთიერება, ისეთივე სახიფათო ველის შექმნა საკუთარი თავის გარშემო“ მასში არაა მხოლოდ „გრაალის მცველნის“ რობაქიძისეული გმირის სევდა, ამის ნაცვლად მისი ტუჩის კუთხეებში ბრძოლის ჟინი იკვეთება.

გმირზე სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად მწერალს დოკუმენტური კინემატოგრაფიული კადრებიც დაუთვალიერებია. კვირის ქრონიკაში წარმოდგენილი დუჩე მას ტომის ბელადს აგონებს, ეს-ესაა ბრძოლა რომ მოიგო. „მსუბუქად და ლაღად დააბიჯებს და მის სიარულში ნიშან-კვალი არ იგრძნობა ელემენტების „მთლიანობის შინაგანი შემკვრივებისა“ მწერლის დაკვირვებით, ეს კაცი ამქვეყნიურ ყოფას სიცოცხლით ავსებს და მასში სიხარული შემოაქვს: ნაცნობებს გაცისკროვნებული სახით ესალმება, დარდიმანდულად იღიმება და ადამიანთა გულებს ინადირებს. „მისი ხელის ჩამორთმევა საჩუქარს ჰგავს; მოძრაობს მკვეთრად და სწრაფად, მაგრამ არა გამალებით,

და ამ დროს თითქოს ნაპერწკლებს ყრის“. მწერალს დიქტატორი სფერულ ელვას აგონებს, რომელიც, „ვიდრე მას აფეთქების ძალა არ განმუხტავს, ოთახში წრეებს უვლის და არამიწიერად მოთეთრო-მოიისფრო შუქს ასხივებს. მუსოლინის სახეზე ნაპერწკლებს ტკაცა-ტკუცი გაუდით დიუნებზე არეკლილი მზის სხივების მსგავსად, და ამ ნაპერწკლების ნაკვალევი ფილმში განსაკუთრებით ხილული ხდება. უყურებ დუჩეს და ანაზდად ჰერაკლიტეს სიტყვები გახსენდება: „ელვა მართავს სამყაროსო“ ამ წუთში ადამიანი მბრძანებლის წინაშე დგას“ [რობაქიძე, 2010, 14].

მწერალი ელვის ნიშნის სიმბოლიკას იხსენებს. ზევსი კიბელეს ჭექა-ქუხილის დროს უკავშირდება. რატომ? – იქნებ იმიტომ, რომ მან ელვა შვას? ელვის დარტყმა რობაქიძისათვის განსაკუთრებული მოვლენაა. ის ბევრ ადამიანს საკუთარ თავზეც გამოუცდია, თუმცა შედეგი სხვადასხვაა: „ზოგს იგი სასიკვდილოდ დასცემს ხოლმე, ზოგიც, შემთხვევისა და მტკიცე თვითდისციპლინის წყალობით, უძლებს ამ დარტყმას; და მისთვის, ვინც ამას გადაურჩება, ელვა უჩვეულო ძალად გადაიქცევა“ გრიგოლ რობაქიძეს მოყავს დოსტოევსკის მაგალითი, რომელიც სიკვდილით დასჯის წინ შეიწყალეს. „სიკვდილის წამთან შეხებამ კი შემოქმედებითად აღაზევა იგი“, – შენიშნავს მწერალი. მსგავსი შეგრძნება აქვს რობაქიძეს მუსოლინისთან მიმართებაში: მას რომ უყურებ, გგონია, საკუთარ თავზე გამოცადა ელვის ეს გამანადგურებელი დარტყმაო. ელვადაკრული ახლა ელვითშეპყრობილად იქცა და ელვა, დაპი-რისპირებულ ძალთა თანხვედრის ეს წერტილი, მწერლის აზრით, მისი სტიქიონია. სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს დუჩეს არსების უჩვეულო პოლარიზება, – თვლის იგი.

ვფიქრობთ, მრავლისმთქმელია თხზულების ის მონაკვეთი, რომელიც ბუკნაოჭებით მუსოლინის გატაცებას გადმოგვცემს. მათ დიქტატორი ყოველწლიურად, განსაზღვრულ დროს, ერთ-ერთი ხიდის თაღებქვეშ წებოწასმული წკეპლით თავადვე იჭერდა, შემდეგ ერთი ბარტყი სახლში მიყავდა, საწოლთან, პატარა სკამზე სვამდა და, ღამღა-მობით გაღვიძებულს, ფრინველის მრგვალი, ყვითელი თვალების ხილვა ამშვიდებდა: „ეს თვალები მომჩერებოდნენ და მდარაჯობდნენ“, – წერდა ის [რობაქიძე, 2010, 23].

მწერალი განმარტავს, რომ ამ პატარა ბუს ხალხი ხან სიბრძნის, ხანაც უბედურების სიმბოლოდ მიიჩნევს. ღამით, მარტოდმარტოდ სვლისას, ბუს კივილის უეცარი გაგონებისას „შენთვის დრო და სივრცე აღარ არსებობს. სწორედ მაშინ დგება ის წუთი,

როდესაც საკუთარი სულის ჭვრეტას იწყებ მაგრამ, „თუ ბუს ძახილს გაფრთხილებად არ შეისმენ, მაშასადამე, უბედურებასთან შეხვედრას ელტვი“. გრიგოლ რობაქიძისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბუ ღამის წყვდიადში ჩაბუდებული ვირთხაა, რომელიც ერთდროულად რეალურსაც განასახიერებს და მოჩვენებითსაც. ყველასათვის ახლობელიცაა და შორეულიც, იდუმალიც და ბოროტიც. ის, როგორც სიმბოლო, ცხოვრების რიტმში იმ მოფარფატე ცეზურას ქმნის, როდესაც ორი ურთიერთდაპირისპირებული ნაკადი ჯერ გამოეყოფა ერთმანეთს, შემდეგ კი კვლავ აღადგენს წონასწორობას და ისევ შეუერთდება.

მწერლის მითითებით, ამ ცეზურის შესახებ ყველაზე უკეთ ძველმა ეგვიპტელებმა იცოდნენ, რომლებიც ვირთხას წმინდა ცხოველად თვლიდნენ. ისინი ჰყვარებია მუსოლინის, რომელიც თავადაც გამუდმებით იდგა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის და სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. თხზულებაში ვკითხულობთ: „მისი არსება მიილტვოდა არსებობის დამცავი ცეზურისკენ და ეს უკანასკნელი ბუ-ვირთხის სახით შეუმჩნევლად მოევლინებოდა ხოლმე. „მდარაჯობენო“,– ეს სიტყვა ქვეცნობიერის მრავლისმთქმელ ფსიქოგრამას წარმოადგენს“, – ასე ხსნის ბუ-ვირთხით მუსოლინის გატაცების ენიგმას გრიგოლ რობაქიძე.

წიგნის იმ თავში, რომელსაც „დადით“ აღბეჭდილი კაცი ჰქვია, გრიგოლ რობაქიძე არაბულ გამონათქვამს იხსენებს: „თუ ცეცხლს საწვავს არ ჩაუმატებ, იგი თავის თავში შთაინთქმევაო“ და დასძენს: „არავის ისე არ სჭირდება საკუთარი შინაგანი ცეცხლის გაღვივება, როგორც მზით ხელდასმულ ადამიანს, ამიტომაც იგი გამუდმებით და მიზანდასახულად უნდა ცდილობდეს, ცეცხლს საწვავი არ მოაკლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ცეცხლის წყაროსა და საწვავს შორის შეიქმნება ვაკუუმი. იგი შეიძლება, ბევრად უფრო შემმუსვრელი გამოდგეს, ვიდრე „შინაგანი შემკვრივება“ ეს კი თვითდაფერფლვის ტოლფასია.

გრიგოლ რობაქიძის დაკვირვებით, მუსოლინი ქვეცნობიერად ცდილობს, თავიდან აიცილოს ეს საფრთხე და საკუთარი ქმედითობისათვის საჭირო საწვავს გამუდმებით ცვლის. ამით ხსნის მწერალი ფაშისტების ლიდერის მრავალმხრივ საქმიანობას: ეს ადამიანი მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწე არაა. ის ვიოლინოზე იმპროვიზაციებს ასრულებს, დრამებს, ნოველებს, კრიტიკულ წერილებსა და მოგონებებს წერს, მოტოციკლეტსაც აწყობს და მანქანასაც მართავს. როგორც დიპლომირებულ

მფრინავს, უამრავი ფრენა აქვს შესრულებული. ვაჟთან ერთად თხილამურებზეც დადის, კარგი მოფარიკავეა, შუადღისას ცხენითაც ჯირითობს, სალაშქროდ მთებსაც ეწვევა ხოლმე. მწერალი თვლის, რომ საქმიანობის ამგვარი მრავალმხრივი მონაცვლეობა მის პიროვნულ შინაგან, თვალით უხილავ ორთაბრძოლას საწვავით ამარაგებს.

„მოუსვენრობა სიმშვიდის მიღმა“, – ამ თვისებასაც ხედავს რობაქიძე მუსოლინის არსებაში. შენიშნავს, რომ რაც უფრო მეტს მოძრაობს იგი, მით უფრო მშვიდია. „ეს არის უცვლელად დარჩენა იმის შუაგულში, სადაც არსებობს ღირსება; მაგრამ ადამიანები ამ შუაგულში იშვიათად ჰგიებენ“, – ამბობს ჩინური სიბრძნე. აქ მწერალს პოლ ვალერი ახსენდება, რომელმაც თავის ერთ-ერთ ლექსში გამოძერწილ სურათ-ხატს „ატომის დუმილი“ უწოდა. ეს ატომის ბირთვში იმ სიმშვიდის არსებობას გვაუწყებს, რომელიც, შესაძლოა, ქარტეხილისთვის ემზადება.

რობაქიძის აზრით, შუაგულში უცვლელად დარჩენა ადამიანს ღვთიურობის ხარისხში აღავლენს და სიმტკიცეს ანიჭებს. უძველესი გადმოცემების თანახმად, იულიუს ევოლა ამ მოვლენას „დადს“ უწოდებსო (აქ მწერალს ახსენდება ქართული წარჩინებული გვარი დადიანი-დადით შეპყრობილს). რას უნდა ნიშნავდეს ეს საკრალური სიტყვა? რობაქიძის შენიშვნით, მას ციხე-სიმაგრესთან აკავშირებდნენ, მაგრამ, შესაძლებელია, „დად“ თავდაპირველად „მაგარს“, „მტკიცეს“ ნიშნავდა.

„მუსოლინის“ მიხედვით, „დად“ დუჩეს მეფური თვისებაა. მის ასახსნელად რობაქიძეს მოაქვს გოეთეს მიერ ეკერმანისათვის ნაპოლეონის შესახებ ნათქვამი სიტყვები: მისი სიძლიერე იმაშია, რომ ის ყოველ წამს ერთი და იგივე რჩებაო. მსგავსი სიმტკიცე („დად“) თურმე წმინდანებს ახასიათებს. თხზულებაში დამოწმებულია ერთი თქმულება მუსოლინიზე: თითქოს მას დუელამდე ცოტა ხნით ადრე და დუელის ცოტა ხნის შემდეგ თანაბრად მიმდინარე გულისცემა ჰქონდა (მწერალი ამას „დადისაგან“ მომავალ ძლიერებად მიიჩნევს).

„დადის“ ენიგმის ასახსნელად გრიგოლ რობაქიძე მიმართავს ჩინური წიგნის „ოქროს ყვავილის საიდუმლოს“ სიბრძნეს: „წეი-წუ-წეი“-ს (ქმედებაში არაქმედება, ანუ კეთება კეთების გარეშე). ამას, მისი მითითებით, უძრავი ცენტრის არსებობა განაპირობებს. მწერალი განმარტავს: ქმედებაში არაქმედება ნიშნავს: წამიერ ქმედებას (საქმიანობას) საკუთარი თავის არა მთლად გასაცემად, უფრო მეტად, მასში უკან, საკუთარ თაურსაწყისთან შესაზრდელად.

მუსოლინის ცხოვრების სინკოპე შემოქმედს ამ „წეი-წუ-წეი“-ს ახსენებს: იგი მუდამ ისე მოქმედებს, თითქოს შინაგანად რაღაც უსასრულოდ გადაშლილ „უსასრულო ცენტრს“ აღვიძებდეს. განცდილი ცხოვრება კი მას მარადიულობაში სრულად დაბრუნებულ დროის ხანგრძლივობად ესახება. ეს დასკვნა გრიგოლ რობაქიძეს დუჩეს ნააზრევის ანალიზის შედეგად გამოაქვს. „მე ადამიანებს მარადისობის თვალსაზრისით ვუყურებ“, – წერს მუსოლინი. ამ მონუმენტური თვისების საფუძველს მწერალი მის ატლანტურ ფესვებს უკავშირებს.

შესაბამისად, თავში, რომელსაც „ატლანტიდიდან მონაბერი სიო“ ჰქვია, გრიგოლ რობაქიძე მკითხველს ახსენებს პლატონის საოცარ მონათხრობს მითიურ ატლან-ტიდაზე, ტაძარს ოქროსა და სპილენძის მადნის განსაკუთრებული ფერი ამშვენებდა. მისი მეფეები, „ლიბიის შიდა ზღვის ქვეყნებიდან მოყოლებული, ეგვიპტეზე, ევროპაზე და ტირენიზეც“ ბატონობდნენ. მწერლის ინფორმაციით, ატლანტის ოკეანის სიღრმეში უპოვიათ უცნობი ლითონისაგან ჩამოსხმული დაფა „ატლანტიდის კანონთა სჯული“, რომელზეც რვაქიმიანი ჯვარია ამოტვიფრული, მეცნიერების მიერ ამოკითხული საოცარი წარწერა კი გვამცნობს: „ღვთის ძე ადამიანებისათვის მოკვდაო“ განა ეს ღმერთის თავგანწირულობაზე არ მიგვანიშნებს?“ – კითხულობს მწერალი. საყურად-ღებოა მისი აზრი: „პლატონს სურს დაფარულად მიგვანიშნოს იმაზე, რომ ადამიანი ორი შესაქმეზე, მებოძირზე დგას: საკუთრივ ადამიანურისა და ღვთაებრივისა; ამ კვეთის არსებობა ადამიანს ყოველ წუთს უნდა ახსოვდეს. როდესაც ატლანტიდის მცხოვრებ-ლებმა ადამიანურს მიანიჭეს უპირატესობა, მათ არსებაში ამ ზღვრულ კვეთს საფრთხე დაემუქრა: მათ დაკარგეს არსებულ მდგომარეობაში ყოფნის უნარი და გადაგვარდნენ“ [რობაქიძე, 2010, 39].

ატლანტთა შთამომავლად აღიქვამს მწერალი ღვთაებრივ მიქელანჯელოს, რომელიც თითქოს ათასწლეულების წინ გაუჩინარებული ამ უცხო სივრციდან კვლავ მოევლინა ამ ქვეყანას. სწორედ ამ ატლანტიდური ნიშნით გამოირჩევა მუსოლინი, – შენიშნავს გრიგოლ რობაქიძე. ამგვარი რეცეფცია შემთხვევითი არ არის.

ცნობილია, რომ ფაშისტებმა თავიანთი რასიული მისტიკა შექმნეს და საკუთარ აგრესიულ მიზნებს დაუქვემდებარეს. მათ გამოიყენეს თეოსოფიური მოძღვრება შვიდი მარადიული რასის (ან ეპოქის) შესახებ, რომელთაგან ადამიანის წარმოსახვა მხოლოდ სამს წვდება: ლემურელების, ატლანტების და არიელებისას.

ფაშისტები ამ მისტიკურ სამყაროში თავიანთ სულიერ წინაპრებს ეძებდნენ, იქიდანვე მოელოდნენ „დიდი მოგვის“ გამოცხადებას. ცნობილ მკვლევარს, მიხეილ კვესელავას მოყავს რაუშნინგის სიტყვები: „არსებითად ყოველ გერმანელს ცალი ფეხი ატლანტიდაში უდგას. იქ ეძებს იგი უკეთეს ბედს და მემკვიდრეობას. ეს გერმანული ორგვარობა, თვითგაყოფის უნარი – იცხოვროს რეალურ სამყაროში და, ამას გარდა, დარჩეს წარმოსახულ ქვეყანაში, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჰიტლერის პიროვნე-ბაში“ [კვესელავა, 1991, 184]. როგორც ვხედავთ, ატლანტიდა ფაშისტების მითიური, აღთქმული ქვეყანაც იყო.

შვიდი მარადიული რასის თეორიის მიხედვით, მესამე რასის, ლემურელების, შემდეგ ატლანტების ეპოქა დამდგარა. არსებობს ვარაუდი, რომ ოდესღაც ევროპასა და ამერიკას შორის ოკეანის ნაცვლად უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა, ატლანტიდა არსებობდა, რომელიც 10 ათასი წლის წინ ოკეანემ შთანთქა. ხოლო ატლანტები, ლემურელთა მსგავსად, თანამედროვე ადამიანებისაგან როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად ძალზე განსხვავდებოდნენ (ატლანტიდის გამოცანას კაცობრიობა მრავალი საუკუნის მანძილზე იკვლევდა. ამ მითიური ქვეყნის სავარაუდო ადგილმდებარეობის გამოც აზრთა სხვადასხვაობა იყო).

გრიგოლ რობაქიძე ამ ჩაძირული კუნძულის უკანასკნელ სუნთქვას ტირენის ზღვის სანაპიროზე, მზის გამჭვირვალე ნისლში შეიგრძნობს. აქ უზენაესი ძალაუფლება ატლასის, ანუ ღმერთის პირმშოს, მოდგმას ეკუთვნოდა.

ატლანტიდელთა არსის შემეცნებისათვსის მწერალი პლატონის ნააზრევს აანალიზებს და ასკვნის, რომ ატლანტური ნიშნითაა აღბეჭდილი მუსოლინიც. ამის დასტურად მას მოყავს ერთ ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, როცა მან ერთ ნაცნობ ქალს მის ოჯახში ღამის გათევაზე უარი უთხრა და ღია ცის ქვეშ, ეკლესიის ქვის კიბეზე თავმიდებულმა დაიძინა. „მე ჯარისკაცი ვარო“, – უთქვამს მას. რობაქიძე აქ იმ სიფრიფანა წყალგამყოფის შეგრძნების უნარს ხედავს, რომლის გადაბიჯების უფლება ადამიანს არასოდეს აქვს. მწერალი თვლის, რომ ამ საქციელით მუსოლინი თავის ატლანტიდურ ჯიშსაც უფრთხილდება. ამავე დროს, მან იცის, რომ ძალაუფლება ძალაა, მაგრამ ისიც უწყის, სად გადის ამ ძალის ზღვარი.

დუჩეს მბრძანებლად წარმოდგენისას გრიგოლ რობაქიძეს ახსენდება ქართული სიტყვა „ხელმწიფე“ ის თვლის, რომ მას, მზეოსან და ლომივით კაცს, „მწიფე ხელი“ აქვს:

ეს ის ხელია, რომს რომ განაახლებს და ააღორძინებს. „რომი ჩვენი მითოსია“, – უთქვამს მუსოლინის. ამ მარადიულ ქალაქთან დიქტატორს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონია. „მას ოცნებად ჰქონდა აეშენებინა „მუსოლინის რომი“, სრულიად ახალი იერსახის ქალაქი, რაც იმპერატორთა და პაპთა თავისებური გამოწვევა იყო. მას სურდა დაეჩრდილა ყველაფერი, რაც ბოლო ორიათასი წლის მანძილზე იყო შექმნილი“ [სმიტი, 1995, 162]. ამ გეგმის მიხედვით, დედაქალაქი დიდი მეტროპოლია უნდა გამხდარიყო, მოსახლეობა ორჯერ უნდა გაზრდილიყო, გაფართოებულიყო მისი საზღვრები. დიქტატორს სურდა დაენგრია „დაცემის პერიოდის“ შენობები და ისინი იმპერიის შესაფერი შთამბეჭდავი ნაგებობებით შეეცვალა. უნდოდა ისტორიაში შესულიყო როგორც „დიდი ხუროთმოძღვრის“, ისე „დიდი დამანგრევლის“ სახელით. მუსოლინი მალე მიმხვდარა, რომ მის ამგვარ ოცნებებს ახდენა არ ეწერა.

თხზულების ტექსტიდან ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძეს რომშიც უმოგზაურია. „აქ წარსული კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს“, – წერს იგი. მწერალი იხსენებს, რომ მარადიული ქალაქის სახელრქმეული ნიშანი არწივია, რომელსაც მზესთან განსაკუთრებული კავშირი აქვს. არწივის მზერა მზესაა მიჯაჭვული, ის ღია თვალებით უცქერის მნათობს. რომაული გადმოცემის მიხედვით, სიკვდილის შემდეგ კეისართა სულები არწივის სახით ევლინებიან ამ ქვეყანას. „ძველი აღთქმის მიხედვით, არწივს ორსახოვანი სახისმეტყველება აქვს: ერთი მხრივ, ის სიმბოლოა სიამაყის, ქედმაღლობისა და თვითდაჯერებულობის, მეორე მხრივ კი – მიწაზე დანარცხებისა და გაქრობის“ [ენციკლოპედია, 2006, 23].

ანტიკურ რომში ის კეისრებისა და მათი ძლევამოსილი ლეგიონების სიმბოლო იყო. ზეცაში არწივი იგივეა, რაც ლომი მიწაზე. მას ჰქონია „იუპიტერისეული“ უნარიც მეხის ტყორცნით ყოველივე უწმინდურის განადგურებისა.

აქვე გააზრებულია რომის მეორე სიმბოლო – მგელი. ამ ცხოველის ბრმა, შიშველი და თავაწყვეტილი ძალა არსებითად ცეცხლის ძალის შესაგვანია. მგელი ბოროტების, ძალმომრეობის, დემონურ ძალთა სიმბოლოცაა, თუმცა ანტიკურ ეპოქაში ის მხედრულ სიმამაცესა და თავდადებასაც განასახიერებდა. „მგლის მითოლოგიური სიმბოლოს კავშირი ქვენა სამყაროსთან, ბნელეთთან, მკვდართა საუფლოსთან განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა სკანდინავიურ მითში, რომელშიც გიგანტური მგელი – ფერნირი, ქაოსის სიმბოლო, გადაყლაპავს მზეს, რაც ქვეყნის დასასრულს მოასწავებს“ [ენციკლო-

პედია, 2006, 138]. ამ ლეგენდის გამომახილი რობაქიძის თხზულებაშიც გვხვდება. არ გამოვრიცხავთ, რომ ის მუსოლინის პიროვნულ ნიშნადაც იგულისხმებოდეს, თუმცა ამაზე ტექსტში პირდაპირ არაფერია ნათქვამი.

არწივი და მგელი – დაჭიმული მშვილდის ეს ორი ლარი, რომში თავად ბედისწერამ ამოტვიფრა, – ხატოვნად წერს მწერალი, ხოლო „მუსოლინი, – ეს თავად დაჭიმული მშვილდი, – ატლანტიდის მბრძანებელთა მსგავსად, ოსტატურად წარმართავს დაპირისპირებულთა მდინარებას. იგი თავისი „დადით“ მთლიანად მშვილდის შუაგულში დგება, ძალიან ბევრს და ძალიან ცოტას შორის, ისე, რომ ორივე თანაბრად იჭიმება, ნატყორცნი ისარი კი კვლავ ახერხებს დაპირისპირებულთა გაერთიანებას, როდესაც შეხვედრისას ისინი თანხმოვნებაში მოყავს“ [რობაქიძე, 2010, 58]. მწერალი ამ თვისებაშიც მუსოლინის ატლანტური არსების გამოვლენას ხედავს.

მუსოლინის სულიერი პორტრეტის სრულყოფისათვის გრიგოლ რობაქიძეს თხზულების დასასრულს მისი ერთი გამონათქვამიც მოყავს. დიქტატორს კერძო საუბარში უთქვამს: „მინდა საკუთარი ნებისყოფის ძალით, ვითარცა ლომის ბრჭყალებით, ამ დროებაში ორნატი ამოვტვიფრო: აი, ასე!“ ამ ფრაზის კომენტირებისას გრიგოლ რობაქიძე ერთგვარი ირონიით შენიშნავს: „ეს ორმარცვლიანი „ასე“,მოკლე პაუზის შემდეგ, ვულკანის ნაპრალიდან აღმომხდარ სუნთქვასავით გაისმის და, მართლაც წარმოიდგენ, როგორ ჩაასობს ლომი ბრჭყალებს თავის ნადავლს“ ეს მართლაც შთაბმეჭდავი დეტალია!” [რობაქიძე, 2010, 72].

დღეს ნაკლებად საკამათოა, საბოლოოდ როგორი ორნამენტი ამოატვიფრა მუსოლინმა თავის დროებას, არც ისაა სადავო, იყო თუ არა ის „ევროპის უდიდესი ადამიანი“ დიდების შარავანდედით დაბრმავებული ყოვლისშემძლე რომაელი დიქტატორი მაშინ ალბათ ნაკლებად წარმოიდგენდა, რომ ისტორია მისსა და მისი თანამედროვე „ზეკაცების“ მითს ასე დაუნდობლად დაამსხვრევდა.

დიქტატორებზე კარგად დაწერილი თხზულებები ინტერესით იკითხება. ძალაუფლების ანატომიის მხატვრული კვლევა მომავალში შესაძლო საფრთხეების პრევენციაცაა, რადგან ყველა დროის მბრძანებლებსა და ბელადებს მრავალი საერთო შტრიხი აქვთ. ამგვარ თხზულებებს მიეკუთვნება გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინი“, რომელშიც ავტორი წარმოადგენს ჯერ კიდევ დიდების მწვერვალზე მყოფი ქარიზმატული ლიდერის შინაგან ხატს, კომპლექსურად, შემოქმედებითად სწავლობს

მის პიროვნებას, აჩვენებს მის რთულ, წინააღმდეგობრივ ბუნებას და, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი იმდროინდელი კონიუნქტურისაგან მთლად თავისუფალი არაა, მასში ის საშიშროებაც იკვეთება, რასაც ფაშიზმის ერთ-ერთი მამამთავარი უქადდა კაცობრიობას. ვფიქრობთ, სხვა დროსა და ვითარებაში მუსოლინის მწერლისეული შეფასება კიდევ უფრო მძაფრი და ყოვლისმომცველი იქნებოდა.

გრიგოლ რობაქიძეს განუწყვეტლივ ღრღნიდა ეჭვი, რომ მის მთავარ გულის-ტკივლს საქართველო ვერ გაიგებდა ან სწორად ვერ გაიგებდა. ვერ მიხვდებოდა რისთვის დაწერა მან ორი ტაბუდადებული წიგნი, ორი ნაღმი, რომლის გაუვნებელყოფა შეუძლებელი გახდა: „ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“, თხზულებები, რომელთა გამოც დრომ ის აღიარების მწვერვალიდან დავიწყების ქვესკნელში მოისროლა. ვერც იმას გაიგებდა თუ რატომ შეაგდო სასწორზე თავისი ნებით ორმოცდათვრამეტი წლის უაღრესად განსწავლულმა, ჭირსა და განსაცდელში გამობრძმედილმა კაცმა საკუთარი, მრავლის აღმთქმელი მომავალი. რა თქმა უნდა, ქართულმა ემიგრაციამ კარგად უწყოდა ყოველი და გრიგოლსაც დიდად აფასებდა, მაგრამ ქართული ემიგრაცია, მასზე არანაკლებ დაჩაგრული და ტრაგიკული, იყო მხოლოდ ერთი ნაწილი სრულიად საქართველოსი, მას კი სურდა, რომ სიმართლე სცოდნოდა მთელ ქართველ ხალხს, თავის საუკეთესო გამოვლინებაში, რასაც მისთვის შავი ჭირივით საძულველი, ოფიციალური წითელი ხელისუფლება არამც და არამც არ მიეკუთვნებოდა.

დამარცხებულად ის თავს არ თვლიდა. ასე რომ ეფიქრა, თავისი თხზულებები ცეცხლისთვის უნდა მიეცა, მაგრამ გამარჯვებულიც რომ არ იყო, ამასაც ხედავდა. სიამაყე არ აძლევდა იმის უფლებას, რომ თავის მართლება დაეწყო. მისი სიცოცხლისა და შემოქმედების მთვარი პრინციპი, რომელიც პოლარულად საწინააღმდეგო იყო იმ პრინციპისა, რითაც ბოლშევიკური რუსეთის კოლონია, ბოლშევიკური საქართველო ცხოვრობდა, არავითარ გადასინჯვასა და რევიზიას არ ექვემდებარებოდა. მას უსათუოდ ბოლო ამოსუნთქვამდე სწამდა, რომ დამონებული სამშობლო აუცილებლად თავს დააღწევდა დამპყრობთა ბრჭყალებს, მაგრამ თვითონ რომ ამ დღეს ვერ მოესწრებოდა იმასაც კარგად გრძნობდა. შიშობდა, და სწორადაც შიშობდა, რომ წითელი საქართველო ვერასოდეს გაიგებდა მის ნაღველს და გულისთქმას.

ხომ ბრწყინვალედ გასცა პასუხი თავისი ნაწარმოებით „ლამარა“ ყველა ოპონენტს, ვინც მას საკუთარი პიესის ავტორობის უფლებას ართმევდა. მაშ რაღად

დაუბრუნდა შვიდი წლის შემდეგ, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ისევ ამ თემას? რატომ წერდა ოთხმოცდაერთი წლის მწერალი სინანულით: ,,მე მიმავალი ვარ და დამცველი არავინ მყავს?“. რატომ მიაწერა ,,ვაჟას ენგადს’ ქვესათაურად ცრემლის-მომგვრელი სიტყვები: ,,ბარათი სამშობლოსადმი“?

იმიტომ, რომ ის თავის სამშობლოს სთხოვდა დაცვას!

იმაში, რომ ომის შემდეგ უცხოეთი მას სასტიკად მოექცა, ფარულად სამშობლოს სთხოვდა გამოსარჩლებას.

ამიტომ ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გახლავთ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისა და ცხოვრებისეული ფაქტების სხვა ჭრილში წარმოდგენა, გონების თვალით დანახვა და დაცვა. მიგვაჩნია, რომ დიდი ქართველ მწერალსა და ფილოსოფოსის გრიგოლ რობაქიძეს დაცვით, ვიცავთ აგრეთვე ჩვენს სამშობლოს, საქართველოსაც! საქართველოს, რომელსაც ავი ქარები დაუნდობლად წეწენ. ცალკერძ მისი საკუთარი შვილები ჯიჯგნგიან, ანაკუწებენ და ანაფლეთებენ, ცალკერძ მის ლაჟვარდს შეხიზნული უცხო თესლი ებღაუჭება და ეპოტინება, ცალკერძ მეზობლები ებრძვიან აშკარად თუ ფარულად, ცალკერძ კი დიდი ქვეყნები იყოფენ და ინაწილებენ.

და მხოლოდ მაღალმა ღმერთმა, ერთადერთმა, უწყის დაადგება თუ არა მას როდისმე საშველი. გაბრწყინდება თუ არა ისე, როგორც ეს მისთვის ჯვარცმულ დიდ შვილებს და, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძეს წარმოედგინათ.

,,იყავი მეფე - ზეცას გიწერს ბედის მწერალი,

დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწვერვალი.“

ტიციან ტაბიძე: ,,გრიგოლ რობაქიძე“

1916 წელი.

ტიციან ტაბიძის წინასწარმეტყველება გრიგოლ რობაქიძის მიმართ, ჯერჯერობით სანახევროდ ახდა. სტრიქონები, რომლებიც თავის დროზე წამკითხველს შეიძლება რიტორიკად ან ერთგვარ პოეტურ გადაჭარბებად მოსჩვენებოდა, ნაწილობრივ გაცხადდნენ. გრიგოლ რობაქიძეს თურმე მართლა ელოდებოდა წინ ,,დაცემის ორმო“. ეს ,,ორმო“ მეტად ღრმა გამოდგა და შიგ ჩავარდნაც გაუსაძლისად მტკივნეული აღმოჩნდა. მაგრამ რამდენადაც უფრო მწარეა დაცემა, იმდენად უფრო მეტყველია აღდგომა. იმდენად უფრო ქათქათაა ,,აღდგომის თეთრი მწვერვალი“. გრიგოლის აღდგომაც

დაიწყო, რაც ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროა. მთლიანი აღდგომა მას ჯერ კიდევ წინ ელოდება. პიროვნება, ვინც თავისი ღვთივმიმადლებული, სიტყვათა თხზვის განსაკუთრებული ნიჭის და ღრმა განსწავლულობის წყალობით ყოველთვის მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა, გარიყული აღმოჩნდა - აკრძალული და ტაბუდადებული, როგორც სამშობლოში, ასევე უცხოეთში. დასავლეთში გრიგოლ რობაქიძის სახელის აკრძალვის ბრძანებას ტყუილუბრალოდ არავინ გასცემდა, როგორც ჩანს, იყო რაღაც მწვავე მიზეზი საიმისოდ, რომ მის ხსენებას, მით უფრო დადებით კონტექსტში, ყველა ერიდებოდა.

რა იყო ის მწარე მიზეზი, რამაც უცხოეთს გადახვეწილ ქართველ მწერალს „დაცემის ორმო“ გაუმზადა?

ეს მიზეზი აღმოჩნდა 1939 და 1941 წლებში იენაში, გერმანულ ენაზე გამოცემული ორი თხელი წიგნი, ორი „წიგნაკი“, როგორც მათ თავად ავტორმა უწოდა: „ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“, განსაკუთრებით პირველი, „ადოლფ ჰიტლერი“, რომელიც თავის დროზე ერთგვარ ბესტსელერად იქცა და ათეულ ათასობით ცალი გაიყიდა.

რატომ გადაწყვიტა მწერალმა ამ „წიგნაკების“ დაწერა? რამ მიიყვანა ის ამ საბედისწერო გადაწყვეტილებამდე? რა მოჰყვა ამას შედეგად? როგორ განვითარდნენ შემდგომი მოვლენები? რა შეცვალა ამან მწერლის ცხოვრებაში? როგორი გავლენა მოახდინა მის მოავალზე? მართლა ბესტსელერის დაწერა ხომ არ განიზრახა ავტორმა მიზნად და თავი ხომ არ გამოსცადა? თუ გერმანიასა და იტალიაში გავლენის მოპოვება და საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის მიღწევა სურდა? ხომ არ იზიარებდა ის ნაციზმსა და ფაშიზმს, როგორც იდეოლოგიას, და ამად ხომ არ დაშვრა? ნუთუ მართლაც ისე მოიხიბლა და აღფრთოვანდა ჰიტლერის და მუსოლინის პიროვნებებით, რომ ისინი მითიურ გმირებად წარმოიდგინა? თუ ასე არ იყო, რამ განაპირობა ეს მოვლენა? რამე სხვა, ფარული მიზანი ხომ არ ჰქონდა მწერალს დასახული? სხვა რამ, საიდუმლო აზრი ხომ არ არის შენიღბული ამ „წიგნაკებში?“.

ჩვენი ამოცანაც სხვა არაფერი იყო თუ არა ამ კითხვებზე შეძლებისდაგვარად მართებული პასუხის გაცემა.

ადოლფ ჰიტლერისა და ბენიტო მუსოლინისადმი გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულების საკითხი ბუნედოვანი და საიდუმლოებით მოცულია. ამ საიდუმლოს ამოსახსნელად და დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად სამი კონკრეტული გეზის,

სამი მიმართულების დასახვა ჩანს შესაძლებელი:

1. მწერლის შემოქმედებით და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში ამ თემის ირგვლივ არსებული, ხელმისაწვდომი მასალის შესწავლა.

2. სხვა ავტორთა შეხედულებებისა და მოსაზრებების (ასევე ხელმისაწვდომის) განხილვა.

3. თვითონ „წიგნაკების“ და მათთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი ანალიზი.

მეოთხე გეზი შეიძლებოდა ყოფილიყო „წიგნაკების“ ადრესატების შეფასებების განხილვა, მაგრამ ეს უპერსპექტივო საქმეა, რადგან მწერლის არქივში, როგორც ამას დოქტორ არმინ ზიგრისტის მიერ 1963 წლის 19 თებერვალს, ციურიხში შედგენილი „გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის წინასწარი კლასიფიკაცია“ მოწმობს, არათუ ასეთი მასალა, არამედ თვითონ განსახილველი ორი „წიგნაკიც“ კი არ აღმოჩნდა არც ბეჭდური, არც ხელნაწერი სახით. როგორც ჩანს, ავტორმა, უსაფრთხოების მიზნით, მისი საკომპრომეტირებელი მასალა ომის ბოლოს თავიდან მოიშორა, სადღაც გადამალა ან საერთოდ გაანადგურა.

1962 წლის აპრილში მწერალმა საქართველოს მწერალთა კავშირში ჟენევიდან გამოგზავნილ წერილში მოიწერა: „გავიგე, მანდ ჰგონიათ თურმე: თითქო მე ჰიტლერიანი ვყოფილიყვე, აქ ორი ფაქტია მხოლოდ:

1. ერთმა მსოფლიოში ცნობილმა ორგანიზაციამ მაცნობა ერთს ამბავთან დაკავშირებით, რომ ჩემს წიგნაკს იგი არ თვლის „ნაცისტურად“.

2. მე რომ ჰიტლერიანი ვყოფილვიყო, მაშინ არ ვიქნებოდი გესტაპოს ზვერვის ქვეშ მოქცეული 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ომის ბოლომდე“.

ასე მთავრდება წერილი, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ სიცოცხლის მიწურულს დაწერა და აღსავსეა ტკივილით და წუხილით იმის გამო, რომ საქართველოში მის სახელს და შემოქმედებას უკადრისად ეპყრობოდნენ. მართალია ფორმალურად წერილს ის ირაკლი აბაშიძეს, როგორც მწერალთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელს წერდა, მაგრამ, სინამდვილეში, მისი წერილის ადრესატი საქართველო და ქართველი ხალხი იყო.

ოთხმოც წელს იყო ამ დროს გადაშორებული გრიგოლი. თითქმის სამარის პირას მდგარს (ამის შემდეგ მან მხოლოდ შვიდი თვე იცოცხლა), გული სწყდებოდა: „საბჭოთა

საქართველოში მე ,,არ“ მახსენებენ, თუ ,,ვერ“ მახსენებენ. ღმერთი, რჯული! მე არავის ვეძალები, მახსენოს მაინცდამაინც. ვინც მე მიცნობს, უმალვე დაიჯერებს ამას. ვერ გამიგია მხოლოდ ერთი რამ: რუსეთში ივან ბუნინის ნაწერებს ათიათასობით აქვეყნებენ - საქართველოში გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებასაც გაურბიან. დავიჯერო ბუნინი ჩემზე უფრო ნაკლები ანტი იყოო!“.

ივანე ბუნინს არაფერი დაუბეჭდავს ისეთი ჰიტლერზე და მუსოლინზე, რომ მის რეაბილიტაციას წინ მავთულხლართებად გადაღობებოდა. რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძეს, მან ნაციზმისა და ფაშიზმის ხანაში გერმანიის ქალაქ იენის გამომცემლობა იოგენ დიდერიხსის გრიფით გამოსცა ორი ,,წიგნაკი“ შემდეგი სრული დასახელებით:

1. ,,ადოლფ ჰიტლერი. უცხო პოეტის თვალთახედვით’.

2. ,,მუსოლინი. მზით აღბეჭდილი“.

გრიგოლ რობაქიძემ ,,ადოლფ ჰიტლერი“ მაშინ დაწერა, როდესაც მეორე მსოფლიო ომი საერთოდ არ იყო დაწყებული, ხოლო ,,მუსოლინი“ იმ დროს, როდესაც გულთამხილავიც ვერ იტყოდა, რომ მოვლენები საბოლოოდ ასე განვითარდებოდნენ, ასეთ საშინელ სახეს მიიღებდნენ. მაგრამ ოპონენტები მას ამტყუნებდნენ და ამტყუნებენ მთელი იმ უბედურებისთვის, რაც საბოლოოდ მსოფლიოში დატრიალდა და რასაც ის სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა.

გრიგოლ რობაქიძემ ეს ,,წიგნაკები“ დაწერა არა ნაციზმსა და ფაშიზმზე, როგორც მოძღვრებასა და როგორც იდეოლოგიაზე, არამედ ორი ქვეყნის, გერმანიისა და იტალიის ორ ლიდერზე, რომელთაც ხალხის უდიდესი ნაწილი, გულწრფელი თუ მონუსხული, იმ ხანად მხარს უჭერდა. ისინ უნდა ითქვას, რომ ომგადატანილი ადამიანებისთვის წარმოუდგენელი იყო ჰიტლერის და მუსოლინის ნაციზმისა და ფაშიზმისგან განცალკევება. როგორ გაიგებდა ამას უბრალო მკითხველი, როდესაც ეს ვერ გაიგო მარსელ ბრიონმა, საფრანგეთის აკადემიის მომავალმა წევრმა, ვინც ომამდე აღფრთოვანებული შესავალი წერილი დაწერა გრიგოლ რობაქიძის რომანის ,,მეგის“ ფრანგული თარგმნისთვის.

1952 წელს გრიგოლი პარიზში ემიგრანტ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს ნიკოლოზ ურუშაძეს წერდა:

,,მარსელ ბრიონისათვის არ მითხოვია ეთარგმნა ჩემი წიგნი საქართველოზე - აი რის გამო. ომის დროს ჩემი კავშირი მასთან, მიწერ-მოწერის გზით, შეწყდა. ომის

შემდგომ, ორი წლის წინათ გავუგზავნე აქედან ბარათი. მომივიდა პასუხი. სხვათა შორის მწერდა: ვეცდები თქვენი წიგნის ფრანგულად გამოცემასო. მე მადლობა გადავუხადე ამ სურვილისათვის, აღთქმისათვის. თანვე ვაცნობე: თუ რა სიძნელე გადაეღობებოდა მის ცდას წინ (ჩემი წიგნაკი ჰიტლერზე): ავუხსენი ვრცლად, რომ ამ წიგნაკში ერთი წვეთიც არაა ნაციზმისა, რომ მისი შინაგანი ინტენტიონ სულ სხვა რამეს იგულვებდა, ვიდრე ეს მკითხველთ მოეჩვენათ გაცხარებულ ატმოსფეროში ომისა. ვახსენე აგრეთვე ჩემი წიგნაკიც მუსოლინზე, რომელსაც იგივე მკითხველნი მაინცდამაინც დიდ ბრალად არ მითვლიან, ვინაითგან იგი წმინდა ლიტერატურულ ფარგლებს არ სცილდება. პასუხი? მხოლოდ დუმილი. მე ეს „დუმილი" არ მიკვირს. თანამედროვე „ინტელექტუალი" შებოჭვილია „ფსიქოლოგიზმებით" სხვადასხვა სახისა, განსაკუთრებით „ფსიქოლოგიზმებით" ჰიტლერ-მუსოლინის ირგვლივ. იქ კი, საცა „ფსიქოლოგიზმი" სუფევს, იქ ჭეშმარიტება ნათლად ვერ დაინახავს: შესაძლოა ოტელლო დააჯეროთ, რომ მისი ეჭვი უსაფუძვლოა? ჩვენი დროის ინტელექტუალთა წრე ამ წიგნაკებს ვეგრ გაიგებს. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. გასაგებია, რომ ბრიონისათვის, მისი დუმილის გამო, შემდგომ არა მიმიწერია რა" [რობაქიძე, 2012, 525].

რა განზრახვით დაიწერა ეს „წიგნაკები". განზრახვას ავტორი ამ წერილში არ აზუსტებს. ის მხოლოდ ხაზს უსვამს, რომ „ადოლფ ჰიტლერში" საერთოდ „ერთი წვეთიც არაა ნაციზმისა, რომ მისი შინაგანი ინტენტიონ სულ სხვა რამეს იგულვებდა", ხოლო „მუსოლინი", მისივე თქმით, „წმინდა ლიტერატურულ ფარგლებს არ სცილდება" და მკითხველები „მაინცადამაინც დიდ ბრალად" არ უთვლიან. უფლება არა მაქვს არ ვენდო მწერლის სიტყვებს, მით უფრო, რომ მათში სიმართლე გამოსჭვივის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: „მუსოლინის" „დიდ ბრალად" არა, მაგრამ „ბრალად" მაინც უთვლიდნენ, ხოლო „ჰიტლერს", როგორც ჩანს, „დიდ ბრალად" უთვლიდნენ. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ იყო გასაკვირი, თუ წარმოვიდგენთ ომის შემდეგომ ნაციზმისა და ფაშიზმისგან თავდაღწეულ, დატანჯულ, შეურაცხყოფილ ევროპას.

გრიგოლ რობაქიძემ, ზემოთ მოტანილ ციტატაში, ამ მოვლენას მოკრძალებულად „სიძნელე" უწოდა. იქვე მის მიერ „ინტელექტუალი" მარსელ ბრიონის და საერთოდ ურწმუნო თომას მისამართით გამოყენებული შედარება: „შესაძლოა ოტელო დააჯეროთ, რომ მისი ეჭვი უსაფუძვლოა?", აშკარად მოწმობს, რომ მისი ახსნა-განმარტებებისა არ სჯერათ. დრო და გარემო, რომელშიც ქართველ მწერალს უხდებოდა

ევროპაში ცხოვრება და მოღვაწეობა და ამ ფონზე, სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე გვსურს გავარკვიოთ ნამდვილი მიზეზი, რის გამოც „ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ დაიწერა: „ბროშურები, რომელთაც მწერალს სახელი გაუტეხეს“ ეს რთული ამოცანაა, მაგრამ ნამდვილად ღირს მასთან შეზმა.

ამ საბედისწერო „წიგნაკების“ გამო მის ირგვლივ შექმნილ გამოუვალ მდგომარეობას გრიგოლი კიდევ არაერთ პირად წერილში ეხება. ერთ-ერთ წერილში, რომელიც მან ემიგრანტ ქართველ პოეტს გიორგი გამყრელიძეს შვეიცარიიდან ამერიკის შეერთებულ შტატები გაუგზავნა, თვალნათლივ ჩანს მის გარშემო შეკრული ფატალური მოვლენების წრე, რომლისგანაც თავის დაღწევა ვერაფრით ვერ მოუხერხებია: „გიკვირს, რომ მეც „გავტყდი“. ხუთი წელი შესრულდება თებერთვალში ჩემი ცოლის ავად გახდომითგან. ისიც საკვირველია, რომ ჯერ ვუძლებ თავს დატეხილ უბედურებას. ამას თან ერთვის ლიტერატურული „განაპირება“, გამოწვეული ჩემი წიგნით „ჰიტლერზე“. ჯერ კიდევ მაგრადაა აღმართული „ჯებირი“. 5 ახალი წიგნი მაქვს მზად. გამომცემლები მეუბნებიან - დავიცადოთო! (ან ამას იგულვებენ)“ [რობაქიძე, 2012, 54].

მწარე სინამდვილე ის არის, რომ რასაც გრიგოლ რობაქიძემ მოკრძალებით „სიძნელე“ უწოდა, სინამდვილეში იყო კატასტროფა. ყოველივე, რაც მან წლების განმავლობაში წვითა და რუდუნებით შექმნა, ორი „წიგნაკის“ გამო, წყალში აღმოჩნდა გადაყრილი.

1945 წლიდან 1962 წლამდე, ჟენევაში ცხოვრების პერიოდში, არ დასტამბულა შერისხული ქართველი მწერლის არცერთი წიგნი: არც შვეიცარიაში, არც გერმანიაში და მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში. ეს, ასე ვთქვათ, დუმილის ტაბუ, 1979 წელს დაარღვია ზურკამფ ფერგალმა (მაინის ფრანკფურტი), რომელმაც გაიმეორა „კავკასიური ნოველების“ 1932 წლის გამოცემა. დღემდე ეს არის უცხოეთში ომის შემდეგ გამოსული მისი ერთადერთი წიგნი. მთავარი პერიოდული ორგანო, სადაც დაუბრკოლებლად ქვეყნდებოდა მისი ნაწერები, იყო პარიზში გამომავალი კალისტრატე სალიასა და მისი მეუღლის ნინო სალია-ქურციკაშვილის ქართველოლოგიური ჟურნალი „ბედი ქართლისა“. ევროპულ პრესაში მისინაწერები კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა. მაგალითად, 1961 წელს ციურიხის ჟურნალმა „ატლანტისმა’ დაბეჭდა მისი ესე „საქართველო მის მსოფლხატში“ და ისიც, განაწყენებული ავტორის მოწმობით, „ძალზე შემოკლებული უადგილობის გამო“.

თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძის უგულვებელყოფა, ორი „წიგნაკის“ გამო, გამიზნულად ხდებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ამ გარემოებამ სიმწვავე თანდათან დაკარგა. უკანასკნელ ხანს არა თუ ჰიტლერსა და მუსოლინიზე იბეჭდება ათასი სახის ლიტერატურა, უარყოფითი და, თქვენ წარმოიდგინეთ, დადებითიც, არამედ მათი და ფაშიზმისა და ნაციზმის სხვა ლიდერების თხზულებებიც კი დაუბრკოლებლად გამოდის. მასმედიისა და გამომცემელების მიერ რეაბილიტირებულია წარსულში „ცოდვილი“ ყველა ავტორი, თვინიერ გრიგოლ რობაქიძისა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას პატრონი არ გამოუჩნდა, არა რომელიმე მემკვიდრის, არამედ საქართველოს სახით.

გრიგოლ რობაქიძე, ცოცხალიც და მკვდარიც, აღმოჩნდა ისეთ აუტანელ მდგომარეობაში, რომლის მსგავსშიც ალბათ არ ყოფილა მსოფლიოს არც ერთი მწერალი. 1945 წლიდან მას არ გამოსცემდნენ და დღემდე არ გამოსცემენ უცხოეთში და 1931-1988 წლებში არ გამოსცემდნენ საბჭოთა კავშირსა და საქართველოში.

საბჭოთა საქართველოში მისი სახელისა და წიგნის აკრძალვას ორი მიზეზი ჰქონდა: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი მიზეზი აქაც ვითომ ჰიტლერისა და მუსოლინის სახელს უკავშირდებოდა, ირიბი მიზეზი კი მისი საბჭოთა კავშირიდან გაქცევა იყო.

გრიგოლ რობაქიძე ორ უზენაეს ხატებას ეთაყვანებოდა: სამშობლოსა და ღმერთს! ის იყო პიროვნება, ვინც რწმენას არასოდეს, არანაირი მიზეზით არ გამოიცვლიდა. არც პოზიციას დათმობდა. თავის პრინციპს ბოლომდე დაიცავდა. თუნდაც მისი „წიგნაკების“ მაგალითზე განვსაჯოთ. ომის შემდეგ გრიგოლს აუცილებლად მოსთხოვდნენ ჰიტლერისა და მუსოლინის უარყოფას, რაც მას სრულიადაც არ გაუჭირდებოდა, რადგან მათთან არც პირადი, არც პარტიული და არც სხვა რამ იდეოლოგიური ურთიერთობა, გარდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, არ აკავშირებდა. ოფიციალურმა ორგანოებმა მას მართლაც ვრცელი განმარტება დააწერინეს. მისი სრული ტექსტი არ ჩანს და ამიტომ დაჟინებით რამის მტკიცება ძნელია. თავის „წიგნაკებს“ ის მხოლოდ იმ ნაწილში გაემიჯნა, სადაც კონკრეტულად ჰიტლერსა და მუსოლინზე იყო ლაპარაკი. კატეგორიულად უარყო ამ „წიგნაკების“ ნაციონალ-სოციალისტურობა, რასაც ბრალად სდებდნენ. პარალელურად შეეცადა მათი დაწერის ნამდვილი მოტივების ახსნას.

მას არც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მოუნანიებია რამე, თუმცა ომის შემდეგ

მოსკოვი მისგან შეცდომების მონანიებას მოითხოვდა. ქართველი მწერალი ბოლომდე თავისი პოზიციის ერთგული დარჩა. ამით მან ემიგრაციაში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის უდრეკი პიროვნების სახელი დაიმსახურა, რასაც ნათლად ადასტურებენ გაზეთ „თავისუფლების ტრიბუნაში“ დაბეჭდილი ემიგრანტი ქართველი ავტორის გიორგი წერეთლის შემდეგი სიტყვები: ,,გრიგოლ რობაქიძეს, ომის დამთავრების შემდეგ, რომ „მისი შეცდომები მოენანიებია“ საბჭოთა პროპაგანდის კარნახი შეესრულებინა, მისი სახელი, დღეს, საბჭოეთში დიდებით იქნება მოსხენიებული. მან მამულიშვილური სიცოცხლე და სიკვდილი არჩია. ამის გამო, ორმაგად ვამაყობთ გრიგოლ რობაქიძეთი და ორმაგია მისი სახელისადმი ჩვენი პატივისცემა.

საბჭოთა პროპაგანდა შეგნებულად ამარტივებდა საკითხს, როდესაც გრიგოლისგან ,,შეცდომების მონანიებას“ მოითხოვდა, თორემ რომელ ,,შეცდომებზე“ შეიძლებოდა ყოფილიყო საერთოდ ლაპარაკი? „შეცდომა“ შეიძლება ეწოდოს ერთს ან ორ შემთხვევას, როდესაც, ვთქვათ, ემიგრაციაში მწერალს ხელი წაუცდა და სადმე ანტისაბჭოთა სტატია გამოაქვეყნა. გრიგოლ რობაქიძისთვის კი საბჭოეთთან, ბოლშევიზმთან ბრძოლა შეურიგებელი მსოფლმხედველობითი პრინციპი გახლდათ. აქედან გამომდინარე, ის ვერაფერს ,,მოინანიებდა“ და არც არაფერი ჰქონდა „მოსანანიებელი“.

დასკვნა

ფუძემდებულურია გრიგოლ რობაქიძის ღვაწლი. იგი დგას მიხეილ ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის და სხვა ხელოვანთა ცენტრში.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, რომელსაც „გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული მინიატურული პროზა“ ვუწოდეთ მრავალი პრაქტიკული ღირებულების მქონე სავარაუდო ჰიპოთეზა გამოიკვეთა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული ამოცანა, გრიგოლ რობაქიძის მიერ ემიგრაციის პერიოდში შექმნილი მასალების შესწავლის მეშვეობით გაირკვეს ქართული ევროპეიზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლისა და შემოქმედის სააზროვნე სივრცე, მისი მენტალური საფუძვლები და დღემდე საინტერესო ანალიტიკური ხასიათის მოსაზრებები.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება მწერლის რთული ცხოვრებისეული გზის გამო ქართულ – გერმანულ პერიოდებადაა დაყოფილი. იგი ნაკლებადაა ცნობილი როგორც გერმანელი, ისე ქართველი მკითხველისთვისაც.

10-20-იან წლებში გრიგოლ რობაქიძის სახელი ქუხდა. 30-იანი წლების შემდეგ კი მწერალმა ინტუიციით იგრძნო საშიშროება და მეუღლის ავადმყოფობის საბაბით ემიგრაციაში წავიდა.

მუშაობის პირველ ეტაპზე გავეცანით ბიოგრაფიულ ცნობებს მწერლის შესახებ. ვეცადეთ დაწვრილებით გავცნობოდით ყველა იმ ხელჩასაჭიდ მასალას, რომელსაც შეეძლო დაგვხმარებოდა მწერლის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მოძიებაში.

უცნაურად გვეჩვენება ფაქტი, რომ გრიგოლ რობაქიძეს ბევრი თანამედროვე პირადად იცნობდა, იცნობდნენ მის ნათესავებსაც, თუმცა ზუსტად დადგენილი ჯერჯერობით ის ფაქტიც არ არის, გრიგოლს ერთი შვილი ჰყავდა თუ ორი. სადაოა მწერლის დაბადების თარიღიც კი. მწერლის ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ფაქტებს გვაწვდის როსტომ ლომინაშვილი.

მეორე მხრივ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მაქსიმალურად ვეცადეთ გამოგვეყენებინა უახლესი ლიტერატურა მწერლის შესახებ. მათ შორის დიდი ყურადღებით მოვეკიდეთ ნუგეშა გაგნიძისა და მარგრეტ შუხარდის ერთობლივ ნამუშევარს „გრიგოლ რობაქიძე (1880 – 1962) ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის“,

ვინაიდან ეს არის პირველი პუბლიკაცია, ქართულ-გერმანული ერთობლივი ნამუშევარი წიგნის სახით, გერმანულ ენაზე და მწერლის ბიოგრაფიულ და ლიტერატურულ საკითხებს მოიცავს. ჩვენთვის ღირებული იყო ის დოკუმენტური წყაროები, რომელიც წიგნს დანართის სახით ახლავს და რომელთაგან ზოგიერთი პირველად გამოქვეყნდა.

მწერალი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას ქართულ ლიტარეტურულ სივრცეში და შესაბამისად არსებობს მთელი რიგი პასუხგაუცემელი შეკითხვები. საკვანძო თემები, რომლებსაც შეძლებისდაგვარად შევეხეთ ნაშრომში, უკავშირდება მწერლის ემიგრანტული მცირე პროზას.

ცნობილია, მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში დაიწყო ლიტერატურის განახლების ხანა. ლექსთან ერთად მინიატურაც თავის სათქმელს ამბობდა. ეს ტენდენცია, ალბათ, იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობითაც იყო განპირობებული. გრიგოლ რობაქიძესთან ეპოქალური პრობლემა – საზოგადოების სულიერი კრიზისი – ლირიკული გმირის ემოციური მოქმედებით ყველაზე უკეთ იკვეთება, ზუსტად წარმოაჩენს საგნის, მოვლენის ავტორისეულ ხედვას. მისი ეპიკური ხასიათი, თუნდაც მკრთალი, გმირის თითქმის შეუმჩნეველი მოქმედებით, სათქმელს ამძაფრებს, მოვლენას ახლობელს ხდის, აღვიძებს მიძინებულ ესთეტიკურ მხარეს. ეს მიუთითებს გრიგოლ რობაქიძის მინიატურათა არსებით მნიშვნელობაზე. ამ დეტალებით იგი უთანაბრდება ისეთ თხზულებებს, რომლებიც ეპოქალურ მოვლენებს მეტად ორიგინალურად ასახავენ. ქართული ესე ევროპულ ესესთან შედარებით ახალგაზრდაა. მონტენის თხზულების შექმნიდან რამდენიმე ასწლეულის შემდეგ – XX ს-ის პირველ ნახევარში შეიქმნა ესეისტური ხასიათის ლიტერატურა.

მეოცე საუკუნის 10-20-30-იანი წლები ქართული პრესის რენესანსის პერიოდად ითვლება, რადგან ეს იყო უმდიდრესი ეპოქა, როცა საქართველომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მსოფლიო რევოლუციების განხორციელებაში, მოიპოვა და დაკარგა დამოუკიდებლობა, წარმოშვა დიდი მწერლებისა და პოეტების მთელი პლეადა. ამ დიდ მოღვაწეთა მიზანს წარმოადგენდა საქართველოს იმპერიალისტური უღლიდან გამოხსნა და ევროპასთან დაახლოება.

გრიგოლ რობაქიძე ქმნის ინტელექტუალური განხილვის, ანალიზისა და შეფასების მთელ სისტემას, მრავალფეროვან გამმას და მრავალხმიანობას. საკვალიფიკაციო ნაშრომი „გრიგოლ რობაქიძის, ემიგრანტული მინიატურული პროზა“, მიზნად

ისახავს გამოაშკარაოს და სრულად წარმოაჩინოს მე-20 საუკუნის დასაწყისში დაწყებული მოძრაობა საქართველოს ევროპასთან უშუალო დაახლოების კუთხით, თუ როგორ მოხდა მთელი ქართული მოაზროვნე საზოგადოების თვალთახედვის მიმართვა ევროპული და ზოგადად დასავლური ფასეულობებისაკენ და მათი კულტურული ფასეულობების დამკვიდრებისთვის ბრძოლა. ეს იყო ქვეყნის ამოთრევის ცდა კოლონიური ყოფიდან და ახალი იდეოლოგიის დამკვიდრება, რომელიც ქართველობას მიზნად უღლიდან გათავისუფლებას და ევროპული იდეალების მსახურებას უსახავდა.

ნოველაში ეპოქალური პრობლემა – საზოგადოების სულიერი კრიზისი – ლირიკული გმირის ემოციური მოქმედებით ყველაზე უკეთ იკვეთება, წარმოაჩენს საგნის, მოვლენის ავტორისეულ ხედვასა და აღქმას. ეს ყველაფერი განსაკუთრებით კარგად გამოვლინდა გრიგოლ რობაქიძის მინიატურული პროზის განხილვისას.

პირობითი ტერმინი – „მინიატურული პროზა“ ზუსტად წარმოადგენს მის არსს, რადგან „მინიატურული პროზა“ უფრო ფართე ცნებაა და მოიცავს ისეთ პროზაულ ნაწარმოებს, როგორებიცაა: ნოველა, ანეგდოტი, იგავ-არაკი, ესკიზი, ამბავი, სურათი და ლექსი პროზად.

საკვალიფიკაციო ნაშრომის მეორე თავში მიმოვიხილეთ მწერლის მიერ ემიგრაციაში შექმნილი ნაწარმოებები. თვალს თუ გადავავლებთ მის მემკვიდრეობას, დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს დიდ შემოქმედთან, რომლის ნაფიქრალი და ნააზრევი ყურადღებას იქცევს სიახლით, პრობლემატურობით. მწერალი უცხოეთშიც არ წყვეტდა ლიტერატურულ – ესთეტური და მეცნიერული ნარკვევების წერას ქართულ ენაზე, რომელთა უმრავლესობა სიცოცხლეშივე დაიბეჭდა ბერლინსა და პარიზში, ხოლო ზოგიერთი მისი სიკვდილის შემდეგაც გამოქვეყნდა.

გრიგოლ რობაქიძის მინიატურები თავისთავადია, დამოუკიდებელია. მისი „კავკასიური ნოველების“ ორიგინალში (გერმანულ ენაზე) გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ რობაქიძის სიტყვას არა მხოლოდ ქართულში, გერმანულშიც შემლოცველის ძალა აქვს. აქაც მწერალი უდიდეს საიდუმლოებას – სიტყვის მაგიას ფლობს. რობაქიძის ნაწარმოებების შექმნიდან საკუნეზე მეტია გასული და მაინც არც ერთი მათგანი არ გვეჩვენება მოძველებულად. პირიქით, ისინი აქტუალობით, აზრის სიღრმითა და მწერლის ჩანაფიქრით თანამედროვეობასაც კარგა ხნით უსწრებენ.

ნოველათა კრებული „კავკასიური ნოველები“ სამი მოთხრობისაგან შედგება,

რომელთა შორის „ენგადი“ და „იმამი შამილი“ ავტორის სიცოცხლშივე დაიბეჭდა ემიგრანტულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“. რაც შეეხება მესამე მოთხრობას „წმინდა ხარის მოკვლა“, იგი ბოლო დროს ითარგმნა გერმანულიდან ქართულ ენაზე.

ნოველების გერმანულ ენაზე რამდენიმეჯერ გამოცემის ფაქტი მიგვითითებს იმაზეც, რომ გერმანულენოვანი საზოგადოებისათვის მწერლის შემოქმედება საინტერესოა და სხვადასხვა გამომცემელიც ინტერესდება. რობაქიძე ხშირად წერდა ფშაურ-ხევსურულ დიალექტზე, ქართული ენის ადრინდელ ფორმაზე, რომელიც არ არის არქაული. იგი ცოცხალი და თანამედროვეა. ეს ენა ლაკონურია, მოკლედ თქმის ზღვარია. აქ სიტყვები თითქოს ფესვებგადგმულია და დასაბამიდან მომდინარე. ასე შეეძლოთ ელაპარაკათ ჩვენს ძველთაძველ წინაპრებს.

დაწვრილებით განვიხილეთ „კავკასიური ნოველების“ სამივე ნოველა. სამივეგან მოქმედების ადგილი სხვადასხვაა. მოქმედების დრო თითქოს მარადიულია, ისევე, როგორც, რობაქიძეს გაგებით მითოსი, რადგან მითოსში არ არსებობს წარსული და მომავალი. მითოსი არსებობს ყოველთვის და მასში დროს წრიული ფორმა აქვს. ნოველები მოცულობით მცირეა, მაგრამ საშუალებას იძლევა, საინტერესო ჭრილში განვიხილოთ რობაქიძის თვალით დანახული კავკასიური საქართველო.

რობაქიძისეული რთული სამწერლობო ენა და შინაარსი, მითოლოგიის ღრმა ცოდნას მოითხოვს, აზრის წვდომა და გაშლა რთულდება, მით უფრო მინიატურაში, სადაც ენა ლაკონურია, შინაარსი კი უფრო დახურული. შესაბამისად ვეცადეთ, კვლევისათვის ახლებური მეთოდი გამოგვეყენებინა, სხვადასხვა ნოველა ერთმანეთთან აზრობრივად დაგვეკავშირებინა. ზოგ თხზულებაში მწერალი კონკრეტულ მითიურ შინაარსზე უფრო მეტ განმარტებას იძლევა (ნოველები „MAIA“, „LOTOS“).

გრიგოლ რობაქიძე ქართულ ხასიათში დიონისოს კულტის ელემენტებს პოულობს. მის ნოველებში ერთმანეთის პარალელურად ვხვდებით რობაქიძის შემოქმედებისათვის დამახასიეთებელ ხაზს – წარმართობასა და ქრისტიანობას. გრიგოლ რობაქიძე არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის. ჩვენში ქრისტიანობა წარმართობის უშუალო გაგრძელება – განვითარებად მიაჩნდა. (თხზულება „ორი ფოთოლი“ (რომანითგან „დალი“), ეპიზოდი „ლილე“, ნოველა „დიდი დედა“ (რომანითაგან„დალი“).

გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის ეროტიკული ნოველა „ყაფლან ქვემოკლიძის

მინაწერი კვატატი პიტნავასადმი“, რომელიც ჟანრობრივად არსებითად განსხვავდება სხვა ნოველებისაგან. იგი იუმორისტული ხასიათისაა და ქუთაისური დიალექტითაა დაწერილი.

ნოველა საინტერესოა იმითაც, რომ რობაქიძის სრულიად განსხვავებულ სახეს გვიჩვენებს. მანამდე ნაცნობი homo poeticus და homo politicus რობაქიძე, ამ წერილში ერთგვარ homo sexualis პიროვნებად წარმოგვიდგება.

ასეთივე მარტივი და პირდაპირი ენითაა დაწერილი, „ჟამსა ხუმრობისა (მოგონილი და ნამდვილი)“, რომელიც 1951 წლის მარტში გამოქვეყნდა ჟურნალში „ბედი ქართლისა“.

1935 წელს იენაში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა იმ დროს დასავლეთში უკვე აღიარებული გრიგოლ რობაქიძის ნოველათა წიგნი „დემონი და მითოსი“, სადაც სტალინის, გრეტა გარბოს, ნეფერტიტის ფენომენებია გააზრებული. მწერალი ასევე განიხილავს სიცოცხლის აღქმას დასავლეთსა და აღმოსავლეთში და ადამიანის პირველყოფილი შიშის პრობლემას. „დემონისა და მითოსის“ შესავალში ავტორი მისი თანამედროვე მსოფლიოს ორ მაგისტრალურ მიმართულებაზე მსჯელობს: პირველისათვის დედამიწა გეოლოგიური რეალობაა, მეორისათვის – კოსმიური მოვლენა. რობაქიძის რწმენით, დედამიწას ძალიან უჭირს: მისი ეთერული სხეული დაზიანებულია, ღმერთი და მისტიკურობა კი იკარგება. „დემონისა და მითოსის“ ნოველები ამ ორი პოლარული მიმართულების გათვალისწინებითაა დაწერილი.

საყურადღებოა, რომ გრიგოლ რობაქიძის პიროვნებასა და შემოქმედებას ევროპელი მწერლები უმაღლეს შეფასებას აძლევენ. ეს შეფასებები მწერლის შესახებ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში ბევრი ასეთი შეფასების ციტირება მოვახდინეთ.

გრიგოლ რობაქიძემ საკუთარი ევროპეისტული და ზოგადად, დასავლური ტიპის მოღვაწეობა ჟურნალ-გაზეთებში პუბლიცისტური წერილების ბეჭდვით დაიწყო. როგორც ცნობილია, გრიგოლ რობაქიძის ორიგინალური მწერლური სტილი, მისი თავისებური ანალიტიკური აზროვნება და იდეები სათავეს იღებენ ევროპული სინამდვილიდან, კერძოდ, ოსკარ უაილდის დენდიზმისა და ფრიდრიხ ნიცშეს „ზეკაცის” იდეალებიდან. მასზე დიდი გავლენა მოახდინეს რუსმა სიმბოლისტებმაც (ვიაჩესლავ ივანოვი, დიმიტრი მერეჟკოვსკი, ანდრეი ბელი და სხვ.). ისინი თავის მხრივ გრიგოლ

რობაქიძეს „ჭეშმარიტ სიმბოლისტად" მიიჩნევდნენ.

იმისათვის, რომ უკეთ ჩავწვდომოდით მწერლის მინიატურული პროზის შინაარსსა და მწერლის ესთეტიკურ კონცეფციებს, შევისწავლეთ გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტური შემოქმედება და მისი როლი მწერლის მინიატურული პროზის განვითარების საქმეში.

გრიგოლ რობაქიძე მოღვაწეობდა როგორც პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ესეისტი და მწერალი. მის შემოქმედებაში ძალიან ნათლად შეიძლება მისი ეპოქის განწყობის დანახვა და შეგრძნება. გერმანელი მკითხველისათვის ის არის უცნობი მწერალი, რომელიც მათ ქართველის შინაგან სამყაროსა და სულიერ ღირებულებებს აცნობს.

ლიტერატურულ-პუბლიცისტური ტექსტები და სტილი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. იგი ყოველთვის არის ლიტერატურისა და არალიტერატურის ზღვარზე და ეს მიჯნაზე ყოფნა იძლევა შესაძლებლობებს მრავალმხრივი ინტერესების, პარალელებისა და შედარებების მოსატანად, რომ უფრო გამომსახველობითი გახდეს მკითხველისათვის წარმოდგენილი თემატიკა. მწერლის, როგორც ადამიანისა და როგორც ერის შვილის იდეური პოსტულატები სწორედ პუბლიცისტური ტექსტებით ხდება უფრო მკაფიო და გასაგები მთელი საზოგადოებისათვის.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ხელოვანი და მოაზროვნე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა არაორდინალურ აზროვნებას, ისტორიის გენეზისს, მიმდინარე მოვლენებში მისტიკური და ირაციონალური მუხტის აღმოჩენას. იხიბლებოდა პიროვნებებით, რომლებიც ისტორიულ არენაზე გარდაქმნების დიდი პათოსითა და ტემპერამენტით გამოირჩეოდნენ. სწორედ ამიტომ ვხვდებით მის პუბლიცისტიკაში ერთმანეთის გვერდით ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს, აღმაშენებელსა და ნოე ჟორდანიას, ტროცკისა და ფიროსმანს, ლენინსა და კაზანცაკისს, ტროცკისა და იოსებ ჯუღაშვილს.

გრიგოლ რობაქიძის თვითმყოფადი და რთული სამწერლობო ენის გაგებამ მოითხოვა, რომ ყურდღებით გავცნობოდით მწერლის ესეისტიკას, ვინაიდან ზოგიერთი საკვანძო საკითხის განმარტებას იგი სწორედ თავის ესეებში იძლევა. გრიგოლ რობაქიძის ნაწერები გამოირჩევა ესესათვის დამახასიათებელი სისხარტით, მცირეში დიდის, ბევრის თქმის უნარით. ამ მწერლის ნატურა, მისი შემოქმედებითი ბუნება უფრო მეტად ესეს ჟანრს შეესატყვისებოდა, ამიტომაც მის შემოქმედებაში ესეისტიკა რაოდენობრივადაც და მხატვრულ – ესთეტიკურადაც წინა პლანზეა.

ლიტერატურისათვის ახალ ჟანრში ესეისტიკაში გამოვლინდა მწერლის მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლაკონურობა, ფრაზის სისხარტე, სათქმელის მკვეთრად მოჭრა, სახელდებითი წინადადების გამოყენების ჩვევა და სხვ. იგი ჩასწვდა ესეს, როგორც სპეციფიკური ჟანრის საიდუმლოს, მიაგნო გასაღებს.

გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში ყოფნისას ორიგინალურად აგრძელებდა XX საუკუნის ქართული მწერლობის ტრადიციებს. ერთ ტოტალიტარულ სისტემას გაქცეული მწერალი იძულებული იყო მეორე ტოტალიტარულ სისტემისათვის შეეფარებინა თავი, გარკვეულწილად ხარკი გადაეხადა მისთვის, რის გამოც 50-იან წლებში გერმანიაშიც გარიყეს.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ძლიერი და ლამაზი პორტრეტების გადმოცემა, რომელთაც წილად ხვდათ მისია, რომ შეექმნათ თავიანთი ეპოქა, შეეცვალათ მათ ირგვლივ მყოფი ადამიანები და ამდენად შეეცვალათ სამყარო.

პოლიტიკური სამყარო გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში არის ერთ-ერთი უმწვავესი და ინოვაციური თვალთახედვით გამორჩეული თემა, რომელსაც ჩვენც შევეხეთ საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ პოლიტიკურმა პალიმფესტებმა რობაქიძეს ფსიქოლოგიური ტერორი და მის მიმართ უარყოფითად განწყობილი საზოგადოებრივი აზრი მოუტანა. მისთვის დაიხურა გამომცემლობებისა და რედაქციების კარი. ამის პარალელურად სამუდამოდ დაიხურა კარი სამშობლოსაკენ. გარდაცვალების შემდეგაც კი მისი ნაწარმოებები ტაბუდადებული დარჩა.

„ადოლფ ჰიტლერი, უცხოელი პოეტის მიერ დანახული“ დაწერილია 1938 წელს და გამოიცა 1939 წელს. ეს არის არაჩვეულებრივი ბიოგრაფიული პორტრეტი, უფრო მეტად არსის ხატი, ნორდულ-გერმანულ სივრცეში დანახული.

„მუსოლინის“ ტექსტში ჩართულია მითოლოგიური თუ ფილოსოფიური წიაღსვლები, უშუალოდაა დაფიქსირებული თავად ავტორის იმდროინდელი განცდები და განწყობილებანი. რა თქმა უნდა, თხზულების ძირითადი ნაწილი მთავარი გმირის სახის კვლევასა და წარმოჩენას ეძღვნება, რისთვისაც, როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძეს დიდძალი მასალა შეუგროვებია და გადაუმუშავებია. მწერალი კომპლექსურად სწავლობს მუსოლინის სახეს, მისი სრულყოფილი წარმოჩენისათვის საგულდაგულოდ იაზრებს ყოველ არსებით დეტალს.

არსებობს ეჭვი, თითქოს რობაქიძეს ფარული ურთიერთობა ჰქონდა ფაშისტებთან და შეხვედრია ჰიტლერსაც. მაგრამ ჰიტლერისადმი მიძღვნილი ესედან გამომდინარე, ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, ვინაიდან როცა დადგა მწერლისათვის იმის საჭიროება, რომ აღეწერა ფიურერი, იგი მის ფოტოებს აგვიღწერს. პირადი კონტაქტის არსებობის შემთხვევაში ის ამ პორტრეტს განსხვავებულად დახატავდა. მწერლის აზრით, ფიურერი განსაკუთრებულად ასხივებს შინაგან ძალას, ამ ძალის აღბეჭდვა ფირზე შეუძლებელია. სხივი, რომელლსაც ადამინები შეიგრძნობენ, ფიურერის შინაგანი შუქისაგან მოედინება. ნიშანდობლივია, რომ ფიურერის სიშორეს მისი ახლობლები ყველაზე მწვავედ მასთან ახლოს ყოფნისას გრძნობენ.

სისხლს გააჩნია კოსმიურში წვდომის უნარი. ეს თვისება მომდევნო თაობებზე მემკვიდრეობით გადადის და გონის გამოცდილებას თავის თავში ნაკვალევის სახით ინახავს. კოსმიურში წვდომის უნარი რასის საკუთრება ხდება. ამით დასაბუთებულია როგორც უძველესი არისტოკრატიის ფენომენი, ასევე სისხლის გამოყენების არსიც.

მწერლის აზრით, სისხლი და გონი ურთიერთზემოქმედებას განიცდიან. გონი ჩამოყალიბებისათვის სისხლში დაეძებს ყლორტის გამომღებ პლაზმას, სისხლი კი გონს, როგორც შემოქმედებით აღმაფრენას, ისე ნატრულობს.

იმ შემთხვევაში თუ კეთილშობილთა კასტა ამ აღმაფრენას უგულებელყოფს არისტოკრატია თანდათან გადაშენებას დაიწყებს, მეორეს მხრივ, თუკი სისხლის საიდუმლო აღმოჩნდება პატივაყრილი, მაშინ გონიც ზუსტად ისევე იქნება განწირული გადაგვარებისათვის.

ეს კანონი ვრეცელდება როგორც ცალკეულ ადამიანებზე, ასევე – რასებზე, ხალხზე, კულტურებზე და ენებზე. რობაქიძის აზრით, თანამედროვე მსოფლიო სწორედ იმიტომ იტანჯება, რომ ამ კანონს თავისას ჯეროვნად არ მიუზღავს. მისი აზრით, ქრისტიანობის კრიზისის მიზეზი სწორედ დედამიწის ძალების უგულვებელყოფაა. მწერლის აზრით, ადამიანი დედამიწის ძალებით უნდა იყოს ნასაზრდოები, თორემ რწმენა მხოლოდ ფუტურო სარწმუნეობად გადიქცევა. რობაქიძეს მიაჩნდა, რომ ჩვენ მაშინ ვკარგავთ რწმენას, როცა დედამიწას, მარადიულ დედას წავბილწავთ, რამეთუ ქმნის ძალას მხოლოდ და მხოლოდ ის გვანიჭებს.

გრიგოლ რობაქიძე ღრმად ეროვნული, ინდივიდუალური, მისტიკური ხედვის

მწერალია. მისი გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული ნაწარმოებებიც კი ქართული სულითაა გაჟღენთილი.

რობაქიძის შემოქმედებასთან ზიარების დროს გვიჩნდება ადამიანებისადმი თანაგრძნობისა და მიტევების გრძნობა. ამის საპირისპირო პოლუსად კი დგას რობაქიძის რადიკალურად განსხვავებული პორტრეტი, მდგარი ნაცისტური გერმანიის ცენტრში.

რობაქიძის შემოქმედებიდანვე ჩანს მწერლის რთული ხასიათი. ჩანს ერთი მეტად ხელშესაწყობი პიროვნება, სავსე შინაგანი და ცხოვრებისეული ბრძოლებით. რთული ცხოვრებითა და რთულად ჩასაბარებელი ცხოვრებისეული გამოცდებით. სხვა მწერლე-ბისა და მოღვაწეების თვალით დანახული მწერლის პორტრეტი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ჩვენი კვლევის პროცესში.

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი მხატვრული შემოქმედება არსებთად ქართული ლიტერატურის ნაწილია. მწერალი აღტაცებული იყო ქართული ენის პოეტური სიდიადით და მისი უღრმესი შესაძლებლობებით. ამ მხრივ მას არაერთი გამონათქვამი მოეპოვება.

რობაქიძის ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს სამშობლოს უდიდესი სიყვარული. იგი შეყვარებულია ქართულ ენაზე, მიწაზე, ქართულ ხასიათზე და ზოგადად ყველაფერ ქართულზე. ადვილად წარმოსადგენია, რომ პატრიოტულ გრძნობებს მწერლის ემიგრაციაში ყოფნა კიდევ უფრო ამწვავებდა.

ოთხმოცი წლის წინათ ნიკოლოზ მიწიშვილმა იმჟამიდელი საქართველოს ყოფა შემდეგი სიტყვებით შეაფასა: ,,დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულა სამშობლოთი და სამშობლოსათვის. ყოველი მეშჩანინი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულაციას, სპეკულიანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით. საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყოველი კარიერა შერყეული ქართველის ჯაგლაგად, რომელსაც მიაჩანჩალებს დონ კიხოტივით“.

,,საქართველო მეტია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური პარტია. ჯერ ქართველი უნდა იყო და მერე რომელიმე დაჯგუფების მიმდევარი“. ეს არის დევიზი, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ დაგვიტოვა. თვითონ გრიგოლი ქართული ემიგრაციის განსაკუთ-რებული წევრი იყო, არა პარტიული, არამედ ეროვნული ნიშნით. ის არ ყოფილა რომელიმე იმჟამად არსებული პარტიის წევრი, არც ქართულის და არც ევროპულის.

მისი პარტია, მისი რწმენა და მრწამსი იყო საქართველო. საქართველო მარადი, მთლიანი და განუყოფელი!

არსად არის გამოხატული თავისუფლების სიყვარული და მისთვის ბრძოლის აუცილებლობა ისეთი ბრწყინვალებით, ისეთი დაუოკებელი ძალით, როგორც გრიგოლ რობაქიძის ნოველაში „იმამ შამილი“. ეს სწორუპოვარი ნოველა არის მტერთან ბრძოლისა და თავისუფლების დიადი, უკვდავი ჰიმნი.

გრიგოლ რობაქიძეს თვითონ გახარება არ ეღირსა, მაგრამ ჩვენ მაინც დიდი იმედი დაგვიტოვა. გორიგოლი არ ცხოვრობდა მხოლოდ აწმყოში. არ ეკუთვნოდა მხოლოდ თანამედროვე ქვეყანას. ის მარადი საქართველოს შვილი იყო. მისი ქნარი მარადი საქართველოსთვის ჟღერდა. თანამედროვეებმა კი მოიცილეს თავიდან, მაგრამ მარადისობამ მიიღო ის, ვითარცა ღვიძლი ძე.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი გრიგოლ რობაქიძის ანდერძით გვსურს დავასრულოთ:

„ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა. იგი წმინდა საშოა ჩვენი მიწისა. იქ ეგულებოდა ჩემს ძვლებს საფლავი კარდჰუსი. მცხეთის მიდამო აირჩიეს ძველმა მოგვებმა. იქ ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ ისინი მზესა და ცეცხლს. მცხეთის უბეში მივიღეთ ჩენ ქრისტეს სჯული. აქ გამოსჭრა ნინომ ჯვარი და მოახვია მას თავისი თმები. იქვე მტკიცდებოდა ხელმწიფება საქართველოში.

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, წიფობას, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არასა ვთხოვ საქართველოს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავგუსტინე, ა. (1995). აღსარებანი. (ზ. ბრეგვაძე მთარგმნელი) თბილისი: ნეკერი
2. არისტოტელე, (1964). მეტაფიზიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო
3. ბარბაქაძე, თ. (1999). შენს სონეტებში გადარევა შეკრული როკავს. 13 სონეტი. ქურდიანი, მ. (რედ.) თბილისი: საარი
4. ბარბაქაძე, თ. (2003). გრიგოლ რობაქიძე და პოეზიის აკადემია. თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით. ბენაშვილი, გ. და სულავა, ნ. (რედ.) თბილისი: საქ. მეცნ. აკად., ქართ. ლიტ. ინ-ტი
5. ბაქრაძე, ა. (1994, 23 მარტი). ბრძოლა გრაალისათვის. გაზ. კავკასიონი, N 12 გვ. 4
6. ბაქრაძე, ა. (2003). კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი. თბილისი: ლომისი
7. ბახტინი, მ. (1986). სიტყვიერი ხელოვნების ესთეტიკა. მოსკოვი: „ისკუსტვო". (რუსულ ენაზე)
8. ბენაშვილი, გ. და სულავა, ნ. (რედ.). (2003). თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით. თბილისი: საქ. მეცნ. აკად., ქართ. ლიტ. ინ-ტი
9. ბერდიაევი, ნ. (2009). რუსეთის სული. (ნ. კუჭუხიძე, მთარგმნელი). ქუთაისი
10. ბზვანელი, ლ. (1911, 16 მაისი). გრიგოლ რობაქიძის ლექცია. თემი N. 19 გვ. 2
11. ბრეგაძე, კ. (2013). ქართული მოდერნიზმი. (გ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე). თბილისი: „მერიდიანის" გამ-ბა და სტ.
12. ბუაჩიძე, თ. (1993). ფრიდრიხ ნიცშე და მისი ესე იტყოდა ზარატუსტრა. ბოლოსიტყვაობა წიგნისა: ფრ. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბილისი: ფილოსოფიური ბიბლოთეკა
13. გაგნიძე, ბ., გრძელაშვილი, ნ. და მაისურაძე, ს. (რედ.) (1997). ახალი აღთქმა, თბილისი: საქ. საპატრიარქოს გამომცემლობა
14. გაგნიძე, ნ. (2004). ნიცშეს ლირიკის სპეციფიკისათვის. ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები გვ. 28-36
15. გაგნიძე, ნ. (2004). ზეკაცის იდეა ნიცშეს ზარატუსტრაში. ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწ. უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ლიტ.ფაკულტეტის შრომები გვ. 78-89

16. გაგნიძე, ნ. (2007). ხსნის იდეა: გოეთე, ნიცშე. ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები გვ. 9
17. გაგნიძე, ნ. (2007). დითირამბი და აფორიზმი ნიცშეს ზარატუსტრაში. XX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული რომანის პოეტიკის საკითხები. კაკაურიძე, ნ. (რედ.) ქუთაისი გვ. 223-238
18. გაგნიძე, ნ. (2007). გოეთეს რეცეფცია ნიცშეს შემოქმედებაში. ქუთაისი
19. გამსახურდია, ზ. (1991, 4 იანვარი). გრიგოლ რობაქიძის უცნობი წერილი. ლიტერატურული საქართველო N. 1 გვ. 3
20. გასეტი, ხ. (1993). მასების ამბოხი. (ზ. ბრეგვაძე, მთარგმნელი). თბილისი: ხომლი
21. გაწერელია, ა. (1988). ნარკვევები, პორტრეტები, ლექსთმცოდნეობა. თბილისი: საბჭ. საქართველო
22. გენონი, რ. (1992, 16 ოქტომბერი). გრაალის სიმბოლიზმი. გაზ. ლიტ. საქართ. N 40 გვ. 3
23. გენონი, რ. (1992). სიტყვა და სიმბოლო. გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება გვ. 3-4
24. გოგია, ზ. (1987, 17 ივლისი). გაზ. ლიტერატურული საქართველო N 29 გვ. 5
25. გომართელი, ა. (1997). ქართული სიმბოლისტური პროზა. სალიაშვილი, გ. (რედ.) თბილისი: უნ-ტის გამ-ბა
26. ენციკლოპედია. (1768). ბრიტანიკა. ჩიკაგო, ლონდონი, ტორონტო
27. ვასაძე, თ. (2010). ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში. თბილისი: ლიტ. ინ-ტის გამ-ბა
28. ვულფი, ვ. (1988). ესეები. (პ. ჩხეიძე და რ. ჩხეიძე, მთარგმნელები). თბილისი: ნაკადული გვ. 143-144
29. ზედელაშვილი, შ. (2008). შეხვედრა გრიგოლ რობაქიძესთან. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. ჯოლოხავა, ნ. (რედ.). თბილისი: ნაკადული გვ. 245-248
30. თავაძე, ი. (1974, 7 მარტი). „მოღალატის გზა - ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე?" გაზ. კომუნისტი გვ. 2
31. იაშვილი, პ. (1913). წერილი რედაქციის მიმართ. გაზ. თემი №170 თბილისი გვ. 10
32. იაშვილი, პ. (1922). ყანწელები 1942 წელში. გაზ. ბარიკადი № 5 თბილისი გვ. 5

33. იაშვილი, პ. (2004). საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად. წიგნი პირველი. თბილისი
34. იაშვილი, პ., ტაბიძე, ტ., გაფრინდაშვილი, ვ., მიწიშვილი, ნ. (1935). არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს. მნათობი N. 4 თბილისი გვ.187-189
35. იმედაშვილი, კ. (1996). მეტს არას ვთხოვ საქართველოს. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ლომინაშვილი, რ. (რედ.). თბილისი: ჯეკ-სერვისი
36. ინჯია, თ. (2005). გრიგოლ რობაქიძე... ყურბან საიდი ანუ ლიტერატურული ძარცვა. არაბული, ა. და ქურდაძე, რ.(რედ.). თბილისი: მერიდიანი
37. კაკაბაძე, ნ. (1988, 25 ნოემბერი). გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაკლული სული". ლიტერატურული საქართველო გვ. 10-11
38. კარმანი, რ. (1988, 15 აპრილი). რობაქიძე და მითის აღორძინება გაზ. ლიტ. საქართველო გვ. 143-144
39. კასირერი, ე. (1983). რა არის ადამიანი. თბილისი: განათლება
40. კასრაძე, დ. (1911, 17 ივლისი). „ფრიდრიხ ნიცშე", წერილი პირველი. სახალხო გაზეთი N. 354 გვ. 2-3
41. კასრაძე, დ. (1911, 19 ივლისი). „ფრიდრიხ ნიცშე", წერილი მეორე. სახალხო გაზეთი N. 355 გვ. 2-3
42. კასრაძე, დ. (1911, 20 აგვისტო). „ფრიდრიხ ნიცშე", წერილი მესამე. სახალხო გაზეთი N 356 გვ. 2-4
43. კასრაძე, დ. (1911, 21 ივლისი). „ფრიდრიხ ნიცშე", წერილი მეოთხე. სახალხო გაზეთი N 357 გვ. 2-4
44. კასრაძე, დ. (1911, 22 ივლისი). „ფრიდრიხ ნიცშე", წერილი მეხუთე, სახალხო გაზეთი N 358 გვ. 2-3
45. კასრაძე, დ. (1911, 22 ივლისი). „ფრიდრიხ ნიცშე", წერილი მეხუთე (დასასრული). სახალხო გაზეთი N. 359
46. კვატაია, მ. (2009). დასავლეთ-აღმოსავლეთის პარადიგმატიკა და გრიგოლ რობაქიძე. II სერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, ნაწილი I, მასალები. თბილისი: ლიტ-რის ინ-ტის გამ-ბა გვ. 303-314
47. კვატაია, მ. (2008). „ევროპის უდიდესი პიროვნება გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით". ლიტერატურული ძიებანი N29

48. კიკნაძე, ვ. (1996). გრიგოლ რობაქიძის თეატრალური სამყარო. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ლომინაშვილი, რ. (რედ.) თბილისი: ჯეკ-სერვისი
49. კიზირია, დ. (1989, 7 თებერვალი). გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი". რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის კონტექსტში. „ლიტ. საქართველო" გვ. 5
50. კუპრეიშვილი, ნ. (2003). ლიტერატურული მედალიონი - გრიგოლ რობაქიძე. კრებულში: თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით. თბილისი: საქ. მეცნ. აკად., ქართ. ლიტ. ინ-ტი
51. ლეჟავა, გ. (1995. 20 ოქტომბერი). „სამი წერილი იარომირ იედლიჩკას". ლიტერატურული საქართველო N. 41 გვ. 6
52. მითოლოგიური ლექსიკონი. (1983). გელოვანი, აკ. (შემდგენელი) თბილისი: „საბჭ. საქართველო"
53. ლომინაშვილი, რ. (რედ.). (1996). ლეოპოლდ ციგლერი რობაქიძის შესახებ, „თქმულებანი" . გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. თბილისი: ჯეკ-სერვისი
54. ლომინაშვილი, რ. (1988, 18 მარტი). „თარიღის დადგენისათვის". ლიტერატურული საქართველო. 12 გვ. 5
55. ლომინაშვილი, რ. (1988). „გრიგოლ რობაქიძე: ფაქტები ბიოგრფიიდან". გაზ. საბჭოთა ხელოვნება N10 გვ. 5
56. მან-წილ [ფსევდონიმი], (1911, 23 მაისი). „გრიგოლ რობაქიძის ლექცია". თემი N. 20 გვ. 2-3
57. მან-წილ [ფსევდონიმი], (1911, 4 ივლისი). „გრიგოლ რობაქიძე და მისი ლექციები". თემი N. 27 გვ. 3-4
58. მეფარიშვილი, თ. (2005). გრიგოლ რობაქიძის ესეისტიკა. მიშველაძე, რ. (რედ.) თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ზა
59. მეძველია, ზ. (1996). „როგორ იქმნებოდა ლონდა". გრიგოლ რობაქიძე: ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ლომინაშვილი, რ. (რედ.). თბილისი: ჯეკ-სერვისი გვ. 470-477
60. მიშველაძე, რ. (1998). „გრიგოლ რობაქიძე (1880-1962)". უახლესი ლიტერატურის ისტორია. ნიკოლეიშვილი, ა. (რედ.). თბილისი. თბილ. უნ-ტის გამ-ზა გვ.

61. ნაცვლიშვილი, პ. (2010, 15 მაისი). რობაქიძის უცნობი ლექსი. მადლობა „ქართუს" და შორეული არგენტინის შორეული პერსპექტივა. საქართველოს რესპუბ. N. 90 გვ. 6
62. ნაცვლიშვილი, პ. (1997). „ცნობილი მწერლის უცნობი ნოველა", გრიგოლ რობაქიძე, „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავასადმი". თბილისი: პაატა ნაცვლიშვილის გამ-ბა გვ. 3-18
63. ნემსაძე, ლ. (2005). გრაალის იმაგინაციები. ჭეიშვილი, კ. (რედ.). თბ. უნივერსალი
64. ნიკოლეიშვილი, ა. (2010). ქართველოლოგიური ეტიუდები I. ქუთაისი: ქუთაისის უნ-ტის გამ-ბა
65. ნიკოლეიშვილი, ა. (2010). „გრიგოლ რობაქიძე და ნაციონალ-სოციალიზმი", ქართველოლოგიური ეტიუდები. ტაბიძე, ნ. (რედ.)გვ. 109-131
66. ნიკოლეიშვილი, ა. (2002). „გრიგოლ რობაქიძე", XX საუკუნის ქართული მწერლობა, რედ. ოთარ გიორგაძე. ოთარ გიორგაძე, ო. (რედ.) ქუთაისი: ქსუ. გვ. 136-159
67. ნიკოლეიშვილი, მ. (1991). „გრ. რობაქიძის წერილი გიორგი მაიაშვილისადმი". განთიადი N. 3 გვ. 190-192
68. ნიკოლსკაია, ტ. (2009). „გრიგოლ რობაქიძე, ანდრეი ბელი და გერმანული კულტურა (საკითხის დასმისათვის)". სჯანი N. 10 თბილისი გვ. 170
69. ნიცშე, ფრ. (1993). ესე იტყოდა ზარატუსტრა. (ე. ტატიშვილი, მთარგმნელი), ბუაჩიძე, თ. და ჩხეიძე, რ. (რედ.). თბილისი: ფილოსოფიური ბიბლიოთეკა.
70. პაიჭაძე, თ. (2005). „გრიგოლ რობაქიძე ქართული სიმბოლიზმის კონტექსტში". სჯანი N. 6 თბილისი გვ. 85-90
71. რობაქიძე, გ. (1916). აუცილებელი განმარტება. გაზ. „სახალხო ფურცელი". №541 თბილისი გვ. 5
72. რობაქიძე, გ. (1912). ზარათები ვანო გომართელს. „სახალხო გაზეთი" N67 გვ. 9
73. რობაქიძე, გ. (1991). ზესიკი. ჟ. „განთიადი", N2 გვ. 5
74. რობაქიძე, გ. (1964). „ბედი ქართლისა", N47 გვ. 9
75. რობაქიძე, გ. (1902). „ბუნება". ცნობის ფურცელი. N 1799 გვ. 9
76. რობაქიძე, გ. (1988). გველის პერანგი. თბილისი: მერანი
77. რობაქიძე, გ. (1917). „დიონისოს კულტი და საქართველო". გაზ. საქართველო გვ. 5
78. რობაქიძე, გ. (1924). „ექსპრესიონიზმი". გაზ. კავკასიონი გვ. 9
79. რობაქიძე, გ. (1918). „ეროვნული და კლასობრივი". გაზ. საქართველო N37 გვ. 10

80. რობაქიძე, გ. (1910). „ზეინაბ". გაზ. დროება გვ. 8
81. რობაქიძე, გ. (1910). „თარის ხმა" (ლექციიდან). გაზ. ფასკუნჯი გვ. 1
82. რობაქიძე, გ. (1917). „ლეილა", გაზ. ლეილა გვ. 3
83. რობაქიძე, გ. (1916). „MAIA". ლიტერატურული ალმანახი ჩანგი, ტ. 2 გვ. 5-9
84. რობაქიძე, გ. (1988). „ორი ბარათი მეგობარს". გაზ. თბილისი №219 თბილისი გვ. 7
85. რობაქიძე, გ. (1913). ბარათები „ოქროს ვერძს". ჟურნ. ოქროს ვეძი №3 თბილისი გვ. 6
86. რობაქიძე, გ. (1947). „უცნობი საქართველო". (პარიზში გამოსული გაზ. „ქართული საქმე", გვ. 9.) ესეს პუბლიკაცია მოამზადა გ. შარაძემ (1990, 16 ნოემბერი) გაზ. ლიტერატურული საქართველო გვ. 7
87. რობაქიძე, გ. (1911). „ფრიდრიხ ნიცშეს გარშემო", სახალხო გაზეთი. № 387 გვ. 10
88. რობაქიძე, გ. (1917). „ქართველ მწერლებს". გაზ. საქართველო, № 228 გვ. 7
89. რობაქიძე, გ. (1917). „ქართული რენესანსი". გაზ. საქართველო, №257, თბ. გვ. 5
90. რობაქიძე, გ. (1994). „თხზულებანი". სერია: შერისხულნი ტ. 2, თბილისი გვ. 6
91. რობაქიძე, გ. (1997). „ჩაკლული სული" (ალ. კარტოზია, მთარგმნელი), ქართული პროზა ტ. 30. თბილისი: „საქართველო"
92. რობაქიძე, გ. (1997). „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავასადმი" ნაცვლიშვილი, პ. (რედ.). თბილისი: ს/ს., „კეგელი"
93. რობაქიძე, გ. (1917). „ჰელენები და ქართველები". გაზ. საქართველო გვ. 267
94. რობაქიძე, გ. (2012). „კავკასიური ნოველები". თბილისი: არტანუჯი
95. რობაქიძე, გ. (2012). „დემონი და მითოსი". თბილისი: არტანუჯი
96. რობაქიძე, გ. (1996). კრებული. "ჩემთვის სიმართლე ყველაფერია" თბ.: ჯეკ-სერვისი
97. რობაქიძე, გ. (2010). „ადოლფ ჰიტლერი" - უცხოელი მწერლის თვალით. თბილისი: არტანუჯი
98. რობაქიძე, გ. (2010). „მუსოლინი" - მზიურნიშნული. თბილისი: არტანუჯი
99. რობაქიძე, გ. (2012). „პირადი მიმოწერა". თბილისი: არტანუჯი
100. სალია, კ. (1996). „ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან". გრიგოლ რობაქიძე: ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ლომინაშვილი, რ. (რედ.) თბილისი: ჯეკ-სერვისი
101. საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილება. (1935) მნათობი N. 4, თბილისი
102. სიგუა, ს. (1984). „აღთქმული ქვეყნის ძიება". თბილისი: საბჭ. საქართველო.

103. სიგუა, ს. (2002). „ქართული მოდერნიზმი". თბილისი: დიდოსტატი

104. სმიტი, დ. (1995). „მუსოლინი". მოსკოვი: „ინტერ-დაიჯესტ" (რუსულ ენაზე).

105. ტაბიძე, გ. (1995). „უსათაურო". გაზ. „პოეზიის დღე" №15 თბილისი. გვ. 7

106. ტაბიძე, ტ. (1923, დეკემბერი). „დადაიზმი და ცისფერი ყანწები". ჟურნ. მეოცნებე ნიამორები. თბილისი გვ. 8

107. ტაბიძე, ტ. (1916). „ცისფერი ყანწებით". ჟურნ. ცისფ. ყანწები № 1-2 თბილისი. გვ. 8

108. ფანჩულიძე, ს. (1996). „გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიული ცნობები". გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ლომინაშვილი, რ. (რედ.) თბილისი: ჯეკ-სერვისი გვ. 306-307

109. შარაძე, გ. (1991). გრიგოლ რობაქიძე, „უცხოეთის ცის ქვეშ". წიგნი პირველი. თბილისი: მერანი გვ. 171-214

110. შარაძე, გ. (1991). გრიგოლ რობაქიძე, „უცხოეთის ცის ქვეშ". წიგნი მეორე. თბ. მერანი

111. შარაძე რ. (18 ნოემბერი 2005). ,,გრიგოლ რობაქიძე და შტეფან ცვაიგი". ლიტერატურული საქართველო გვ. 8-10

112. შარაძე, რ.(2005, 1 აპრილი). „მე ვუძღვი თვითონ, რადგან მძღოლი არ მესაჭიროება". ლიტერატურული საქართველო. N. 12 გვ. 6-7

113. შარაძე რ. (2005, 3 აპრილი). „მე ვუძღვი თვითონ, რადგან მძღოლი არ მესაჭიროება". ლიტერატურული საქართველო. N. 13 გვ. 6-7

114. შარაძე რ. (2005, 15აპრილი) „მე ვუძღვი თვითონ, რადგან მძღოლი არ მესაჭიროება". ლიტერატურული საქართველო. N. 14 გვ. 6

115. შარაძე რ.(2005, 22 აპრილი).„მე ვუძღვი თვითონ, რადგან მძღოლი არ მესაჭიროება". ლიტერატურული საქართველო. N. 15 გვ. 6-7

116. შარაძე რ. (2005, 6 მაისი) „მე ვუძღვი თვითონ, რადგან მძღოლი არ მესაჭიროება". ლიტერატურული საქართველო. N. 17 გვ. 6-7

117. შენგელია, ი. (1987, 11 სექტემბერი). „ტკივილი ფესვების". ლიტერატურული საქართველო N 37 გვ. 6

118. შენგელია, ქ. (2005). „ქართველ მწერალთა შემოქმედებითი მიმართებები ვაჟა-ფშაველასთან" (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, მიხ. ჯავახიშვილი). მინაშვილი, ლ. (რედ.) თბილისი: უნივერსალი.

119. წერეთელი, ა. (1988). „გრიგოლ რობაქიძე". განთიადი N 1 გვ. 149-150

120. ჭავჭავაძე, ი. (1987). „ბაზალეთის ტბა”. თხზულებანი. ტ. 1. თბილისი გვ. 153

121. ჭილფაია, ა. (1984). „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები”. თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა

122. ხელაია მ. (1988). „ქართული ლიტერატურული ესსე”. თბილისი: „ნაკადული”.

123. ჯალიაშვილი, მ. (ავტორ-შემდგენელი). (2009). გრიგოლ რობაქიძე 1880-1962. თბილისი: საქართველოს მაცნე

124. ჯანჯიბუხაშვილი, მ. (2003). მარადქალური. კრებულში: „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით”. თბილისი: საქ. მეცნ. აკად. ქართ. ლიტ. ინ-ტი გვ. 133-139

125. ჯაფარ ფაშა (ნიკო ჯაფარიძე). (1916 აპრილი 7). „ბატონ გრიგოლ რობაქიძის ლექცია”. გაზ. „სამშობლო” №330 თბილისი გვ. 7

126. ჯაფარიძე, ვ. (1996). „მოგონებები”. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ლომინაშვილი. რ. (რედ.) საქ. მეცნ. აკად., ქართ. ლიტ. ინ-ტი გვ. 424-425

127. ჯაფარიძე, რ. (1988, 16 აპრილი). „გრიგოლ რობაქიძის ტრაგედია”. გაზ. კომუნისტი N. 89 გვ. 3

128. ჯიბლაძე, გ. (1996). „გრიგოლ რობაქიძე (მოგონება მემორიალი)”. გრიგოლ რობაქიძე. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. ლომინაშვილი, რ. (რედ.). საქ. მეცნ. აკად., ქართ. ლიტ. ინ-ტი გვ. 391-409

129. ჯიბლაძე, მ. (მთარგმ.). (1996). „გოეთეს “მოძღვრება ფერზე”. გაზ. ეს საინტერესოა

130. ჯინჯიხაძე, ლ. (2003). გრიგოლ რობაქიძის “ენგადის” მითოსური სამყარო. არაბული, ა. (რედ.). თბილისი: ინტელექტი

131. ჯოლოხავა, ნ. (რედ.) (2008). „გრიგოლ რობაქიძე (1880-1862)”. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. თბილისი: ნაკადული გვ. 244-248

132. ჯორჯაძე, ა. (1909). პოეზიის სამფლობელოში. გ. რობაქიძის ლექციის გამო. გაზ. „დროება” № 239 თბილისი. გვ. 10-11

133. ჰოიზერმან, თ. (2006). Amor fati; ბედისწერის სიყვარული. (ლონდა-კარდუ-მალშტრემი-ლამარა). რამიშვილი, ნ. (რედ.) თბილისი გვ. 1-73

გამოყენებული ლიტერატურა უცხოურ ენაზე:

1. Avallon Cardwell [Grigol Robakidze], (9. 12. 1952). Schauprozesse (Aus dem Buch-Manuskript, Das Nessus-Hemd), Die Tat, Zürich
2. Avallon Cardwell [Grigol Robakidze], (Oktober 1953) „Zur Psychologie des Sowjet-menschen", Schweitzer Rundschau: Monatsschrift für Geistesleben und Kultur, Zürich, Jahrgang 1953/4 , Heft 7 S. 377-380
3. Gagnidze, N., Schuchard, M. (2011). Grigol Robakidze (1880-1962). „Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen". Aachen: Schaker Verlag
4. Holman, H. (1936). A handbook to Literature. p. 294
5. Robakidze, G. (1932). Kaukasische Novellen. („Magische Quellen", , , Die Tötung des heiligen Stieres", , , Der Imam Schamyl"). Leipzig: Insel Verlag
6. Robakidze, G. (1935). Dämon und Mythos: Eine magische Bildfolge Jena: Diederichs
7. Robakidze, G. (1939). Adolf Hitler von einem fremden Dichter gesehen Jena: Diederichs
8. Robakidze, G. (1941). Mussolini der Sonnengezeichnete Jena: Diederichs
9. Robakidze, G. (1942). Mussolini:Visionen auf Capri. Jena: Diederichs
10. Robakidze, G. (1928). „ Die Karawane", Der Diederichs Löwe 2. Folge, 4. Heft S. 199-204
11. Robakidze, G. (Okt. 1930)., , Die Literatur Georgiens vom 5. Bis zum 20. Jahrhundert", Das neue Russland: Zeitschrift für Kultur, Wirtschaft und Literatur . Sonderheft Georgien, 7. S. 58-61.
12. Robakidze, G. (Okt. 1931). „Imam Schamyl: Erzählung von Grigol Robakidze", Die lit-erarische Welt 7. Heft 31. S. 5-7
13. Robakidze, G. (Apr. 1932). „Magische Quellen: Kaukasische Novelle", Atlantis Heft 4 S. 213-224.
14. Robakidze, G. (Sept. 1932). „Die Tötung des heiligen Stiers: Kaukasische Erzählung, Atlantis Heft 9 S. 530-533
15. Robakidze, G. (1933). „Der Schmerz Gottes", Der Diederichs Löwe 5. Folge, S. 150-152
16. Robakidze, G. (1933). „Mein Lebenslauf", Die literarische Welt, Nr 25
17. Robakidze, G. (1933). „Mein Leben", Der Diederichs Löwe 5. Folge, 5
18. Robakidze, G. (1934). „Die Waldkönigin Dali", Der Diederichs Löwe 5. Folge, 8. Heft S. 224-227

19. Robakidze, G. (1936). „Geist und Erde", Das werdende Reich: Almanach zum 40. Jahr des Verlages. Eugen Diederichs Jena S. 153

20. Robakidze, G. (1937). „Über das Wesen des Georgertums", Geist der Zeit: Wesen und Gestalt der Völker. Organ des Deutschen Akademischen Austauschdienstes 15 S. 887-891

21. Robakidze, G. (1937). „Die heilige Schale", Der Diederichs Löwe 6. Folge , 6. Heft S. 192-195

22. Robakidze, G. (1941). [Lebensbericht] ohne Titel, Dichter schreiben über sich selbst (Deutsche Reihe Bd. 100) , Eugen Diederich: Jena S. 64-67.

23. Robakidze, G. (05. 08. 1942). „Kaukasus- Silhouetten: I. Georgien und die Kreuzzüge", Brüsseler Zeitung, Nr. 215

24. Robakidze, G. (11. 8. 1942). „Iwane, der georgische Hagen: Silhouetten des Kaukasus (II) ", Brüsseler Zeitung , Nr. 221

25. Robakidze, G. (26. 8. 1942). „Das Geschlcht des Prometheus: Silhouetten des Kaukasus (III) , Brüsseler Zeitung , Nr. 236

26. Robakidze, G. (18. 9. 1942). „Freiheitskämpfer Imam Schamyl: Silhuetten des Kaukasus (IV)", Brüssler Zeitung Nr. 259

27. Robakidze, G. (3. 10. 1942). „Berge sind die Heime der Götter: Silhouetten des Kaukasus (V)", Brüssler Zeitung Nr. 274

28. Robakidze, G. (1943). „Die zwei Brüder"., Westermanns Monatshefte 87 Jg., 17-174

29. Robakidze, G. (1962). „Vom Weltbild der Poesie", Bedi Kartlisa n. s. XIII/XIV S. 127-139

30. Robakidze, G. (7. 12. 1962)., , Visitenkarte der Georgier", Zürcher Woche, Red. Roman Brodmann, Dr. Hans Fleig, Werner Wollenberger, Nr. 49

31. Robakidze, G. (Juni 2001). „An die Heilige Nino", Übersetzung Thomas Häusermann, Mitteilungsblatt der Freunde Georgiens in der Schweiz Nr. 7 20f. II Nachgewiesene unveröffentlichte Schriften

32. Robakidze, G. (Herbst 1947). „Meine Erklärung: An die Schriftstellerverbände Deutschlands, An die deutschen Verleger, An den PEN- Club, An meine Leserkreise"

33. Robakidze, G. (1947). Grigol Robakidze an georgische Schriftsteller „gulnadebi" Okt. 1947.

34. Treger, K. (1986). Literatur-Wissen-Schaft. Bibliocr Aphisches institut. S. 100

მასალა ინტერნეტიდან:

1. ბიბილეიშვილი, ლ. (1993). ტრაგიკული პარალელები კ.გამსახურდიასა და გ.რობაქიძის პროზაში https://burusi.wordpress.com/2011/05/05/bibileishvili/ (მოძიებულია 10. 09. 2015)
2. დოკუმენტური ფილმი ჰიტლერზე (გერმანულ ენაზე) (მოძიებულია 25. 10. 2015) https://www. youtube. com/watch?v=iLcQywhU-_Q
3. ჰიტლერის ფსიქოლოგიური პორტრეტი რუსულ ენაზე (მოძიებულია 25. 10. 2015) https://www. youtube. com/watch?v=bocC9FsyYhY
4. აპოკალიფსი. ჰიტლერი. საფრთხე ნაწილი 1 - რუსულ ენაზე (მოძიებულია 25. 10. 2015) https://www. youtube. com/watch?v=Mw3EdRoaZQs
5. აპოკალიფსი. ჰიტლერი. ფიურერი ნაწილი 2 - რუსულ ენაზე (მოძიებულია 25. 10. 2015) https://www. youtube. com/watch?v=Eo62HdebG3M
6. დოკუმენტური ფილმი მუსოლინი: (ინგლისურ ენაზე) (მოძიებულია 30. 10. 2015) https://www. youtube. com/watch?v=L--tIaau9o4
7. დიქტატორები, დიდი ლიდერების საიდუმლოებანი. (მოძიებულია 30. 10. 2015) ბენიტო მუსოლინი - რუსულ ენაზე https://www. youtube. com/watch?v=PfItJBHhNyA
8. გრიგოლ რობაქიძე (რადიო ჩანაწერი - ქართულ ენაზე) (მოძიებულია 11. 11. 2015) https://www. youtube. com/watch?v=YyZvTwjj_MY
9. საქართველოს გმირი გრიგოლ რობაქიძე (ნაწილი I) (მოძიებულია 11. 11. 2015) https://www. youtube. com/watch?v=JoSmz7c22ng
10. საქართველოს გმირი გრიგოლ რობაქიძე (ნაწილი I I) (მოძიებულია 11. 10. 2015) https://www. youtube. com/watch?v=IGSVB63zgGQ
11. ბურუსი- გრიგოლ რობაქიძე (მოძიებულია 25. 10. 2015) https://burusi. wordpress. com/literature/grigol-robakidze/